



9 771512 259002

მართლმსაჯულება და კანონი

Justice and Law

2

მართლმსაჯულება **2**'11
კანონი

Justice and Law Legal Journal
#2(29)'11

N2(29)'11

მართლმსაჯულება

სს

კანონი

რედაქტორი

ნინო ძიციგური

რედაქტორის თანაშემწე

ირმა ბეჟაური

ნომერზე მუშაობდნენ:

ინგა ალავიძე

ლეილა კოშკაძე

მარინე ვასაძე

დიზაინი:

ბესიკ დანელია

ფოტოურუნველყოფა:

დავით ხიზანიშვილი

სარედაქციო საბჭო:

დინა ბერეკაშვილი

თამარ ჯამბახიძე

ინგა კვაჩანტირაძე

კონსტანტინე კუბლაშვილი

ზაზა მემიშვილი

ვალერი ცერცვაძე

Editorial Board:

DIANA BEREKASHVILI

TAMAR ZAMBAKHIDZE

INGA KVACHANTIRADZE

KONSTANTINE KUBLASHVILI

ZAZA MEISHVILI

VALERI TSERTSVADZE

Editor:

NINO DZIDZIGURI

Assistant to Editor:

IRMA BEKAURI

The issue was prepared by:

INGA ALAVIDZE

LEILA KOSHKADZE

MARINE VASADZE

Designed by

BESIK DANELIA

Photo support by

DAVIT KHIZANISHVILI

*English version of articles has been provided by Candidates
of Law faculty of Tbilisi State University*



საპარტვილოს მოსამართლეთა
ასოციაცია
JUDGES ASSOCIATION OF GEORGIA



აკრძალულია აქ გამოქვეყნებული მასალების
გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება
კომერციული მიზნით, საქართველოს
მოსამართლეთა ასოციაციისა და საქართველოს
უზენაესი სასამართლოს წერილობითი
ნებართვისა და წყაროს მითითების გარეშე.

უპკ (UDC) 340.11+340.130.5

მ-306

ISSN 1512-259X

5

ლევან თევზაძე: „გარკვეული სარეფორმო ეტაპები დავასრულეთ და კვლავ ვაგრძელებთ განვითარებას...“

LEVAN TEVZADZE: “CERTAIN REFORM STAGES COMPLETED AND WE CONTINUE DEVELOPING...”

14

თეიმურაზ თოდრია

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ზომიერთი თავისებურება. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მითითებების სავალდებულო ძალა

SOME SPECIFICITIES OF DECISIONS OF THE CASSATION COURT. MANDATORY POWER OF THE CASSATION COURT INSTRUCTION
TEIMURAZ TODRIA

35

ნუნუ კვანტალიანი

პაციენტის უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტები

INTERNATIONAL STANDARDS FOR PROTECTION OF RIGHTS OF PATIENTS
NUNU KVANTALIANI

50

ეკა ზარნაძე

საორდერო ფასიანი ქაღალდი და მისი სამართლებრივი მოწესრიგების ძირითადი ასპექტები

ORDER BONDS AND KEY ASPECTS OF LEGAL REGULATION
EKA ZARNADZE

64

ციალა ჩქარული

სუსპენზიური ეფექტი ადმინისტრაციულ საპროცესო სამართალში

SUSPENSION EFFECT IN THE ADMINISTRATIVE PROCEDURES LAW
TSIALA CHKAREULI

74

თამარ ჩიტოშვილი

უსაფუძვლო გამდიდრებისას დავალებისა და მოთხოვნის უფლების დათმობის საფუძველზე შეისრულების შედეგები

TRANSFER RESULTS IN CASES OF UNJUSTIFIED ENRICHMENT BASED ON GIVING UP DEMAND AND INSTRUCTIONS
TAMAR CHITOSHVILI

88

თეა სუხიტაშვილი

სამოქალაქო პასუხისმგებლობის სუბიექტები

SUBJECTS TO CIVIL RESPONSIBILITY
TEA SUKHITASHVILI

- 100** **თეა კალანდაძე**
მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობის სამართლებრივი საფუძვლები
-
- FOUNDATIONS FOR ORIGINATION OF CO-OWNERSHIP RIGHTS OF SPOUSES
THEA KALANDADZE
- 107** **დავით მესხიშვილი**
ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა იტალიაში
-
- FFIGHT AGAINST ORGANIZED CRIME IN ITALY
DAVID MESKHISHVILI
- 118** **ირინა ხერხეულიძე**
საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა – არასაკვატიმრო სახის სასჯელთა შორის არასრულწლოვან დამნაშავეთა რესოციალიზაციის ერთ-ერთი საშუალებით
-
- PUBLIC WORKS – ONE OF THE BEST AGENTS AMONG NON-CUSTODIAL MEASURES FOR RESOCIALIZATION OF JUVENILES
IRINE KHERKHEULIDZE
- 131** **ირინა აკუბარდია**
ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვერდიქტი
-
- VERDICT OF THE JURY TRIAL
IRINA AKUBARDIA
- 139** **დავით კარიაული**
დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის მიხედვით
-
- RIGHTS OF VICTIMS UNDER THE NEW CRIMINAL PROCEDURES CODE
DAVID KARIAULI
- 144** **ია ხარაზი**
საგადასახადო სამართლის კონსტიტუციური-სამართლებრივი საფუძველი საგადასახადო კანონმდებლობის მიღება: პრობლემები და თავისებურებანი
-
- CONSTITUTIONAL BASIS OF THE TAX LAW ADOPTION OF THE TAX LEGISLATION – PROBLEMS AND SPECIFICITIES
IA KHARAZI

„ბარკვეული სარეფორმო ეტაპები დავასრულეთ და კვლავ ვაბრძვებით განვითარებას...“

„სიტუაცია რადიკალურად შეცვლილია – მოსახლეობის სამართლებრივი თვითშეგნება საოცრად გაიზარდა. მახსოვს, წლების წინათ, ძალზე ხშირი შემთხვევები, როცა ბრალდებულები არ აღიარებდნენ დანაშაულს და სამართალდამცველებთან თანამშრომლობას თაკილობდნენ; დაზარალებული მოქალაქეები კი, თავიანთ პრობლემებს „ქუჩაში არჩევდნენ“. ახლა პირიქითაა“, – აცხადებს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე ლევან თევზაძე, რომელთან ინტერვიუსაც ქვემოთ შემოგთავაზებთ.

ბატონო ლევან, სასამართლო რეფორმის ერთ-ერთი მიმართულება იყო სასამართლოების გაერთიანება – შეიქმნა ქუთაისის გაერთიანებული სასამართლო. რას გულისხმობს სასამართლოების გაერთიანება და რა შედეგი მოჰყვა ამ სტრუქტურულ სიახლეს?

– საქმეთა დროული განხილვა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა იყო ის ძირითადი ფაქტორები, რამაც განაპირობა მაგისტრატი მოსამართლის ინსტიტუტის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვასთან დაკავშირებული საკითხების დროულ განხილვას, ადმინისტრაციულ და სამოქალაქო კატეგორიის ნაკლებად რთული საქმეების გადაწყვეტას. მაგისტრატი მოსამართლეების სისტემა შედის დიდი, გაერთიანებული სასამართლოების იურისდიქციაში და წარმოადგენს სასამართლო ხელისუფლებას იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, სადაც არ არსებობს გაერთიანებული რაიონული (საქალაქო) სასამართლოები. ჩვენს შემთხვევაში, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, 2010 წლის 22

სექტემბრიდან ტყიბულის, წყალტუბოს და ბაღდათის რაიონული სასამართლოები გახდნენ მაგისტრი სასამართლოები და გაერთიანდნენ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში. ყოველივე ამან კი, განაპირობა სასამართლოში არსებული დავების სწრაფად, ეფექტიანად და ხარისხიანად განხილვა. ამასთან, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლეები საქმეებს განიხილავენ სპეციალიზაციის მიხედვით და მოსამართლის მხრიდან საქმის განხილვისას რაიმე შეცდომის დაშვების ალბათობა მინიმუმამდეა დაყვანილი.

როგორ ფუნქციონირებს მაგისტრალი სასამართლოები ბაღდათში, წყალტუბოსა და ტყიბულში... მოსახლეობის მომსახურების სერვისის გაუმჯობესების გარდა კიდევ რა ფუნქციები აქვს მათ და როგორი კატეგორიის საქმეებს განიხილავენ?

– მაგისტრი მოსამართლეები თავიანთ სამოქმედო ტერიტორიაზე განიხილავენ საქმეებს საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში, კერძოდ: სისხლის სამართლის საქმეებზე – ადამიანის უფლებების შეზღუდვასთან და იძულებით ღონისძიებებთან დაკავშირებულ საგამოძიებო მოქმედებების კანონიერებას, აღმკვეთ ღონისძიებებს, გამომძიებლის ან პროკურორის უკანონო ქმედებების გამო საჩივრებს;

სამოქალაქო სამართლის კუთხით – ქონებრივ დავებს, თუ სარჩელის ფასი არ აღემატება 2000 ლარს, უდავო და გამარტივებულ წარმოების საქმეებს, საოჯახო ურთიერთობიდან გამომდინარე დავებს, გარდა შვილად აყვანის, მშობლის უფლების ჩამორთმევის, მამობის დადგენის და ბავშვის მიკუთვნების თაობაზე წარმოებული დავებისა;

ხოლო ადმინისტრაციული სამართლის კუთხით – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს – სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხებს, აღსრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილ დავებს, საჯარო სამსახურში შრომით ურთიერთობიდან

წარმოშობილ დავებს; მენარმის საქმიანობის შემონმების შესახებ მაკონტროლებელი ორგანოს შუამდგომლობებს ბრძანების გამოცემის თაობაზე; არანებაყოფლობით ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების საკითხებს.

საქმეების განხილვის მსგავსმა დიფერენცირებამ ხელი შეუწყო დავების სწრაფ და ეფექტიანად გადაწყვეტას. შეიძლება ითქვას, რომ სასამართლოებში აღარ არის თვეობით, წლობით განუხილველი საქმეები, უფრო მეტიც, ყველა კატეგორიის საქმეზე საქმეთა განხილვის ვადის საერთო მაჩვენებელი ერთ თვემდე მერყეობს. სასამართლოში მოსულმა მოქალაქეებმა უკვე კარგად იციან, რომ მათ საქმეებს დროულად და ხარისხიანად განიხილავენ.

გარდა სასამართლოების გაერთიანებისა, საინტერესოა, რა ეტაპზეა ახლა რეფორმა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში და ამ პერიოდისთვის რა არის ყველაზე პრიორიტეტული თქვენთვის?

– როგორც მოგეხსენებათ, 2008 წლიდან დაიწყო სასამართლო ხელისუფლებაში მიმდინარე რეფორმის მეორე ტალღა. რაც, მთელი რიგი პროგრესული ინიციატივებისა და პროექტების განხორციელებას ითვალისწინებს – მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის, საზოგადოებრივი ნდობისა და სამართლებრივი შეგნების ამაღლების კუთხით.

როგორც სასამართლოს მთელი სისტემა, ასევე, ქუთაისის საქალაქო სასამართლო მობილიზებულია, რომ თავისი წვლილი შეიტანოს სასამართლო რეფორმის წარმატებით განხორციელებაში. რეფორმის პირობები მიმდინარე და მზარდია, თითოეული ეტაპი საზოგადოებისა და ზოგადად, ქვეყანაში სამართლის განვითარებასთან დაკავშირებული. ამიტომაც, გეტყვით, რომ გვაქვს უზარმაზარი შედეგები, რასაც სასამართლოში შემოსვლისთანავე იგრძნობთ. გარკვეული ეტაპები დავასრულეთ და ვაგრძელებთ განვითარებას – ჩვენ ვიზრდებით და შესაბამისად, მიმდინარე პროცესებში აქტიურად ვართ ჩაბმული.

სარეფორმო ცვლილებების ჩამოთვლა ახლა ძნელია, იმიტომ, რომ უზარმაზარი სამუშაოები ჩატარდა, რის გამოც, მივიღეთ სრულყოფილი, სწრაფი, ეფექტიანი და, რაც ყველაზე მთავარია, ყველასთვის ხელმისაწვდომი მართლმსაჯულება.

ბატონო ლევან, ძალზე ხშირად გამოითქმის პრეტენზიები მოსამართლეთა კვალიფიკაციის თაობაზე, როგორია თქვენი სასამართლოს მოსამართლეების კვალიფიკაციის ხარისხი? მით უმეტეს, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ძირითადად, ახლადდანიშნული მოსამართლეები საქმიანობენ.

– ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლეები მართლაც ახლადდანიშნულები არიან, მაგრამ ვიდრე მოსამართლეებად დაინიშნებოდნენ, სრულყოფილი სპეციალური მომზადება გაიარეს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში.

მოსამართლის კვალიფიკაციაზე უპირველესად, მის მიერ განხილული საქმეების ხარისხით უნდა ვისაუბროთ. უნდა მოგახსენოთ, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში დამთავრებულ საქმეთა რაოდენობიდან მხოლოდ 10 პროცენტი საჩივრდება ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში, სადაც, ჩვენს ხელთ არსებული სტატისტიკით, საქმეების უმეტესობა ძალაში რჩება, რაც მოსამართლეთა მაღალ პროფესიონალიზმსა და კვალიფიკაციაზე მიუთითებს.

გარდა ამისა, მოსამართლეთა პროფესიონალიზმს ადასტურებს ისიც, რომ წინა წლებთან შედარებით გაორმაგდა განსახილველ საქმეთა მაჩვენებელი, რაც ასევე, პირდაპირაა დაკავშირებული საზოგადოების ნდობის ზრდასა და სასამართლო რეფორმის წარმატებასთან.

სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით პრეტენზიებს გამოთქვამენ საერთაშორისო ორგანიზაციები, აცხადებენ, რომ ქართული



წარმატებით დამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 2001-2002 წლებში მუშაობდა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული პროკურატურის სტაჟიორ-გამომძიებლად;

2002 წლიდან მუშაობდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის თბილისის სააღსრულებო ბიუროს უფროსის მოადგილედ, შემდეგ იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის სააღსრულებო წარმოების სამმართველოს დასავლეთ საქართველოს სააღსრულებო წარმოებათა განყოფილების უფროსად, სამმართველოს უფროსად;

2004-2008 წლებში მუშაობდა საქართველოს შსს-ს გენერალურ ინსპექციაში ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების უფროსის მოადგილედ; შსს-ს გენერალური ინსპექციის საჩივარ-განცხადებებზე რეაგირების განყოფილების უფროსის მოადგილედ; უფროს ინსპექტორად; უფროს გამომძიებლად; შსს-ს გენერალური ინსპექციის წინასწარი გამოძიებისა და დისციპლინური დევნის სამმართველოს

ფინანსური დარღვევების შემოწმების განყოფილების უფროსად.

2008 წელს წარმატებით ჩააბარა მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა და იმავე წელს დაინიშნა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ; დაკისრებული ჰქონდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილება.

2009 წლის ნოემბრიდან მოსამართლის უფლებამოსილებას ახორციელებს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში და დაკისრებული აქვს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილება.

მართლმსაჯულება პოლიტიზებულია, რომ დამოუკიდებლობის ხარისხი ძალზე დაბალია.

– თამამად შემძღვია გითხრათ, რომ მსგავსი მოსაზრება საფუძველს მოკლებულია იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მოსამართლის საქმიანობაში ჩარევა სამართლებრივი აქტებით დასჯადი ქმედებაა. ეს კანონი ჩვენმა მოსამართლეებმა კარგად იციან და დამერწმუნეთ, ასეთი ფაქტის არსებობის შემთხვევაში, მას აუცილებლად მოჰყვებოდა რეაგირება.

სასამართლოს დისკრედიტაციის მიზნით, მსგავს განცხადებებს ძირითადად, პოლიტიკურად ანგაჟირებული ადამიანები აკეთებენ ან სასამართლო განხილვაში მონაწილე ის მხარე, რომლის სასურველი გადანყვეტილებაც ვერ გამოვიდა. თუმცა, ვფიქრობ, რომ სასამართლოს მიერ მიღებული ობიექტური, სამართლიანი და სტაბილური გადანყვეტილებები მსგავს მოსაზრებებს აბათილებს. როგორც მოგახსენეთ, სტატისტიკა ადასტურებს, რომ ჩვენი სასამართლოს მოსამართლეების მიერ გამოტანილი გადანყვეტილებები სამართლიანია და მათი დიდი ნაწილი ზემდგომ ინსტანციაშიც აღარ იცვლება.

სასამართლოს საქმიანობის მთავარი შემფასებელი საზოგადოებაა, როგორია თქვენი ინფორმაცია, სარგებლობს ქუთაისის სასამართლო საზოგადოების ნდობით? არსებული ინფორმაციით, სასამართლოს საქმიანობის შესაფასებლად საერთაშორისო ორგანიზაციებმა ჩაატარეს სასამართლოს მომხმარებელთა კვლევა, როგორ შეაფასეს მოქალაქეებმა თქვენი საქმიანობა?

– აბსოლუტურად გეთანხმებით, სწორედ საზოგადოებამ უნდა შეაფასოს სასამართლოს საქმიანობა. ქუთაისის საქალაქო სასამართლოში საერთაშორისო ორგანიზაციები სისტემატურად ატარებენ კვლევებს საზოგადოებრივი ნდობის ხარისხის განსაზღვრის მიზნით.

საქმის გადაწყვეტის ვადები, სასამართლოს თანამშრომელთა დამოკიდებულების შეფასება, სასამართლოს მხრიდან ინფორმაციის გაცემის პროცედურების სიმარტივე, მოსამართლეთა პროფესიონალიზმი და სასამართლოსადმი ნდობა – ასეთი გახლდათ იმ შეკითხვების ზოგიერთი ჩამონათვალი, რომელსაც სასამართლოში მისულ მოქალაქეებს უსვამდნენ. ყველა პარამეტრის მიხედვით, მდგომარეობა სასამართლოში დადებითად შეფასდა, რაც, საბოლოოდ, სასამართლოსადმი ნდობის გაზრდაში გამოიხატა.

შარშან ჩატარებული კვლევების მიხედვით, გამოკითხულთა 68 პროცენტი ენდობოდა სასამართლოს. სასამართლოს მომხმარებელთა გამოკითხვა სულ ახლახან, განმეორებით ჩატარდა და აღმოჩნდა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებას სამართლიანად აფასებს და სასამართლოს ენდობა გამოკითხულთა 70 პროცენტი.

აღმოჩნდა, რომ წინა წლებში ჩატარებულ ანალოგიურ კვლევებთან შედარებით, სიტუაცია საგრძნობლად გაუმჯობესებულია ყველა მიმართულებით.

გამოკითხვების მიზანი მხოლოდ ციფრების დაფიქსირება არ გახლავთ. ყველა ასეთ კვლევას აქვს ერთი დანიშნულება – სასამართლოებში არსებული სიტუაციის რეალურად დანახვა, მათი ანალიზი და პრობლემის არსებობის შემთხვევაში, სიტუაციის გამოსწორებაზე ზრუნვა. როცა სიტუაციას იკვლევ, ეს ნიშნავს, რომ მდგომარეობის შეფასებასა და გაუმჯობესებაზე ზრუნავ.

წლების წინათ, როცა პირველად ჩატარდა კვლევა, ქუთაისელები თავს არიდებდნენ პასუხის გაცემას შეკითხვებზე, ახლა როგორც ჩანს, სიტუაცია შეიცვალა. როგორ ფიქრობთ, გაიზარდა ქუთაისელების სამართლებრივი განვითარების დონე? მით უმეტეს, თუ გავიხსენებთ პერიოდს, როცა ქუთაისი „შავი სამყაროს“ გავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

– სამწუხაროდ, მართლაც იყო ასეთი პერიოდი, ოღონდ, წლების წინათ. ახლა სიტუაცია

რადიკალურად შეცვლილია – მოსახლეობის სამართლებრივი თვითშეგნება საოცრად გაიზარდა. მახსოვს, წლების წინათ, ძალზე ხშირი შემთხვევები, როცა ბრალდებულები არ აღიარებდნენ დანაშაულს და სამართალდამცველებთან თანამშრომლობას თაკილობდნენ; დაზარალებული მოქალაქეები კი, თავიანთ პრობლემებს „ქუჩაში არჩევდნენ“, ახლა პირიქითაა. მოსახლეობამ იცის, რომ საკუთარი ინტერესების დასაცავად სასამართლოს, სამართალდამცველ უწყებებს უნდა მიმართოს. მოქალაქეები სამართალდამცველებთან თანამშრომლობენ და დარწმუნებული არიან, რომ მათი პრობლემები სამართლებრივი გზით – სასამართლოში მოგვარდება. ამის დასტურია, რომ ბოლო წლებში საგრძნობლად მოიმატა საქმეების რაოდენობამ. მაგალითად, წელს შარშანდელთან შედარებით, გაორმაგებულია სასამართლოში შემოსულ საქმეთა რაოდენობა, განსაკუთრებით, სამოქალაქო საქმეები. ეს კი, ნიშნავს, რომ საზოგადოების სამართლებრივი დონე გაიზარდა და მათ აქვთ სასამართლოს ნდობა.

საინტერესოა, სამომავლო გეგმები, კიდევ რა სიახლეების განხორციელებას აპირებთ სასამართლო სისტემაში?

– სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით, შემიძლია მოგახსენოთ, რომ იგეგმება საქმის წარმოების ელექტრონული პროგრამის ამოქმედება, რაც მოქალაქეებს მეტ კომფორტს შეუქმნის, ხელს შეუწყობს და გაუადვილებს სასამართლოში წარმოებულ საქმეზე დეტალური ინფორმაციის მიღებას.

ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლება მიიღოს მისი საქმის თაობაზე დეტალური ინფორმაცია – რა ეტაპზეა საქმე, რა დამატებითი ინფორმაციაა საჭირო და ა.შ. ანუ, ნებისმიერი მოქალაქე თავისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე მარტივად მიიღებს ოპერატიულ ინფორმაციას მოსამართლის თანაშემწესთან და სასამართლოს სხვა თანამშრომლებთან ურთიერთობის გარეშე.

LEVAN TEVZADZE: “CERTAIN REFORM STAGES COMPLETED AND WE CONTINUE DEVELOPING...”

“Conditions radically changed – legal awareness of the population has significantly increased. I remember, years ago, frequent cases, when accused would not admit to a crime and would be reluctant to cooperate with law enforcement agencies; and victims, were trying to “solve” their problems in the street. Now, everything has changed” – declares Chair of the Kutaisi City Court Levan Tevzadze, interview with whom is given below.

Mr. Levan, consolidation of courts was one of judicial reform directions – the consolidated Kutaisi Court has been created. What does consolidation imply and what are the outcomes of such a structural innovation?

Timely review of cases and availability of justice were key factors, for which magistrate judges were introduced; it allows for timely review of constitutional rights related restrictions, administrative and civil cases of less complexity. Magistrate judges system is under the jurisdiction of consolidated courts and represents judicial authorities in those administrative territorial units, which do not have consolidated district (city) courts. In our case, by decision of the High Council of Justice, as of September 22, 2010, Tkibuli, Tskaltubo and Baghdadi district courts became magistrate courts and were merged with the Kutaisi City Court. All this led to rapid, effective and quality hearing of cases. In addition, judges of the Kutaisi City Court hear cases in accordance with specialization, which minimizes the possibility of judicial mistakes.

How do magistrate courts function in Baghdadi, Tskaltubo and Tkibuli... In addition to improving services to population, what other functions are borne by them and what kind of cases do they hear?

In their correspondent jurisdictions, magistrate judges hear cases within competencies defined by procedural legislation, namely: criminal cases – restriction of human rights and legality of investigative actions in coercive activities, prevention measures, complaints on illegal actions of prosecutors or investigators; civil cases – property disputes if the claim value does not exceed GEL 2 000, indubitable and cases of simplified proceedings, family related disputes, except child adoption and child granting related disputes; and in administrative cases – administrative offences – state social security issues, disputes related to enforcement (execution) of decisions, disputes arising from labour relations of public servants; cases related to issuance of motions by control bodies on auditing entrepreneurial activities; issues related to placement of an individual in the special facilities for psychiatric assistance.

Such differentiation of case reviews facilitated rapid and effective administration of justice. It can be said that there are no more cases pending hearing for months or even years; moreover, all category of cases are being reviewed within one month approximately. When citizens address the court, they very well know that their cases will be reviewed in a timely manner and with high quality.

In addition to consolidation of courts, it would be interesting to know the status of the reform in the Kutaisi court as well as the key priorities?

As you know, a second wave of judicial reforms had started in 2008; the second wave envisages implementation of many progressive initiatives and

projects aimed at judicial independence and increasing public trust and confidence as well as raising legal awareness.

As the whole judicial system, the Kutaisi City Court is committed to contribute to successful implementation of the judicial reform. Reform conditions are ongoing and increasing, where each stage of the reform is aimed at development and promotion of justice. Therefore, I should say that we have significant results which one can feel immediately upon entering the court building. Certain stages are completed and we continue developing – we grow and therefore, are actively involved in ongoing processes.

It is hard to now list changes to be achieved by the reform implementation since a lot has been done, due to which we received a comprehensive, rapid, effective and, most importantly publicly accessible judiciary.

Mr. Levan, complaints about qualification of judges are quite frequent. What is the professional level of judges in your court, especially considering the fact the fact that Kutaisi Court basically employs newly appointed judges?

Judges of the Kutaisi City Court indeed are newly appointed, but before appointment they have passed special trainings at the Hugh School of Justice; they apply obtained knowledge in the Court.

We shall judge about the qualification of the judge by the quality of reviewed by him/her cases. I must tell you that appeals to higher instance courts are made only in 10% of cases reviewed by our Court, where, according to our statistics, most decisions remain unchanged and in force; it indicates at high professionalism and qualification of judges.

In addition, professionalism of judges is proven by the fact that in comparison to previous years,

indicator of heard cases has doubled; it is directly related to increase of public trust and success of judicial reforms.

International organizations often complain about the level of judicial independence; they say that Georgian judiciary is politicized and that level of independence is quite low.

I can tell you that such statements are groundless due to a very simple reason that interference with judicial activities is punishable under the legal acts. Our judges know that law very well and, trust me, a relevant response will follow in case of such facts.

Such statements are usually made by politically biased persons with the purpose of discrediting courts; or they are made by parties to the case, especially those who did not obtain a favourable decision. However, I think that objective, fair and stable decisions of the Court nullify such opinions. As said above, statistics show that decisions of our judges are fair and large share of them is not altered in higher instance courts.

Public is a major evaluator of judicial activities. According to your information, does public trust the Kutaisi Court? According to existing information, international organizations conducted a research/survey of court customers for the purpose of assessing judicial activities. How did citizens appraise you activities?

I completely agree with you. Certainly the public shall assess activities of courts. International organizations regularly conduct surveys in the Kutaisi City Court for the purpose of determining level of public trust.

Timeframes for deciding the case, evaluation of attitudes of the court staff, simplicity of releasing

information by courts, professionalism of judges and trust in courts – these are some of the questions asked of citizens in courts. According to all parameters, the Court’s assessment was positive; and this, in its turn led to increase of trust.


According to the survey of last year, 68% of respondents said they trusted the Court. Survey of court users was conducted quite recently again. It appears that 70% of respondents positively evaluate fairness of judicial decisions and they trust courts.

It appeared that situation has significantly improved in comparison to previous years.

Receiving figures is not the only objective of surveys. They have another purpose as well – realistic assessment of the judiciary, analysis and in case of problems, finding solutions. Studying status of affairs of the court is aimed at assessment and improvement.

Years ago, when the survey was conducted for the first time, residents of Kutaisi were trying to avoid answering questions of the survey, but nowadays, as it seems, everything has changed. Do you thin that legal awareness level of Kutaisi residents has increased, especially if we remember the time when Kutaisi was under the influence of the “Dark world”?

Unfortunately, there really was such time, but that was years ago. Now the situation has radically changed – legal awareness of the populations has significantly increased. I remember that years ago very often accused would not admit to a crime and would be reluctant to cooperate with law enforcement agencies; and victims, were trying to “solve” their problems in the street. Now everything has changed. The population knows that they have to address the court to protect their interests. Citizens cooperate with law enforcement agencies and they are sure that their problems can



and will be solved by the court. Increased number of cases is a very good evidence of that. For instance, in comparison to the last year, the number of cases filed with the court has doubled, especially civil cases. It means that legal awareness of people has increased and they trust the judiciary.



What are the future plans? What other innovations are planned in the judiciary?

As to future plans, it is planned to introduce electronic case management system. It will be very convenient for citizens; it will also facilitate and simplify receipt of information about pending cases.

Any citizen will be able to receive detailed information about the case – stage of review, required additional information, etc. In other words, any citizen will easily obtain information without direct communication with the judge or assistant judge.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ზოგიერთი თავისებურება. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მითითებების სავალდებულო ძალა

თეიმურაზ თოდრია

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე

1. საკითხის დასმა

აღნიშნულ სტატიაში ვეცდებით ცალკეული პრაქტიკული მაგალითის განხილვით ყურადღება გავამახვილოთ ერთ შემთხვევაში – სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასების შედეგებზე, ხოლო მეორე შემთხვევაში – სააპელაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების დადგენის პროცესის შეფასების შედეგებზე.

განსახილველი თემატიკის ფარგლებში ჩვენს ინტერესს ინვესტორი ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობის გავლენა საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე. ამასთან, შევეხებით ზოგიერთ საკითხს, რომელიც ეხება საკასაციო სასამართლოს მითითების სავალდებულობას.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ინსტიტუტი გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის L თავით. აღნიშნული ინსტიტუტის თანახმად, საკასაციო სასამართლოს აქვს უფლებამოსილება, უცვლელად დატოვოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ან გააუქმოს იგი. კერძოდ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება შესაძლებელია სამ შემთხვევაში: **როდესაც კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად**

სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.¹

გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება შესაძლებელია სამ შემთხვევაში: საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა;² ახალი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში.³

ზემოაღნიშნული პროცესუალური დანაწესები მხოლოდ პროცესუალურ კრიტერიუმებს წარმოადგენს, სადაც მოიაზრება გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) როგორც პროცესუალურ-სამართლებრივი, ასევე მატერიალურ-სამართლებრივი მხარეების შემონმების შედეგები.

ამდენად, მითითებული შედეგები დამოკიდებულია ერთ შემთხვევაში – საქმისათვის მნიშვნელოვანი (ძირითადი, საძიებელი) ფაქტობრივი გარემოებების განსაზღვრის მართებულობაზე, მეორე შემთხვევაში – ამ ფაქტობრივი გარემოებების დადგენის პროცესის მართებულობაზე, ხოლო მესამე შემთხვევაში, რომლის არსებობაზე დამოკიდებულია წინა ორი შემთხვევა, პროცესუალურ დარღვევებს წარმოადგენს (სსსკ-ის 394-ე მუხლი) და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.⁴

აღნიშნული სტატიის თემატიკის გათვალისწინებით, რომელიც ეხება ძირითადი, საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობას საკასაციო სასამართლოსათვის, ჩვენ არ შევხებით სსსკ-ის 394-ე მუხლით დადგენილი გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს, გარდა ამ მუხლის „ე“ და „ე“¹ ქვეპუნქტებისა (იხ.: ქვემოთ).

ამდენად, საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ზემოაღნიშნული შემთხვევა ხშირად განპირობებულია ფაქტობრივი გარემოებების შემონმების პროცესუალური თავისებურებებით.

ზემდგომი სასამართლოების მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს გააქარწყლონ სამართლის ნორმის ინტერპრეტაციიდან გამომდინარე სხვადასხვა ბუნდოვანება და ამ გზით ხელი შეუწყონ სამართლის განვითარებას.⁵

2. გასაჩივრებად გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების სამართლებრივი კრიტერიუმები

განვიხილოთ შემთხვევები, როდესაც კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

პირველ შემთხვევაში საკასაციო საჩივარში მითითებული დარღვევა იგულისხმება, რომელიც შეიძლება ეხებოდეს როგორც მატერიალურ-სამართლებრივი, ასევე, პროცესუალურ-სამართლებრივი ნორმების დარღვევას. მიუხედავად ამისა, საკასაციო სასამართლოს თავისი ინიციატივით შეუძლია შეამონმოს მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის დარღვევები, ხოლო პროცესუალურ-სამართლებრივი დარღვევების შემონმება შეუძლია მხოლოდ საკასაციო საჩივარში ამის შესახებ არსებული მითითებების შემთხვევაში და კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში.⁶ ამ უკანასკნელ შემთხვევაში, მას თავისი ინიციატივით შეუძლია შეამონმოს პროცესუალურ დარღვევათა ფაქტების დამადასტურებელი მტკიცებულებები.⁷

მეორე შემთხვევაში, როდესაც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა, საკასაციო სასამართლო თვითონ იკვლევს, დარღვეულია თუ არა მატერიალურ-სამართლებრივი ნორმა, ასევე, იმ შემთხვევებს, რომლებიც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

ამ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო უნდა შეამონმოს, თუ რამდენად სწორად იქნა განსაზღვრული სილოგიზმის მთავარი, პირველი (ნორმატიული) ნაწილი. მაგრამ იურიდიული შედეგის ნორმატიული ნაწილის განსაზღვრის (სამართლებრივი ნორმის მოძიების და განმარტების) აუცილებლობა

ერთ შემთხვევაში – უკავშირდება მეორადი წანამძღვრის, ანუ ფაქტობრივი სიტუაციის სწორად განსაზღვრას და მის რეალიზაციას სილოგიზმის მთავარი, ანუ ნორმატიული წანამძღვრის ქვეშ – მეორე შემთხვევაში. ამდენად, განსახილველ ორივე შემთხვევაში იგულისხმება, რომ ქვემდგომმა სასამართლომ სწორად განახორციელა ზემოაღნიშნული წანამძღვრების ფიქსაციის რეალიზაცია, რის შედეგადაც კანონიერი გადაწყვეტილება იქნა მიღებული.

აღნიშნულ დასკვნამდე საკასაციო სასამართლო დედუქციური კვლევით მიდის, რაც უპირველს ყოვლისა, ნიშნავს, რომ საკასაციო სასამართლო ამომწებს, თუ რამდენად სწორად იქნა გამოყენებული და განმარტებული სამართლის ნორმა, რომელიც ზოგადი და აბსტრაქტული ხასიათისაა. ამდენად, როდესაც საკასაციო სასამართლო უცვლელად ტოვებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას (განჩინებას), მის მოტივაციაში უნდა ჩანდეს, თუ რატომ მიიჩნია, რომ ამ ნორმით გათვალისწინებული შედეგი რეალიზდება კონკრეტულ შედეგში.

მაგალითის სახით მივმართოთ სასამართლო პრაქტიკას.

ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ „მოსარჩელე „ა“ წარმოადგენს მართლზომიერ მფლობელს, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელე „ა“-ს დადებული საიჯარო ხელშეკრულება რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის მიწის მართვის სამმართველოს სარეგისტრაციო ჟურნალში №1482-ით.

კასატორის მიერ არ არის წამოყენებული დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო საჩივარი, რომლითაც იგი სადავოდ გახდიდა საჯარო რეესტრში რეგისტრაციას. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის (სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

ამრიგად, „ა“-სთან დადებული იჯარის ხელშეკრულების რეგისტრაციის ფაქტი ადასტურებს იმ გარემოებას, რომ „ა“ არის მართლზომიერი მფლობელი... მართლზომიერ მფლობელად ითვლება პირი, რომელიც სამართლებრივ საფუძველზე ახორციელებს ნივთის მიმართ ფაქტობრივ ბატონობას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 162-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, დაუშვებელია მართლზომიერ მფლობელს მოეთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ეს წესი ეხება ასევე პირდაპირი მფლობლის ურთიერთობას არაპირდაპირ მფლობელთან. განსახილველი ნორმის თანახმად „ა“-ს უფლება აქვს გამოითხოვოს „ბ“-საგან სადავო მიწა...

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა.⁴⁸

როგორც ზემოაღნიშნული მაგალითიდან ჩანს, სასამართლომ სწორად განსაზღვრა ფაქტობრივი გარემოებების წრე და ისინი პროცესუალური დარღვევის გარეშე დაადგინა.

შესაძლებელია, რომ საკასაციო საჩივარი უთითებდეს სამართლის ნორმის ინტერპრეტაციაზე, მაგრამ ამ შემთხვევაშიც, აუცილებელია, გავითვალისწინოთ ფაქტობრივი გარემოებები, რადგან მნიშვნელოვანია არა სამართლის ნორმის ინტერპრეტაციის (განმარტების) შემოწმება, არამედ, ამ ინტერპრეტაციის შედეგად რამდენად სწორად განსაზღვრა სააპელაციო სასამართლომ საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები.

მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში კასატორი – დმანისის რაიონის გამგეობა უთითებდა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 442-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს ვალდებულების შეწყვეტას ურთიერთგაქვითვით.

ამასთან მიმართებით საკასაციო პალატამ მიუთითა: „სააპელაციო სასამართლომ სწორად განმარტა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 442-ე მუხლის პირველი ნაწილი. კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ორ პირს შორის არსებული ურთიერთმომთხოვნა შეიძლება გაქვითვით შეწყდეს, თუ დამდგარია ამ მოთხოვნათა შესრულების ვადა. ამდენად, განსახილველი ნორმის თანახმად, ურთიერთმომთხოვნათა გაქვითვისას უნდა არსებობდეს ორი აუცილებელი წინაპირობა: ორივე პირი ერთმანე-

თისათვის ერთდროულად კრედიტორიც უნდა იყოს და მოვალეც ე.ი. ორივეს ერთმანეთის მიმართ უნდა ეკისრებოდეს ვალდებულების შესრულება და ასევე, დადგენილი უნდა იყოს ამ მოთხოვნათა შესრულების ვადა. აღნიშნული ნორმის თანახმად, ეს ორი წინაპირობა ერთდროულად უნდა არსებობდეს, რომ განხორციელდეს ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა. ამ წესიდან გამონაკლისია ამავე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად, ვალდებულებათა გაქვითვა შესაძლებელია მაშინაც, როცა ერთ-ერთი მოთხოვნის შესრულების ვადა ჯერ არ დამდგარა, მაგრამ ამ მოთხოვნის უფლების მქონე მხარს უჭერს გაქვითვას. ვალდებულების გაქვითვა მეორე მხარისათვის შეტყობინებით ხორციელდება. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კონკრეტულ დავაზე არ ვრცელდება ეს უკანასკნელი ნორმის დანაწესი (442-ე მუხლის მე-2 ნაწილი), რადგან მოპასუხე მხარს არ უჭერს გაქვითვას. ე.ი. არ არსებობს მისი ნება შესრულების ვადის დადგომამდე ურთიერთმოთხოვნების გაქვითვის შესახებ, რაც აუცილებელი პირობაა ამ ნორმით ურთიერთობის მონესრიგებისათვის.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისათვის მიღების ღირებულების დაკისრების შესახებ, დამოკიდებულია თვით მის მიერ მოპასუხისათვის შესრულებული სამუშაოს ღირებულების დარჩენილი ნაწილის გადახდაზე. მითითებული თანხა მხარეთა შორის საბოლოო ანგარიშსწორებისას უნდა გამოკლებოდა დამანისის რაიონის გამგეობის მიერ შპს „საქგაზმშენსერვისისათვის“ შესრულებული სამუშაოების ღირებულების სახით ასანაზღაურებელ თანხას, ხოლო საბოლოო ანგარიშსწორება ჯერ არ შემდგარა.“⁹

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებიდან მოვიტანეთ ის ნაწილი, რომელიც ეხებოდა სამართლის ნორმის განმარტებას, რადგან კასატორი ამ შემთხვევაში, ხელმძღვანელობდა სსსკ-ის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით. მაგრამ იმისათვის, რომ საკასაციო სასამართლოს შეემონებინა თუ რამდენად სწორად განმარტა სააპელაციო სასამართლომ სკ-ის 442-ე მუხლი, არ იყო საკმარისი მხოლოდ სილოგიზმის მთავარი, ანუ ნორმატიული წანამძღვრის განსაზღვრა, რადგან შემონმების ობიექტს წარმოადგენს არა სამართლის ნორმა, არამედ ფაქტობრივი გარემოებები. სამართლის ნორმის სწორ განმარტებას აქვს საკმაოდ დიდი მნიშვნელობა. ხშირ შემთხვევაში, არასწორ განმარტებას მოჰყვება არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა. მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც ფაქტების დადგენის პროცესი დავას არ იწვევს, ან ამ პროცესულურ დარღვევებზე მითითება საფუძველს მოკლებულია, მაშინ სასამართლომ უნდა შეამოწმოს, თუ რამდენად მოიაზრება სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი სიტუაცია სამართლის ნორმით გათვალისწინებული ფაქტობრივი სიტუაციის ნორმატიულ აღწერილობაში, რომელიც განმარტა სააპელაციო სასამართლომ და რამდენად სწორად განახორციელდა სუბსუმირება. სასამართლო არ იხილავს აბსტრაქტულ ურთიერთობებს, იგი იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავას, შესაბამისად, სამართლის ნორმის გამოყენებისა და განმარტების მართებულობას საკასაციო სასამართლო ამოწმებს კონკრეტულ ფაქტებთან მიმართებით.¹⁰

საკმაოდ საინტერესოა კანონის დანაწესი, რომლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, როდესაც **სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.**

ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში უნდა განიმარტოს, თუ რას ნიშნავს: **„გადაწყვეტილება არსებითად სწორია“** და **„არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.“**

იმის გათვალისწინებით, რომ საკასაციო სასამართლო არ არის ფაქტების დამდგენი სასამართლო და ამოწმებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) მხოლოდ სამართლებრივ მხარეს, ზემოაღნიშნული დანაწესის სწორ განმარტებას დიდი მნიშვნელობა აქვს. აღსანიშნავია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი კუთხით შემოსამოწმებლად, იგი უნდა შეიცავდეს საქმისათვის მნიშვნელოვან დადგენილ ფაქტებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადგილი ექნება სსსკ-ის 411-ე ან 412-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებს. ამ უკანასკნელ შემთხვევებს უფრო დეტალურად ქვემოთ შევხებით.

სსსკ-ის 410-ე მუხლით მოცემულ შემთხვევაში, სახეზე უნდა იყოს შემონმების ობიექტის (ფაქტობრივი გარემოებების) ყველა ნიშანი და ამასთან, არ უნდა იყოს ფაქტობრივი გარემოებების დადგენასთან დაკავ-

შირებული პროცესუალური დარღვევები. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ გასაჩივრებული გადანყვეტილებით დამდგარია სწორი შედეგი. ამდენად, უნდა არსებობდეს სუბსუმირებადი ფაქტები.

მაგრამ მოიაზრება თუ არა ამ შემთხვევაში, იურიდიული დაუსაბუთებლობა? მაშინაც კი, თუ გადანყვეტილება იურიდიულად არ არის საკმაოდ დასაბუთებული, ეს წარმოადგენს მისი გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს (სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). ამდენად, გამორიცხვის პრინციპიდან გამომდინარე, სსსკ-ის 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა უნდა გავმიჯნოთ ამავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისაგან, რასაც ჩვენ დაწვრილებით ქვემოთ შევხებით.

ამდენად, **„გადაწყვეტილება არსებითად სწორია“** და **„არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას“** უნდა გულისხმობდეს ისეთ შემთხვევას, როდესაც ფაქტობრივი სიტუაცია (მეორადი წანამძღვარი) სწორად არის განსაზღვრული და დადგენილი, მაგრამ არ არის სწორად განხორციელებული სუბსიმირება ქმედების აბსტრაქტული ნორმატიული შემადგენლობის (მთავარი წანამძღვარი) ქვეშ, მიუხედავად იმისა, რომ საქმეზე სწორი შედეგი დადგა. აღნიშნული შეიძლება უკავშირდებოდეს შემთხვევებს, როდესაც სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა ის ნორმა, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა ან არასწორად განმარტა სამართლის ნორმა (სსსკ-ის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები).

ამ მხრივ ინტერესს იწვევს საფრანგეთის საპროცესო კოდექსის თავისებურებები. კერძოდ, 620-ე მუხლის თანახმად, საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს შეუძლია არ დააკმაყოფილოს საკასაციო საჩივარი, მაგრამ შეცვალოს არასწორი მოტივაცია, სამართლებრივი ხასიათის მოტივაციით¹¹. თითქოს შეცდომა მოტივაციაში იწვევს გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმებას, მაგრამ ეკონომიურობის პრინციპის დაცვის მიზნით, საკასაციო სასამართლო კი არ აუქმებს, არამედ ძალაში ტოვებს გასაჩივრებულ გადანყვეტილებას, მაგრამ თავის გადანყვეტილებაში არასწორ მოტივაციას ცვლის სწორი მოტივაციით.¹² ამ შემთხვევაში, სწორი უნდა იყოს გადანყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, მაგრამ, როგორც აღინიშნა, იცვლება სამოტივაციო ნაწილის სამართლებრივი დასაბუთება (rejet par substitution de motifs). სამართლებრივ დასაბუთებაში ამ შემთხვევაში იგულისხმება ან სხვა სამართლებრივი ნორმის გამოყენება ან ფაქტების სხვაგვარი კვალიფიკაცია.

ისიც აღსანიშნავია, რომ განსახილველი ნორმის მიხედვით, გასაჩივრებულ გადანყვეტილებაში სამართლებრივი მოტივი (სამართლებრივი დასაბუთება), ანუ როგორც უწოდებენ ზედმეტი მოტივაცია, საკასაციო სასამართლომ შეიძლება მხედველობაში არ მიიღოს, თუ ის სერიოზულ გავლენას არ ახდენს სარეზოლუციო ნაწილზე.

მაგალითად, საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს ერთ-ერთ გადანყვეტილებაში (Soc. 1987 წლის 12 ივნისი, ბიულეტენი V, №378), რომელიც შრომის კოდექსის გვ.122-4-ე მუხლის დარღვევას ეხებოდა, აღინიშნა, რომ საზოგადოება «Entreprise Guenzi» ასაჩივრებს სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებას (Nansy, 3 octobre 1984), რომლის მიხედვითაც დაეკისრა ბატონ ლამბერტინისათვის გადაეხადა კომპენსაცია სამსახურიდან გათავისუფლების გამო; საქმის მიხედვით, ბატონი ლამბერტინი სამსახურში მიიღეს 1976 წლის 3 მაისს, როგორც მუშა. 1980 წლის 1 იანვარს იგი სამუშაოების ხელმძღვანელი გახდა, ხოლო 1980 წლის 6 მარტს მძიმე დარღვევის გამო სამსახურიდან გაათავისუფლეს. საკასაციო საჩივრის მიხედვით მძიმე დარღვევა ის არის, რომ საზოგადოების მიერ დასაქმებულმა საშტატო თანამშრომელმა თავისი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი მუშაკები წააქეზა დაეტოვებინათ დაუმთავრებელი სამშენებლო ობიექტი სამუშაო დღის დასრულებამდე ერთი საათით ადრე, რომ მათთან ერთად ბარში წასულიყო დასალევად; სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ბატონმა ლამბერტინმა, რომელსაც არასდროს მიუღია გაფრთხილება, 1980 წლის 6 მარტს, სამუშაო საათებში, ბარში წაიყვანა სანარმოს ორი თანამშრომელი მაშინ, როდესაც მშენებლობა არ იყო დასრულებული. სააპელაციო სასამართლომ შეძლო შეეფასებინა ეს ფაქტი, რომ მას ნდობის დაკარგვა და სანარმოს კარგად მუშაობაში ხელის შეშლა მოჰყვა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დარღვევა შეიცავდა სამსახურიდან გათავისუფლების რეალურ და სერიოზულ მიზეზს, ის არ ხასიათდებოდა საკმარისი სიმძიმით, რომ ბატონი ლამბერტინისათვის არ მიეკუთვნებინათ ხელ-

შეკრულების შეწყვეტის ანაზღაურება. ამდენად, საკასაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა საზოგადოების საკასაციო საჩივარი.¹³

ამდენად, დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ როდესაც სააპელაციო სასამართლომ განსაზღვრა საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები და, ამდენად, საკასაციო სასამართლოს შეუძლია ეს ფაქტები სამართლებრივად შეამოწმოს, მაგრამ მიუხედავად სწორი სამართლებრივი შედეგისა, სააპელაციო სასამართლომ ამ ფაქტებს არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა, საკასაციო სასამართლოს შეუძლია უცვლელად დატოვოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება (განჩინება) ახალი სამართლებრივი შეფასებით.

3. გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების სამართლებრივი კრიტერიუმები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკასაციო სასამართლო თვითონ ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას, როდესაც საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევის შედეგად, საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა (სსსკ-ის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი). განსახილველი ნორმით მოცემული დანაწესი, უპირველეს ყოვლისა, უკავშირდება საკასაციო სასამართლოს მიერ მტკიცებითი პროცესის შემომების შედეგებს.

აღნიშნული დანაწესით გათვალისწინებული შემთხვევის შემომება წარმოადგენს საკასაციო საჩივრის ერთ-ერთ საფუძველს (სსსკ-ის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილი). ფაქტების განსაზღვრის და დადგენის პროცესის შეფასების შედეგად, შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ქვემდგომმა სასამართლომ ფაქტობრივი გარემოებები დაადგინა პროცესუალური დარღვევით. აქედან გამომდინარე, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება შეიძლება შეიცავდეს ისეთ პროცესუალურ დარღვევებს, რომელთა აღმოფხვრა მნიშვნელოვანი იყოს სწორი სამართლებრივი შედეგისათვის.

ეს ის შემთხვევაა, როდესაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგას ფაქტების დადგენის პროცესი და აუცილებელია ფაქტისა და მტკიცებულებას შორის დაკავშირებული სხვადასხვა საკითხის გადაწყვეტა.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიერ სრული სამართლებრივი ანალიზისათვის აუცილებელია არა მარტო სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები, არამედ მათ დადგენასთან დაკავშირებული კანონით გათვალისწინებული წესების დაცვა. ეს აუცილებლობა, შესაბამისად, განპირობებულია დადგენილი ფაქტის სავალდებულობის პრეზუმფციის უარყოფის წინაპირობებით. აღნიშნული დარღვევები შეიძლება უკავშირდებოდეს უშუალოდ პროცესუალურ-სამართლებრივ დარღვევებს, მაგრამ პროცესუალური დარღვევის მიზეზი, ასევე, შეიძლება უკავშირდებოდეს მატერიალურ-სამართლებრივ ან ლოგიკური წესების დარღვევას.

აღნიშნული დარღვევები შეიძლება გამოვლინდეს მტკიცების ტვირთის არასწორ განაწილებაში, მტკიცების საგნის არასწორად განსაზღვრაში, იმ ფაქტების არასწორად განსაზღვრაში, რომლებიც არ საჭიროებს მტკიცებას, მტკიცებით პროცესში დაშვებულ არსებით შეცდომებში და ა.შ.

მაგალითად, ერთ-ერთ განჩინებაში საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სსსკ-ის 412 ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, ვინაიდან საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინებით ექსპერტის დასკვნა და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები სათანადოდ გამოკვლეული არ არის. კერძოდ, სასამართლო უთითებს: „საქმეზე ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ დენის ძაბვისა და სიხშირის ცვალებადობას, აგრეთვე ელექტროენერჯის ხშირ ჩართვა-გამორთვებს შეეძლო ელექტროძრავების მწყობრიდან გამოყვანა. ეს გარემოება ექსპერტმა დაკითხვის დროსაც დაადასტურა. საქმეში

ასევე წარმოდგენილია ძირითადი საშუალებების ამოღების შესახებ აქტები, რომლებითაც დასტურდება ელექტროძრავების დაზიანების ფაქტი.“ მოცემულ შემთხვევაში ექსპერტის დასკვნა არ არის კატეგორიული, ვინაიდან ექსპერტი ასკვნის ელექტროენერჯის არასტაბილურ მიწოდებასა და ელექტროძრავების დაზიანებას შორის მიზეზობრივი კავშირის შესაძლებლობას. ამდენად, დასკვნა კატეგორიულად არ ადგენს მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამო ზიანის დადგომას.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ სასამართლოს სათანადოდ არ გამოუკვლევია მითითებული აქტები. კერძოდ, დასახელებული აქტებით შემონიშნული სამგორის, ღრმაღელის, ზემო ვაკის, ნაძალადევის, საგურამოს სადგურებში განთავსებული ელექტროძრავები, რომელთა ექსპლუატაციის ხანგრძლივობა განსაზღვრულია ამავე აქტებით. შპს „თბილისის წყალი“ სარჩელის საფუძვლად უთითებს იმ გარემოებაზე, რომ მან ქონებრივი ზიანი განიცადა არაგვის ხეობის წყალსადენებისათვის ელექტროენერჯის შეფერხებით მიწოდების გამო. ექსპერტმა, ასევე შეამოწმა მასალა, რომელიც ასახავს არაგვის ხეობის წყალსადენებისათვის ელექტროენერჯის მიწოდების ხანგრძლივობას. ასეთ ვითარებაში უნდა გამოიკვლევს:

რა გავლენას ახდენს არაგვის ხეობის წყალსადენისათვის ელექტროენერჯის არასტაბილური მიწოდება სამგორის, ღრმაღელის, ზემო ვაკის, ნაძალადევის, საგურამოს სადგურებში განთავსებულ ელექტროძრავებზე;

ელექტროძრავების დათვალიერების აქტებში მითითებული ძრავების გამოშვების თარიღისა და ექსპლუატაციის ხანგრძლივობის გათვალისწინებით, ზუსტად უნდა დადგინდეს მათი დაზიანება ცალსახად იყო თუ არა გამოწვეული ელექტროენერჯის მიწოდების ხარვეზით, თუ თვითონ ნივთის ფაქტობრივი მდგომარეობით;

დაზიანებული ელექტროძრავები, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების გათვალისწინებით, მთლიანად იქნა განადგურებული, თუ მისი ნარჩენი ღირებულებიდან გამომდინარე მფლობელმა რაიმე სარგებელი მიიღო თუ არა და დადებით შემთხვევაში, ზიანის ოდენობის განსაზღვრისას ეს გარემოება გათვალისწინებულია თუ არა.

ასევე დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის დასკვნა შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ მოთხოვნილი 685910,6 ლარის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე, ვინაიდან, გაურკვეველია, თუ რა იგულისხმება ამ ოდენობის ახლად წარმოშობილ დავალიანებაში. სასამართლომ სარჩელი შეიძლება არ დააკმაყოფილოს მისი დაუსაბუთებლობის ან უსაფუძვლობის გამო და არა იმის გამო, რომ მან ვერ გაარკვია, თუ რაში მდგომარეობდა მოსარჩელის მოთხოვნა და რა მტკიცებულებებს აფუძნებდა იგი ამ მოთხოვნას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 222-ე მუხლის თანახმად, მოსამართლეს უფლება აქვს, მხარეებს მისცეს შეკითხვები, რომლებიც ხელს შეუწყობენ საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა სრულად და ზუსტად განსაზღვრას, ამ გარემოებების დასადასტურებლად მტკიცებულებათა გამოვლენასა და სასამართლოში წარდგენას, მათი უტყუარობის გამოკვლევას. აღნიშნული ნორმის ანალიზიდან გამომდინარე, სამოქალაქო სამართალწარმოება შეჯიბრებითობის პრინციპის ფონზე, განსაკუთრებულ შემთხვევებში, უშვებს და საჭიროდ მიიჩნევს მოსამართლის ინიციატივას საქმის სათანადოდ განხილვის მიზნით.

საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ მხარეთა შორის წარმოშობილ დავას მხოლოდ განჩინების კვლევით ნაწილში მითითებულ გარემოებათა გამოკვლევის შემდეგ უნდა მისცეს სამართლებრივი შეფასება.¹⁴

ზემოაღნიშნული მაგალითი მიუთითებს, რომ სასამართლო არ შეიძლება სავარაუდოდ დასკვნებს ეყრდნობოდეს. სასამართლოსათვის მოთხოვნისა თუ შესაგებლის შინაარსი არ უნდა იყოს სავარაუდო. სასამართლომ უნდა გამოკითხოს მხარეები და დააზუსტოს განსახილველ საკითხთა წრე. ზემოაღნიშნულში სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოთხოვნა იმ მოტივით, რომ გაურკვეველია, თუ რა იგულისხმება ამ ოდენობის ახლად წარმოშობილ დავალიანებაში. ასევე, აღსანიშნავია, რომ დასაბუთება შეიძლება ჩაითვალოს სრულად, თუ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევა-შეფასება ხდება ერთობლიობაში, რათა სრული სურათი შეიქმნას ფაქტების შესახებ.

ამდენად, მითითებულ მაგალითში ექსპერტის დასკვნა არ იყო კატეგორიული, ვინაიდან ექსპერტი უშვებდა ელექტროენერჯის არასტაბილურ მიწოდებასა და ელექტროძრავების დაზიანებას შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობას. ამის გასარკვევად სასამართლოს არ გამოუკვლევია აქტები სადავო სადგურებში განთავსებული ელექტროძრავების ექსპლუატაციის ხანგრძლივობის შესახებ. შპს „თბილისის წყალი“ სარჩელის საფუძველად უთითებს იმ გარემოებაზე, რომ მან ქონებრივი ზიანი განიცადა არაგვის ხეობის წყალსადენებისათვის ელექტროენერჯის შეფერხებით მიწოდების გამო, რომლის დამადასტურებელი მტკიცებულებები გამოკვლეული არ ყოფილა.

ამდენად, აღნიშნული პროცესუალური დარღვევები მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ დაადგინა ფაქტობრივი სიტუაციის სრული სურათი, რაც აუცილებელია საქმეზე სწორი გადაწყვეტილების მისაღებად.

საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ, საქმის ხელახლა განხილვისას მხარეს უფლება აქვს, კვლავ განაცხადოს მოსაზრებები და პრეტენზიები, მიუთითოს ახალ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე, სასამართლოსაგან მოითხოვოს ახალი პროცესუალური მოქმედებების განხორციელება.¹⁵ მაგრამ მხარეს არ შეუძლია მოიყვანოს ის მოსაზრებები, რომლებიც უარყო საკასაციო სასამართლომ. ასევე, მოსაზრებები სასამართლოს არაკომპეტენტურობის თაობაზე, რაც საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა.¹⁶ თუ მხარეებმა ახალი მოსაზრებები არ წარადგინეს, ეს ითვლება შეზღუდულ პრეტენზიებად და მოთხოვნებად, რომლებიც წარადგინეს იმ სასამართლოში, რომლის გადაწყვეტილება გააუქმა საკასაციო სასამართლომ. იგივე წესი მოქმედებს მხარის გამოუცხადებლობისას.¹⁷

მაგალითად, როდესაც სააპელაციო სასამართლოს სამოტივაციო ნაწილი მოკლეა, საქმის არსებითი მხარის განმხილველი სასამართლოების მიერ სადავო ფაქტების დადგენილი კვალიფიკაციისა და ყოველგვარი შემონმების არარსებობის თაობაზე საკასაციო სასამართლო მარტივი შეხსენებით შემოიფარგლება.¹⁸

მტკიცებულებების დამახინჯების შემონმების გზით მხოლოდ ირიბად ხდება ფაქტობრივი გარემოებების ეჭვქვეშ დაყენება.

მართლაც, დისციპლინური შემონმების თანახმად,¹⁹ საკასაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს ის გადაწყვეტილებები, რომლებშიც მხოლოდ ფაქტების ანალიზია მოცემული, მაგრამ ამ ფაქტების დასადასტურებლად არ არის შეფასებული მტკიცებულებები (მონმების ჩვენებები, პოლიციის ოქმი, ექსპერტიზის დასკვნა და ა.შ).²⁰

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, საკასაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შემთხვევაში, საქმე იხილება ხელახლა სააპელაციო სასამართლოსათვის დადგენილი წესების მიხედვით, იმ მითითებების გათვალისწინებით, რომლებიც აღნიშნულია საკასაციო სასამართლოს განჩინებაში.

სსსკ-ის 412-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) გაუქმებისა და განსახილველად უკან დაბრუნების საფუძველი შეიძლება იყოს სსსკ-ის 394-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევები, გარდა, ამავე მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ეს ის პროცესუალური დარღვევებია, რომლებიც უპირველესად უნდა შემონმდეს და მათი არსებობის შემთხვევაში, სასამართლო საქმეს აღარ იხილავს.

საძიებელ, ანუ ძირითად ფაქტებთან მიმართებით, კონკრეტულ შემთხვევაში, ჩვენ გვანტერესებს სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე1“ ქვეპუნქტის დანაწესი, რომლის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემონმება შეუძლებელია. ეს ზუსტად ის შემთხვევაა, როდესაც არ არსებობს საკასაციო სასამართლოს შემონმების ობიექტი, ანუ ფაქტობრივი გარემოებები (მეორადი ნანამძღვარი), რის გამოც შეუძლებელი ხდება გასაჩივრებული გადაწყვეტილების შემონმება.

ყოველივე ეს აფერხებს იმის გარკვევას, თუ რამდენად სწორად გამოიყენა ან განმარტა მატერიალურ-სამართლებრივი ნორმა ქვემდგომმა სასამართლომ. ამ შემთხვევებში, ასევე, ყოველთვის ადვილი არ არის საკასაციო სასამართლოს მიერ სამართლებრივი ნორმის გამოყენება, რადგან ამისათვის არ არსებობს ერთ-ერთი მთავარი ორიენტირი – ფაქტობრივი სიტუაცია.

მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ „იზიარებს კასატორის პრეტენზიას შ. ნ-ძე-ჩ-ძის უძრავ ნივთზე 2/3 წილის მესაკუთრედ ცნობის ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობის თაობაზე და მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს, ხოლო საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

გაუქმებულ ნაწილში მოცემული გადაწყვეტილება იმდენად დაუსაბუთებელია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ პუნქტით, გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს წარმოადგენს, ან ერთ-ერთი მეუღლის ყურადსაღები ინტერესების გათვალისწინებით. კერძოდ, ერთ-ერთი მეუღლის წილი შეიძლება გაიზარდოს იმის გათვალისწინებით, რომ მასთან ცხოვრობენ არასრულწლოვანი შვილები, რომ ის შრომისუუნაროა, ანდა – თუ მეორე მეუღლე ხარჯავდა საერთო ქონებას ოჯახის ინტერესების საზიანოდ. მითითებული ნორმა მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმის ამგვარი განსხვავებული წესით დადგენას ითვალისწინებს მხოლოდ ამავე ნორმით ჩამოთვლილი შემთხვევების არსებობისას. მოცემული დავის გადაწყვეტისას, სააპელაციო სასამართლომ მეუღლეთა წილის თანაბრობის საწყისს გადაუხვია, რაც დაასაბუთა იმით, რომ შ. ნ-ძე-ჩ-ძესთან ცხოვრობს მისი არასრულწლოვანი შვილი და მათ, გარდა სადავო უძრავი ქონებისა, სხვა საცხოვრებელი არ გააჩნიათ.

ზემოთ აღნიშნული ნორმის გამოყენების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს არა მხოლოდ არასრულწლოვანი შვილის ერთ-ერთ მეუღლესთან ცხოვრების ფაქტი, არამედ ისეთი გარემოების ან გარემოებათა არსებობა, რომელიც სასამართლოს უქმნის მყარ შინაგან რწმენას, რომ პირის (მეორე მეუღლის) თანასაკუთრების უფლება შესაძლებელია შეიზღუდოს – შემცირდეს. სასამართლოს შინაგანი რწმენა უნდა ემყარებოდეს ისეთ გარემოებებს, რომლებიც ცალსახად ადასტურებენ არასრულწლოვანი შვილების ინტერესების გათვალისწინების აუცილებლობას. ეს გარემოებები შესაძლებელია იყოს არასათანადო საბინაო პირობები, არასაკმარისი საცხოვრებელი ფართობი და სხვა ნებისმიერი ფაქტორი, რომელიც არასრულწლოვნის ინტერესშია და მის ნორმალურ აღზრდას ხელს უშლის. ამდენად, სასამართლომ უნდა დაასაბუთოს, რომ არასრულწლოვანი შვილი და მასთან მცხოვრები მშობელი უფრო მეტად საჭიროებენ საცხოვრებელ ფართს, ვიდრე მეორე მშობელი.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 1168-ე მუხლის მეორე ნაწილით ისე განუსაზღვრა შ. ნ-ძე-ჩ-ძის უძრავ ქონებაზე 2/3 წილი, რომ არ მიუთითებია, თუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობა ამ მუხლის გამოყენების საჭიროება. სასამართლო არ უთითებს, მოდავე მხარეთა თანასაკუთრების თანაბრად გაყოფა რა გავლენას ახდენს არასრულწლოვანი შვილის ინტერესზე, ან მის ნორმალურ პირობებში აღზრდაზე. აღნიშნულით სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მეორე ნაწილის მოთხოვნა, რომლის ძალითაც სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 1168-ე მუხლის მეორე ნაწილი ადგენს საკუთრების უფლების მოპოვების განსხვავებულ რეჟიმს, რაც მხოლოდ ამავე ნორმით გათვალისწინებულ განსაკუთრებულ შემთხვევებშია დასაშვები. შესაბამისად, სასამართლოს გადაწყვეტილება მითითებული ნორმის გამოყენებისას დასაბუთებული უნდა იყოს ისეთი ფაქტობრივი გარემოებებით, რომლებიც ადასტურებენ მეუღლეთა წილის თანაბრობის საწყისისაგან გადახვევის აუცილებლობას.

საქმის ხელახლა განხილველმა სასამართლომ, ზემოთ მითითებული მსჯელობის გათვალისწინებით, უნდა გამოიკვლიოს და დაადგინოს უძრავ ნივთთან მიმართებით მეუღლეთა წილის განსხვავებული წესით გაყოფისათვის აუცილებელი წინაპირობები და სათანადო სამართლებრივი შეფასება მისცეს მათ.²¹

აღნიშნული მაგალითიდან ჩანს, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ფაქტობრივ სიტუაციას საკასაციო სასამართლოსათვის. მაგრამ ამასთან, საკასაციო სასამართლო ასეთ შემთხვევაში, უპირობოდ არ აუქმებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას, არამედ სადავო ურთიერთობის მომწესრიგებელი მატერი-

ალურ-სამართლებრივი ნორმის საფუძველზე განსაზღვრავს იმ ფაქტების წრეს, რომელიც უნდა გამოეკვლია და დაედგინა ქვემდგომ სასამართლოს.

შესაძლებელია გაჩნდეს კითხვა: თუ სააპელაციო სასამართლოს არა აქვს დადგენილი საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტები ე.ი. არ არსებობს საკასაციო სასამართლოს შემოწმების ობიექტი, რამდენად შესაძლებელია საკასაციო სასამართლოს მიერ სამართლის ნორმის ზუსტად განსაზღვრა.

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად გასათვალისწინებელია მრავალი ფაქტორი, რაც დაკავშირებულია კონკრეტული დავის სპეციფიკასთან. მაგალითად, ჩვენ მიერ პრაქტიკიდან ზემოთ მოტანილი შემთხვევა საკასაციო სასამართლოს აძლევდა შესაძლებლობას, სწორად განესაზღვრა სამართალპრეტენზიის ჰიპოთეზა. მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა და შესაგებელი ამ შემთხვევაში წარმოადგენს სამართლებრივი ნორმის მოძიების ერთ-ერთ მთავარ მეგზურს. კერძოდ, განსახილველი საკითხი ეხებოდა მეუღლეთა შორის თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის გაყოფას არასრულწლოვანი ბავშვების ინტერესების გათვალისწინებით, რისთვისაც სააპელაციო სასამართლომ არ გაამახვილა ყურადღება იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებიც ამ კონკრეტულ სიტუაციაში იწვევდა სამოქალაქო კოდექსის 1168-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ შედეგს.

არის შემთხვევები, როდესაც სასამართლოს არა მარტო არა აქვს დადგენილი საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები, არამედ არა აქვს განსაზღვრული მხარეთა მატერიალურ-სამართლებრივი პოზიციები, რაც საკმაოდ ბუნდოვან და ორაზროვან დასკვნებს იძლევა. ამ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს, საქმის თავისებურებების გათვალისწინებით, შეუძლია მიუთითოს მხარეთა სამართალპრეტენზიების დადასტურება-განსაზღვრაზე იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს ამ ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმის მოძიება. აღნიშნული „გაუგებრობა“ შეიძლება გამოიწვიოს მხარეების პრეტენზიების პერმანენტულმა ცვლამ, ერთ მოთხოვნიდან მეორეზე გადასვლამ, შემდეგ ისევ პირველ მოთხოვნაზე დაბრუნებამ და ა.შ. არის შემთხვევები, როდესაც სასამართლო არ ახდენს სათანადო რეაგირებას ყოველივე ამაზე, რაც შემდეგ ართულებს საკასაციო სასამართლოში გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი მხარის შემოწმებას. ვფიქრობთ, რომ ეს ის შემთხვევაა, როდესაც ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ „სასამართლომ არ უნდა დატოვოს უყურადღებოდ ამ მოთხოვნებთან წინააღმდეგობაში მყოფი სასამართლო გადაწყვეტილებები მარტო იმის გამო, რომ მხარეებმა ვერ შეამჩნიეს ისეთი არსებითი დარღვევები, რომლებმაც აშკარად განაპირობეს მცდარი გადაწყვეტილების მიღება.“²²

4. გასაჩივრებული გადაწყვეტილების (ბანკინების) გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების გამოტანის სამართლებრივი კრიტერიუმები

რა შემთხვევებში გამოაქვს საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილება? სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი.

ეს ის შემთხვევაა, როდესაც არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი, მაგრამ არ არსებობს საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი. ეს ნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად განსაზღვრა და დაადგინა საქმეზე მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები, მაგრამ არ არსებობს მათი სამართლებრივი შეფასება, უფრო ზუსტად, გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული (სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). იმისათვის, რომ საკასაციო სასამართლომ შესძლოს თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება, აუცილებელია, არსებობდეს სუბსუმირებადი ფაქტები. ეს შემთხვევა ჰგავს ჩვენ მიერ განხილულ, სსსკ-ის 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევას. მაგრამ საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების გამოტანის ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც გადაწყვეტილება არსებითად არ არის სწორი.

„სამართლის გამოყენება არ ხორციელდება ზუსტი მეთოდით. კანონის გამოყენების ბუნდოვანება შეიძლება იურიდიული სილოგიზმის როგორც ნორმატიული, ისე ფაქტობრივი ნანამძღვრებით იქნას განპირობებული. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ ინტერპრეტაციის არამკაფიო განსაზღვრებით ან სავარაუდო ფაქტობრივი გარემოებებით.“²³

ამდენად, იურიდიული სილოგიზმით მოცემული სამი ელემენტის მიხედვით, საკასაციო სასამართლოს, სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, შეუძლია გამოიტანოს ახალი გადაწყვეტილება, თუ სააპელაციო სასამართლოს მიერ არ არის სწორად განსაზღვრული ნორმატიული ნანამძღვარი და დასკვნა, მაგრამ არსებობს ფაქტობრივი ნანამძღვარი. ხოლო სსსკ-ის 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შემთხვევაში, სასამართლომ სწორად განსაზღვრა ფაქტობრივი ნანამძღვარი და შედეგი, ხოლო ნორმატიული ნანამძღვარი სწორად ვერ განსაზღვრა.

მაგალითად, ერთ-ერთ განჩინებაში საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „სააპელაციო სასამართლომ სადავო ბრძანების კანონიერების შემოწმების შედეგად დაასკვნა, რომ საჯარო სკოლას მოსარჩელე „ა“-ს მიმართ არ უნდა გამოეყენებინა წინასახელშეკრულებო ურთიერთობის მარეგულირებელი წესები და მისი თანამდებობიდან გათავისუფლება შრომითი ხელშეკრულების გაუფორმებლობის მოტივით, შრომის კოდექსის მე-5 მუხლის მე-7 და მე-8 ნაწილების საფუძველზე, სამართლებრივად არასწორია. თუმცა, სასამართლომ ბრძანების სამართლებრივი საფუძვლის არასწორად მითითება, მისი გაუქმებისა და მოსარჩელის სამუშაოზე აღდგენის საკმარის საფუძველად არ მიიჩნია იმ მოტივით, რომ სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის შესაბამისად, სადავო ბრძანების გონივრული განსჯით დგინდება დამსაქმებლის ნამდვილი ნება.

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო პალატის არგუმენტაციას სადავო ბრძანების არაკანონიერებაზე და თვლის, რომ სკოლის დირექციის მიერ გამოცემული ბრძანებით „ა“ არასწორად იქნა გათავისუფლებული სამსახურიდან.

ამასთან, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო პალატის მსჯელობას სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის გამოყენებით „ა“-ს სამუშაოდან გათავისუფლების კანონიერებაზე იმ დასაბუთებით, რომ ბრძანების გონივრული განსჯით დგინდება დამსაქმებლის – საჯარო სკოლის დირექტორის ნამდვილი ნება, შეწყვიტოს შრომითი ურთიერთობა „ა“-სთან.

შრომის კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, კანონი უშვებს შესაძლებლობას შრომის ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხები, რომლებსაც არ აწესრიგებს ეს კოდექსი, დარეგულირდეს სამოქალაქო კოდექსის ნორმებით. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ სამუშაოდან გათავისუფლების ბრძანება წარმოადგენს შრომითი ურთიერთობის ერთ-ერთი მხარის – დამსაქმებლის ნების გამოვლენას. ამდენად, მასთან მიმართებით, თუკი არსებობს ნების ნამდვილობის დადგენის აუცილებლობა, შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლი, რომელიც ადგენს ნების გამოვლენის განმარტების წესს. ნების გამოვლენის განმარტების აუცილებლობა წარმოიშობა მაშინ, როდესაც არსებობს გარიგების მხარეების მიერ გამოვლენილ ნებათა კონფლიქტი. განმარტების საგანს წარმოადგენს მხარის მიერ გამოვლენილი ნება, როცა ეს მეორე მხარის მიერ განსხვავებულად იქნა აღქმული ან მხარის მიერ გამოვლენილი ნება არ არის მისი განზრახვის თანხვედრი. ასეთ შემთხვევაში, გარიგების მხარე თვითონვე აზუსტებს, აკონკრეტებს ან მეორე მხარესთან შეუთანხმებლობის შემთხვევაში, სადავოდ მიიჩნევს ხელშეკრულების ბუნდოვან და საეჭვო აზრს.

მოცემულ შემთხვევაში დავის ორი ინსტანციით განხილვისას სადავო ბრძანების ავტორს – სკოლის დირექტორს საეჭვოდ არ მიუჩნევია მის მიერ ბრძანებაში გამოხატული ნება – „ა“-ს სამუშაოდან გათავისუფლების საფუძველი, შესაბამისად, დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს ინიციატივა მხარის იმ ნების განმარტებისა, რომელსაც თვით მხარე საეჭვოდ და ბუნდოვნად არ მიიჩნევს.

აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ნების განმარტება უნდა განხორციელდეს განსამარტტექსტთან მჭიდრო კავშირში. ნების განმარტება ადეკვატური უნდა იყოს ფაქტისა, რაც მოცემულ შემთხვევაში, დაცული არ არის.

საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს იმ გარემოებასაც, რომ მოცემულ შემთხვევაში, მხარის – სკოლის დირექტორის ნება გამოვლენილია წერილობითი ფორმით, რაც გამორიცხავს ნების გამომვლენის შეცდომის ალბათობას, ვინაიდან ნების წერილობითი ფორმით გადმოცემისას ივარაუდება, რომ მხარე თავის სურვილს მხოლოდ შეგნებულად განსჯის შემდეგ გადმოსცემს...

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლი, რის გამოც გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილებით „ა“-ს სარჩელი დაკმაყოფილდეს.“²⁴

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ: საკასაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) შემოწმების შედეგები, რაც ვლინდება ერთ შემთხვევაში – გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) უცვლელად დატოვებაში, მეორე შემთხვევაში – გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) გაუქმებას და საქმის ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოსათვის დაბრუნებაში და მესამე შემთხვევაში – გასაჩივრებული გადაწყვეტილების (განჩინების) გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილების გამოტანაში, უკავშირდება ერთ შემთხვევაში – საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების განსაზღვრის მართებული და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს.

შესაბამისად, ზემოთ აღნიშნული შედეგი განპირობებულია საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შემოწმების შესაძლებლობით. საკასაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების (განჩინების) გამოტანაზე უშუალო გავლენას ახდენს, თუ რამდენად სწორად იქნა განსაზღვრული იურიდიული სილოგოზმის მიხედვით ნორმატიული (ძირითადი) წანამძღვარი და ფაქტობრივი (მეორადი) წანამძღვარი; აქედან გამომდინარე, რამდენად სწორი შედეგი იქნა მიღებული საქმეზე. მითითებული წანამძღვრების განსაზღვრა გავლენას ახდენს საკასაციო სასამართლოში სუბსუმფციის განხორციელების პროცესულურ შესაძლებლობებზე, რაც შესაბამისად, აისახება საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სხვადასხვა სახეში.

5. საკასაციო სასამართლოს მითითებების ფარგლები და სავალდებულო ძალის მნიშვნელობა

სსსკ-ის 412-ე მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების განჩინებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რაც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის.

აღსანიშნავია, რომ იურიდიულ ლიტერატურაში დისკუსიას იწვევდა საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად უნდა არსებობდეს ისეთი დანაწესი, რომლის თანახმად, სავალდებულო იქნებოდა საკასაციო სასამართლოს მითითებები ქვემდგომი სასამართლოსათვის. მაგრამ მაშინაც, როცა ასეთი დანაწესი არ არსებობდა პოზიტიური სახით, სასამართლო პრაქტიკამ აჩვენა, რომ ამის მოთხოვნილება არსებობდა სამართლებრივი სტაბილურობისა და ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის.

აღნიშნული საკითხი დეტალურად იქნა განხილული ერთ-ერთ სადისერტაციო ნაშრომში, სადაც სხვადასხვა ქვეყნის საკანონმდებლო მოდელების განხილვის შედეგად დაისვა საკითხი სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, კერძოდ: შემოთავაზებულ იქნა დანაწესი, რომლის თანახმად, „საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც საფუძვლად დაედო გადაწყვეტილების გაუქმებასა და საქმის ხელახლა განსახილველად უკან დაბრუნებას, აგრეთვე მითითებები ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულების შესახებ, სავალდებულოა იმ სასამართლოსათვის, რომელსაც ეს საქმე დაუბრუნდა ხელახლა განსახილველად.“²⁵ ფაქტობრივად მსგავსი შინაარსის დანაწესს ითვალისწინებს მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.

აღსანიშნავია, რომ საკასაციო სასამართლო მტკიცებულებითი საქმიანობის შეფასებისას ადგენს მტკიცებითი საქმიანობის კრიტერიუმებს, მტკიცებულებათა შეფასებისა და ამ მტკიცებულებების მეშვეობით ფაქტობრივი გარემოებების დადგენის აუცილებელ მიმართულებებს, რომლებიც შემდეგ აისახება კონკრეტული მითითებების სახით. როდესაც სააპელაციო სასამართლოსათვის საკასაციო სასამართლოს მითითებების სავალდებულოობაზე ვსაუბრობთ, ძალაუნებურად ვეხებით მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მოსამართლის მხოლოდ კანონისადმი მორჩილების პრინციპს. საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს“.

ამ მხრივ, ჩნდება კითხვა: ხომ არ იზღუდება მოსამართლის დამოუკიდებლობა ამ მითითებების სავალდებულოობით.²⁶ ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, უპირველეს ყოვლისა, უნდა განვსაზღვროთ ამ მითითებების შინაარსი, მნიშვნელობა და ასევე, მისი ფარგლები. ამ შემთხვევაში, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მითითებები ეხება სამართალშეფარდების გადასინჯვის ისეთ მხარეებს, რომლებითაც უზრუნველყოფილია ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და მათ შეფასებასთან დაკავშირებული სამართლებრივი კრიტერიუმების განსაზღვრა. ხოლო რაც შეეხება მტკიცებითი საქმიანობის კრიტერიუმების განსაზღვრას, როგორც საკასაციო სასამართლოს შეფასებით პროცესს, მნიშვნელოვანია პროცესუალურ სამართლებრივი და ლოგიკური მხარეების სწორად განსაზღვრა.

ამასთან, ვფიქრობთ, რომ საკასაციო სასამართლოს მითითებების მნიშვნელობა განპირობებულია საკასაციო სასამართლოს ინსტანციურობისათვის დამახასიათებელი მტკიცების საგნის მნიშვნელობით, ხოლო ამ უკანასკნელის ფარგლები აისახება საკასაციო სასამართლოს მითითებების ფარგლებზე. ამდენად, საკასაციო სასამართლოს მითითებები შეიძლება ეხებოდეს ისეთ პროცესუალურ დარღვევებს, რაც უკავშირდება სსსკ-ის 412-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დაუდგენლობას ან არასათანადოდ დადგენას, რისთვისაც აუცილებელია მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, ან ამავე კოდექსის 412-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში მითითებული გადანყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძვლებს. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში, პროცესუალური დარღვევების არსებობისას საკასაციო სასამართლო შემოიფარგლება მხოლოდ მათზე მითითებით.

ვფიქრობთ, რომ ეს მითითებები უშუალოდ უკავშირდება საკასაციო სასამართლოს შემომწმების ობიექტის (ფაქტობრივი გარემოებების) განსაზღვრას, რომლის გარეშეც ის მოკლებულია შესაძლებლობას, რომ სრული სამართლებრივი დასკვნები გამოიტანოს საქმიდან.

შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული მითითებებით უზრუნველყოფილია საკასაციო სასამართლოს მიერ თავისი იურისდიქციის ფარგლებში საქმის განხილვის სპეციფიკა. ამდენად, ეს მითითებები, თუ განხორციელებულია კანონის ზუსტად განსაზღვრულ ფარგლებში, არ შეიძლება მივიჩნიოთ როგორც მოსამართლის დამოუკიდებლობის პრინციპის დარღვევა. აღნიშნული მითითებები წარმოადგენს იმ აუცილებელ სამართლებრივ კრიტერიუმებს, რომელთა მეშვეობით საკასაციო სასამართლო აბსტრაქტულად განსაზღვრავს მის მიერ შესამოწმებელ ობიექტს, მაგრამ მისი კონკრეტული განსაზღვრა (დადგენა) არ შეუძლია, საკასაციო სასამართლოს ინსტანციურობიდან გამომდინარე. ამდენად, საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სამართლებრივი შეფასების სავალდებულო ძალა უნდა განვიხილოთ, როგორც სუბსუმირებადი ფაქტების განსაზღვრის კრიტერიუმები, რათა შესაძლებელი გახდეს ამ ფაქტების სამართლებრივი შეფასება.

უნდა აღინიშნოს, რომ განსახილველი ნორმის (სსსკ-ის 412-ე მუხლის მე-2 ნაწილი) მიზანი მთლიანად ემთხვევა საკასაციო სასამართლოს მიზნებს,²⁷ რაც გამოიხატება ინდივიდუალური ინტერესებისა და საჯარო ინტერესების დაცვაში.

ვფიქრობთ, განსახილველ საკითხთან მიმართებაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ საჯარო ინტერესების დაცვის მიზანზე, რომლითაც ფაქტობრივად უზრუნველყოფილია ინდივიდუალური ინტერესების დაცვის მიზნის მიღწევა. საკასაციო სასამართლოს აღნიშნული მითითებებიც საბოლოოდ, ამ მიზნების მიღწევას უნდა ემსახურებოდეს.

გ. გოგიაშვილის სტატიაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონკრეტული მიზანი უნდა გახდეს სამართლის დინამიკური, პროგრესირებადი და მაუნიფიცირებელი განმარტების უზრუნველყოფა, რამაც გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს სამართლებრივი უსაფრთხოების განმტკიცებაში. ამ მიზნის მისაღწევად არსებითი მნიშვნელობა ენიჭება უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების გადანყვეტილებების დეტალურ მოტივირებას... უზენაესი სასამართლო უნდა ასრულებდეს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის, ასევე, იურიდიული მნიშვნელობის საერთაშორისო დოკუმენტებისა და მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის გამოყენების კონტროლის ფუნქციას, რასაც, საბოლოოდ, მოაქვს სამართლის უნიფიკაცია“²⁸.

ასევე, არ შეიძლება არ დავეთანხმეთ ამ სტატიაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ „უზენაესი სასამართლო უნდა ჩამოყალიბდეს წმინდა საკასაციო სასამართლოდ, რომლის მთავარი ფუნქცია იქნება კანონის დინამიკური განმარტება და ამით სასამართლო პრაქტიკის ერთგვაროვნების უზრუნველყოფა.“²⁹

ვფიქრობთ, რომ ზემოაღნიშნულ მიზნებთან ერთად, საკასაციო სასამართლოს მითითებებს აქვს გარკვეული კანონზომიერება, რომლის დაცვით უზრუნველყოფილია არა მარტო აღნიშნული მიზნების მიღწევა, არამედ მოსამართლის დამოუკიდებლობის პრინციპის დაცვაც. ამ შემთხვევაში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საკასაციო სასამართლოს მითითებების სააპელაციო სასამართლოსათვის სავალდებულობის შინაარსისა და ფარგლების განსაზღვრას.

ვფიქრობთ, რომ ზემოაღნიშნულის შინაარსის გათვალისწინებით, მისი ფარგლები მოიცავს მხოლოდ პროცესუალურ-სამართლებრივი დარღვევის გამოსწორების მითითებას, მათგან ერთი ნაწილი უკავშირდება ფაქტობრივი გარემოებების არასწორად დადგენას ან არდადგენას, ხოლო მეორე ნაწილი – საერთო სასამართლოების იურისდიქციის საკითხებს.

აღნიშნული ფარგლების დაცვა აუცილებელია არა მარტო კანონიერი გადანყვეტილების მისაღებად, არამედ, შესაძლებელი იყოს საკასაციო სასამართლოს მიერ სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილების სამართლებრივი მხარის შემოწმება. პროცესუალურ-სამართლებრივი კრიტერიუმების სწორად გამოყენებით უზრუნველყოფილია მხარეთა ინდივიდუალური ინტერესების დაცვა, ხოლო აღნიშნული კრიტერიუმების სწორად განსაზღვრის კონტროლის ფუნქციით – საჯარო ინტერესების დაცვა.³⁰

აქედან გამომდინარე, აღნიშნულ მითითებებს დიდი მნიშვნელობა აქვს სამართლის განვითარებისა და სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის. რა თქმა უნდა, მოსამართლეს, რომელიც იხილავს საკასაციო სასამართლოდან დაბრუნებულ საქმეს, შეუძლია გამოიყენოს და განმარტოს კანონი თავისი შეხედულებისამებრ, რაც უზრუნველყოფილია მოსამართლის დამოუკიდებლობისა და მისი მხოლოდ კანონისადმი დამორჩილების პრინციპით. მაგრამ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სამართლის ნორმის გამოყენება და განმარტება ასევე, უკავშირდება სამოსამართლო სამართალს, კანონის ბუნდოვანი ადგილების განმარტებას, კანონის ხარვეზის შევსებასა და საბოლოოდ, სასამართლო პრაქტიკით ჩამოყალიბებულ წესებს.

მაგრამ ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბება არ ნიშნავს მხოლოდ „ერთნაირად საქმის გადანყვეტას“. ერთგვაროვანი პრაქტიკა ნიშნავს, უპირველეს ყოვლისა, სამართლებრივად სწორი პრაქტიკის ჩამოყალიბებას, რასაც საფუძვლად უდევს როგორც თეორიული ცოდნა, ასევე, გამოცდილება. „მოსამართლეები კანონსა და ცხოვრებას შორის შუამავლის როლს ასრულებენ.“³¹ აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მითითებები სამართლებრივად უნდა იყოს დასაბუთებული, რომ არ ჩნდებოდეს დამატებითი კითხვები, თუ რატომ მიიჩნია საკასაციო სასამართლომ ასე და რატომ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოტივაცია. ამდენად, შესაძლებელია, რომ სააპელაციო სასამართლოდან საკასაციო სასამართლოში ხელმეორედ შემოსული გადანყვეტილება, რომლითაც არ იქნა გათვალისწინებული საკასაციო სასამართლოს მითითებები, განპირობებული იყოს თვით ამ უკანასკნელი სასამართლოს მითითებების დაუსაბუთებლობით. სასამართლო პრაქტიკა წარმოადგენს რთულ პროცესს, რომლის დროსაც იხვეწება და ყალიბდება სამართლებრივი ხედვები, რასაც საბოლოოდ, მოჰყვება გარკვეული შედეგი.

ამდენად, როგორც აღვნიშნეთ, საკასაციო სასამართლოს მითითებებს აქვს მიზნები, რომლებიც, როგორც მიგვაჩნია, ატარებს კონკრეტულ და ზოგად ხასიათს. ამ მითითებების კონკრეტული ხასიათი გა-

მოიხატება კონკრეტული დავის გადანყვეტაში და ყოველი კონკრეტული საქმე განსაზღვრავს მათ მნიშვნელობას. მითითებების ზოგადი მიზანი ემსახურება სამართლებრივ სტაბილურობას, სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას, რაც, შესაბამისად, აისახება საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის გადანყვეტაში.³²

განვიხილოთ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის მხოლოდ ზოგიერთი წინაპირობა, რაც ჩვენი თვალთახედვით, უკავშირდება განსახილველ თემატიკას.

კერძოდ, სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების თანახმად, საკასაციო საჩივარი დასაშვებია, თუ საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგებზე.

აღნიშნული დანაწესები სხვა მნიშვნელოვან კრიტერიუმებთან ერთად განაპირობებენ მართლმსაჯულების ფუნქციონირების უზრუნველყოფასთან ერთად კასაციისადმი წაყენებული მთავარი მოთხოვნების ერთმანეთთან ჰარმონიაში მოყვანას. კერძოდ: ზოგადად, მართლწესრიგის დაცვას და მისთვის ხელის შეწყობას ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების მეშვეობით და ამით სამართლებრივი სტაბილურობის შექმნას; ცალკეულ შემთხვევებზე გადანყვეტილებების სამართლიანობას.³³

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მითითებები საბოლოოდ, უნდა უზრუნველყოფდეს სამართლის განვითარებასა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას. ცენო რაიჰენბეჰერი თავის დასკვნაში აღნიშნავს, რომ ამ „კრიტერიუმებს თუ ჩაუღრმავდებით, ნათელი გახდება, რომ თითქმის ყოველთვის, როცა საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისათვის, იგი ასევე, მნიშვნელოვანია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის და პირიქით. აღნიშნულ კონტექსტში არ განიხილება ის შემთხვევები, როდესაც სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება განსხვავდება უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკისაგან ე.წ. დივერგენტული კასაცია, რომელსაც სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები ითვალისწინებენ.“³⁴

ამდენად, მნიშვნელოვანია „სამართლის განვითარებისათვის“ ნიშნავს, რომ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით არ არსებობს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკა. მაგალითად, გერმანიის სასამართლოში დამკვიდრებული წესის თანახმად, სამართლის განვითარება მოიაზრებს ორ ჯგუფს, როცა: ცალკეული საქმის საფუძველზე ხდება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის დებულებათა განმარტების ზოგადი პრინციპების ჩამოყალიბება და აუცილებელი კანონის ხარვეზის აღმოფხვრა.³⁵ აღსანიშნავია, რომ გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმებისა და საქმის უკან დაბრუნების შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო ასევე, მხედველობაში იღებს იმ გადანყვეტილებებს (სასამართლო პრაქტიკას), რომლებიც მიუთითებს სამართლებრივი განვითარების ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბებაზე. მკვეთრი, უხეში განსხვავებები სასამართლო პრაქტიკაში უარყოფითად მოქმედებს სამართლებრივ სტაბილურობაზე.

მაგალითისათვის ისევ მივმართოთ საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო თავისებურებებს. შეიძლება აღინიშნოს, რომ საკასაციო სასამართლოდან დაბრუნებული საქმის ხელახლა განხილვისას სასამართლოს აქვს უფლება, თავისუფლად განსაჯოს როგორც ფაქტის საკითხი, ასევე – სამართლის საკითხი. მას შეუძლია, ასევე პირდაპირ თუ ირიბად შევიდეს საკასაციო სასამართლოსთან კონფლიქტში, ან ახალი თეზისი დაამკვიდროს ან საფუძველად გამოიყენოს გაუქმებული გადანყვეტილება. პირველ შემთხვევაში, სასამართლო, რომელმაც ხელახლა მიიღი საქმე საკასაციო სასამართლოსაგან, მიმართავს იმავე დასაბუთებას და მისი გადანყვეტილების გაუქმებისას ექნება იგივე უფლებამოსილება. მეორე შემთხვევაში, ფრანგულმა კანონმდებლობამ დაადგინა სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საკასაციო სასამართლოს უპირატესობას. კერძოდ, კვლავ იმ შედეგით დაბრუნებული გადანყვეტილება, რომელიც საკასაციო სასამართლომ გააუქმა საკასაციო სასამართლოს პლენარული სხდომაზე, შეიძლება გაუქმდეს იმავე მოტივებით, რაც

პირველ შემთხვევაში. მაგრამ სამართალწარმოების შესახებ კოდექსის L. 132-2 მუხლის თანახმად, საქმე შეიძლება პირდაპირ დაუქვემდებარონ პლენარულ განხილვას (საკასაციო სასამართლოში საქმის პირველივე განხილვაზე), თუ ეს ეხება პრინციპულ საკითხს (question de principe), კერძოდ, თუ არსებობს საქმის არსებითად განმხილველ მოსამართლეთა (juges de fond) პოზიციებში განსხვავება ან არსებობს განსხვავება არსებითად საქმის განმხილველ მოსამართლეთა და საკასაციო სასამართლოს მოსამართლეთა პოზიციებს შორის.³⁶

იმ შემთხვევაში, როდესაც გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმებულია საკასაციო სასამართლოს პლენარულ სხდომაზე, სასამართლომ, რომელიც მიიღებს ამ საქმეს, უნდა მისდოს საკასაციო სასამართლოს პლენარულ სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებაში მოტანილ მოსაზრებებს (სამართალწარმოების შესახებ კოდექსის L. 131-4 მუხლის თანახმად). ამ შემთხვევაშიც საფრანგეთის იურიდიულ ლიტერატურაში ჩნდება კითხვა: ხომ არ არღვევს ასეთი წესი მოსამართლეთა დამოუკიდებლობას მართლმსაჯულების განხორციელებისას. მაგრამ მიჩნეულია, რომ ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბების ინტერესებიდან გამომდინარე, კანონმდებელმა საბოლოო სიტყვა უნდა დაუტოვოს საკასაციო სასამართლოს.³⁷

ამასთან, გასათვალისწინებელია საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის მე-5 მუხლის დანაწესი, რომლის თანახმად, მოსამართლეებს ეკრძალებათ (il est défendu aux juges) განსახილველ საქმეებზე ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც ადგენს ნორმატიული ხასიათის საერთო დებულებებს (disposition générale et réglementaire).³⁸ აღნიშნული დანაწესი მიუთითებს, რომ კონკრეტული სადავო ურთიერთობის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობა ენიჭება მისი მომწესრიგებელი ნორმის განმარტებას.

ამ მხრივ, ინტერესს იწვევს გერმანიის საკასაციო სასამართლოში მართლმსაჯულების განხორციელების თავისებურებები, კერძოდ, საკასაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებას სავალდებულო ხასიათი აქვს სააპელაციო სასამართლოსათვის, თუ: გადაწყვეტილების გაუქმებას საფუძვლად უდევს ეს სამართლებრივი შეფასება ე.ი. სამართლებრივი შეფასება გადაწყვეტილების გაუქმების უშუალო მიზეზს წარმოადგენს; უცვლელად დარჩა ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც საფუძვლად დაედო საკასაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებას; სააპელაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებამდე არ შეცვლილა სამართლებრივი მდგომარეობა, ან საკასაციო სასამართლოს არ შეუცვლია სამართალშეფასება, ან სააპელაციო სასამართლოში ახალი მტკიცებულებების საფუძველზე არსებითად შეიცვალა ფაქტობრივი გარემოებები.³⁹

ამდენად, განსახილველ საკითხთან მიმართებით ზოგადად, შეიძლება მივუთითოთ გერმანიის სამართლის მიხედვით მოსამართლის ბოჭვის ფარგლები: „1. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ბოჭავს ყველა სასამართლოს; 2. თუ საკასაციო ინსტანციამ გადაწყვეტილება გააუქმა და საქმე ხელახლა განსახილველად დააბრუნა, სასამართლო შებოჭილია ზემდგომი სასამართლოს იმ მოსაზრებებით, რომლებიც საფუძვლად დაედო გადაწყვეტილების გაუქმებას; 3. პრეიუდიციას შემოჭველი ძალა აქვს, თუ მითითებები განხორციელებულია სასამართლო გადაწყვეტილების მეშვეობით; 4. ერთსა და იმავე საქმეზე მოსამართლე შებოჭილია ამ საქმეზე გამოთქმული საკუთარი შეხედულებებით. ყველა სხვა შემთხვევაში, მოსამართლე არ არის უშუალოდ შებოჭილი ადრე მიღებული გადაწყვეტილებით.“⁴⁰

ამდენად, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დანაწესი, რომლის თანახმად, სამართლებრივ შეფასებას სავალდებულო მნიშვნელობა აქვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოსათვის, უცხო არ არის სხვა ქვეყნის სამოქალაქო საპროცესო სამართლისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საკასაციო სასამართლოს მითითებები ერთ შემთხვევაში, ეხება საპროცესო დარღვევების ჩამონათვალს, რასაც კანონმდებელი აფასებს ამგვარად და რაც წარმოადგენს გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს, ხოლო მეორე შემთხვევაში, ემსახურება საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი შემოწმების ობიექტის განსაზღვრას, რომლის აუცილებელი სამართლებრივი კრიტერიუმების ფარგ-

ლები მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, თუ გამოკვეთილი ან დადგენილი არ არის ფაქტობრივი გარემოებები (საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასების ობიექტი) შეუძლებელია ამ ფაქტების კვალიფიკაცია (სუბსუმფცია) საკასაციო სასამართლოს მიერ. აღსანიშნავია, რომ ფაქტებთან შემხებლობის კუთხით, აღნიშნული მითითებები ასევე, შეიძლება დაეყოს ორ ნაწილად: მითითებები, რომლებიც მოიცავს ერთ შემთხვევაში – დასადგენი ფაქტობრივი გარემოებების წრეს, ხოლო მეორე შემთხვევაში – ამ ფაქტების დადგენასთან დაკავშირებული წესების დაცვას.

ასევე, გასათვალისწინებელია, რომ საკასაციო სასამართლოს მითითებებს გააჩნია საკმაოდ დიდი მნიშვნელობა სამართლებრივი სტაბილურობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით და ემსახურება სამართლის განვითარებასა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

საკასაციო სასამართლოს მითითებების სავალდებულო მნიშვნელობა, უპირველეს ყოვლისა, უზრუნველყოფილია საკასაციო სასამართლოს განჩინების სწორი და სრული დასაბუთებით, სადაც მითითებები აისახება, როგორც დედუქციური კვლევის შედეგები.⁴¹

შენიშვნები:

- ¹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლი.
- ² იხ.: იქვე, 412-ე მუხლი.
- ³ იხ.: იქვე, 411-ე მუხლი.
- ⁴ შეად. თ. მამაიაშვილი, საკასაციო სასამართლოს გადანყვეტილება, ყურნა-ლი „მართლმსაჯულება“, №1, 2008, გვ. 109.
- ⁵ რაინჭოლდ ციპელიუსი, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მიუნხენი, 2006, გვ. 130.
- ⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილი.
- ⁷ შეად.: Boré.J., La cassation en matière civile, Paris, 1997, 2-e partie, p.396 ; ასევე, თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, თბ., 2007, გვ. 729; ასევე, თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2005, გვ. 520.
- ⁸ სუსგ №ას-1075-1323-05, 15 მაისი, 2006; ასევე, იხ.: №ას-440-754-09, დეკემბერი, 2009; № ას-444-723-05, 7 დეკემბერი, 2005; №ას-456-805-07, 5 ოქტომბერი, 2007; №ას-725-985-05, 28 ნოემბერი, 2005.
- ⁹ სუსგ №ას-286-608-09, 22 ოქტომბერი 2009 წ., ასევე, იხ.: №ას-954-1204-04, 4 მარტი, 2005.
- ¹⁰ ასევე, იხ.: Marie-Noëlle Jabard-Bachelier, La technique de cassation, pourvois et arrêts en matière civile, 2010, p. 53-54.
- ¹¹ Code de procédure civile, art. 620, 2008.
- ¹² E. Prieur, La substitution de motifs par la Cour de cassation, Paris, 1986, p. 17.
- ¹³ Soc. 12 juin 1987 (Bull. V. n° 378).
- ¹⁴ სუსგ №ას-858-1171-07, 23 ივნისი, 2008; ასევე, იხ.: №ას-452-782-05, 3 თებერვალი, 2006; №ას-877-1501-03, 22 თებერვალი, 2005; №ას-782-1069-09, 9 ნოემბერი, 2009.
- ¹⁵ Soc. 21 janv. 1998, Gaz. Pal. 1998, 2, Panof. 211; Civ. 3-e. 20 mai 1987, JCP 1987, IV. 251; Soc. 6 fevr. 1985, JCP 1985, IV. 143 (ციტირებულია К. В. Балакин, диссертация на соискания ученой степени кандидата юридических наук. Обжалование постановлений судов гражданской юрисдикции во Франции. М. 2001г., стр.152).
- ¹⁶ Soc. 21 mars. 1981, JCP 1981, IV. 207 ; Soc. 10 déc. 1980, JCP 1981. IV. 76. (ციტირებულია К. В. Балакин, диссертация на соискания ученой

степени кандидата юридических наук. Обжалование постановлений судов гражданской юрисдикции во Франции. М. 2001г., стр.152).

¹⁷ К. В. Балакин, стр.152.

¹⁸ Civ. 2°, 4 octobre 1978 (Bull. II, n° 202)/ Com., 1^{er} mars 1983 (Bull. IV, n° 92).

¹⁹ საფრანგეთის საკასაციო სასამართლოში ტრადიციულად, განასხვავებენ „ნორმატიულ“ შემონმებას და „დისციპლინურ“ შემონმებას. ნორმატიულია ისეთი სახის შემონმება, როდესაც მოწმდება საკასაციო სასამართლო-სათვის განსახილველად გადაცემული გადაწყვეტილებების არსებითი მხარე (სამართლებრივი ნორმის ინტერპრეტაცია და გამოყენება, ფაქტების კვალიფიკაცია და ა. შ.). საკასაციო სასამართლოს მთავარი მისიაა განახორციელოს კონტროლი კანონის ზუსტ გამოყენებასა და დაცვაზე. დისციპლინური შემონმება დაკავშირებულია გადაწყვეტილებების ფორმასთან ან სამოტივაციო ნაწილთან. არსებითად, ამ უკანასკნელის მიზანია მხოლოდ ზოგიერთი ფორმალური ან პროცედურული მოთხოვნების არდაცვის დადასტურება, არსებითი მხარის გათვალისწინების გარეშე. დანვ. იხ.: Marie-Noëlle Jabard-Bachelier, La technique de cassation, pourvois et arrêts en matière civile, 2010, p. 49.

²⁰ Soc. 12 juillet 1989./ Civ. 1^{er} , 29 septembre 2004 (n 03/16.400).

²¹ სუსგ №ას-480-791-09, 12 იანვარი, 2010; ასევე, იხ.: №ას-468-780-09, 1 დეკემბერი, 2009 წ. და ამ გადაწყვეტილებაზე განსხვავებული აზრი.

²² გ. ქირია, სასამართლო გადაწყვეტილებათა გადასინჯვის თეორიულ-პრაქტიკული კომენტარები, თბ., 2002, გვ. 107.

²³ რაინჰოლდ ციპელიუსი, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მიუნხენი, 2006, გვ. 127. შეად. А. Барак. Судейское усмотрение, М., 1999 г., 96-97.

²⁴ სუსგ №ას-920-1127-08, 10 მარტი, 2009; ასევე, იხ.: №ას-781-996-08, 17 მარტი, 2009.

²⁵ ვ. ხრუსტალი, კასაცია სამოქალაქო სამართალწარმოებაში, დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, 2004, გვ. 137.

²⁶ ასევე, იხ.: გიორგი გოგიაშვილი, სამართლებრივი ტენდენციები; როგორ ავითარებენ მოსამართლეები სამართალს, ჟურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“, №1-2, 2005, გვ. 74-75; შეად. ვ. ხრუსტალი, კასაცია სამოქალაქო სამართალწარმოებაში, დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, 2004, გვ. 135.

²⁷ ასევე, იხ.: ვ. ხრუსტალი, კასაციის მიზნები და საკასაციო საჩივრის განსახილველად მიღების (დასაშვებობის) წინაპირობები, საიუბილეო კრებული, თენგიზ ლილუაშვილი – 75, გვ. 187.

²⁸ გიორგი გოგიაშვილი, სამართლებრივი ტენდენციები; როგორ ავითარებენ მოსამართლეები სამართალს, ჟურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“, №1-2, 2005, გვ. 74-75.

²⁹ იხ.: იქვე, გვ. 75.

³⁰ შეად. ვ. ხრუსტალი, საქართველოს თანამედროვე კასაციის წარმოშობა და განვითარება, ჟურნალი „მართლმსაჯულება“, №1, 2009, გვ. 45.

³¹ ი. გაგუა, განსჯადობის პრობლემა მეორე ინსტანციის სასამართლოში სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას. ჟურნალი „მართლმსაჯულება“, №1, 2009, გვ. 112.

³² 2005 წლის 23 ივნისის ცვლილებით, ქართველმა კანონმდებელმა შემოიღო კასაციის ფორმა. თუ აქამდე კასაცია გათვალისწინებული იყო ქონებრივ-სამართლებრივ დავებზე, სადაც დადგენილი იყო საჩივრის ფასი 1000 ლარიდან, ამ ზღვარმა 1000-დან 50 000 ლარზე გადაინაცვლა. 2007 წლის 28 დეკემბრის ცვლილებების თანახმად, საკასაციო საჩივრის ფასის ზღვრული

ოდენობა გაუქმდა და საკასაციო საჩივრის ღირებულება განისაზღვრა იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს. თუ კანონის ძველი რედაქცია არ აწესრიგებდა საკასაციო საჩივარს არაქონებრივ-სამართლებრივ დავებზე, აღნიშნული ცვლილებებით, აქ რამდენიმე ნორმა იქნა შემოღებული: საკასაციო საჩივარი დასაშვებია ყველა არაქონებრივ-სამართლებრივ დავებზე, თუ იგი ეხება „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას“ (მე-4 ნაწილი). სხვა შემთხვევებში, საკასაციო საჩივრის შეტანა შესაძლებელია ყველა (ქონებრივ-სამართლებრივ თუ არაქონებრივ-სამართლებრივ) დავებზე, თუ საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის ან სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან ან თუ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმეში მიღებულ გადაწყვეტილებაზე. დაბოლოს, კასაცია ასევე, დასაშვებია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე ან დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე – განჩინებაზე. ასევე, იხ.: ცენო რაიჰენბეჰერი. Projekt: Unterstützung des Rechts – und Gerichtssystems.

- ³³ Zöller/ Gumer, ZPO, vor & 542, RDN. 1. ციტ. მიხ. ჰაინ ბოელინგი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ახალი საკასაციო წარმოების შესახებ, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ №5(7)05, გვ. 78.
- ³⁴ ცენო რაიჰენბეჰერი, Projekt: Unterstützung des Rechts – und Gerichtssystems.
- ³⁵ იხ.: იქვე.
- ³⁶ К. В. Балакин, диссертация на соискания ученой степени кандидата юридических наук. Обжалование постановлений судов гражданской юрисдикции во Франции, М., 2001, стр. 154.
- ³⁷ J. Fouer, G. Cornu, Procédure civile. Paris. 1996. p. 235. Sead. J. Boré, L. Boré. La cassation en matière civile. Dalloz, 2009-2010. p. 747. aseve, ix.: Ass. plén., 21 mai 1976, N 72-92.002, Bull. ass. plén., N 6.
- ³⁸ Code civil, art. 5, 2006.
- ³⁹ Zivilprozessordnung, Kommentar von Prof. Dr. Heinz Thomas, Dr. Klaus Reichold, Prof. Dr. Hans Putzo, Dr. Rainer Hüsstege, 24, neubearbeitete Auflage, Verlag C.H. Beck, München, 2002, S.910 (ციტირებულია ვ. ხრუსტალი, კასაცია სამოქალაქო სამართალწარმოებაში, დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, 2004, გვ. 136).
- ⁴⁰ იხ.: გიორგი ხუბუა, სამოსამართლო სამართალი: სამართლის წყარო თუ სამართლის შემეცნების წყარო?, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №5(7)05).
- ⁴¹ შეად. შ. ქურდაძე, სამოქალაქო საქმეთა განხილვა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებში, თბ., 2006, გვ. 135-136.

SOME SPECIFICITIES OF DECISIONS OF THE CASSATION COURT. MANDATORY POWER OF THE CASSATION COURT INSTRUCTION

TEIMURAZ TODRIA
Justice of the Supreme Court of Georgia

In the article below we try to focus on legal outcomes of assessments of the Appellate Court on one hand, and outcomes of assessment of facts by the Appellate court on the other. We do it by bringing practical examples.

Impact of factual circumstances on decisions of the Court of Cassation raises our interest. In addition, we will discuss mandatory nature of instructions of the Court of Cassations.

Institute of decisions of the Cassation Court is defined by the Chapter “L” of the Civil Procedures Code of Georgia.

According to that institution, the Court of Cassation has an authority to keep the appealed decision or abolish it. Namely, the appealed decision may be kept unchanged in three cases: **when the violation of the law does not take place; when the decision of the Appellate Court is not based on the legal violation; when the decision of the Appellate Court is substantially correct despite the fact that motivation part of the decision does not contain substantiation¹.**

It is possible to abolish the appealed decision in three cases: **circumstances of the case are established in violation of procedural norms, which led to incorrect decision and thus is necessary to examine additional evidence;**

when exist grounds listed in the article 394 of the Code, except sub-paragraphs “c” and “e”²; and in case of issuing the new decision³.

Aforementioned procedures represent only procedural criteria, which imply outcomes of the procedural law as well material law based examination of the decision.

Thus, indicated results (outcomes) depend in one case on correctness of identifying factual circumstances (key and indexed) important for the case and in the other case – on correctness of the facts establishing process; and in the third case, two factors above depend on existence of the third one, and it represents procedural violations (article 394 of the CPC); they represent absolute grounds for annulment of the appealed decision⁴.

Considering topic of the given article, which concerns importance of vital factual circumstances of the case for the Court of Cassation, we will not speak about absolute annulment grounds under paragraphs “e” and “e¹” of the article 394 (see later).

Thus, the aforementioned decision of the Court of Cassation is often caused by procedural specificities of examining **factual circumstances of the case**.

A very important task of superior courts is to clarify vagueness deriving from interpretation of legal provisions and facilitate development of the law by this⁵.

FOOTNOTES

¹ Article 410 of the Civil Procedures Code of Georgia

² see article 412

³ see article 411

⁴ Compare T. Mamiashvili. Decision of the Cassations Court, “Martlmsajuleba” journal, # 1, 2008, p. 109

⁵ Reinhold Cipelius, Preaching Legal Methodology, Munich, 2006, p.130

პაციენტის უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტები

ნუნუ კვანტალიანი

*საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი*

ბოლო პერიოდში, საზოგადოების ინტერესი ჯანმრთელობის უფლებასთან მიმართებით მკვეთრად გაიზარდა. აღნიშნული გამოწვეულია მედიცინისა და ბიოლოგიის მეცნიერების მზარდი განვითარებითა და ამ დარგებში რევოლუციური ხასიათის მიღწევებით, რასაც ადამიანის უფლების დაცვის ამ სფეროში ეთიკური და სამართლებრივი პრობლემები მოჰყვა. ამავდროულად, ექიმებს, პაციენტებსა და ფართო საზოგადოებას შორის ურთიერთობებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. საზოგადოებას გაუჩნდა კითხვები ჯანმრთელობის უფლების დაცვასთან მიმართებით. ამასთან, ეს კითხვები უმეტესად თავს იჩენს მაშინ, როდესაც სამედიცინო მომსახურების მიმღები პირი – პაციენტი მომსახურებით უკმაყოფილოა და სამედიცინო პერსონალის წინააღმდეგ პრეტენზიები აქვს. შესაბამისად, ამ ვითარებამ მედიცინაში და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში როგორც საერთაშორისო ასევე, ეროვნულ დონეზე სამართლებრივი საკითხების საკანონმდებლო დონეზე მონესრიგების აუცილებლობა წარმოშვა.

ამ პროცესში საქართველო არ არის გამონაკლისი. ჯანმრთელობის უფლების დაცვასთან დაკავშირებული პრობლემები ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ აქტუალურია, რის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ბოლო 4-5 წლის განმავლობაში ამ უფლების სასამართლო წესით დაცვის მოთხოვნით წარდგენილი სარჩელების სიუხვე. ამ მდგომარეობის პირდაპირპროპორციულად იზრდება საზოგადოების მოთხოვნილება ჯანმრთელობის უფლების სათანადოდ დაცვისა, როგორც საკანონმდებლო დონეზე, ასევე, ეროვნული სასამართლოებისა და ადვოკატების მიერ არსებული კანონების სწორად გამოყენების თვალსაზრისით. აღსანიშნავია, ის ფაქტიც, რომ ჯანმრთელობის უფლების დაცვის დარგში მეცნიერული ნაშ-

რომები, გარდა რამდენიმე სტატიისა, თითქმის არ არსებობს, რაც პრაქტიკულად მნიშვნელოვან პრობლემებს წარმოშობს. თუმცა, ეს გარემოება ქართული კანონმდებლობის სიმწირით არ არის გამოწვეული.

ჯანმრთელობის უფლების დაცვა საქართველოში გარანტირებულია 18 ეროვნული კანონით. ამ კანონებში ნათლადაა დეკლარირებული ჩვენი ქვეყნის ღია ინტერესი ადამიანის ჯანმრთელობის უფლების საერთაშორისო აქტების დაცვისა, თუმცა, არსებული რეალობა მათ თანმიმდევრულ დახვეწას მოითხოვს. ამ სფეროში, საქართველოს კანონებში გამოყენებულია ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო აქტები, რაც აუმჯობესებს უფლების ეროვნულ დონეზე დაცვას.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის გავლენა ეროვნულ კანონმდებლობაზე თვალსაჩინოდ წარმოაჩენს ადამიანის ჯანმრთელობის უფლების დაცვის სფეროში საერთაშორისო აქტების განხილვის მნიშვნელობას.

ჯანმრთელობის დაცვაზე ადამიანის უფლება ვრცელდება როგორც პაციენტებზე (პაციენტი – ნებისმიერი პირი, რომელიც მიუხედავად მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისა, სარგებლობს, საჭიროებს ან აპირებს ისარგებლოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მომსახურებით¹), ასევე ნებისმიერ პირზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, გაირკვეს ამ უფლების არსი.

ადამიანის უფლება ჯანმრთელობაზე გულისხმობს, რომ ნებისმიერ ქალს, კაცს, ახალგაზრდას და ბავშვს უფლება აქვს ხელი მიუწვდებოდეს ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უმაღლეს, ხელმისაწვდომ სტანდარტებზე, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. „ჯანმრთელობაზე ადამიანის უფლების“ ყველა ასპექტით სარგებლობა საკვანძო მნიშვნელობისაა ადამიანის სიცოცხლისა და კეთილდღეობისათვის; ამ უკანასკნელს კი, თავის მხრივ გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის სხვა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციის თვალსაზრისით. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) განმარტებით **„ჯანმრთელობა არის სრული ფიზიკური, ფსიქიკური და სოციალური კეთილდღეობის მდგომარეობა და არა მხოლოდ დაავადების ან უძლურების არარსებობა.“**

„უფლება ჯანმრთელობაზე“ არ ნიშნავს უფლებას იყო ჯანმრთელი, და ასევე, არ ნიშნავს, რომ ღარიბი ქვეყნების მთავრობებმა უნდა შექმნან ჯანდაცვის ძვირადღირებული სამსახურები, რომლისთვისაც მათ არ გააჩნიათ რესურსები; არამედ „უფლება ჯანმრთელობაზე“ მთავრობებისაგან და სახელმწიფო ორგანოებისაგან მოქმედების გეგმების შედგენას მოითხოვს, რომლებიც უზრუნველყოფენ საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ჯანმრთელობის მომსახურებების არსებობას უმოკლეს შესაძლებელ დროში. აღნიშნულის უზრუნველყოფა, არამარტო ადამიანის უფლებებზე მომუშავე საზოგადოების, არამედ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტებისათვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა.²

მედიცინისა და ბიოლოგიის მეცნიერების მზარდი განვითარება, ახალი მეთოდებისა და ტექნოლოგიების დანერგვა სულ უფრო აქტიურად ხდის ადამიანის უფლებების დაცვას ჯანმრთელობის სფეროში. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების მიმღების – პაციენტის უფლებებისა და მოვალეობების განმსაზღვრელი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა საერთაშორისო აქტებთან. ამავდროულად, სახელმწიფოთა ვალდებულებაა ჯანმრთელობის დაცვის სექტორის ისეთი დაგეგმვა, რომ მაქსიმალურად აღმოიფხვრას პაციენტის მკურნალობასთან დაკავშირებული შეცდომები და დაინერგოს უსაფრთხოების უზრუნველმყოფი პროცედურები.

ჯანმრთელობის დაცვასთან მიმართებით მნიშვნელოვანია განისაზღვროს ამ **უფლების მოქმედების სფერო**. „ჯანმრთელობა მეტად ფართო და სუბიექტური კონცეფციაა, რომელზეც სხვადასხვა ფაქტორები მოქმედებს, მათ შორის: გეოგრაფიული, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური. საერთაშორისო სამართლის თანახმად, ჯანმრთელობის უფლების განხილვისას, ჩვენი საბოლოო მიზანია დავადგინოთ სამართლის შემადგენელი ყველა ის ელემენტი, რომელიც საჭიროა, რათა უფლება არ გახდეს იმდენად ყოვლისმომცველი, რომ მან აზრი დაკარგოს. ჯანმრთელობის უფლების შემადგენელი ელემენტები ორ კატეგორიად შეიძლება დაიყოს: ერთი კატეგორია შედგება „ჯანდაცვასთან“ დაკავშირებული ელემენტებისაგან (მათ შორის, სამკურნალო და პრევენციული ჯანდაცვა), ხოლო მეორე კატეგორია მოიცავს „ჯანმრთელობის ფუძემდებლურ პირობებს.“ ამ უკანასკნელს შეიძლება განეკუთვნებოდეს უსაფრთხო სასმელი წყალი, სათანადო სანიტარიული პირობები, სათანადო კვება, ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია, გარემოს დაცვით განპირობებული ჯანმრთელობა და ჯანსაღი შრომითი პირობები.³

ზემოაღნიშნული საკითხის – ჯანმრთელობის უფლების ფარგლებს გარკვევა მნიშვნელოვანია, ვინაიდან იკვეთება ამ უფლების თანხვედრა ადამიანის ისეთ უფლებებთან, როგორცაა სიცოცხლის უფლება, ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლება, შრომის უფლება (ჯანსაღი შრომითი პირობები), უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უფლება, სათანადო საცხოვრებლის უფლება. დასახელებული ელემენტები ჯანმრთელობის უფლებასთან მჭიდროდაა დაკავშირებული და უმეტესად, ადამიანის ჯანმრთელობის განმსაზღვრელია, მაგრამ ისინი თავიანთი ზემნიშვნელოვანი ხასიათის გამო, ნორმატიულად დამოუკიდებლად განიხილება. ამავდროულად, ეს უფლებები ადამიანის ჯანმრთელობასთან მჭიდრო კავშირის გამო, ჯანმრთელობის უფლების ჩარჩოებშიც განიხილება.

ადამიანის ძირითად უფლებათა შორის უმთავრესად აღიარებულია სიცოცხლის უფლება, რომელიც ადამიანის უფლებათა იერარქიაში უაღტერნატივოდ, პირველ საფეხურზე დგას. ამ უფლების პრიორიტეტი განპირობებულია იმ მარტივი გარემოებით, რომ „ყველა სხვა დანარჩენი უფლება მხოლოდ გარკვეულ ხარისხს ანიჭებს სიცოცხლეს და თავის მოქმედებაში დამოკიდებულია თვით სიცოცხლის არსებობაზე.“⁴

საერთაშორისო სამართალი მკვეთრად ადგენს სახელმწიფოთა პოზიტიურ ვალდებულებას ადამიანის სიცოცხლის დაცვის სფეროში. სახელმწიფოებს ეკისრებათ აქტიური მოქმედების ვალდებულება მათი იურისდიქციის ფარგლებში სიცოცხლის უფლების დასაცავად. სიცოცხლის დაცვის პოზიტიური ვალდებულება მოიცავს სახელმწიფოს ვალდებულებას მიიღოს ყველა ზომა ადამიანის ჯანმრთელობის დასაცავად. პიროვნების ჯანმრთელობა ადამიანის კეთილდღეობისა და ღირსების მნიშვნელოვანი პირობაა. აღნიშნული, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას სრულად უზრუნველყოს მკურნალობა, არამედ შექმნას ჯანმრთელობის დაცვის ხელმისაწვდომობის თანამედროვე სტანდარტები. სახელმწიფომ უნდა შექმნას ის ძირითადი პირობები, სადაც დაცულია პიროვნების ჯანმრთელობა და შესაძლებელია მისი გაუმჯობესება, უპირველესად, ამ უფლების დამცავი კანონმდებლობით.

ჯანმრთელობის დაცვისადმი უმაღლესი ხარისხით ხელმისაწვდომობა ადამიანის საკვანძო უფლებაა და იგი ამავე ხარისხითაა აღიარებული საერთაშორისო აქტებით. ადამიანის ჯანმრთელობის უფლება დაცულია როგორც უნივერსალური ხასიათის საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების აქტებითა და სამედიცინო ასოციაციების მიერ მიღებული ქარტიებით.

უკანასკნელ პერიოდში შეინიშნება საინტერესო ტენდენცია. კერძოდ, რაც უფრო ვითარდება სამედიცინო ტექნოლოგიები, მით უფრო მკაცრი ხდება პაციენტის (ზოგჯერ, არა მარტო პაციენტის, არამედ უფრო ფართოდ – ადამიანის) უფლებების დაცვის მექანიზმების შექმნისა და მათი სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფა. ამის დასტურია ის საერთაშორისო სამართლებრივი აქტები, რომლებიც პირდაპირ შეეხებიან პაციენტის უფლებების დაცვის საკითხებსა და მედიცინის სფეროში ადამიანის უფლებების დაცვის პრობლემებს. გასული საუკუნის ბოლოს, პაციენტთა უფლებების კანონმდებლობის სფეროში გაიმართა აქტიური სამართალშემოქმედება როგორც ეროვნულ, ასევე, საერთაშორისო სამართლის დონეზე. საერთაშორისო დონეზე მიღებულ იქნა ახალი დეკლარაციები, ქარტიები და სხვა სახის აქტები, რომლებიც დეტალურად ახდენენ ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმის შექმნისა და რეგულირების საკითხების რეგლამენტაციას, ცდილობენ დაადგინონ ის მინიმუმი ზღვარი, რომლის ჩარჩოებშიც სამედიცინო პერსონალი უფლებამოსილია ჩაატაროს სამედიცინო მანიპულაციები (ექსპერიმენტები, მკურნალობა და სხვა).⁵

ჯანმრთელობის უფლების დაცვის სფეროში მოქმედი საერთაშორისო სამართლებრივი აქტები სამ ჯგუფად შეიძლება დავყოთ: უნივერსალური საერთაშორისო სამართლებრივი აქტები, საერთაშორისო ორგანიზაციების აქტები და სამედიცინო ასოციაციების აქტები.

I. უნივერსალური ხასიათის საერთაშორისო სამართლებრივი აქტები

ჯანმრთელობის უფლების დაცვა გარანტირებულია უნივერსალური ხასიათის საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით, რომლებიც ზოგადად, მაგრამ მკაფიოდ აღიარებენ ამ უფლების მაღალ მნიშვნელობას და ავალდებულებენ სახელმწიფოებს, შექმნან მისი დაცვის სათანადო საშუალებები.

1. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით აღიარებულია როგორც სამოქალაქო და პოლიტიკური, ასევე, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული უფლებები. ამ უფლებათა შორის აღსანიშნავია სიცოცხლისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება, ასევე, კერძო და ოჯახური ცხოვრების დაცვის უფლება. მართალია, დეკლარაცია არ არის იურიდიულად სავალდებულო და სარეკომენდაციო ხასიათისაა, მაგრამ მისი დებულებები თითქმის ყველა ქვეყანამ აღიარა, რაც დასტურდება შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი ნორმებისა და კანონების მიღებით. ადამიანის ჯანმრთელობის უფლების დაცვასთან მიმართებით უნდა აღინიშნოს დეკლარაციის 25-ე მუხლი, რომლითაც „ყოველ ადამიანს აქვს უფლება ჰქონდეს ცხოვრების ისეთი დონე, საკვების, ტანსაცმლის, ბინის, სამედიცინო მოვლისა და საჭირო სოციალური მომსახურების ჩათვლით, რომელიც აუცილებელია თვითონ მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად“.

2. საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ. ადამიანის ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კატალოგი მოიცავს „უფლებას ჯანმრთელობაზე.“ აღნიშნული კონცეფცია აერთიანებს ინდივიდის ჯანმრთელობის მდგომარეობას, მის ღირსებას, სამართლიანობის, არადისკრიმინაციის, გენდერული თანასწორობისა და მონაწილეობის საკითხებს.

პაქტის მონაწილე სახელმწიფოებმა ერთხმად აღიარეს თითოეული ადამიანის უფლება ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უმაღლეს შესაძლო სტანდარტებზე და ამ უფლების სრული რეალიზაციისათვის მიზნად დაისახეს ისეთი ზომების მიღება, რომლებიც აუცილებელია: ა) მკვდრადშობადობისა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებისა და ბავშვის ჯანსაღი განვითარების უზრუნველსაყოფად; ბ) გარემოს ჰიგიენისა და მრეწველობაში შრომის ჰიგიენის ყველა ასპექტის გასაუმჯობესებლად; გ) ეპიდემიური, ენდემური, პროფესიული და სხვა დაავადებების თავიდან ასაცილებლად, სამკურნალოდ და შესამომბეზლად; დ) ისეთი პირობების შესაქმნელად, რომლებიც ავადმყოფობის შემთხვევაში, ყველასათვის უზრუნველყოფს სამედიცინო დახმარებასა და მოვლას (მე-12 მუხლი).⁶

3. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ სავალდებულოა სახელმწიფოებისათვის, სადაც განმტკიცებულია მრავალი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლება. პაქტი ითვალისწინებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით გამოცხადებულ პრინციპებს და მე-6 მუხლით სიცოცხლის უფლებას აღიარებს თითოეული ადამიანის განუყოფელ უფლებად, ხოლო მე-7 მუხლით ადგენს, რომ არ შეიძლება სამედიცინო ან სამეცნიერო ცდების ჩატარება არც ერთ პირზე, თუ არ იქნა მისი თავისუფალი თანხმობა.

4. ევროპის სოციალური ქარტია ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში **ევროპის საბჭოს** მიერ შემუშავებული ფუძემდებლური აქტია, რომელიც სხვა ძირითად უფლებებთან ერთად განიხილავს ჯანმრთელობის დაცვის უფლების ეფექტიანი განხორციელების გზებს. ამ უფლების დაცვის მიზნით ქარტიის მონაწილე მხარეები მე-11 მუხლით ვალდებულია იღებენ უშუალოდ სახელმწიფოებთან ერთად ან კერძო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით მიიღონ შესაბამისი ზომები, რომლებიც მიმართულია: „1. მაქსიმალურ მისაღწევ დონეზე ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების გამომწვევი მიზეზების აღკვეთისაკენ; 2. ჯანმრთელობის განმტკიცებისათვის და ჯანმრთელობის საკითხში დახმარების და სასწავლო ბაზის უზრუნველყოფისაკენ; 3. მაქსიმალურად შესაძლო დონეზე ეპიდემიოლოგიური, ენდემური და სხვა დაავადებების აღკვეთისაკენ.“

5. ევროპის საბჭოს მიერ მიღებული აქტებიდან ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია **ევროპის კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ**. კონვენცია პირველი იურიდიული საერთაშორისო სამართლებრივი აქტია, რომელმაც აღიარა ადამიანის ძირითადი უფლებები, მათ შორის, სიცოცხლისა და უსაფრთხოების უფლება, ნამების, მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვის უფლება, დარღვეულ უფლებათა ეფექტიანი აღდგენის უფლება, დისკრიმინაციის აკრძალვა და სხვა. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები ვალდებული არიან, უზრუნველყონ კონვენციითა და მისი დამატებითი ოქმებით გათვალისწინებული უფლებები მის იურისდიქციაში მყოფი პირებისათვის.

II. საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიუმი

ადამიანის ჯანმრთელობის უფლება დაცულია საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიუმი, რომლებიც უფრო ზუსტად განიხილავენ პაციენტის უფლებების დამცავ მექანიზმებს. მათ შორის, აღსანიშნავია:

- ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ კონვენცია;
- კონვენცია ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის მოსპობის შესახებ;
- კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის მოსპობის შესახებ;
- ბავშვის უფლებების კონვენცია;
- „ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ“ კონვენციის დამატებითი ოქმი „ადამიანის ორგანოებისა და ქსოვილების გადანერგვის შესახებ“;
- „ბიოლოგიასა და მედიცინაში ადამიანის უფლებებისა და ღირსების დაცვის შესახებ“ კონვენციის დამატებითი ოქმი „ადამიანის კლონირების აკრძალვის შესახებ.“

1. ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციით⁷ მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა საჭირო ზომას, რომ აღმოფხვრან ქალთა დისკრიმინაცია და თანასწორობის საფუძველზე (მუხლი 10, 12 და 14) უზრუნველყონ ...საგანმანათლებლო ხასიათის სპეციალური ინფორმაციის, მათ შორის, ოჯახის სიდიდის დაგეგმვის შესახებ ინფორმაციისა და კონსულტაციების ხელმისაწვდომობა, ოჯახთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის ხელშეწყობის მიზნით... ქალებს უზრუნველყოფენ უფლებით, რომ ისარგებლონ შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით, მათ შორის, ოჯახის სიდიდის დაგეგმვის საკითხებზე ინფორმაციით, კონსულტაციითა და მომსახურებით ...ისარგებლონ ცხოვრების ჯეროვანი პირობებით.

2. რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ⁸ საერთაშორისო კონვენციის მე-5 მუხლით, მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულია იღებენ აკრძალონ და აღმოფხვრან ნებისმიერი ფორმის რასობრივი დისკრიმინაცია და უზრუნველყონ ყველა ადამიანის თანასწორობა კანონის წინაშე, მიუხედავად რასისა, კანის ფერისა, ეროვნული და ეთნიკური კუთვნილებისა, განსაკუთრებით, შემდეგი უფლებების განხორციელებისათვის: ...ჯანმრთელობის დაცვის, სამედიცინო დახმარების, სოციალური უზრუნველყოფის და სოციალური მომსახურების უფლება.

3. ბავშვის უფლებების კონვენცია 54 მუხლისაგან შედგება და მოიცავს არა მარტო სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, არამედ სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებსაც. კონვენცია აწესებს რა, საერთო სტანდარტებს მსოფლიოს ყველა ქვეყნისათვის, ამასთანავე ითვალისწინებს სახელმწიფოთათვის დამახასიათებელ კულტურულ, სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ რეალობებს, რათა თითოეულ ქვეყანას შესაძლებლობა ჰქონდეს ოპტიმალურად განახორციელოს კონვენციის დებულებები. კონვენცია განსაზღვრავს ბავშვის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის პირობებს, მშობლების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრიდან მათი საჭიროებების შესაბამის მოთხოვნებს.

ბავშვის უფლებათა კონვენცია ყოვლისმომცველია და ერთადერთი, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვის სამოქალაქო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს. ის უნივერსალურია, ეხება ყველა ბავშვს ყველა სიტუაციაში, მოიცავს ერთა მთელ თანამეგობრობას: უპირობოა, მოუწოდებს ყველა მთავრობას, თუნდაც, მწირი რესურსების მქონეს, იმოქმედონ ბავშვის უფლებათა დასაცავად.

კონვენციაში წარმოდგენილ უფლებათა შორის მნიშვნელოვანია სიცოცხლე – ბავშვებს აქვთ სიცოცხლისა და გადარჩენის უფლება, სამედიცინო მომსახურებით სარგებლობის, წყლითა და სანიტარული სისტემებით უსაფრთხოდ სარგებლობის უფლება.

კონვენცია ადგენს ექიმის ვალდებულებას გამოიკვლიოს ბავშვის გონებრივი შესაძლებლობები ნებისმიერი მკურნალობისათვის, გაიგოს მათი შეხედულებები ამასთან დაკავშირებით. ბავშვთა უფლებამოსილებაა, მიიღოს გადაწყვეტილება დათანხმება შემდგომ მკურნალობაზე. ეს გულისხმობს, ერთდროულად

თანამშრომლობას ბავშვებთან და მშობლებთან, მათ სრულად ჩართვას მკურნალობასა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია კონვენციის 24-ე მუხლი, რომელიც ადგენს:

„1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ბავშვის უფლებას, ისარგებლოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ყველაზე უფრო სრულყოფილი მომსახურებით და დაავადებათა მკურნალობისა და ჯანმრთელობის აღდგენის საუკეთესო საშუალებებით. მონაწილე სახელმწიფოები ცდილობენ უზრუნველყონ, რომ არც ერთ ბავშვს არ ჩამოერთვას უფლება, ისარგებლოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ასეთი მომსახურებით.

2. მონაწილე სახელმწიფოები ცდილობენ მიაღწიონ მოცემული უფლების სრულ განხორციელებას და აუცილებელ ზომებს იღებენ კერძოდ: ა) ჩვილთა სიკვდილიანობის დონისა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებისათვის; ბ) ყველა ბავშვისათვის აუცილებელი სამედიცინო დახმარებისა და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფისათვის, რათა უპირატესი ყურადღება დაეთმოს პირველადი სამედიცინო სანიტარიული დახმარების განევას; გ) დაავადებებთან და შიმშილობასთან ბრძოლისათვის, მათ შორის, პირველადი სამედიცინო-სანიტარიული დახმარების ფარგლებში, ადვილად ხელმისაწვდომი ტექნოლოგიისა და საკმაო სურსათითა და სასმელი წყლით მომარაგების გზით, გარემოს დაბინძურების საშიშროებისა და რისკის გათვალისწინებით; დ) დედებისათვის მშობიარობამდე და მშობიარობის შემდგომ პერიოდში ჯანმრთელობის დაცვის სათანადო მომსახურების განვეისათვის; ე) საზოგადოების ყველა ფენის, კერძოდ, მშობლებისა და ბავშვებისათვის ჯანმრთელობისა და კვების შესახებ ინფორმაციის მიწოდების, ძუძუთი კვების უპირატესობების გაცნობის უზრუნველყოფისათვის, ჰიგიენის, ბავშვის საცხოვრებელი გარემოს სანიტარიის დაცვისა და უბედური შემთხვევების თავიდან აცილების, აგრეთვე მათთვის განათლების ხელმისაწვდომობისა და ცოდნის გამოყენებაში დახმარების განვეისათვის; ვ) პროფილაქტიკური სამედიცინო დახმარებისა და ოჯახის დაგეგმვის სფეროში საგანმანათლებლო მუშაობის გაშლისა და მომსახურების განვითარებისათვის.

3. მონაწილე სახელმწიფოები ატარებენ ყოველგვარ ეფექტიან და აუცილებელ ზომებს იმ ტრადიციული პრაქტიკის აღმოფხვრისათვის, რომელიც უარყოფითად მოქმედებს ბავშვთა ჯანმრთელობაზე.“

კონვენციით გათვალისწინებული ბავშვების უფლებები ჯანმრთელობის დაცვასა და კეთილდღეობაზე შეიძლება შემდეგი სახით შეჯამდეს:

ყველა ბავშვს აქვს უფლება: სიცოცხლისა და განვითარების; უზრუნველყოფილი იყოს ცხოვრების სათანადო დონით; ისარგებლოს უმაღლესი დონის სამედიცინო მომსახურებით; ინვალიდობის შემთხვევაში, სარგებლობდეს განსაკუთრებული მზრუნველობით, რომელიც განუმტკიცებს მას ღირსების გრძნობას, უძლიერებს საკუთარი თავის რწმენას და უადვილებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას; უზრუნველყოფილი იყოს სოციალური დაცვისა და ბავშვის მოვლის სამსახურებისა და დაწესებულებების დახმარებით.

4. ბიოლოგიისა და მედიცინის დარგში გლობალურმა მიღწევებმა მსოფლიო საზოგადოება დააფიქრა ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში სპეციფიკურ საკითხებზე საერთაშორისო აქტების მიღების აუცილებლობაზე. პაციენტის უფლებებთან მიმართებით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს **კონვენცია ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ**⁹. კონვენცია მთლიანად ადამიანის ჯანმრთელობის უფლების დაცვას ეძღვნება. იგი პირველი საერთაშორისო დოკუმენტია, რომელიც აწესრიგებს ბიოეთიკურ საკითხებს. მისი მიზანია დაიცვას ადამიანები ახალი ბიოლოგიური და სამედიცინო ტექნოლოგიების შესაძლო არასწორი გამოყენებისაგან, ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა განმტკიცების გზით.

„ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ კონვენციისა და მისი ოქმების მთავარი მიზანია, უზრუნველყოს ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში, რომლებიც კონვენციას მიუერთდებიან, ადამიანის უფლებების, ღირსებისა და ინდივიდუალობის დაცვა ბიოლოგიისა და მედიცინის კონტექსტში. საქმე ის არის, რომ მედიცინა, ჯანმრთელობის დაცვის სისტემა და ბიომედიცინის სფეროში წარმოებული კვლევები

შეიცავს საკმაოდ სპეციფიკურ რისკს ადამიანის უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით, რისი თავიდან აცილებასაც ისახავს მიზნად ზემოხსენებული კონვენცია.¹⁰

კონვენცია ეხება ყველა დარგს ბიოლოგიის და მედიცინის სფეროში. მეორე მხრივ, ის სპეციფიკურად ეხება ისეთ დარგებს, როგორცაა: ადამიანის გენომი; ადამიანის ორგანოთა გადანერგვა; ადამიანზე ჩატარებული ბიოსამედიცინო კვლევა. ამ მიზნით ევროპის საბჭოს ბიოეთიკის სამუშაო კომიტეტის (GDBI) მიერ შემუშავდა და მიღებულია ხელმოსაწერად შემდეგი დამატებითი ოქმები: „ადამიანის კლონირების აკრძალვის შესახებ“ (1998); „ადამიანის ორგანოებისა და ქსოვილების გადანერგვის შესახებ“ (2001); „ბიოსამედიცინო კვლევის შესახებ“ (სტრასბურგი, 30 ივნისი, 2004 წელი); საქართველოს მიერ ხელმოწერილია ყველა ოქმი, მაგრამ რატიფიცირებულია მხოლოდ „ადამიანის კლონირების აკრძალვის შესახებ“ და „ადამიანის ქსოვილებისა და ორგანოების გადანერგვის შესახებ“ ოქმები.

კონვენცია ვალდებულებას აკისრებს მონაწილე მხარეებს „დაიცვან თითოეული ადამიანის ღირსება და ინდივიდუალობა, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე უზრუნველყონ მათი ხელშეუხებლობა და სხვა უფლებები და ძირითადი თავისუფლებები ბიოლოგიასა და მედიცინაში. თითოეულმა მხარემ თავის კანონმდებლობაში უნდა შეიტანოს ამ კონვენციის დებულებების განხორციელებისათვის საჭირო ცვლილებები (მუხლი 1).“ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონვენციის მეორე მუხლი, რომლითაც ადამიანის ინტერესები და კეთილდღეობა უზენაესად არის აღიარებული საზოგადოების და მეცნიერების ინტერესებთან შედარებით.

კონვენცია მოიცავს ბიომედიცინის სფეროში ადამიანის უფლებების ისეთ ძირითად პრინციპებს, როგორცაა: ჯანმრთელობის დაცვის სისტემის თანაბარი ხელმისაწვდომობა (მუხლი 3); სათანადო პროფესიული სტანდარტები ჯანმრთელობის სფეროში ჩარევისას (მუხლი 4); ინფორმირებული თანხმობა და იმ პირთა უფლებების დაცვა, რომელთაც არ (ან შეზღუდული) აქვთ თანხმობის გაცხადების უნარი (მუხლი 5); პირადი ცხოვრების პატივისცემისა და ინფორმაციის მიღების უფლება საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (მუხლი 6); გენეტიკურ საკითხებზე დისკრიმინაციის დაუშვებლობა (მუხლი 11); სამეცნიერო კვლევაში მონაწილე პირების დაცვა (თავი V); ტრანსპლანტაციის მიზნით ცოცხალი პირისაგან ორგანოს ან ქსოვილის აღებისას პირთა უფლებების დაცვა (თავი VI); ფინანსური სარგებლობის აკრძალვა და ადამიანის სხეულის ნაწილების განკარგვა (თავი VII); სანქციები კონვენციის დებულებების დარღვევისათვის და ზარალის ანაზღაურების ვალდებულება (თავი VIII).

5. აქტუალურია „ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ“ კონვენციის დამატებითი ოქმი „ადამიანის ორგანოებისა და ქსოვილების გადანერგვის შესახებ“ (სტრასბურგი, 04.12.2001), რომელიც შეეხო ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მოსახლეობისათვის შეთავაზებული მომსახურების აღიარებულ ფორმას – მკურნალობის მიზნით ორგანოებისა და ქსოვილების გადანერგვას. ოქმის დებულებების მიღება განაპირობა იმ საფრთხემ, რაც ამ მომსახურების არასათანადო გამოყენებას შეიძლება მოჰყვეს, ვინაიდან ასეთი პროცესები პირდაპირ კავშირშია ადამიანის სიცოცხლესთან, კეთილდღეობასა და ღირსებასთან.

ოქმის დებულებებით დადგინდა გადანერგვის სისტემის შემუშავების აუცილებლობა, რაც უზრუნველყოფს რეციპიენტების თანაბარ პირობებში მომსახურების მიღების შესაძლებლობას; ასევე დაწესდა: ცოცხალი დონორისა და რეციპიენტისათვის ინფორმაციის (მათ შორის, მოსალოდნელ რისკებზე) ხელმისაწვდომობის სავალდებულოობა; გადანერგვის დასაშვებობა ცოცხალი დონორისაგან მხოლოდ ინფორმირებული თანხმობის, ხოლო გარდაცვლილისაგან – უფლებამოსილი პირის ნებართვის საფუძველზე; ორგანოს ან ქსოვილის აღებაზე თანხმობის გაცხადების უნარის არმქონე პირთა დაცვა – ასეთი პირების დონორობა დაიშვება იშვიათად, მხოლოდ კონვენციით გათვალისწინებულ შემთხვევებში (არ არის შესაფერისი დონორი, რომელსაც აქვს თანხმობის გაცხადების უნარი; რეციპიენტი არის დონორის და ან ძმა; არსებობს მისი კანონიერი წარმომადგენლის ნებართვა). ოქმით შემუშავდა ამ სფეროში სათანადო პროფესიული სამედიცინო სტანდარტებისა და ვალდებულებებით საქმიანობის განხორციელების აუცილებლობა.

აღსანიშნავია ოქმის 21-ე და 22-ე მუხლების დანაწესები, რომლითაც იმპერატიულად აიკრძალა ფინანსური მოგების ან სხვა რაიმე სარგებლის მიღება, რაც არ გულისხმობს ამ პროცედურებთან დაკავ-

შირებულ აუცილებელ ხარჯებსა და სამედიცინო მომსახურების გადასახადებს. ასევე, აკრძალულია ორგანოებითა და ქსოვილებით ვაჭრობა. მიზანშეწონილია, აღინიშნოს დათქმა ოქმით გათვალისწინებული დებულებების დარღვევისათვის, რაც მკაფიოდ აისახა ოქმის 24-26-ე მუხლებში. კერძოდ: მხარეებმა უნდა უზრუნველყონ ოქმში ასახული უფლებებისა და პრინციპების სათანადო სამართლებრივი დაცვა უკანონო დარღვევების თავიდან აცილებისა და აღკვეთის მიზნით. პირს უფლება აქვს გადანერგვის შედეგად მიყენებული ზიანისათვის მიიღოს სამართლიანი კომპენსაცია კანონით გათვალისწინებული პირობებისა და პროცედურის დაცვით. ოქმში მოცემული დებულებების დარღვევისათვის მხარეებს დაევალიათ სათანადო სანქციების დანესება.

6. მეოცე საუკუნის დასასრული აღინიშნა რევოლუციური გადატრიალებით გენეტიკის დარგში – ადამიანებმა ისწავლეს გენეტიკური ინფორმაციის კითხვა, რასაც უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს დაავადებების მკურნალობისა და პროფილაქტიკური თვალსაზრისით. თუმცა, ამავდროულად, გარკვეულ ეთიკურ პრობლემებს წარმოშობს და ადამიანის უფლებებთან მიმართებით ანგარიშგასაწევ კითხვებს ბადებს. ადამიანის გენომის აღმოჩენის ისტორია იწყება დნმ-ის (დეზოქსირიბოზუკლეინის მუჟავა) აღმოჩენიდან. 1988 წელს დნმ-ის ცნობილი ორმაგი სპირალის ერთ-ერთმა პირველ აღმოჩენმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა ჯ. უოტსონმა სახალხოდ გამოთქვა აზრი ადამიანის დნმ-ის ნუკლეოტიდური თანმიმდევრობის სრული გაშიფვრის რეალური შესაძლებლობის შესახებ.

სწორედ ამ საკითხს მიეძღვნა „**ბიოლოგიისა და მედიცინაში ადამიანის უფლებებისა და ღირსების დაცვის შესახებ**“ კონვენციის დამატებითი ოქმი „**ადამიანის კლონირების აკრძალვის შესახებ**“ (პარიზი, 12.01.1998, ევროპის საბჭო). ოქმის დებულებები განიხილება, როგორც კონვენციის დამატებითი მუხლები. ოქმის მიღებისას ევროპის საბჭოს წევრმა სახელმწიფოებმა მიუთითეს, რომ ოქმით დადგენილი დებულებების მიღება განაპირობა ძუძუმწოვრების დარგში მეცნიერების მაღალი ხარისხის მიღწევებმა, რაც ამავე ხარისხით ტექნიკურად შესაძლებელს ხდის ადამიანის კლონირებას, ადამიანის დეპერსონალიზაცია კი, გენეტიკურად იდენტური ადამიანების წინასწარგანზრახვით შექმნის გზით ლახავს ადამიანის ღირსებას. ამავგარი წინასწარგანზრახული ბიოსამედიცინო პრაქტიკამ თითოეულ დაინტერესებულ ინდივიდს შეიძლება შეუქმნას სამედიცინო, ფსიქოლოგიური და სოციალური ხასიათის სიძნელეები. აღნიშნულის გათვალისწინებით, დადგინდა, რომ აკრძალულია ნებისმიერი ჩარევა, რომლის მიზანია სხვა ადამიანის, ცოცხალის ან გარდაცვლილის, გენეტიკურად იდენტური ადამიანის შექმნა (მუხლი 1).¹¹

„ადამიანის კლონირების აკრძალვის შესახებ“ საერთაშორისო აქტის მნიშვნელობას ნათლად და მარტივად წარმოაჩენს შემდეგი ფაქტები:

კლონირების შესახებ ხმაური წარმოიშვა 1997 წელს, როდესაც მეცნიერებმა განახორციელეს არამარტო ჩანასახის, არამედ ზრდასრული ძუძუმწოვარა ცხოველების კლონირება. შოტლანდიაში, როსლინის ინსტიტუტში მეცნიერთა ჯგუფმა იან ვილმატის ხელმძღვანელობით დაამუშავა მეთოდიკა, რომელიც იძლევა საშუალებას დედა ცხვრის ცურიდან ამოღებულიყო მთელი მემკვიდრული ინფორმაციის მატარებელი ქრომოსომების შემცველი ბირთვი, რომლითაც ჩანაცვლებული იქნა სხვა ცხვრის უკვე განაყოფიერებული კვერცხუჯრედის ბირთვი. შემდგომ მოხდა ამ კვერცხუჯრედის იმპლანტაცია დედობილის ორგანიზმში, რის შედეგად ქვეყანას მოეწვინა დონორი ცხვრის ზუსტი ასლი – დოლი.

„2002 წლის ბოლოს გავრცელდა სენსაციური ცნობა პირველი კლონირებული ბავშვის დაბადების შესახებ. კომპანია ჩლონაიდ-ის წარმომადგენლის ბრიჯიტ ბუასელიესა და იტალიელი ქირურგის სევერინო ანტონიონის სიტყვიერი განცხადების თანახმად, დეკემბერში გაჩნდა პირველი კლონირებული გოგონა, რომელსაც მსოფლიო იცნობს ევას სახელით. სულ კლონირებული ემბრიონები ჩაენერგა ხუთ სუროგატ დედას. ისინი ირწმუნებიან, რომ ყველა ორსულობა მიმდინარეობდა ნორმალურად, მაგრამ ამასთან, უარს აცხადებენ ნებისმიერი ინფორმაციის გამომზეურებაზე მშობლების ვინაობისა და ადგილსამყოფელის შესახებ. ცნობილია მხოლოდ, რომ ევას დედა არის 31 წლის ამერიკელი ქალი. კომპანია Clonaid-ის ხელმძღვანელმა ბრიჯიტ ბუასელიემ განაცხადა, რომ 2003 წლის იანვარში დაიბადა კიდევ ერთი კლონირებული გოგონა, რომლის დედა ჰოლანდიელია. იანვარში კიდევ სამ კლონირებულ ახალშობილს მოელიან.

ექიმმა ანტონიონიმ განაცხადა, რომ კლონირებული ახალშობილები ქვეყანას მოევლინებიან მხოლოდ იქ, სადაც მსგავსი ოპერაცია კანონით არ ისჯება.¹²

ევროპის უმეტეს ქვეყნებში ადამიანის კლონირება კანონით აკრძალულია. აშშ-ს კონგრესმა კლონირების აკრძალვის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო ჯერ კიდევ, გასულ წელს. კლონირების ცდების აკრძალვის მოთხოვნას ეთანხმება იუნესკოც, სადაც თვლიან, რომ ეს დაუშვებელია ეთიკის თვალსაზრისით.

III. სამედიცინო ასოციაციების აქტიუმი

პაციენტის უფლებების და ზოგადად, ადამიანის ჯანმრთელობის უფლების დაცვის მიზნით, მსოფლიო სამედიცინო ასოციაციების მიერ მიღებულ იქნა არაერთი ქარტია, რომლებსაც სავალდებულო ძალა არ გააჩნიათ, მაგრამ ბიოსამედიცინო კვლევების ჩატარებისას სამედიცინო პერსონალისათვის მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევია. ესენია, მსოფლიოს ექიმთა ასოციაციის ლისაბონის დეკლარაცია პაციენტთა უფლებების შესახებ, მსოფლიო სამედიცინო ასოციაციის ჰელსინკის 1964 წლის დეკლარაცია „სახელმძღვანელო პრინციპები ადამიანზე სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევების ჩატარების შესახებ“, რომელიც პერიოდულად განიცდიდა ცვლილებებსა და დამატებებს (1975 წლის ტოკიოს დეკლარაცია, 1983 წლის ვენეციის დეკლარაცია, 1989 წლის ჰონგ-კონგის დეკლარაცია, 1996 წლის სომერსეტ ვესტის დეკლარაცია). 1975 წლის მსოფლიო სამედიცინო ასოციაციის ტოკიოს დეკლარაცია მთლიანად მიეძღვნა სამედიცინო პერსონალის სახელმძღვანელო პრინციპებს, დაკავებულთა და პატიმართა წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელის შემთხვევაში.

1. უპირველესად, უნდა აღინიშნოს, მსოფლიო სამედიცინო ასოციაციის გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული **სამედიცინო ეთიკის საერთაშორისო კოდექსი**. კოდექსით დადგინდა როგორც ექიმის ზოგადი მოვალეობები, ასევე, პროფესიული და კოლეგებთან ეთიკური ქცევის სტანდარტები. საყურადღებოა ეთიკის კოდექსის დათქმა ავადმყოფის წინაშე ექიმის მოვალეობების თაობაზე, კერძოდ: ექიმს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ იგი მოვალეა დაიცვას ადამიანის სიცოცხლე; ექიმი მოვალეა უერთგულოს პაციენტს და მთელი თავისი ცოდნა მოახმაროს მას. თუ ექიმს არა აქვს გამოკვლევის ან მკურნალობის საშუალება, მან საამისოდ უნდა მოუხმოს სხვა ექიმს, რომელსაც ეს შესაძლებლობა აქვს; ექიმმა საიდუმლოდ უნდა შეინახოს ყოველივე თავისი პაციენტის შესახებ, ამ უკანასკნელის სიკვდილის შემდეგაც კი; გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა ექიმის პუმანიტარული მოვალეობაა იმ შემთხვევაში, თუ იგი არ არის დარწმუნებული, რომ ასეთი დახმარების განეცის სურვილი ან შესაძლებლობა სხვებსაც აქვთ.¹³

2. პაციენტთა უფლებების დაცვის სფეროში ინტერესს იწვევს **ლუქსემბურგის დეკლარაცია პაციენტთა უსაფრთხოების შესახებ**, რომლის მიღება განაპირობა ჯანმრთელობის დაცვის სექტორში შეცდომათა და არასასურველ შედეგთა განვითარების პრევენციის, სერიოზულ შეცდომათა განსაზღვრისა და აცილების, ასევე, უსაფრთხოების პროცედურათა უზრუნველყოფის გაძლიერებამ.

ჯანმრთელობის დაცვის სექტორი წარმოადგენს მაღალი რისკის სფეროს, ვინაიდან არაკეთილსაიმედო მოვლენების დადგომა უფრო ხშირად, მკურნალობას უკავშირდება, ვიდრე თვით დაავადებას. აღნიშნულს კი, შეუძლია გამოიწვიოს სიკვდილი, სერიოზული დაზიანება, გართულება და პაციენტისათვის ტანჯვის მიყენება.

კონფერენცია რეკომენდაციას იძლევა, რომ „პაციენტის უსაფრთხოება“ ევროკავშირის, ევროკავშირის ნევრი ქვეყნებისა და ადგილობრივი ჯანმრთელობის დაცვის სექტორში დაგეგმილ პოლიტიკურ ღონისძიებათა ნუსხაში ერთ-ერთ უპირველეს ადგილზე უნდა იქნეს განხილული. აღნიშნულის გათვალისწინებით, კონფერენციამ რეკომენდაციები ევროკავშირის ინსტიტუტებისათვის გასცა, მათ შორის, დაარსდეს ევროკავშირის ფორუმი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ შესაბამისი დაინტერესებული მხარეები, რათა განხილულ იყოს პაციენტის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ეროვნული და ევროპული მასშტაბით მიმდინარე საქმიანობები. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციასთან ალიანსში მუშაობა პაციენტის

უსაფრთხოების საკითხების საერთო გაგების შესამუშავებლად და „პრობლემათა გადაწყვეტის ევროკავშირის ბანკის“ შესაქმნელად, რომელიც მოიცავს „მონინავე გამოცდილებას“, მაგალითებსა და სტანდარტებს. კონფერენცია ნაციონალურ ხელისუფლებებს რეკომენდაციას აძლევს: უზრუნველყოს პაციენტთათვის მათი ჯანმრთელობის შესახებ არსებული პირადი ინფორმაციის სრული და თავისუფალი მიწოდება. ამასთან, განამტკიცოს მონაცემთა სიზუსტე და პაციენტის მიერ მისდამი ჩატარებული მკურნალობის არსის სრული აღქმადობა. იზრუნოს რისკის მენეჯმენტის რუტინის დასანესებლად. მაგალითად, გაიდლაინებისა და ინდიკატორების განვითარება, როგორც ჯანმრთელობის დაცვის სექტორში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ნაწილი. ახალი ტექნოლოგიების გამოყენების ოპტიმიზება, მაგალითად, პაციენტთა ელექტრონული ჩანაწერების სისტემის შემოღება. აღნიშნული ჩანაწერები გაითვალისწინებს პირად სამედიცინო პროფილებს და გადაწყვეტილებათა მიღების მხარდაჭერის პროგრამებს ჯანდაცვის პროფესიონალთათვის, იმ მიზნით რომ შემცირდეს მკურნალობასთან დაკავშირებული შეცდომების რიცხვი და გაიზარდოს მათი ამოცნობის შესაძლებლობა. კონფერენცია ასევე, რეკომენდაციას აძლევს ჯანდაცვის მომსახურების მიმწოდებლებს: ჯანდაცვის პროფესიონალთა და ჯანდაცვის მიმწოდებელთა ურთიერთთანამშრომლობის წესით მიუდგნენ და წარმართონ ჯანმრთელობის მომსახურების მიწოდება, რათა განამტკიცონ პაციენტის უსაფრთხოება. სამუშაო ადგილებზე განახორციელონ პროექტები, რომლებიც ფოკუსირებულ იქნება პაციენტის უსაფრთხოებაზე და დაანესებს შეცდომებთან და ნაკლოვანებებთან უფრო ეფექტიანი გამკლავების ღია კულტურას.

3. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის **პაციენტთა უსაფრთხოებისათვის ლონდონის დეკლარაციის** (2006 წლის 17 იანვარი) მიზანია ჯანდაცვის სფეროში აცილებადი საფრთხის ფართო მოზღვავეების შემცირება; შეიქმნას ისეთი სამყარო, რომელშიც ჯანდაცვის სფეროში არსებული შეცდომები მინიმალისზე-ბული იქნება. კონფერენციაზე გამოითქვა მზადყოფნა თანამშრომლობაზე შემდეგი მიმართულებებით: პაციენტთა უსაფრთხოებისა და პაციენტთა უფლებამოსილების პროგრამების შექმნა და პრომოცია; პაციენტთა უსაფრთხოების სფეროში მოღვაწე ყველა პარტნიორთან კონსტრუქციული დიალოგის წარმართვა; მსოფლიოს მასშტაბით ისეთი სისტემების შექმნა, რომლებიც დაკავშირებულია ჯანდაცვის საფრთხის ანგარიშგებასთან; განისაზღვროს საუკეთესო პრაქტიკა, რომელიც დაკავშირებულია ჯანდაცვასთან დაკავშირებული საფრთხის შემცირებასთან და ამ პრაქტიკის პრომოცია მთელს მსოფლიოში.

4. **მსოფლიოს ექიმთა ასოციაციის ლისაბონის დეკლარაცია პაციენტთა უფლებების შესახებ** (მიღებულია 34-ე მსოფლიო სამედიცინო ასამბლეის მიერ, ლისაბონში, პორტუგალია, 1981 წლის სექტემბერ-ოქტომბერში. შესწორებულია მსოფლიოს ექიმთა ასოციაციის 47-ე გენერალურ ასამბლეაზე, ბალი, ინდონეზია, 1995 წლის სექტემბერში სარედაქციო გადახედვა მოხდა ასოციაციის 171-ე საბჭოს სესიაზე, სანტიაგოში, ჩილე, 2005 წლის ოქტომბერში) განიხილავს და წარმოადგენს პაციენტთა ზოგიერთ იმ უფლებებს, რომლებიც გათავისებული და მხარდაჭერილი უნდა იყოს მედიცინის პროფესიონალთა მიერ.

ლისაბონის დეკლარაციით მსოფლიოს ექიმთა ასოციაციამ აღიარა, პაციენტთა ავტონომიურობისა და სამართლიანობის უზრუნველყოფის აქტუალობა და აუცილებლობა, ამასთან, დაადგინა, სამედიცინო მომსახურების მიწოდების პროცესში მონაწილე ექიმების, სხვა პირებისა და ორგანიზაციების ერთობლივი პასუხისმგებლობა პაციენტთა უფლებებთან მიმართებით.

5. ევროპის ქვეყნებში პაციენტთა უფლებების ჰარმონიზაციის ყველაზე განახლებულ და მასშტაბურ აქტად ითვლება **პაციენტთა უფლებების ევროპული ქარტია** (2002 წლის ნოემბერი, რომი). ქარტია განსახილველად გამოტანილია სამოქალაქო საზოგადოების, ეროვნული და ევროპული ინსტიტუტების, ყველა დაინტერესებული მხარის აქტიური და შეთანხმებული მუშაობის შედეგად. ევროპულ ჯანდაცვის სივრცეში შექმნილი რეალობით და ამავე სივრცეში არსებული განვითარების ტენდენციების გათვალისწინებით, შედგენილ იქნა ერთიანი, უნიფიცირებული მიდგომა, რომელთა ადაპტაცია ნაციონალურ დონეზე თითოეული ქვეყნის შესაბამისი სტრუქტურებისა და საზოგადოებრიობის უპირველესი მოვალეობაა. აღსანიშნავია, რომ ქარტიაში ჩამოყალიბებული დოკუმენტების დანერგვა და რეალურ ინსტრუმენტებად ქცევა მოითხოვს ჯანდაცვის პროფესიონალთა, მენეჯმენტის წარმომადგენელთა, მთავრობების, საკანონმდებლო

და ადმინისტრაციული ორგანოების ერთობლივ მუშაობას და ძალისხმევას. პაციენტთა უფლებების ევროპულ ქარტიაში ჩამოყალიბებულია პაციენტთა 14 ძირითადი უფლება, რაც გამომდინარეობს ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიიდან. ევროკავშირის (ევროპის) ფუნდამენტურ უფლებათა ქარტია აწესებს მთელ რიგ ხელშეუვალ საყოველთაო უფლებებს, რომლებიც არ შეიძლება შეიზღუდოს ევროკავშირის ორგანოებისა და წევრი სახელმწიფოების მიერ. აღნიშნული ქარტიის 35-ე მუხლი განსაზღვრავს უფლებას ჯანმრთელობის დაცვაზე, როგორც „ხელმისაწვდომობის უფლებას პრევენციულ ღონისძიებებზე და უფლებას – ისარგებლო სამედიცინო მომსახურებით ეროვნული კანონმდებლობითა და პრაქტიკით დაწესებული პირობებით.“ იმავე მუხლში აღნიშნულია, რომ ევროკავშირი ვალდებულია უზრუნველყოს „აღამიანის ჯანმრთელობის დაცვის მაღალი დონე,“ ხოლო ამ კონტექსტში ჯანმრთელობა და ჯანმრთელობის დაცვა განიხილება როგორც ინდივიდუალური, ისე სოციალური პროდუქტი. აღნიშნული ფორმულირება ეროვნული მთავრობებისათვის აწესებს სტანდარტს, არ დაკმაყოფილდნენ და შესაბამისად, არ შეჩერდნენ „მინიმალურად გარანტირებულ სტანდარტებზე“ ჯანდაცვის სფეროში და მიზნად დაისახონ უმაღლესი სტანდარტების მიღწევა, მიუხედავად მომსახურების მიმწოდებელი სხვადასხვა სამსახურების განსხვავებული შესაძლებლობებისა. გარდა აღნიშნული 35-ე მუხლისა, ქარტია ასევე, შეიცავს მთელ რიგ ისეთ დებულებებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ შეეხება პაციენტთა უფლებებს. მაგალითად: ადამიანის ღირსების შეუვალობა (მუხლი 1), სიცოცხლის უფლება (მუხლი 2); ადამიანის პიროვნების ხელშეუხებლობა (მუხლი 3); უსაფრთხოების უფლება (მუხლი 6); პირადი მონაცემების დაცულობა (მუხლი 8); დისკრიმინაციის დაუშვებლობა (მუხლი 21); კულტურული, რელიგიური და ლინგვისტური მრავალფეროვნების უფლება (მუხლი 22); ბავშვთა უფლებები (მუხლი 24); მოზარდთა უფლებები (მუხლი 25); სოციალური უზრუნველყოფისა და დაცვის უფლება (მუხლი 34); გარემოს დაცვის უფლება (მუხლი 37); მომხმარებელთა უფლებები (მუხლი 38); ცხოვრებისა და გადაადგილების თავისუფლება (მუხლი 45).

პაციენტის უფლებათა ქარტიაში გადმოცემული 14 უფლება ასევე, უკავშირდება საერთაშორისო დოკუმენტებს და დეკლარაციებს, რომლებიც შემუშავებულია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და ევროსაბჭოს მიერ.

ქარტია გამოყენებადია ყველა მოქალაქის მიმართ, მიუხედავად არსებული განსხვავებისა ასაკის, სქესის, რელიგიის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, განათლების თუ სხვა ფაქტორებისა, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინონ ინდივიდისათვის საჭირო ჯანდაცვის მომსახურების მიწოდების საჭიროებაზე. ქარტია არ ითვალისწინებს ეთნიკურ საკითხებს. პაციენტის თოთხმეტი უფლება წარმოადგენს ფუნდამენტურ უფლებათა ფაქტიობრივ განსახიერებას, რის გამოც ისინი აღირებული და დაფასებული უნდა იყოს მიუხედავად ფინანსური, ეკონომიკური ან პოლიტიკური შეზღუდვებისა და მათგან გამომდინარე, შესაბამისი კრიტერიუმებისა; აღნიშნულ უფლებათა აღიარება და პატივისცემა მოიცავს როგორც ტექნიკურ-ორგანიზაციულ მოთხოვნათა ასევე, ქცევით-პროფესიული მოდელის დამყარებასა და შესრულებას. აქედან გამომდინარე, დღის წესრიგში დგება გლობალურ რეფორმათა საჭიროება, იმ გზებზე, რომლებითაც ეროვნული ჯანდაცვის სისტემები ოპერირებენ.

დასკვნა

ზემოთ განხილული საერთაშორისო აქტების ერთობლივი შეჯერებით შეიძლება დავასკვნათ, რომ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებები განმტკიცებულია ადამიანის უფლებებისადმი მიძღვნილი ყველა ძირითადი ხელშეკრულებითა და კონვენციით და მოიცავს ადამიანის უფლებას: ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უმაღლეს ხელმისაწვდომ სტანდარტებზე; ადეკვატური ჯანდაცვისა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მომსახურების თანაბარხელმისაწვდომობაზე, განურჩევლად სქესისა, რასისა და სხვა მდგომარეობებისა; საკვების სამართლიან განაწილებაზე; უსაფრთხო სასმელი წყლის და სანიტარიული პირობების ხელმისაწვდომობაზე; ცხოვრებისა და დაბინავების ადეკვატურ სტანდარტებზე;

უსაფრთხო და ჯანსაღ გარემოზე; უსაფრთხო და ჯანსაღ სამუშაო პირობებზე და ორსულ ქალთა ადეკვატურ დაცვაზე მათთვის სახიფათო საქმიანობისაგან; ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ განათლებასა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე;

მიუხედავად ჯანმრთელობის უფლების დაცვასთან დაკავშირებული არაერთი დეკლარაციის, რეზოლუციისა თუ შეთანხმებისა, ზოგიერთ სპეციფიკურ შემთხვევებში, პაციენტთა უფლებები კითხვის ნიშნის ქვეშ ექცევა, როგორც იურიდიული ნიშნით, ისე არსებული რეალობიდან გამომდინარე. ხშირ შემთხვევებში, დადგენილი იურიდიული ნორმები, რეალურად არ ხორციელდება გამომდინარე ნაციონალური სპეციფიკიდან, ფინანსური სიტუაციიდან და ასევე, რეალური ასამოქმედებელი ბერკეტების სისუსტის ან არარსებობის გამო. კანონით დადგენილი და ხშირ შემთხვევაში შეუსრულებელი ასეთი უფლებები ხშირად, მონიტორინგის და სხვადასხვა პროგრამების განხორციელების დროსაც კი, არ აისახება, მათ ხშირად იგნებენ კიდევ ახლადმოსული მთავრობები, მიუხედავად იმისა, რომ ეს მომენტები შესაძლოა ასახულიც კი, იყოს მათ წინასაარჩევნო პლატფორმაში. ასეთი არასასურველი შემთხვევების აცილების მიზნით, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოხდეს ევროპული ქვეყნების საკანონმდებლო საკითხების ჰარმონიზაცია და პაციენტთა უფლებების დაცვის საკანონმდებლო გარანტიების დაყრდნობა ევროპის საბჭოს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის და სხვა მნიშვნელოვანი საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებსა და დეკლარაციებზე. ეს უკანასკნელნი ეყრდნობიან ორგანიზაციულ სტანდარტებს, ტექნიკურ პარამეტრებს და ასევე, პროფესიული ქცევის მოდელებს.

პაციენტთა უფლებების დაცვის საკითხებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო დოკუმენტები მეტად მყარი გზავნილია ევროპის რეგიონის ქვეყნებისათვის, რათა მათ გაააქტიურონ და ხელი შეუწყონ საქმიანობას ამ საკითხებთან დაკავშირებით, მათ შესაბამის იურისდიქციებში. მიუხედავად ამისა, პაციენტთა სოციალური უფლებების განმტკიცება სახელმწიფოსაგან მოითხოვს სათანადო საბიუჯეტო დაგეგმარებასა და რესურსებს, რისი მიღწევაც რეალურად პირდაპირპროპორციულია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონისა. მოვლენათა განვითარების ასეთ ფონზე, აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნები გვიჩვენებენ რეალურ წინსვლას საკანონმდებლო გარანტიების პრაქტიკული განხორციელების ასპექტებში.

ბიბლიოგრაფია

1. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ბილი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 1999;
2. რონა კ. მ. სმიტი, ადამიანის საერთაშორისო უფლებები, ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005;
3. ასბორნ ეიდე, კატარინა კრაუზე, ალან როსა, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები, თბილისი, 2006;
4. პაციენტთა უფლებების დაცვის საკითხები საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებსა და საქართველოს კანონმდებლობაში, მარინა კვაჭაძე, საქართველო და საერთაშორისო სამართალი, თბილისი, 2001;
5. გ. ჯავაშვილი, კომენტარები ევროპის საბჭოს კონვენციაზე „ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ“;
6. მარინა კვაჭაძე, ადამიანის უფლებები და თანამედროვე სამედიცინო სამართალი, თბილისი, 1998;
7. <http://laws.codexserver.com> საქართველოს სრული საკანონმდებლო ბაზა;
8. <http://moh.gov.ge> საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
9. <http://www.psidiscourse.ge> საზოგადოებრივი განხილვები, ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური სფერო;
10. www.medportal.ge

შენიშვნები:

- ¹ საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“, მუხლი 4. „დ“.
- ² მერი რობინსონი, გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარი, 1997-2002.
- ³ რონა კ. მ. სმიტი, ადამიანის საერთაშორისო უფლებები, ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005, გვ. 209.
- ⁴ რონა კ. მ. სმიტი, ადამიანის საერთაშორისო უფლებები, ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005, გვ. 202.
- ⁵ პაციენტთა უფლებების დაცვის საკითხები საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებსა და საქართველოს კანონმდებლობაში, მარინა კვაჭაძე, საქართველო და საერთაშორისო სამართალი, თბილისი, 2001.
- ⁶ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ბილი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 1999.
- ⁷ www.parliament.ge
- ⁸ www.parliament.ge
- ⁹ www.parliament.ge
- ¹⁰ გ. ჯავაშვილი, კომენტარები ევროპის საბჭოს კონვენციაზე „ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ“, OCGF.
- ¹¹ www.medportal.ge
- ¹² „ადამიანის გენომი“, www.Medportal.ge
- ¹³ www.Medportal.ge

INTERNATIONAL STANDARDS FOR PROTECTION OF RIGHTS OF PATIENTS


NUNU KVANTALIANI

Justice of the Supreme Court

Doctorate student of the Technical University of Georgia

By summarizing international acts in this paper, we can conclude that health related human rights are reinforced by all treaties and conventions on human rights and includes the following: human right to highest available physical and mental health standard; equal accessibility of adequate healthcare and healthcare services notwithstanding sex, race and other conditions; just distribution of food; accessibility of safe drinking water and sanitary conditions; the right to life and adequate accommodation; the right to safe and healthy environment and adequate protection of pregnant women from hazardous activities; the right to healthcare related education and information accessibility;

Despite numerous declarations, resolutions and treaties on the right to healthcare, in some cases, rights of patients are under question from legal standpoint as well as from the standpoint of existing reality. In often cases, established legal provisions, are not in fact observed due to national specificity, financial conditions or weak instruments or the lack of them. Such rights, established by the law, but never observed, are not reflected even during monitoring or implementation of other programmes despite the fact that they are often forgotten by new governments, although these issues could have been the part of their elections programmes. In order to avoid such undesirable situations, it is first of all necessary to harmonize legislative matters and base patients' rights on EC, World



Health Organization's recommendations and declarations. The latter is based on organizational standards, technical parameters and professional conduct models.

International documents on patients' rights represent a sound message to countries of the European Region in order for them to facilitate and support activities in this area in respective jurisdictions. Despite that, reinforcement of social rights of patients requires the states to do relevant budget planning and resources; it is directly proportionate to the level of economic development of the country. In such circumstances, countries of Eastern and Central Europe show real progress in terms of practical implementation of legislative guarantees.

საორდერო ფასიანი ქალაქი და მისი სამართლებრივი მონესრიგების ძირითადი ასპექტები

იკა ზარნაძე

გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე, სამართლის დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კერძო
სამართლის მიმართულების ასოცირებული პროფესორი

სამოქალაქო ბრუნვაში ფასიანი ქალაქების, როგორც რეალური საქონლისა და ფულადი ნიშნების იურიდიული შემცვლელის გამოჩენა ვაჭრობის განვითარების ბუნებრივ შედეგს წარმოადგენს. პირველი ფასიანი ქალაქები ევროპაში შუა საუკუნეების დასაწყისში წარმოიშვა. თავიდან ფართო გავრცელება ჰპოვა მარტივმა თამასუქმა, შემდეგ გადასაპირებელი თამასუქიც გაჩნდა. ფასიანი ქალაქების ბრუნვის მონაწილენი იყვნენ ვაჭრები და ჩვეულებრივი მოქალაქეები, შესაბამისად, ურთიერთობა სავაჭრო ჩვეულებებისა და ადათების საფუძველზე რეგულირდებოდა. თანდათანობით სახელმწიფოთა ეკონომიკურ ცხოვრებაში ფასიანი ქალაქების როლის გაზრდამ მოითხოვა მათი მარეგულირებელი ჩვეულებებისა და ადათების სანქცირება, რის შედეგადაც მიღებული იქნა საკანონმდებლო აქტები ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში (მეთექვსმეტე საუკუნის მეორე ნახევარში იტალიამ მიიღო თამასუქის წესდება, მსგავსი ნორმატიული აქტი მიღებულ იქნა ბრიუსელში, ესპანეთში და სხვ). პირველი ფასიანი ქალაქები უფრო მეტად სახელობითი და საორდერო ხასიათის იყო. რაც შეეხება სანარმდგენლო ფასიან ქალაქებს, ისინი სამოქალაქო ბრუნვაში უფრო მოგვიანებით გაჩნდა – მეჩვიდმეტე საუკუნეში, საფრანგეთში გავრცელდა სავალო საბუთები ე.წ. *billets en blanc*, სადაც კრედიტორის ვინაობის აღნიშვნისათვის განკუთვნილი ადგილი ცარიელი იყო. ამგვარი დოკუმენტების გამოჩენას წინააღმდეგობა მოჰყვა მთავრობის მხრიდან – ფიზიკური პირების მიერ მათი გაცემა სახიფათოდ იქნა მიჩნეული სახელმწიფო ფულის ნიშნებისათვის და 1719 წლიდან „უსახელო“ სავალო საბუთები აიკრძალა. სანარმდგენლო

ფასიანი ქალაქების წინააღმდეგი იყო იურისტთა გარკვეული ნაწილიც (რომანისტები) და მოცემული სახის სავალო საბუთებს რომის სამართლის მიერ აღიარებული ვალდებულების ინდივიდუალურობის პრინციპთან შეუსაბამოდ თვლიდა. საწარმდგენლო ფასიანი ქალაქები აიკრძალა ევროპის ზოგიერთ სხვა სახელმწიფოშიც, მაგრამ მეცხრამეტე საუკუნისათვის ისინი კვლავ დაბრუნდნენ სამოქალაქო ბრუნვაში.¹

ფასიანი ქალაქების ცალკეული სახეები შუა საუკუნეების საქართველოშიც იყო გავრცელებული. ცნება „თამასუქი“ სავალო საბუთის მნიშვნელობით გვხვდება ჩვეულებით სამართალში, ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნში. ეს უკანასკნელი თამასუქის აუცილებელ რეკვიზიტებსაც კი განსაზღვრავდა. თამასუქში სხვა პირობებთან ერთად ზოგჯერ ვალის აღების მაიძულებელ გარემოებებზეც მიუთითებდნენ.²

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, ევროპაში ეკონომიკის აღმავლობამ ხელი შეუწყო ფასიანი ქალაქების ბრუნვის გაძლიერებას, რასაც მისი სამართლებრივი რეგლამენტაციის განვითარება მოჰყვა. სწორედ ამავ პერიოდში, გერმანელი მეცნიერის ბრუნერის შრომებში გამოჩნდა ფასიანი ქალაქების კლასიკური თეორია და ფასიანი ქალაქების სამართალი. პირველად მან გააერთიანა სხვადასხვა სახის ფასიანი ქალაქი ერთიანი ცნების ქვეშ და სცადა ჩამოეყალიბებინა საწარმდგენლო, საორდერო და სახელობით ფასიან ქალაქებად მათი დაყოფის სამართლებრივი საფუძვლები.³

ფასიანი ქალაქი დადგენილი ფორმის მქონე საბუთია (დოკუმენტი), რომლის წარმოდგენაც აუცილებელია მასშივე გამოხატული ქონებრივი უფლებით შესრულების მისაღებად.⁴ ფასიანი ქალაქი შეიძლება უშუალოდ ქალაქის სახით არც არსებობდეს, მაგრამ იგი ყოველთვის გულისხმობს შესაბამისი ქონებრივი უფლებისათვის მატერიალური მატარებლის არსებობას, რაც ასევე, შესაბამისი ფორმის მქონე დოკუმენტად (საბუთად) უნდა მოვიზაროთ. „ფასიანი ქალაქებისა და ბირჟის საკითხები ტექნიკის გავლენასაც განიცდის. ამ კანონზომიერებისათვის გვერდის აქცევა არ შეიძლება, თუ გვინდა რომ გარიყული არ აღმოვჩნდეთ. მოცემული კანონი („ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონი) სრულად ითვალისწინებს ამ მომენტსაც, კერძოდ, „არამატერიალურ ფასიან ქალაქებზე,“ ანუ ფასიანი ქალაქების სამართალზე ფასიანი ქალაქების გარეშე, საუბარია კანონის მეორე მუხლში.“⁵ ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 33-ე პუნქტის მიხედვით, არამატერიალური ფასიანი ქალაქი „არ არსებობს ქალაქის ფორმით, მაგრამ არსებობს ჩანაწერის სახით ფასიანი ქალაქების რეესტრში ან ცენტრალურ დეპოზიტარში ბენეფიციარი მესაკუთრის ან ნომინალური მფლობელის სახელზე.“ ფასიანი ქალაქების რეესტრში რეგისტრაციის წარმოების სპეციალური წესი, რაც კომპიუტერული ტექნიკით ხორციელდება ასევე, განისაზღვრება სპეციალური ნორმატიული აქტებით.⁶

1. საორდერო ფასიანი ქალაქის ცნება, ფორმა და სახეები

ფასიანი ქალაქის ინსტიტუტის ერთ-ერთი მიზანია უფლების განხორციელების გაადვილება. მას ადგილი აქვს როგორც კრედიტორის, ისე – მოვალის მიმართ და მისი მიღწევის ერთ-ერთი საშუალებაა ფასიანი ქალაქით უფლებამოსილი სუბიექტის ლეგიტიმაციის წესი. ეს უკანასკნელი ფასიანი ქალაქების – საწარმდგენლო, საორდერო და სახელობითად კლასიფიკაციის საფუძველია. სუბიექტის ლეგიტიმაციის საშუალება გულისხმობს ფასიანი ქალაქის გადაცემისა და მოთხოვნის უფლების მქონე პირის განსაზღვრის გარკვეულ წესს. აღნიშნული საფუძვლით, ფასიანი ქალაქების კლასიფიკაცია დამახასიათებელია კონტინენტური ევროპის ქვეყნების სამართლისათვის.⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსიც (911-929-ე მუხლი) განსაზღვრავს რა, ფასიანი ქალაქების სამართლის ზოგად დებულებებს, აფუძნებს ფასიანი ქალაქების დაყოფას საწარმდგენლო, საორდერო და სახელობით ფასიან ქალაქებად.⁸

სამოქალაქო კოდექსის 911-ე მუხლი განსაზღვრავს საწარმდგენლო ფასიანი ქალაქის ცნებას და ადგენს, თუ ვინმე გასცემს დოკუმენტს, რომლითაც ის დოკუმენტის მფლობელს გადახდას ჰპირდება, მაშინ მფლობელს შეუძლია მოითხოვოს გადახდა დაპირების თანახმად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მას ამის უფლება არ ჰქონდა.

სამოქალაქო კოდექსის 922-ე მუხლის მიხედვით, სავალო დოკუმენტი, რომლითაც ემიტენტი დოკუმენტის წარდგენისას გადახდას ჰპირდება დასახელებულ პირს, შეიძლება გაიცეს საორდერო ფასიანი ქაღალდის სახით.

სამოქალაქო კოდექსის 928-ე მუხლი ადგენს პირადი (სახელობითი) ფასიანი ქაღალდის ცნებას – განსაზღვრული პირის სახელზე შედგენილი დოკუმენტი შეიძლება გაიცეს იმ პირობით, რომ მოვალეს დაეკისრება გადახდა მხოლოდ ამ პირის დოკუმენტის ჩაბარების სანაცვლოდ. მართებული იქნებოდა სამოქალაქო კოდექსს, ნაცვლად ცნებისა „პირადი“ გამოეყენებინა ტერმინი „სახელობითი“, რაც მოცემული სახის ფასიანი ქაღალდის შინაარსს უფრო ნათლად ასახავს. „პირადი“ არქონებრივი, პიროვნულობასთან მჭიდროდ დაკავშირებული უფლების ამსახველი ცნებაა და არა მაღალი ბრუნვაუნარიანობის მქონე ქონებრივი უფლებისა.

“Order” ინგლისური სიტყვაა, ნიშნავს ბრძანებას და ამ სახის ფასიან ქაღალდებს „ბრძანებით ქაღალდებსაც“ (приказные бумаги) უწოდებდნენ⁹. საორდერო ფასიან ქაღალდებში ყოველთვის აღინიშნება კრედიტორი, განსხვავებით სანარმდგენლო დოკუმენტებისაგან, მაგრამ „ყოველთვის“ არ ნიშნავს ფასიანი ქაღალდის მთელი ბრუნვის განმავლობაში. კრედიტორის სახელი დოკუმენტში ყოველთვის მითითებულია მისი მოვალისათვის წარდგენისას. ეს უკანასკნელი მხოლოდ ფასიანი ქაღალდების პირველ შემძენს აღნიშნავს საბუთში, ფასიანი ქაღალდის ყოველი შემდგომი მესაკუთრე და შესაბამისად, ყოველი შემდგომი კრედიტორი, მიეთითება მისი წინამორბედის მიერ.

საორდერო ფასიანი ქაღალდი შეიძლება არსებობდეს მხოლოდ მატერიალური ფორმით. ვინაიდან, არამატერიალურ დოკუმენტებზე უფლებათა ფიქსაციას ახორციელებს თავად ემიტენტი ან ამ უკანასკნელის დავალებით, დამოუკიდებელი რეგისტრატორი სპეციალიზებულ რეესტრში. ეს ნიშნავს ფასიანი ქაღალდის მფლობელის ყოველი შეცვლის შესახებ მოვალისათვის სავალდებულო წესით შეტყობინებასა და ფასიან ქაღალდზე საკუთრების უფლების წარმოშობას აღნიშნული რეგისტრაციის საფუძველზე, რაც ეწინააღმდეგება საორდერო საბუთების ბუნებას.

საორდერო ფასიანი ქაღალდები შეიძლება გაიცეს კონკრეტული პირის სახელზე მითითებით: „განკარგულებით“ ან ასეთი მითითების გარეშე. კონკრეტული პირის სახელზე გაცემული საორდერო საბუთი, ერთი შეხედვით, სახელობით ფასიან ქაღალდებს ჰგავს, რომელიც გაიცემა ასევე, კონკრეტულ კრედიტორზე მითითებით, მაგრამ ამ უკანასკნელისათვის კანონმდებლობით აუცილებელია მითითების: „არაგანკარგულებისამებრ“ გაკეთება ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი სიტყვების აღნიშვნა (საქართველოს კანონი „ჩეკის შესახებ“, მე-10 მუხლი; საქართველოს კანონი „თამასუქის შესახებ“, მე-8 მუხლი). აღნიშვნა „საორდერო“ ფასიან ქაღალდებზე საკანონმდებლო აუცილებლობას არ წარმოადგენს. მიზანშეწონილი იქნებოდა ასეთი აღნიშვნის გაკეთება ისეთ საორდერო დოკუმენტზე, სადაც კრედიტორად დასახელებულია კონკრეტული პირი ისეთი აღნიშვნის გარეშე როგორცაა, „განკარგულებისამებრ.“

სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს იმ დოკუმენტების ჩამონათვალს, რომელიც ფასიან ქაღალდად განიხილება. კოდექსში ასევე, არ არის მითითება თუ რომელი ფასიანი ქაღალდი შეიძლება არსებობდეს სანარმდგენლო, საორდერო თუ სახელობითი ფასიანი ქაღალდის სახით. სამოქალაქო კოდექსის ოცდამეოთხე თავი „ფასიანი ქაღალდების ბრუნვიდან წარმოშობილი ვალდებულებანი“ (911-928-ე მუხლი) ადგენს ფასიანი ქაღალდების სამართლის ძირითად დებულებებს და მოთავსებულია ვალდებულებითი სამართლის (ნიგნი მესამე) კერძო ნაწილში – „სახელმეკრულებო სამართალი“, შესაბამისად, მასზე უნდა ვრცელდებოდეს ზოგადი დებულებანი ხელშეკრულებათა შესახებ. კერძოდ, 319-ე მუხლი ხელშეკრულების თავისუფლების შესახებ, რაც სხვა ასპექტებთან ერთად, ასევე, გულისხმობს კერძო სამართლის სუბიექტთა უფლებას დადონ ხელშეკრულებები, რომელიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას. მოცემული პრინციპი პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა იქნეს მოაზრებული ფასიანი ქაღალდების მიმართ, რადგან დოკუმენტის აღიარება ფასიან ქაღალდად მასზე სპეციალურ სამართლებრივ რეჟიმს ავრცელებს. კანონმდებლობის ანალიზიდან გამომდინარე, ფასიან ქაღალდად უნდა იქნეს მიჩნეული დოკუმენტი თუ მას ასეთად კანონი აღიარებს. თუ რომელი სახით შეიძლება არსებობდეს ფასიან

ქალაქად კანონმდებლობით აღიარებული დოკუმენტი – საორდერო, სანარმდგენლო თუ სახელობითი სახით – უნდა დადგინდეს მისი მომწესრიგებელი ნორმების ანალიზის საფუძველზე. მართებული იქნებოდა დებულება იმის შესახებ, რომ ფასიან ქალაქად მიიჩნევა მხოლოდ დოკუმენტი, რომელიც ასეთადაა აღიარებული და განმტკიცებული კანონმდებლობით (სამოქალაქო კოდექსით). ასევე უპრიანია, ცალკეული ფასიანი ქალაქების შესახებ სპეციალური ნორმები პირდაპირ ადგენდეს თუ რა სახის ფასიან ქალაქად შეიძლება იგი ბრუნვაში არსებობდეს: სახელობითი, საორდერო თუ სანარმდგენლო სახით (ისევე, როგორც ამას ადგილი აქვს მაგალითად, თამასუქის, ჩეკის, აქციის შემთხვევაში).

კლასიკურ საორდერო ფასიან ქალაქს წარმოადგენს თამასუქი, „რომლის მაგალითზეც და რომლის მიხედვითაც შესაძლებელია ამავე კატეგორიის სხვა ფასიანი ქალაქების რეგულირება.“¹⁰ თამასუქი სავალო დოკუმენტია, რომლითაც მისი გამცემი პირი კისრულობს უპირობო ვალდებულებას, გადაიხადოს მასში აღნიშნული თანხა პირადად ან გადახდას ავალებს მესამე პირს. იგი შეიძლება იყოს მარტივი – სოლო თამასუქი, ან გადასაპირებელი – ტრატა. მარტივი თამასუქის გამცემი თავად კისრულობს აღნიშნული თანხის გადახდას, გადასაპირებელი თამასუქით კი, მისი გამცემი-მოვალე გადახდას სთავაზობს მესამე პირს (ტრასატს). ეს უკანასკნელი ჩვეულებრივ, უფლებამოსილია და არ არის ვალდებული გაანაღდოს თამასუქი. თუმცა, ზოგჯერ იგი შეიძლება ვალდებულიც იყოს გადაიხადოს, მაგალითად, სააქციუტო კრედიტის დროს, რომლის საფუძველზეც ბანკი ახორციელებს კლიენტის მიერ წარდგენილი ტრატის ჯერ აქციუტირებას, შემდეგ კი, გადახდის ვადის დადგომისას, მის განაღდებას. ტრასატსა და ფასიანი ქალაქის გამცემს შორის ურთიერთობა ფასიან ქალაქში გამოხატული სამართლებრივი ურთიერთობის „ფარგლებს გარეთაა“. ტრასატი თამასუქს ანაღდება თავისი სახელითა და ხარჯით. იგი ნამდვილია იმ ურთიერთობის ნამდვილობის მიუხედავად, რომელიც ტრასანტსა და ტრასატს შორის არსებობს. ანგლო-ამერიკულ სამართალში კი, მესამე პირი ჩვეულებრივ ვალდებულია, გაანაღდოს თამასუქი, რადგან ტრასანტის მიერ ტრასატის დასახელებას ყოველთვის აქვს სამართლებრივი საფუძველი, რომლის არარსებობა ან ბათილობა იწვევს თამასუქის ბათილობას.¹¹

საორდერო ფასიანი ქალაქის სახით შეიძლება არსებობდეს ჩეკიც. საორდერო ჩეკით გამცემი ავალებს მესამე პირს, კერძოდ კი, საბანკო დაწესებულებას – გაუნაღდოს თანხა დასახელებულ პირს (კანონი „ჩეკის შესახებ,“ 1-2 მუხლი). ერთი შეხედვით, ჩეკი გადასაპირებელ თამასუქს ჰგავს: ორივე ფასიანი ქალაქი შეიცავს გამცემის დავალებას მესამე პირისადმი გაუნაღდოს აღნიშნული თანხა დოკუმენტში დასახელებულ პირს. მაგრამ მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა – საორდერო ჩეკი აქციუტირებას არ ექვემდებარება. საბანკო დაწესებულება ვალდებულია გაანაღდოს ჩეკი მასსა და ჩეკის გამცემს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. იგი ანაღდება რა ჩეკს, მოქმედებს ჩეკის გამცემის სახელითა და ხარჯით და ფაქტობრივად, გვევლინება ჩეკის გამცემის რწმუნებულად. დღეს ფართოდაა გავრცელებული უნაღდო ფულადი ანგარიშსწორება პლასტიკური ბარათის მეშვეობით, რომელიც ფორმის თვალსაზრისით, ჩეკის სახეცვლილებას წარმოადგენს, რაც ტექნიკის განვითარებამ განაპირობა. შეიძლება ითქვას, რომ ჩეკი თანამედროვე ურთიერთობებში პლასტიკური ბარათის ფორმით გვხვდება, მხოლოდ იგი მოიაზრებს სანარმდგენლო ან სახელობით ჩეკს. პლასტიკური ბარათის, ისევე როგორც ჩეკის მფლობელს აქვს მოთხოვნის უფლება საბანკო დაწესებულებისადმი – გაანაღდოს მასში აღნიშნული თანხა. ამასთან, მხოლოდ იმ საბანკო დაწესებულების მიმართ, რომელშიც ინახება ჩეკის თუ პლასტიკური ბარათის მესაკუთრის ფულადი სახსრები. ასევე, აუცილებელია ხელშეკრულება საბანკო დაწესებულებასა და ჩეკის, პლასტიკური ბარათის მესაკუთრეს შორის. გადასაპირებელი განსხვავებით თამასუქისაგან საჩეკო ურთიერთობა უშუალო კავშირშია ჩეკის გამცემსა და განაღდებელს შორის არსებულ ურთიერთობასთან.

ფასიანი ქალაქების მაღალი ბრუნვაუნარიანობა განაპირობებს, რომ ბრუნვაში ზოგიერთი სახის საორდერო ფასიანი ქალაქი, როგორცაა თამასუქი და ჩეკი, შესაბამისად, პლასტიკური ბარათიც შეიძლება არსებობდეს ეგზემპლარების სახით. გადასაპირებელი თამასუქი, ისევე, როგორც ჩეკი შეიძლება გამოიწეროს რამდენიმე ეგზემპლარად, მაგრამ მხოლოდ რიგითი ნომრების აღნიშვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში თითოეული მათგანი ჩაითვლება დამოუკიდებელ ფასიან ქალაქად. ეგზემპლარის გაცემის

უფლება აქვს მხოლოდ მოვალეს (კანონი ‘თამასუქის შესახებ,’ 57-59-ე მუხლი; კანონი ‘ჩეკის შესახებ,’ 40-41-ე მუხლი).

საორდერო ფასიანი ქალაქის სახით ასევე, შეიძლება არსებობდეს სასაწყობო მონობა. იგი გაცივება სასაქონლო საწყობში საქონლის შესანახად მიზარებისას (სამოქალაქო კოდექსი, 789-ე მუხლი).

ზემო აღნიშნული საორდერო ფასიანი ქალაქებისათვის კანონმდებლობით განმტკიცებულია ფასიანი ქალაქებისათვის დამახასიათებელი ისეთი ნიშანი, როგორცაა ფორმალური ხასიათი: ფასიანი ქალაქი შედგენილი უნდა იყოს კანონით განსაზღვრული ფორმით და შეიცავდეს ყველა აუცილებელ რეკვიზიტს, რომლის უგულებელყოფა იწვევს ფასიანი ქალაქის ბათილობას. მოცემული ნიშანი პირდაპირ არ არის გათვალისწინებული სამოქალაქო კოდექსის მესამე წიგნის ოცდამეოთხე თავში – „ფასიანი ქალაქების ბრუნვიდან წარმოშობილი ვალდებულებანი“, მაგრამ იგი დადგენილია სპეციალური ნორმებით: „ჩეკის შესახებ“ კანონის პირველი მუხლი, „თამასუქის შესახებ“ კანონის პირველი მუხლი, სამოქალაქო კოდექსის 789-ე მუხლი. მკაცრი ფორმალური ბუნება კი, თავის მხრივ განპირობებულია ფასიანი ქალაქების ე.წ. ლიტერალური ხასიათით, რაც გულისხმობს სუბიექტის უფლებას მოითხოვოს მოვალისაგან მხოლოდ ისეთი მოქმედების შესრულება, რომელიც მითითებულია დოკუმენტში, ანუ ვალდებულების შინაარსი მხოლოდ ფასიანი ქალაქით განისაზღვრება.

ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობით, საორდერო ფასიანი ქალაქს იპოთეკის მონობაც წარმოადგენს, რომელიც ბოლო პერიოდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიახლეა ქართულ სამოქალაქო კოდექსში. კოდექსის 289¹-ე მუხლის თანახმად, იპოთეკის მონობა არის ფასიანი ქალაქი, რომელიც დგება ერთ ეგზემპლარად და ადასტურებს მისი კანონიერი მფლობელის უფლებას: ა) მოითხოვოს იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება, ბ) ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მოთხოვნა დაიკმაყოფილოს იპოთეკის საგნიდან. 289²-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილი ადგენს იპოთეკის მონობის რეკვიზიტებს და ითვალისწინებს მისი დადასტურების აუცილებლობას საჯარო რეესტრის ბეჭდით. ამავე მუხლის მესამე ნაწილი განამტკიცებს ფასიანი ქალაქებისათვის დამახასიათებელ ფორმალური ნიშანს და ადგენს, რომ ამ მუხლის პირველ და მეორე ნაწილებში აღნიშნულ მოთხოვნათა დარღვევა იწვევს მონობის ბათილობას. კოდექსის 289³-ე მუხლის მიხედვით, იპოთეკის მონობის ფაქტობრივი მფლობელი ითვლება მის კანონიერ მფლობელად, ვიდრე საწინააღმდეგო არ დამტკიცდება, მაგრამ მხოლოდ ეს დანაწესი არ არის საკმარისი იპოთეკის მონობის საწარმდგენლო ფასიანი ქალაქად განსახილველად.¹² ამავე კოდექსის 289⁴-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, იპოთეკის მონობაში მოცემული მოთხოვნის დათმობა ხდება იპოთეკის მონობაზე უფლების გადაცემის სანოტარო წესით დამონებული ხელმოწერით, ხოლო მეოთხე ნაწილი ადგენს მოთხოვნის დათმობის შესახებ მოვალისათვის შეტყობინების ვალდებულებას იმ პირისათვის, რომლის სასარგებლოდაც მოხდა მოთხოვნის დათმობა. ამდენად, ქართულმა კანონმდებლობამ იპოთეკის მონობა მხოლოდ სახელობითი ფასიანი ქალაქის სახით აღიარა. სახელობითი ფასიანი ქალაქები ყველაზე დაბალი ლიკვიდურობით გამოირჩევიან ფასიანი ქალაქების კლასიფიკაციაში. მოცემული სახის დოკუმენტები კი, მნიშვნელოვანია იპოთეკური კრედიტის მეორადი ბაზრის განვითარებისათვის და ხელს უწყობს კრედიტის რეფინანსირების სისტემას. იგი აქტიურად განიხილება საბანკო კრედიტის სექტორის განვითარების ერთ-ერთ ელემენტად ამერიკულ საბანკო და ფასიანი ქალაქების სამართალში¹³. ამდენად, უპირიანი იქნებოდა, კანონმდებელს გაეთვალისწინებინა მისი საორდერო ფასიანი ქალაქის სახით არსებობა, რომელიც მეტად ბრუნვაუნარიანია, ვიდრე სახელობითი და ნაკლებად ბრუნვაუნარიანია, ვიდრე საწარმდგენლო ფასიანი ქალაქები.

საორდერო ფასიანი ქალაქები სავაჭრო ან საქონელგანმკარგავი დოკუმენტებია, რომელიც რეგულირდება სხვადასხვა საკანონმდებლო აქტებით (საქართველოს კანონი „ჩეკის შესახებ“, საქართველოს კანონი „თამასუქის შესახებ“, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და სხვ.). სავაჭრო ფასიანი ქალაქები თავის მხრივ, საანგარიშსწორებო (ჩეკი, პლასტიკური ბარათი) ან საკრედიტო (თამასუქი) დოკუმენტებია, რომელიც ფაქტობრივად ცვლის ფულს ქონებრივ ურთიერთობაში.¹⁴ აქვე აღსანიშნავია პლასტიკური ბარათის, რომელიც დღეს ყველაზე მეტად გავრცელებულ საანგარიშსწორებო დოკუმენტია საქართვე-

ლოში, სამართლებრივი რეგლამენტაციის სიმწირის შესახებ ქართულ კანონმდებლობაში. საქონელგანმკარგავ ფასიან ქალაქებს განეკუთვნება ისეთი დოკუმენტები, რომელთა გადაცემით გადადის უფლება განსაზღვრულ საქონელზე (მხოლოდ არა ფულზე), მაგალითად, სასაწყობო მოწმობა.

ამდენად, საორდერო ფასიანი ქალაქები ისეთი სავაჭრო ან საქონელგამკარგავი დოკუმენტებია, რომლის წარდგენისას მოთხოვნის უფლება აქვს თავად დოკუმენტის შინაარსში დასახელებულ ან ინდოსამენტთა უწყვეტი რიგით უფლებამოსილ პირს.

2. საორდერო ფასიანი ქალაქის გადაცემის წესი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 923-ე მუხლის თანახმად, საორდერო ფასიანი ქალაქი შეიძლება გადაცემულ იქნეს ინდოსამენტითა და დოკუმენტის გადაცემით. ინდოსამენტი კეთდება დოკუმენტზე ან მის დანართზე, დაშვებულია ტექნიკური საშუალების გამოყენებაც.

ინდოსამენტი ფასიანი ქალაქის მფლობელის წერილობითი განკარგულებაა დოკუმენტის გადაცემის შესახებ. პირი, რომელიც ახდენს ფასიანი ქალაქის ინდოსირებას არის ინდოსანტი, ხოლო პირი, ვის სასარგებლოდაც ადგილი აქვს ინდოსირებას – ინდოსატი. ინდოსამენტის ნამდვილობისათვის აუცილებელია ინდოსანტის ხელმოწერა. კანონმდებელი უშვებს ისეთ ინდოსამენტს, რომელიც მხოლოდ ხელმოწერით იქნება წარმოდგენილი (სამოქალაქო კოდექსი 923-ე მუხლი).

საორდერო ფასიანი ქალაქის გადაცემა გულისხმობს როგორც დოკუმენტზე სანივთო უფლების გადაცემას, ისე თავად ქალაქში გამოხატული მოთხოვნის უფლების დათმობასაც.

ინდოსამენტი ცესიის სახესხვაობას წარმოადგენს. იგი ისევე როგორც ცესია, ითვალისწინებს კრედიტორის მიერ ინდოსანტის – მოვალის თანხმობის გარეშე მოთხოვნის უფლების დათმობას მესამე პირისათვის. კლასიკური ცესიის დროს მოთხოვნის უფლების დათმობა ხდება მფლობელსა და მესამე პირს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე (სამოქალაქო კოდექსი 198-199-ე მუხლი). საორდერო ფასიანი ქალაქით მოთხოვნის უფლების დათმობის შესახებ შეთანხმება ინდოსამენტში აისახება.

საორდერო ფასიანი ქალაქის გადაცემის საფუძველს შეიძლება წარმოადგენდეს ნასყიდობა, გაცვლა და ა. შ., მაგრამ იგი გამოხატულებას არ პოულობს ინდოსამენტში. ეს უკანასკნელი, ისევე როგორც ჩვეულებრივი ცესია, აბსტრაქტული გარიგებაა. ინდოსანტი, ისევე როგორც ცენდენტი, პასუხს აგებს გადაცემული უფლების ნამდვილობისათვის. მაგრამ გამომდინარე ფასიანი ქალაქების, როგორც გარიგების, აბსტრაქტული ბუნებიდან და საჯარო უტყუარობიდან ინდოსანტი მოვალეს არ შეუძლია აღძრას კრედიტორის მიმართ ისეთი სარჩელი, რომელიც გამომდინარეობს წინა მფლობელთან ურთიერთობიდან. კლასიკური ცესიის დროს კი, „მოვალეს უფლება აქვს ნაუყენოს ახალ მფლობელს ყველა ის შესაგებელი, რაც მას ჰქონდა თავდაპირველი მფლობელის მიმართ მოთხოვნის დათმობის შესახებ ცნობის მიღების დროისათვის“ (სამოქალაქო კოდექსი 202-ე მუხლი).

ინდოსამენტი ფორმის მიხედვით შეიძლება იყოს სახელობითი ან საბლანკო (სამოქალაქო კოდექსი 923-ე მუხლი).¹⁵ სახელობით ინდოსამენტში აღინიშნება იმ პირის ვინაობა, ვისაც გადაეცა უფლება, საბლანკოში კი, ინდოსატი არ მიეთითება. ორივე ინდოსამენტისათვის აუცილებელია ხელმოწერა, საბლანკო ინდოსამენტისათვის იგი საკმარისიც კი არის.

ინდოსამენტი ყოველთვის სრულდება ფასიან ქალაქზე. კანონმდებელი არ განსაზღვრავს მის ადგილს დოკუმენტზე. გამონაკლისია მხოლოდ საბლანკო ინდოსამენტი, რომელიც „თამასუქის შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის მიხედვით უნდა შესრულდეს დოკუმენტის უკანა მხარეს ან დართულ ფურცელზე. „ჩეკის შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის მიხედვით კი, იგი „უნდა წაენეროს ჩეკის მეორე გვერდს ან პირველ ფურცელს.“

გამოყოფენ ინდოსამენტის ორ ფუნქციას: უფლების მატარებელი (Transport function) და საგარანტიო (Garantie function). პირველი – უფლების მატარებელი, რომელიც გულისხმობს მესამე პირისათვის უფლების

გადაცემას. იგი უნივერსალურია ყველა ინდოსამენტისათვის. ინდოსამენტი და დოკუმენტის გადაცემით ინდოსატი იძენს ყველა იმ უფლებას და იმ მოცულობით, რომელიც ჰქონდა ინდოსანტს ფასიანი ქალაქიდან გამომდინარე (ასეთ ინდოსამენტს „ჟირო“ ინდოსამენტსაც უწოდებენ *la girata*).

საგარანტიო ფუნქცია გულისხმობს თითოეული ინდოსანტის პასუხისმგებლობას არა მარტო გადაცემული უფლების ნამდვილობისათვის, არამედ მისი განხორციელებისათვისაც. ჩვენი კანონმდებლობით საგარანტიო ფუნქცია აქვს საჩეკო და სათამასუქო ინდოსამენტებს. მართებული იქნებოდა საგარანტიო ფუნქცია ქართველ კანონმდებელს ყველა საორდერო ფასიანი ქალაქის ინდოსამენტისათვის გაეთვალისწინებინა, რაც ამ სახის დოკუმენტებს მეტად „მიმზიდველს“ ხდის მომავალი კრედიტორებისათვის და შესაბამისად, ხელს უწყობს მათ ბრუნვას.

ინდოსამენტი შეიძლება შესრულდეს ნებისმიერი პირის სასარგებლოდ, იმ პირის გარდა, ვინც გასცა ფასიანი ქალაქი. ამ წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს თამასუქი. იგი შეიძლება ინდოსირებული იქნას როგორც აქცეპტანტზე, ისე მის გამომშვებზე, რომელსაც თავის მხრივ, შეუძლია თამასუქის შემდგომი ინდოსირება (კანონი „თამასუქის შესახებ“ მე-8 მუხლი).

დაუშვებელია ნაწილობრივი ინდოსამენტი, ანუ უფლების ნაწილის ან რაიმე პირობით ფასიანი ქალაქის გადაცემა. თუმცა, ამ უკანასკნელი წესიდან კანონმდებელი უშვებს გამონაკლისს და განსაზღვრავს იმ დათქმებს, რომელიც შეიძლება გააკეთოს უფლებამოსილმა პირმა. მაგალითად, ინდოსანტს უფლება აქვს აკრძალოს ფასიანი ქალაქის შემდგომი ინდოსირება, შეუძლია გააკეთოს დოკუმენტზე წარწერა „პროტესტს არ ექვემდებარება“, „დაბრუნდეს ხარჯების გარეშე“ ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი სიტყვები, რაც ათავისუფლებს მას განაღდებაზე უარის შემთხვევაში, პროტესტის გაფორმებისაგან (კანონი „ჩეკის შესახებ“ მე-11, 34-ე მუხლი; კანონი „თამასუქის შესახებ“, მე-40 მუხლი).

საორდერო ფასიანი ქალაქი შესრულების მისაღებად შეიძლება გადაეცეს მესამე პირს. ამ დროს დოკუმენტზე კეთდება წარწერა „თანხა გადასახდელად“, „მინდობილობით“ ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი სიტყვები, რომელიც ნათლად გამოხატავს მარწმუნებლის ნებას. ასეთი დათქმით გაკეთებული ინდოსამენტი წარმოადგენს მინდობილობით ინდოსამენტს, რომლის საფუძველზე რწმუნებული ღებულობს შესრულებას მარწმუნებლის სახელითა და ხარჯით. რწმუნებულს უფლება აქვს წარადგინოს ფასიანი ქალაქი გასანაღდებად, მიიღოს შესაბამისი თანხა, განაღდებაზე უარის შემთხვევაში, გააკეთოს პროტესტი. მას შეუძლია განახორციელოს ფასიანი ქალაქიდან გამომდინარე ყველა უფლება, გარდა ერთისა, – გადასცეს იგი მესამე პირს ინდოსამენტით.

საორდერო ფასიანი ქალაქი შეიძლება იყოს გირავნობის საგანი (სამოქალაქო კოდექსი 259-ე, 795-796-ე მუხლი). დაგირავება შეიძლება განხორციელდეს მასზე შესაბამისი წარწერისა და მოგირავნისათვის გადაცემის გზით. ამდენად, შეიძლება გამოვეყოთ ინდოსამენტის კიდევ ერთი სახე – საგირავნო ინდოსამენტი. საქონელგანმკარგავი ფასიანი ქალაქის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია ფასიანი ქალაქის გირავნობისა და იმ საქონლის, რომელზე უფლებასაც ფასიანი ქალაქი წარმოშობს, გირავნობის ურთიერთმიმართების საკითხი.

ამდენად, ჩვეულებრივი (*la girata*) ინდოსამენტი ცესიის სახესხვაობაა, რომლის საფუძველზეც, საორდერო ფასიანი ქალაქის გადაცემისათვის აუცილებელია თავად ფასიანი ქალაქის გადაცემაც. ინდოსამენტი შინაარსის მიხედვით, ასევე, შეიძლება იყოს მინდობილობითი და საგირავნო.

3. საორდერო ფასიანი ქალაქით შესრულების მიღება

სამოქალაქო კოდექსის 925-ე მუხლის თანახმად: 1. თანმიმდევრული ინდოსამენტებით დადასტურებული საორდერო ფასიანი ქალაქის მფლობელს შეუძლია ხელმოწერილი დოკუმენტების ჩაბარების სანაცვლოდ მოითხოვოს გადახდა დაპირების თანახმად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მას ამის უფლებამოსილება არა აქვს; 2. გადახდა არაუფლებამოსილი პირისათვის, რომელმაც თავის უფლება დაადასტურა

თანმიმდევრული ინდოსამენტის მეშვეობით, ათავისუფლებს მოვალეს, თუ იგი არ მოქმედებდა განზრახ ან გაუფრთხილებლობით.

ამდენად, საორდერო ფასიანი ქაღალდით შესრულების მისაღებად, ისევე როგორც სანარმდგენლო ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში, აუცილებელია დოკუმენტის წარმოდგენა, მაგრამ არასაკმარისი, ასევე, საჭიროა მფლობელის იდენტიფიკაცია დოკუმენტში დასახელებულ ან ბოლო ინდოსამენტში მითითებულ პირთან. ამ უკანასკნელის უფლებამოსილება ინდოსამენტთა უწყვეტი რიგიდან უნდა გამომდინარეობდეს და იმ პირის მიმართ შესრულება, რომლის უფლებაც თანმიმდევრული ინდოსამენტებით იქნა დადასტურებული, მოვალეს ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან, თუნდაც, წარმომდგენი არამართლზომიერი მფლობელი იყოს. პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა შემსრულებელმა არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა დოკუმენტის მფლობელის არამართლზომიერების შესახებ.

„ჩეკის შესახებ“ კანონის 27-ე მუხლის მიხედვით, გადამხდელი, რომელიც ახდენს გაცემული ჩეკის განაღდებას, ვალდებულია შეამოწმოს ინდოსამენტთა რიგის თანმიმდევრობის სისწორე, მაგრამ არა ინდოსანტთა ხელმოწერის ნამდვილობა. ამავე კანონის მე-7 მუხლის მიხედვით კი, თუ ჩეკს აქვს პირის ხელმოწერა, რომელსაც არ შეუძლია იკისროს ჩეკიდან გამომდინარე ვალდებულებები ან ყალბი ხელმოწერა, ეს გავლენას არ იქონიებს სხვა დანარჩენი ხელმოწერების ნამდვილობაზე. „თამასუქის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლიც ადგენს, თუ თამასუქში არის იმ პირის ხელმოწერა, რომელსაც უფლება არა აქვს იკისროს თამასუქიდან გამომდინარე ვალდებულებები ან ყალბი ხელმოწერა, ეს გავლენას არ ახდენს დანარჩენი ხელმოწერის ნამდვილობაზე. მოცემულ ნორმებში ასახული დანაწესი ფასიანი ქაღალდის საჯარო უტყუარობისა და აბსტრაქტულობის გამოხატულებაა და იგი რომანულ-გერმანული სამართლის ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი. ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნებში თამასუქი ბათილად ითვლება, თუ მასზე ყალბია თუნდაც ერთი ინდოსამენტი.¹⁶

ფასიანი ქაღალდის გაცემით იწყება ახალი სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც მოცემული ფასიანი ქაღალდით განისაზღვრება და არ არის კავშირში იმ ვალდებულებასთან, იმ კაუზასთან, რომელიც საფუძველს წარმოადგენდა დოკუმენტის გაცემისას. თამასუქის შესახებ კანონის პირველი და 68-ე მუხლის მიხედვით, თამასუქი უნდა შეიცავდეს უპირობო ვალდებულებას მითითებული ფულადი თანხის გადახდის შესახებ. შესაბამისად, თუ მაგალითად, ერთი მხარე გადასცემს ნასყიდობის საფუძველზე, გარკვეულ საქონელს მეორე მხარეს, ეს უკანასკნელი კი, ფულის სანაცვლოდ გასცემს თამასუქს, ამ უკანასკნელში გამოხატულ ვალდებულებასა (ფულადი თანხის გადახდა) და ნასყიდობიდან გამომდინარე ვალდებულებას შორის არ წარმოიშვება კაუზალური კავშირი. თამასუქით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება არ შეიძლება სადავო გახდეს ნასყიდობიდან გამომდინარე ვალდებულების არაჯეროვან შესრულებაზე მითითებით.

ფასიანი ქაღალდების აბსტრაქტული ხასიათი განაპირობებს, გარკვეულწილად, მათ საჯარო უტყუარობას. მოვალეს ფასიანი ქაღალდით შეუძლია განახორციელოს შესრულება, თუ დოკუმენტი დადგენილი ფორმისაა და შეიცავს ყველა აუცილებელ რეკვიზიტს. მოვალე ენდობა რა, დოკუმენტის ფორმალურ ნიშნებს არ არის ვალდებული და არც აქვს უფლება, შეამოწმოს მისი გაცემის საფუძველი.¹⁷ აღნიშნული ფასიანი ქაღალდების საჯარო უტყუარობის ნიშნის მატერიალურ მხარეს წარმოადგენს. პროცესუალური შინაარსი კი, შესაგებლის შეზღუდვის პრინციპში განმოიხატება. სამოქალაქო კოდექსი შესაგებლის შეზღუდვას ითვალისწინებს მხოლოდ სანარმდგენლო და საორდერო ფასიანი ქაღალდების მიმართ (სამოქალაქო კოდექსი 912-ე, 914-ე, 924-ე მუხლი).

საორდერო ფასიანი ქაღალდების სამართლებრივი რეჟიმის მნიშვნელოვანი ელემენტია პასუხისმგებლობის განსაკუთრებული წესი, რასაც საორდერო ფასიანი ქაღალდით ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება იწვევს და რომელიც საორდერო ინდოსამენტის საგარანტიო ფუნქციაში პოულობს გამოხატულებას.

როგორც აღინიშნა, კანონმდებლობა ინდოსამენტს საგარანტიო ფუნქციას ყველა ფასიანი ქაღალდისათვის არ ანიჭებს. მას საჩეკო და სათამასუქო ინდოსამენტი მოიცავს. შესაბამისად, უარი ჩეკის ან თამასუქის განაღდებაზე მოითხოვს კანონით დადგენილი წესით გაფორმებას. თამასუქის შემთხვევაში, დგება

ოფიციალური აქტი ანუ პროტესტი. ჩეკის გაუნაღებლობა კი, შეიძლება გაფორმდეს როგორც პროტესტით, ისე გადამხდელის წარწერით ჩეკზე ან გადამხდელის განცხადებით, რომ ჩეკი დროულად იყო წარდგენილი, მაგრამ არ განაღებულა. ფასიანი ქაღალდის გაუნაღებლობის შესახებ ინდოსატმა კანონით დადგენილ ვადაში უნდა აცნობოს ინდოსანტს – დოკუმენტის გამცემს და თავდებს. თითოეული ინდოსანტი თავის მხრივ, სათანადო შეტყობინებას უგზავნის თავის წინამორბედს. მხოლოდ დადგენილი ვადის დაცვის შემდეგ, ფასიანი ქაღალდის მფლობელს შეუძლია დასვას საკითხი დოკუმენტით ვალდებულ პირთა პასუხისმგებლობის შესახებ. ეს კი ნიშნავს, რომ მფლობელს უფლება აქვს ფასიანი ქაღალდის განაღდება მოსთხოვოს როგორც ყველა ვალდებულ პირს ერთად, ისე თითოეულ მათგანს ან რამდენიმეს, იმ თანმიმდევრობის მიუხედავად, რომლითაც მათ ვალდებულება იკისრეს (კანონი „ჩეკის შესახებ“ 35-ე მუხლი; კანონი „თამასუქის შესახებ“ 41-ე მუხლი). უკუმოთხოვნისას ვალდებულ პირს წარედგინება როგორც ფასიანი ქაღალდი, ასევე პროტესტი.

„თამასუქის შესახებ“ კანონის 42-ე მუხლის თანახმად, კრედიტორს (ფასიანი ქაღალდის მფლობელს) თამასუქით უფლება აქვს სარჩელით მოითხოვოს: ფასიანი ქაღალდით გათვალისწინებული თანხა, სარგებელი 6%-ის ოდენობით დოკუმენტის გასანაღებლად წარდგენის დღიდან, მის მიერ განეული ყველა ხარჯის ანაზღაურება და საურავი თამასუქის თანხის 3%-ის ოდენობით, რომელიც გადახდის ვადიდან გამოიანგარიშება. ამავე კანონის 43-ე მუხლის მიხედვით, პირი, რომელმაც გაანაღდა თამასუქი, უკუმოთხოვნის წესით იძენს უფლებას მოითხოვოს ადრინდელი ინდოსანტებისაგან მის მიერ გადახდილი მთელი თანხა, გადახდილი თანხის ექვსი პროცენტის ოდენობით სარგებელი გადახდის დღიდან და განეული ყველა ხარჯის ანაზღაურება. „ჩეკის შესახებ“ კანონის 36-ე მუხლის მიხედვით, კრედიტორს ჩეკით უფლება აქვს სარჩელით მოითხოვოს: ჩეკით პირდაპირ გათვალისწინებული თანხა, სარგებელი ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოდენობით ჩეკის გასანაღებლად წარდგენის დღიდან, ხარჯების ანაზღაურება, რომელიც დაკავშირებულია პროტესტთან ან სხვა თანაბარმნიშვნელოვან დამონმებასთან. ამავე კანონის 37-ე მუხლი ჩეკის გამანაღებელ ინდოსატს უფლებას აძლევს წინამორბედ ინდოსანტს მოსთხოვოს მის მიერ განაღებული ყველა თანხა, სარგებელი ექვსი პროცენტის ოდენობით ჩეკის გასანაღებლად წარდგენის დღიდან და მის მიერ განეული ხარჯების ანაზღაურება.

საორდერო ფასიანი ქაღალდით ვალდებულ პირთა უკუმოთხოვნის წესით პასუხისმგებლობას კანონმდებელი სოლიდარულ პასუხისმგებლობას უწოდებს (კანონი „თამასუქის შესახებ“ 41-ე მუხლი; კანონი „ჩეკის შესახებ“ 35-ე მუხლი), რაც არ არის მართებული. ვინაიდან, საორდერო ფასიანი ქაღალდით უკუმოთხოვნისას, უფლებამოსილ პირს შეუძლია მოითხოვოს მის მიერ გადახდილი ყველა თანხა, რომელიც მოიცავს დოკუმენტში აღნიშნულ თანხას, სარგებელს, ხარჯებს და საურავს; ყოველი შემდგომი რეგრესანტის გადასახდელი თანხა აღემატება თავისი წინამორბედის მიერ გადახდილს; სამოქალაქო კოდექსის 473-ე მუხლის თანახმად კი, სოლიდარული პასუხისმგებლობისას სოლიდარული მოვალე ვალდებულების შესრულებით უკუმოთხოვნის უფლებას იძენს დანარჩენი სოლიდარული მოვალეებისაგან წილთა თანაბრობის კვალობაზე თავისი წილის გამოკლებით, ერთ-ერთის ვალაუფალობის შემთხვევაში კი, მისი გადასახდელი თანხა თანაზომიერად ნაწილდება დანარჩენ მოვალეებზე, მათ შორის, იმაზეც, რომელმაც უკვე შეასრულა ვალდებულება. ამდენად, საორდერო ფასიანი ქაღალდით ვალდებულ პირთა უკუმოთხოვნის წესით პასუხისმგებლობა, არ წარმოადგენს სოლიდარულ პასუხისმგებლობას და კანონმდებლის მიერ ცნების, – „სოლიდარული პასუხისმგებლობა“ გამოყენება მოცემულ შემთხვევაში არ შეიძლება სათანადოდ იქნეს მიჩნეული. ამ შემთხვევაში, ადგილი აქვს მხოლოდ ფასიანი ქაღალდების სპეციალურ სამართლებრივი რეჟიმის ჩარჩოებში არსებულ პასუხისმგებლობის წესს – საორდერო ფასიანი ქაღალდით ვალდებულ პირთა უკუმოთხოვნის წესით პასუხისმგებლობას.

საორდერო ფასიანი ქაღალდის მფლობელს შეუძლია მოთხოვნა წაუყენოს დოკუმენტით ვალდებულ ყველა პირს, იმ თანმიმდევრობის მიუხედავად, რომლითაც მათ ვალდებულება იკისრეს. თუ მფლობელი უკუმოთხოვნას წაუყენებს არა უშუალოდ თავის ინდოსანტს, არამედ მის წინამორბედს, ამ უკანასკნელს,

მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ, არ ექნება უკუმოთხოვნის უფლება იმ პირების მიმართ, რომელიც კრედიტორმა გამოტოვა.

საჩივო და სათამასუქო ინდოსამენტმა შეიძლება დაკარგოს საგარანტიო ფუნქცია, თუ ინდოსანტი აკრძალავს მის შემდგომ ინდოსირებას. თუ ინდოსანტის დათქმის მიუხედავად, ფასიანი ქალაქი მაინც იქნება ინდოსირებული, ინდოსანტი, რომელმაც დათქმა გააკეთა, პასუხს აღარ აგებს რეგრესის წესით იმ პირების წინაშე, ვის სასარგებლოდაც მოხდება შემდგომი ინდოსირება (კანონი „თამასუქის შესახებ“ მე-12 მუხლი; კანონი „ჩეკის შესახებ“ მე-14 მუხლი). ინდოსამენტმა საგარანტიო ფუნქცია შეიძლება დაკარგოს თუ ბრუნვისას იგი ხელახლა აღმოჩნდება ინდოსირებული იმ პირზე, რომელიც უკვე იყო ამ ფასიანი ქალაქით ინდოსანტი. ინდოსამენტმა შეიძლება საგარანტიო ფუნქცია დაკარგოს, მაშინაც თუ მას შემდეგი ინდოსატი გადაშლის.

ინდოსირება მფლობელის უფლებაა და არა მოვალეობა და მისი განხორციელება შეიძლება ნებისმიერ დროს. მაგრამ „ჩეკის შესახებ“ კანონის მე-20 მუხლის თანახმად, გადახდის ვადის დადგომის შემდეგ, ჩეკის ინდოსირება წარმოადგენს დოკუმენტის უბრალო გადაცემას, რაც უკარგავს ინდოსამენტს საგარანტიო ფუნქციას. „თამასუქის შესახებ“ კანონის მე-16 მუხლი კი, ადგენს, რომ: ინდოსამენტს, რომელიც გაკეთებულია გადახდის ვადის დადგომისას, აქვს იგივე შედეგები, როგორც გადახდის ვადის დადგომამდე გაკეთებულ ინდოსამენტს; ინდოსამენტი, რომელიც გაკეთებულია პროტესტის შემდეგ გადახდის შესახებ ან პროტესტისათვის დაწესებული ვადის გასვლის შემდეგ, ითვლება თამასუქის გადაცემად. ამდენად, პროტესტის ან გადახდის ვადის დადგომის შემდეგ, ან პროტესტისათვის დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ გაკეთებული ინდოსამენტით, უფლებამოსილ პირს ერთმევა უკუმოთხოვნის უფლება ინდოსანტების მიმართ.

საორდერო ფასიანი ქალაქით მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა, ისევე როგორც სანარმდგენლო ქალაქების მიმართ, შეადგენს ოცდაათ წელს (სამოქალაქო კოდექსი 297-ე მუხლი), თუ სპეციალური კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. მაგალითად, „თამასუქის შესახებ“ კანონის 63-ე მუხლის თანახმად, აქცეპტანტის მიმართ თამასუქთან დაკავშირებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადაა სამი წელი, ინდოსანტებს შეუძლიათ წარუდგინონ სარჩელი ერთმანეთს და თამასუქის გამცემს ინდოსანტის მიერ თამასუქის გადახდის დღიდან ექვსი თვის განმავლობაში და სხვ. ხანდაზმულობის სპეციალურ ვადებს ითვალისწინებულს „ჩეკის შესახებ“ კანონიც. აღსანიშნავია, „თამასუქის შესახებ“ კანონის 64-ე მუხლით გაკეთებული სპეციალური დათქმა ხანდაზმულობის ვადის შეჩერების აკრძალვის შესახებ.

საორდერო დოკუმენტები ფასიანი ქალაქების სამართლის ერთ-ერთი ინსტიტუტია. ფასიანი ქალაქები საბაზრო ეკონომიკის ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი ელემენტია. მათი საშუალებით შეიძლება საკრედიტო შეთანხმებების გაფორმება, კაპიტალის მოზიდვა, დანაზოგების გარდაქმნა ინვესტიციებად, ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საანგარიშსწორებო ურთიერთობებშიც. ფასიანი ქალაქების სამართლის ფუნქციაა „შექმნას ის სამართლებრივი ჩარჩოები, რომელშიც შესაძლებელი იქნება დანაზოგების გარდაქმნა ინდუსტრიულ ინვესტიციებად, ვინაიდან ეკონომიკასა და სახელმწიფოს თავისი ინვესტიციებისათვის ესაჭიროება კაპიტალი.“¹⁸ ამდენად, მნიშვნელოვანია ფასიანი ქალაქების სამართლის განვითარება მისი მომწესრიგებელი კანონდებლობის სრულყოფისა და ნორმათა სწორი განმარტება-გამოყენების მიზნით, რაც შეუძლებელია მისი ინსტიტუტების შესწავლის გარეშე. ეს თავის მხრივ, მოიაზრებს ამ ინსტიტუტების სამართლებრივი მონესრიგების ასპექტების ანალიზს ისტორიული, კომპლექსური, შედარებით სამართლებრივი კვლევის მეთოდების გამოყენების, ნორმატიული მასალისა და პრაქტიკის განზოგადების საფუძველზე.

შენიშვნები:

- ¹ Н. Нерсесов, Представительство и ценные бумаги в гражданском праве, Изд-во “Статут”, М., 1998.
- ² იხ.: ივანე ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი VII, ქართული სამართლის ისტორია, თბილისი, 1984, გვ. 329-330; ივანე ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა, ტფილისი, 1926, გვ. 51-52.
- ³ იხ.: М.М. Агарков, Учение о ценных бумагах, Финансовое издательство НКФ, М., 1927, ст. 3.
- ⁴ საქართველოს კანონმდებლობა ფასიანი ქაღალდის ერთიან ცნებას არ იცნობს. 1998 წლის „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 32-ე პუნქტი განსაზღვრავს ტერმინის „ფასიანი ქაღალდი“ შინაარსს მხოლოდ მოცემული კანონის მიზნებისა და შინაარსიდან გამომდინარე. კანონის რეგულირების სფერო კი, მოიცავს მხოლოდ ისეთ ფასიან ქაღალდებს, რომელიც შეიძლება იყოს საჯარო შეთავაზების საგანი და შესაბამისად, დემატერიალიზებული (პ. 32. ფასიანი ქაღალდი – მიმოქცევადი ფინანსური ინსტრუმენტები და უფლებები, რომელთა საჯარო შეთავაზებაც შესაძლებელია ნილობრივი თუ სასესხო ფასიანი ქაღალდების სახით, ან რომლებიც შეიძლება გარდაიქმნას ასეთებად ან რომლებიც არიან ასეთებზე ხელმოწერისა თუ ასეთის შექმნის უფლების მატარებლები, საინვესტიციო ხელშეკრულებები და ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული სხვა ინსტრუმენტები და უფლებები).
- ⁵ იხ.: პ. კლუსენი, საბირჟო და ფასიანი ქაღალდების სამართალი საქართველოში. საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემები საქართველოში, ლ. ჭანტურია, რ. კნიპერი, ჯ. ზემლერი, თბილისი, 2000, გვ. 142.
- ⁶ არამატერიალური ფასიანი ქაღალდების „სამშობლო“ აშშ ითვლება. მათი წარმოშობა 70-იანი წლებში ამერიკის ბირჟებზე შექმნილმა „ქაღალდების ბუმმა“ გამოიწვია. კონტინენტური ევროპის სამართალში დემატერიალიზაციის სანქცირება პირველად, საფრანგეთში მოხდა 1982 წლის კანონით „ფინანსების შესახებ“, რომლის საუძველზეც გარკვეული ფასიანი ქაღალდები იქნა დემატერიალიზებული ელექტრონული დეპოზიტარების ანგარიშებზე ჩანაწერის სახით. დეპოზიტარების როლში გამოვიდნენ საფინანსო დაწესებულებები, რომლებსაც ანგარიშები ცენტრალურ დეპოზიტარში ჰქონდათ (SICOVAM). შემდეგ არამატერიალური ფასიანი ქაღალდები პოლანდის კანონმდებლობამაც აღიარა – 1992 წლის კანონით „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“, 1995 წელს, გერმანიის კანონმა „ფასიანი ქაღალდების შენახვისა და შექმნის შესახებ“ გაითვალისწინა მატერიალური დოკუმენტების ნაცვლად, გლობალური სერტიფიკატების გამოშვების შესაძლებლობა. მოგვიანებით, მსოფლიოში მიმდინარე პროცესები დსთ-ს ქვეყნების კანონმდებლობაშიც აისახა. იხ.: Uniform Commercial Code. Official text-1990 with comments. The American Law Institute National Conference of Commissioners on Uniform State Laws. 12-H ed-West Publishing Co. 1991, p.711-713; Жамен С., Лакур Л., Торговое право, Учебное пособие, Пер. м фп. М. Международные отношения, 1993, с.117; Hotman P, Nederveen A, Guide to the Regulation of securities Market in the Netherlands. A Commentary on the Securities Market Act of 1992 and the Investment Undertakings Act of 1990. Amsterdam, 1994, p.15; Гражданский кодекс РФ, ст. 149; Гражданский кодекс Азербайджанской Республики ст. 996; Гражданский кодекс республики Армения, ст. 152 და სხვ.
- ⁷ იხ.: BGV & 783-808, Германское право, Часть I Гражданское уложение, М., 2006, ст.182-187; Гражданское и торговое право зарубежных стран, Под ред. В.В. Безбаха, В.К. Пучинского, М., 2007. ფასიანი ქაღალდების საკანონმდებლო კლასიფიკაციას სანარმდგენლო, საორდერო და სახელობით ფასიან ქაღალდებზე ითვალისწინებს პოსტსაბჭოური სახელმწიფოების

კანონმდებლობაც, როგორცაა მაგალითად, ლატვიის, რუსეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის სამოქალაქო კოდექსები, ლიტვის და ლატვიის კანონები „ფასიანი ქაღალდების შესახებ“. იხ.: Гражданский кодекс РФ от 21 октября, 1994 года, ст. 145; Гражданский кодекс Республики Армения, от 5 мая, 1998 года, ст. 148; Гражданский кодекс Азербайджанской Республики специальная часть, от 28 декабря, 1999 года, ст. 989, 990, 991. ანგლო-ამერიკული, იაპონიის სამართალი იცნობს ფასიანი ქაღალდების კლასიფიკაციას საინვესტიციო, სავაჭრო და საქონელგანმკარგავ დოკუმენტებად. ამგვარი დაყოფის საფუძველს ფასიანი ქაღალდების ეკონომიკური მიზანი უფრო წარმოადგენს, ვიდრე მათი იურიდიული ბუნება. იხ.: Единообразный торговый кодекс. Официальный текст, 1990; Международный центр финансово-экономического развития, 1996, Москва, Hideki K, Developmentin Japanes Securiries Regulation: An Overwiv. The International Lawyer, 1995, p.59.

⁸ ფასიანი ქაღალდების კლასიფიკაციის შესახებ იხ.: ე. ზარნაძე, ფასიანი ქაღალდების ცნება და მათი კლასიფიკაცია, პროფესორ ზურაბ ახვლედიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2004, გვ. 95-105.

⁹ იხ.: Шершеневич Г.Ф., Курс торгового права, т. Изд-во Братьев Башмаковых, 1908, ст. 2, 62-67.

¹⁰ იხ.: Агарков М.М., Учение о ценных бумагах, ст. 112.

¹¹ D. Larry Soderquist, Securiries regulation. third Editor 2004, Uniform Commercial Code, Official text-1990 with comments, The American Law Institute National Conference of Comissioners on Uniform State Laws, 12-H ed-West Publishing lo, 1991.

¹² ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულ იქნა მოსაზრება იპოთეკის მოწმობის საწარმდგენლო ფასიან ქაღალდად განხილვის შესახებ. იხ.: ზ. ჭეჭელაშვილი, სანივთო სამართალი, თბილისი, 2009, გვ. 430.

¹³ D. Larry Soderquist, Securiries regulation, third Editor 2004; Абрамова Е., Ипотечный сертификат, Хозяйство и право, 2008, №4, ст. 63-73.

¹⁴ სავაჭრო ფასიანი ქაღალდები ახლოს დგას ამერიკული სამართლისთვის ცნობილი დოკუმენტების ისეთ სახესთან, როგორცაა "negotiable instruments". აშშ-ს ერთგვაროვანი სავაჭრო კოდექსის მიხედვით, საბრუნავი დოკუმენტი ("negotiable instrument") ნიშნავს უპირობო დაპირებას ან ბრძანებას გარკვეული ფულადი თანხის გადახდის შესახებ, პროცენტებით ან უამისოდ, ან მასში მითითებული სხვა დანარიცხებით (პარ. 3-104). ამავე კოდექსის მიხედვით, საბრუნავ დოკუმენტს წარმოადგენს note (მარტივი თამასუქი), draft (გადასაპირებელი თამასუქი) და cashier's check (საბანკო ჩეკი), teller check (სალაროს ჩეკი), traveler check (ტურისტული ჩეკი) და სხვ. H.R.Corley, Fundaments of Business Len, p. 222-223; Единообразный торговый кодекс, ст. 3-104.

¹⁵ საქართველოში მოქმედი 1902 წლის თამასუქის წესდება, საბლანკო და სახელობით ინდოსამენტებს „სახელიან და უსახელო გარდასაცემს“ უწოდებდა. იხ.: თამასუქის წესდება, სარჩევითა და რუსულ და სხვა უცხო ქვეყნის სათამასუქო ტერმინთა განმარტებით, თარგმნილი და შედგენილი ა. მ. ახნაზაროვის მიერ, ტფილისი, 1919 წ.

¹⁶ Гражданское и торговое право зарубежных стран. Под ред. В.В. Безбаха, В.К. Пучинского, Вишневский А.А., Вексельное право, Изд-во БЕК, М., 2006.

¹⁷ იხ.: Агарков М.М., Учение о ценных бумагах, ст. 33, 74; Крашениников Е.А. Обыкновенные ценные бумаги, Хозяйство и право, 1996. №12. ст.67.

¹⁸ იხ.: პ. კლუსენი, საბირჟო და ფასიანი ქაღალდების სამართალი საქართველოში, საკორპორაციო სამართლის განვითარების პრობლემები საქართველოში, 2000, გვ. 131.


ORDER BONDS AND KEY ASPECTS OF LEGAL REGULATION

EKA ZARNADZE

*Judge of the Gori Regional Court, Doctor of Law Associate Professor
Private Law Direction Law School of the Tbilisi State University*

Order documents represent one of institutions of the securities law. Securities represent an important element of the market economy infrastructure: with them it is possible to enter into the credit agreement, attract capital, transform savings into investment; they play important role settlement of accounts. Importance of securities law shall not be underestimated in legal and economic reforms, although the limited number of scientific research shall be mentioned as well. The paper below is dedicated to some aspects of legal regulation of order bonds (securities). Based on generalization of legislation and analysis of juridical literature, the concept of order securities is defined; namely, it is explained as trade and commodity disposal document, by presentation of which the authorised by continuous order of endorsement person or the person named in the order document itself, shall be able to place a demand. The paper examines key issues related to transfer or receipt of fulfilment of order securities. The latter is viewed as literal and formal, public credibility sign of order bonds and is discussed as the abstract principle. The opinion exists about granting the guarantee function to endorsement of the order bond by legislation as well impossibility to use the term “solidary responsibility” to responsibility for retrospective demand based on the securities, etc. In addition, the idea is expressed on legal reinforcement (Civil Code) of the concept that only the document recognized by the law shall be considered as securities.

Function of the securities law is “to create legal framework, which will allow for transformation of savings into industrial investments, since



economy and the state require capital for their investments”¹. Therefore, legal development of securities is important for the purpose of refining legislation and correct interpretation and use of norms, which is impossible without proper study of its institutions; it, in its turn, implies analysis of legal refinement aspects based on historical, complex, comparative legal research methods and generalization of practice.

FOOTNOTES

- ¹ see, Klausen, Stock exchange and Securities Law in Georgia. Problems of development of corporate law in Georgia, 2000, 131

სუსპენზიური ეფექტი ადმინისტრაციულ საპროცესო სამართალში

ციალა ჩქარაული

სდასუ, იურიდიული ფაკულტეტის სრული პროფესორი

გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების კანონისმიერი შეჩერების საკითხი მეტად აქტუალურია, რაც მისი თავისებურებებითაა გამოწვეული. სარჩელის შეტანა იურიდიული ფაქტია, რომლის საფუძველზე წარმოიშობა კონკრეტული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა მოსარჩელესა და სარჩელის განმხილველ სასამართლოს შორის. სარჩელი შეიძლება იყოს როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის პირველ ნაწილში მოცემულია ზოგადი დეფინიცია, რომ სასამართლოს მიერ სარჩელის წარმოებაში მიღება აჩერებს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედებას. ამასთან, სარჩელი მიღებულად ითვლება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც სასარჩელო განცხადებას სასამართლო მიიღებს წარმოებაში. ესე იგი, სარჩელის წარმოებაში მიღების განჩინების გამოტანით შეჩერდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება და არა მხოლოდ სასარჩელო განცხადების სასამართლოს კანცელარიაში წარდგენით. სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება იყოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ძალადაკარგულად გამოცხადება ან არარად აღიარება. ეს მოთხოვნა შეიძლება ეხებოდეს არა მთლიანად გასაჩივრებულ აქტს, არამედ მხოლოდ აქტის ნაწილსაც. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობის, ძალადაკარგულად ცნობისა და არარად აღიარების საფუძველები მოცემულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60, მე-60¹ და 61-ე მუხლებში. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი

ბათილად, ძალადაკარგულად ან არარად გამოცხადდება არა მხოლოდ მისი გასაჩივრების შედეგად, არამედ თავისთავად მასში არსებული დეფექტების ან უკანონობის გამო.

2009 წლის 4 დეკემბერს, ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილების შედეგად, გაუქმდა ის ალტერნატიული საშუალება, რომლითაც მოქალაქეებს სრული უფლება ჰქონდათ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმების მოთხოვნით საკუთარი შეხედულებისამებრ მიემართათ ადმინისტრაციული ორგანოსადმი ან სასამართლოსათვის. თუმცა, აქვე დავკონკრეტდებით, რომ ეს „ალტერნატივა“ სრულებითაც არ გახლდათ იდენტური იმ თვალსაზრისით, რომ პირი, რომელიც პირდაპირ სასამართლოს მიმართავდა სახელმწიფო ბაჟისაგან არ თავისუფლდებოდა. ამდენად, მოსარჩელე მხარის „თავისუფალი“ არჩევანი მაინც გარკვეულწილად შეზღუდული იყო. ზემოაღნიშნული ცვლილებისა და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს ადმინისტრაციულ სარჩელს, თუ მოსარჩელეს არა აქვს გამოყენებული ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა. აღნიშნული საკითხისადმი ანალოგიური მიდგომა გერმანულ ადმინისტრაციულ სამართალშიც ვფიქრობთ, რომ ეს ერთი მხრივ, განტვირთავს სასამართლოებს, მეორე მხრივ, ადმინისტრაციულ ორგანოებს მისცემს შესაძლებლობას გამოასწორონ დაშვებული შეცდომები სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე და აღადგინონ კანონიერება მმართველობის ერთიან სისტემაში. ისიც საყურადღებოა, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს განცხადებისა და საჩივრის გარდა, საკუთარი ინიციატივითაც შეუძლია ადმინისტრაციული წარმოების დაწყება ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გაუქმების თუ მასში ცვლილების შეტანის მიზნით. სასამართლო კი, ყოველივე ამას მხოლოდ დაინტერესებული მხარის მიერ სარჩელის შეტანით განახორციელებს. ადმინისტრაციული პროცესის ინკვიზიციურობიდან გამომდინარე, მოსამართლის აქტიური როლი ცალსახად სახეზეა, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან, სადაც მოსამართლე არბიტრის როლშია და შემოფარგლულია მხარეთა მიერ მოპოვებული მტკიცებულებებითა და მათი პოზიციებით. ადმინისტრაციულ პროცესში სასამართლო უფლებამოსილია თვითონ, საკუთარი ინიციატივითაც მოიპოვოს მტკიცებულებები. ფრანგი ადმინისტრაციისტი გუი ბრებანი მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციული მოსამართლე შეტანილი განცხადებისა თუ საჩივრის შინაარსით უნდა შემოიფარგლოს და დავა გადაწყვიტოს მხოლოდ მომჩივნის არგუმენტაციის ფარგლებში.¹ ვფიქრობთ, ასეთი მიდგომა კატეგორიულია და იგი შეიძლება სამოქალაქო პროცესისათვის მისაღები იყოს. ხოლო ადმინისტრაციული საქმის წარმოების თავისებურებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული მოსამართლე არა მხოლოდ უფლებამოსილია, არამედ ვალდებულიცაა უფრო ღრმად ჩასწვდეს სახელმწიფო მმართველობის სფეროში მომხდარი დარღვევის არსს, ვინაიდან საქმე გვაქვს კანონიერების აღდგენასთან სწორედ მმართველობის სფეროში. ადმინისტრაციული პროცესის ინკვიზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით მოიპოვოს საქმის გადასაწყვეტად საჭირო მტკიცებულებები. მართალია, სასამართლოს საკუთარი ინიციატივით, ანუ უფლებამოსილი სუბიექტის სარჩელისა თუ განცხადების გარეშე, არ შეუძლია წამოიწყოს ადმინისტრაციული სამართალწარმოება, მაგრამ თუ ასეთი უკვე არსებობს, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შეუძლია აქტიური დახმარება გაუწიოს მხარეს სასარჩელო მოთხოვნის ფორმულირების ჩამოყალიბებაში (ძირითადად, ამის მოტივი პროცესის დაჩქარებაა) და აღადგინოს სამართლიანობა, კანონიერება.

ამავე კოდექსის 29-ე მუხლის 1-ლი ნაწილი იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ სასამართლოს მიერ სარჩელის წარმოებაში მიღება ავტომატურად აჩერებს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედებას. ამ სამართლებრივი ნორმის იმპერატიული ხასიათის მიუხედავად, პრაქტიკაში არც თუ ისე იშვიათია შემთხვევები, როდესაც სასამართლოები მის სხვაგვარ განმარტებებს გვაძლევენ. ყურადსაღებია, რომ სუსპენზიური ეფექტი გასაჩივრებული აქტის მოქმედების კანონისმიერად შეჩერებაში ვლინდება. უფრო გასაგებად, სარჩელის წარმოებაში მიღება ავტომატურად იწვევს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერებას ისე, რომ ამის თაობაზე არც მხარე შეამდგომლობს და არც სასამართლო მსჯელობს (სავალდებულო

წესით არ იღებს დასაბუთებულ განჩინებას). სარჩელის წარმოებაში მიღებით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონისმიერი, ავტომატური შეჩერების დროს, გასაჩივრებული აქტის მოქმედება და მისით გამოწვეული ყველა სამართლებრივი შედეგი გადაიდება სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე. ამ პერიოდის განმავლობაში მოსარჩელეს უბრუნდება ის სამართლებრივი და ფაქტობრივი მდგომარეობა, რომელიც სადავო ადმინისტრაციული აქტის გამოცემამდე არსებობდა. მოსამართლეთა ნაწილი, განჩინებაში აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ საერთოდ არ უთითებს. ეს იმდენად ცალსახა და საქმის განხილველ მოსამართლეთა ნებაზე არაა დამოკიდებული, რომ აქტის მოქმედების შეჩერების დამატებით აღნიშვნას აზრი ეკარგება. ნაწილი კი, ასეთ აღნიშვნას აკეთებს, თუმცა კანონით ასეთი ვალდებულება არაა განერილი. ჩვენი აზრით, არცერთი არ წარმოადგენს შეცდომას. ორივე ფორმა სამართლებრივად გამართლებულია. გაუგებარია ისეთი შემთხვევები, როდესაც სასამართლოს გამოაქვს განჩინება ადმინისტრაციული სარჩელის წარმოებაში მიღების თაობაზე, მაგრამ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედებას არ აჩერებს, თანაც სასამართლო არ ასაბუთებს აღნიშნულს და არც რაიმე სამართლებრივ ნორმაზე მიუთითებს და რაც მთავარია, სახეზე არაა იგივე 29-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევები. მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ 2006 წლის 14 აგვისტოს განჩინებით (საქმე №3/3590), ადმინისტრაციული სარჩელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და მისი მოქმედების შეჩერების მოთხოვნით წარმოებაში იქნა მიღებული, მაგრამ გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება არ იქნა შეჩერებული. ასეთი მიდგომა არასწორია, ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნას. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სასარჩელო განცხადებით მოთხოვნილი იყო გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის მოქმედება. მიგვაჩნია, რომ ასეთი მოთხოვნაც რომ არ ყოფილიყო, სასამართლო ვალდებული იყო შეჩერებინა გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტი, რადგან ეს კანონის მოთხოვნაა, რომელიც სრულებითაც არაა დამოკიდებული არც მხარის და არც სასამართლოს სურვილზე. გარდა ამისა, გასაჩივრებულ განჩინებას საერთოდ არ გააჩნდა დასაბუთება (ფაქტობრივად, სამოტივაციო ნაწილი), თუ რა სამართლებრივ საფუძვლებზე დაყრდნობით ამბობდა უარს ადმინისტრაციული აქტის მოქმედების შეჩერებაზე. ცალსახად, სასამართლოს მიერ არასწორად იქნა გაგებული (განმარტებულს ვერ დავარქმევთ, ვინაიდან ასეთი საერთოდ არ ყოფილა) ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის 1-ლი ნაწილი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად, განჩინების შინაარსში უნდა აღინიშნოს „მოტივები, რომლებითაც სასამართლო მივიდა თავის დასკვნამდე და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა.“ ამ კუთხითაც, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებულ განჩინებაში არ იყო კანონის მოთხოვნები დაცული. სწორედ ამიტომაც, იგი რა თქმა უნდა, გააუქმა თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2006 წლის 21 აგვისტოს განჩინებით და შეაჩერა გასაჩივრებული აქტის მოქმედება (საქმე №3ბ-2795-06). სააპელაციო სასამართლომ განმარტა: ვინაიდან თბილისის საქალაქო სასამართლომ წარმოებაში მიიღო ადმინისტრაციული სარჩელი, ეს ნიშნავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის მოქმედება ავტომატურად, საქმის საბოლოო განხილვამდე შეჩერებულია. აგრეთვე გასათვალისწინებელია, რომ განსახილველ შემთხვევაში, სახეზე არაა იმავე მუხლის მე-2 ნაწილში ჩამოთვლილი გარემოებები. უფრო მეტიც, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ გასაჩივრებული აქტის კანონისმიერი შეჩერება პროცესუალურად აბსოლუტურად გააიგივა სამოქალაქო სამართალწარმოებაში დამკვიდრებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებასთან. მაგალითად, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 05 იანვრის განჩინება (საქმე №3/3-10). აღნიშნული ეხება შემდეგ გარემოებას: მოსარჩელემ მიმართა სასამართლოს ადმინისტრაციული სარჩელით და გარდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის) ბათილობისა, აგრეთვე, მოითხოვა გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შეჩერება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე

მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მხარის მოთხოვნის მიუხედავად (ანუ, ასეთი მოთხოვნა რომც არ ყოფილიყო), სასამართლოს მიერ სარჩელის წარმოებაში მიღება, გასაჩივრებული აქტის კანონისმიერ შეჩერებას იწვევს. თუმცა, მიგვაჩნია, რომ ასეთი მოთხოვნა შეცდომა არაა და იგი კიდევ უფრო ცხადყოფს მოსარჩელის სამართლებრივ ინტერესს. სასამართლომ ჩათვალა, რომ „გაუგებარია ასეთი მოთხოვნა“, ვინაიდან იგი არის სარჩელის უზრუნველყოფა, რომელიც სასარჩელო მოთხოვნის გრაფაში არ უნდა იყოს ჩამოყალიბებული. ასევე, სავალდებულოა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო ბაჟის გადახდა სარჩელის უზრუნველყოფისათვის. მიგვაჩნია, რომ სასამართლოს მიერ აღრეულ იქნა ორი სრულიად სხვადასხვა ცნება. ფაქტია, რომ ცალსახად, საქმე გვაქვს 29-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ სუსპენზიურ ეფექტთან (როცა გასაჩივრება კანონისმიერად აჩერებს გასაჩივრებული აქტის მოქმედებას) და არა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებასთან. ვფიქრობთ, რომ ამგვარი მიდგომა არ შეესაბამება კანონის მოთხოვნებს და პირიქით, ხელს უწყობს არასწორი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრებას. თითქმის ანალოგიური განჩინება იქნა მიღებული ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ, 2009 წლის 10 ივნისს (საქმე №3/101). აქაც სასამართლო გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერებას მიიჩნევს მხარის შუამდგომლობად, თუმცა, იქვე აპელირებს მოსარჩელის მიერ მითითებულ სამართლებრივ საფუძველზე – ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის პირველ ნაწილზე. მართალია, ორივე შემთხვევაში ფაქტობრივად ერთი და იგივე შედეგი დგება, მაგრამ სამართლებრივად განსხვავებულ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე. იგივე 29-ე მუხლის მეხუთე ნაწილი მხარეს საშუალებას აძლევს სარჩელის სასამართლოში შეტანამდე აღძრას შუამდგომლობა ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ. სამოქალაქო საპროცესო სამართალში ამას სარჩელის უზრუნველყოფა ჰქვია. აღნიშნულიც, სწორედ ადმინისტრაციული სარჩელის უზრუნველყოფის საშუალებაა. მაგრამ ორივე მათგანი ცალსახად დაკავშირებულია მხარის შუამდგომლობასა და ამ შუამდგომლობის დასაბუთებაზე, რაც რადიკალურად განსხვავდება სუსპენზიური ეფექტისაგან. ვინაიდან, ამ დროს გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის მოქმედებას კანონი აჩერებს – მხარის შუამდგომლობისა თუ მოსამართლის გადანყვეტილებისაგან დამოუკიდებლად, ავტომატურ რეჟიმში. საყურადღებოა, რომ ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, სარჩელი უკვე შეტანილი იყო, რაც თავისთავად გამორიცხავდა სარჩელის აღძვრამდე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების მოთხოვნის შუამდგომლობით მიმართვის შესაძლებლობას. გასაგებია, რომ საქართველოში პრეცედენტული სამართალი არ არსებობს, მაგრამ ისიც ნათელია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი დასაშვებია, თუ საქმე მნიშვნელოვანია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის და თუ გასაჩივრებული გადანყვეტილება განსხვავდება ანალოგიური კატეგორიის საქმეებზე უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკისაგან. ისიც გასათვალისწინებელია, რომ პრაქტიკაში, სასამართლო სამართალწარმოებაში როგორც მხარეები აპელირებენ უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებულ გადანყვეტილებებზე, ასევე სასამართლოებიც საკუთარ გადანყვეტილებებს სწორედ უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციებზე დაყრდნობით იღებენ. ჩვენი აზრით, სუსპენზიურ ეფექტთან დაკავშირებით, დროული იქნება უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები, რათა ჩამოყალიბდეს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა და აღმოიფხვრას სასამართლოების მიერ საკუთარი შეხედულებისამებრ კანონის მოთხოვნათა სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია, რაც აშკარად სახეზეა, თუნდაც ზემოთ მოტანილი მაგალითების მიხედვით.

ბუნებრივია, კანონმდებელმა საჯარო ინტერესების დაცვის განსაკუთრებული მნიშვნელობაც გაითვალისწინა და სწორედ ამიტომაც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის მეორე ნაწილით განსაზღვრა ის ექვსი შემთხვევა, როდესაც სასამართლოს მიერ სარჩელის წარმოებაში მიღება ავტომატურად არ შეაჩერებს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის მოქმედებას. ასევე, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება

დაუშვებელია, თუ ეს პირდაპირ კანონითაა დადგენილი. მაგალითად, საქართველოს კანონის „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ 23-ე მუხლის თანახმად, ამ ტიპის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გასაჩივრება არ იწვევს მათ შეჩერებას. თუმცა, კოდექსი მხარეს მინც აძლევს საშუალებას (უფლებას), რომ ზემოაღნიშნული გარემოებების არსებობისასაც კი, მიმართოს სასამართლოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შეჩერების მოთხოვნით. ცალსახაა, რომ სასამართლო შეაჩერებს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედებას მხოლოდ მხარის მოთხოვნით. ეს არ უნდა გავიგოთ, თითქოს სასამართლოს აკისრია ვალდებულება მოთხოვნისთანავე დაეთანხმოს მხარეს. სასამართლო შეამომნებს მოთხოვნისა თუ შუამდგომლობის არსს, მის დასაბუთებულობას, კანონიერებას და ისე მიიღებს გადაწყვეტილებას, შეაჩეროს თუ არა გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება. ამ შემთხვევაში, მხარის მიერ მოთხოვნის დაყენება აუცილებელია, რაც ნიშნავს, რომ თუ არა მხარის მოთხოვნა, გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება არ შეჩერდება ავტომატურად და არც სასამართლოს ინიციატივით. აღნიშნული კი, რადიკალურად განსხვავდება სუსპენზიური ეფექტისაგან.

მნიშვნელოვანია, რომ მხარეს კანონმდებლობა შესაძლებლობას აძლევს მიმართოს დასაბუთებული შუამდგომლობით სასამართლოს და მოითხოვოს ამავე მუხლის პირველი ნაწილით, ანუ სუსპენზიური ეფექტით შეჩერებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შეჩერების გაუქმება. ანუ, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით აუქმებს კანონით დადგენილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სუსპენზიურ შეჩერებას. კანონის ამ ახალ რედაქციას იურისტთა ნაწილი საერთოდ არ ეთანხმება. რასაც ვიზიარებთ და მიგვაჩნია, რომ მეოთხე ნაწილი პრინციპში, აუქმებს პირველ ნაწილს. მიუხედავად ამისა, სწორედ ეს პუნქტი კიდევ უფრო სარწმუნოს ხდის ჩვენს მოსაზრებას, რომ 29-ე მუხლის პირველი ნაწილით იმპერატიულად დადგენილია გასაჩივრების სუსპენზიური ეფექტი და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება-არშეჩერების საკითხი სასამართლოს გადასაწყვეტი ვერ იქნება – იგი უკვე კანონმა შეაჩერა. ითვალისწინებს რა, სუსპენზიურ ეფექტს კანონმდებელი, იგი მხარეს აძლევს საშუალებას კანონისმიერად შეჩერებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების გაუქმება მოითხოვოს (რა თქმა უნდა, ასეთი ინტერესის არსებობისას). ასე რომ არ ყოფილიყო, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების გაუქმების შესაძლებლობის დაშვება საერთოდ აზრს დაკარგავდა.

გასაჩივრების სუსპენზიურ ეფექტთან არაა დაკავშირებული, მაგრამ ზოგიერთ გამოწვევის შემთხვევაში, სასამართლო განსახილველ საქმეს წარმოებით აჩერებს ისე, რომ კანონის მოთხოვნის რადიკალურად განსხვავებულ ინტერპრეტაციას გვაძლევს. მაგალითად, გარდაბნის რაიონულმა სასამართლომ 2010 წლის 04 მაისს მიიღო განჩინება (საქმე №2-50-10), საქმისწარმოების შეჩერების თაობაზე, ვიდრე იგივე დავას ადმინისტრაციული ორგანო არ განიხილავდა. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ საქმისწარმოების შეჩერების მოთხოვნის თაობაზე შუამდგომლობა მხარემ დააყენა დაგვიანებით, სასამართლოს მთავარ სხდომაზე, პაექრობის სტადიაზე. ბუნებრივია, აღნიშნულით დაირღვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მოთხოვნები. ცნობისათვის, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, დავა გახლდათ სახელშეკრულებო – სამოქალაქო, სწორედ ამგვარად მიიღო სარჩელი წარმოებაში სასამართლომ. ცალკე განსახილველი საკითხია ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების კანონიერება (რაზეც აქ დეტალურად არ შევიჩრდებით), რომელსაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ პუნქტის თანახმად, ეკრძალება ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა, თუ სასამართლოს წარმოებაშია საქმე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით, რასაც ადგილი ჰქონდა ამ კონკრეტულ შემთხვევაში. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლი ჩამოთვლის შემთხვევებს, რა დროსაც სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმისწარმოება, ხოლო იმავე კოდექსის 280-ე მუხლში განხილულია ის შემთხვევები, რა დროსაც სასამართლო უფლებამოსილია შეაჩეროს საქმისწარმოება. არცერთ ჩამოთვლილ გარემოებას ამ კონკრეტულ შემთხვევაში, არ ჰქონია ადგილი. მით უმეტეს, გაურკვეველია

რაიონული სასამართლოს პოზიცია, როცა მან შესაგებელში დაფიქსირებულ იგივე შუამდგომლობის (საქმის წარმოების შეჩერებაზე) დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა, ხოლო შემდგომ, უკვე (თანაც, მთავარ სხდომაზე) დააკმაყოფილა შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე. უფრო მეტიც, თბილისის სააპელაციო სასამართლომ გარდაბნის რაიონული სასამართლოს ზემოაღნიშნული გასაჩივრებული განჩინება სრულიად ბუნდოვანი განმარტებებით დატოვა ძალაში (31.01.11 საქმე №2ბ/1746-10). კერძოდ, მან მიიჩნია, ვინაიდან მოპასუხე მხარემ ადმინისტრაციულ ორგანოს განცხადებით მიმართა სასამართლოს მთავარ სხდომამდე, ამიტომ საქმის წარმოების შეჩერების საფუძველიც სწორედ ამ დროს დადგა. საინტერესო მიდგომაა. მოსარჩელე მხარე ზუსტად იმას ხდის სადავოდ, რომ დაგვიანებით დაყენებული შუამდგომლობა არა თუ დაკმაყოფილებული, განხილულიც კი, არ უნდა იყოს. შემდეგ, თბილისის სააპელაციო სასამართლო 2011 წლის 31 იანვრის განჩინებაში აპელირებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „დ“ პუნქტის იმ ვარიანტზე, რომელიც ჯერ კიდევ 2010 წლის 24 სექტემბრიდანაა გაუქმებული (ახალი რედაქცია 1-ლი ოქტომბრიდან შევიდა ძალაში). ესეც რომ არა, ჩვენ ვერ დავეთანხმებით სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, სადაც იგი ადმინისტრაციულ წარმოებას ადმინისტრაციულ სამართალწარმოებასთან აიგივებს. ცალსახაა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლი პრეიუდიციულად დადგენილ ფაქტებად მიიჩნევს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას, თანაც მხოლოდ სამოქალაქო საქმეზე (01.10.10-დან) და იმ დათქმით, რომ ერთი და იგივე მხარეები უნდა იღებდნენ ორივე საქმეში მონაწილეობას. მოტანილ მაგალითში, არც ეს გარემოება არ იყო სახეზე. საპროცესო კოდექსში მითითებული მუხლები იმპერატიული ხასიათისაა და სასამართლოს შეხედულებით განვრცობას არ ექვემდებარება.

დავუბრუნდეთ ადმინისტრაციულ საპროცესო სამართალში არსებულ სუსპენზიურ ეფექტს. ადმინისტრაციული სასამართლო ვალდებულია სამი დღის ვადაში მიიღოს გადაწყვეტილება შუამდგომლობის დაკმაყოფილების (ან არ დაკმაყოფილების) თაობაზე. განსხვავებით სამოქალაქო პროცესისაგან, სადაც განხილვა და გადაწყვეტა ხდება დაუყოვნებლივ. ბუნებრივია, სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება დაკმაყოფილდეს მხარის შუამდგომლობა ან უარი ეთქვას მას. მიღებული გადაწყვეტილება სავალდებულო წესით ერთი დღის ვადაში ეგზავნება მხარეებს. მართალია, ამ პუნქტში არ არის მითითებული, მაგრამ ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ განუსაზღვროს მოსარჩელე მხარეს ადმინისტრაციული სარჩელის წარდგენის ვადა. თუ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში არ იქნა წარდგენილი ადმინისტრაციული სარჩელი, ბუნებრივია, გაუქმდება მანამდე მის მიერ მიღებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება – ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ. ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა. ძველი რედაქციით ასეთი ჩანაწერი არ არსებობდა. შესაბამისად, მეტად პროგრესულია ამ ნორმის შემოღება. აღნიშნული ნორმა არაფერს ამბობს გასაჩივრების ვადებზე. ამან იურიდიულ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის შეტანის ვადაა 12 დღე, რომელიც აითვლება განჩინების ჩაბარების მომენტიდან. მაგრამ, როდესაც მხარე ითხოვს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას – ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერებას, მაშინ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 194-ე მუხლი კერძო საჩივრის შეტანის ვადას ხუთი დღით განსაზღვრავს. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველივე მუხლში მითითებულია, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი. ამასთან დაკავშირებით იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ „სასამართლოში შეიძლება არსებობდეს შერეული პრინციპი.“ ასეთ პოზიციას გამოთქვამენ ი. ბარტიკოვი, პ. დაგელი, პ. ელისეიკინი, რომელსაც ვერ დავეთანხმებით. ვინაიდან, პრაქტიკულად, ისე არ ხდება, რომ ერთი და იგივე საკითხი გადაიჭრას ერთდროულად სხვადასხვა სამართლის დარგის ნორმებით. სულ სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე, როდესაც ესა თუ ის საკითხი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით არაა მონესრიგებული და იგი შეიძლება გადაწყდეს სამოქალაქო

საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმებით, ოღონდ აუცილებლად ადმინისტრაციული პროცესუალური ფორმების დაცვით. ესე იგი, საქმე შერეულ პროცესთან, ანუ ერთდროულად ორივე დარგის ნორმების გამოყენებასთან არ გვექონია.

ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში 2005 წლის 24 ივნისს შეტანილი ცვლილების შედეგად, დაემატა 30¹-ე მუხლი, რომელიც ეხება გასაჩივრებული ნორმატიული ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერებას. უნდა აღინიშნოს, რომ ნორმატიული აქტების შეთხვევაში, კანონი სრულიად სამართლიანად არ უშვებს გასაჩივრებული აქტის კანონისმიერი შეჩერების შესაძლებლობას. ნორმატიული ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება რა თქმა უნდა, დაიშვება, მაგრამ მხოლოდ მხარეთა შუამდგომლობით და მხოლოდ კოდექსით განსაზღვრული პირობების არსებობისას. კერძოდ, თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი გასაჩივრებული ნორმატიული აქტის კანონიერების თაობაზე და თუ მისი გადაუდებელი აღსრულებით პირს მიადგება არსებითი ზიანი ან თუ შეუძლებელი გახდება მისი კანონიერი უფლებების დაცვა. ჩვენი აზრით, მხარეს, რომელსაც ზიანი ადგება, მისთვის იგი ყოველთვის არსებითია. ხოლო ზიანი რეალურად არსებითია თუ არა, ეს უკვე სასამართლოს მიერ უნდა შეფასდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი (და არც სხვა) არ განგვიმარტავს, თუ რა არის „არსებითი“. ვფიქრობთ, სუბიექტივიზმი რომ გამოირიცხოს, კოდექსში ასეთი განზოგადებული ტერმინები არ უნდა არსებობდეს. თუმცა, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის მეორე ნაწილი ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად მიიჩნევს კანონის ისეთ დარღვევას, რომლის არარსებობის შემთხვევაში, მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. ცხადია, მხარე სასამართლოს მიმართავს ადმინისტრაციული აქტის მოქმედების შეჩერების მოთხოვნით იმ შემთხვევაში, როცა იგი ადმინისტრაციულ (ნორმატიულ თუ ინდივიდუალურ) აქტს თვლის უკანონოდ. მიგვაჩნია, რომ ტერმინი – „დასაბუთებული ეჭვი“ გამართული არაა, გარკვეულწილად, ლოგიკასაც მოკლებულია. თუ რაიმეს ვასაბუთებთ, ეს უკვე ფაქტებია, დადგენილი გარემოებებია და არა ეჭვი. ხოლო პირიქით, თუ რაღაცის თაობაზე გვაქვს ეჭვი, ეს თავისთავად დასაბუთებულობას გამოირიცხავს. ნორმატიული აქტების კანონიერების განხილვით (მით უმეტეს, მათი მოქმედების შეჩერებით) ფაქტიურად, სასამართლო ხელისუფლებას აღმასრულებელი ხელისუფლების მაკონტროლებელი ფუნქცია ენიჭება. ეს პროგრესულია თუ არა, ცალკე განხილვის საკითხია და ამაზე აქ არ შევჩერდებით. ერთია, რომ მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგადი წესის შემცველი აქტების აღუსრულებლობამ არ უნდა გამოიწვიოს აღმასრულებელი ხელისუფლების მუშაობის პარალიზება და ქაოსი მმართველობის სფეროში. ცალსახაა, რომ ნორმატიულ ადმინისტრაციულსამართლებრივ აქტებს გაცილებით მეტი სოციალური დატვირთვა აქვთ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებთან შედარებით, თუნდაც, მათი საყოველთაობის თვალსაზრისით. ამ კუთხით დასაფიქრებელია ინგა თოდრიას მოსაზრება, რომ „კანონებით უნდა განისაზღვროს ის პრიორიტეტული სფეროები და საკითხები, რომელთანაც დაკავშირებით მიღებული ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შეიძლება გასაჩივრდეს საერთო სასამართლოში და ამისათვის სათანადო საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, შეჩერდეს.“² ამგვარი პრაქტიკა უკვე არსებობს გერმანულ საპროცესო სამართალში, რომელიც მხოლოდ სამშენებლო ნორმატიული აქტების კანონიერებას განიხილავს.

გარდა იმისა, რომ სუსპენზიური ეფექტის საკითხი თავისთავად მნიშვნელოვანია და გარკვეულწილად ადმინისტრაციული პროცესის თავისებურებას ნარმოადგენს, იგი მეტად აქტუალურია პრაქტიკული თვალსაზრისითაც. ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან განხორციელებული მოქმედების (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემა) შედეგად უფლებადარღვეული მხარის (ყოველ შემთხვევაში, მოსარჩელეს ასე მიაჩნია) სამართლებრივი ინტერესი შელახულია და იგი დენადი პროცესია, მოსარჩელისთვის, რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა, მნიშვნელოვანია მისთვის ზიანის მიმყენებელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება, თუნდაც, სასამართლოს მიერ საკითხის სრულად შესწავლა-გამოკვლევაამდე. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმპერატიულად დადგენილია გასაჩივ-

რებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის ავტომატური, კანონისმიერი შეჩერება, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებაზე დამოკიდებული არაა. სასამართლოს უფლებამოსილება ამ შემთხვევაში, მხოლოდ ადმინისტრაციული სარჩელის წარმოებაში მიღებით შემოიფარგლება. ამდენად, 29-ე მუხლის 1-ლი ნაწილის სხვაგვარად (კანონის მოთხოვნათა სანინააღმდეგოდ) განმარტება სუსპენზიური ეფექტის როლს აკნინებს და არასწორ სასამართლო პრაქტიკასაც ამკვიდრებს. 2007 წელს გამოცემულ კრებულში უზენაესი სასამართლოს განხილული აქვს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლი, სადაც იგი ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად განმარტავს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ან მისი ნაწილის) მოქმედების კანონისმიერ შეჩერებას. თუმცა, ძირითადი აქცენტები გაკეთებულია (სავარაუდოდ, იმ დროს არსებულ პრობლემატურ საკითხზე) კანონისმიერი შეჩერების მხარის მიერ მოთხოვნით გაუქმების შესაძლებლობაზე. შეჯერებული მოსაზრებით ირკვევა, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერების გაუქმება შესაძლებელია და ასეთი მოთხოვნის დაყენების უფლება მხარეს პროცესის ნებისმიერ ეტაპზე აქვს. მიუხედავად უზენაესი სასამართლოს მიერ რეკომენდაციების გამოქვეყნებისა (ალბათ, მხოლოდ ეს არაა საკმარისი), როგორც სტატიაში განხილული მაგალითებიდან ირკვევა, სასამართლოებს მაინც არა აქვთ ერთგვაროვანი მიდგომა სუსპენზიურ ეფექტთან დაკავშირებით და პრობლემა მაინც არსებობს. ჩვენ ისიც კარგად გვესმის, რომ რეკომენდაციებს სავალდებულო ძალა არ გააჩნიათ, მაგრამ სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების განსახორციელებლად, აგრეთვე ერთიანი სამართლებრივი მიდგომის ჩამოყალიბების თვალსაზრისით, მათ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ და გამოვთქვამთ იმედს, რომ კანონის (და არა მხოლოდ რეკომენდაციების) მოთხოვნათა სანინააღმდეგო განმარტებები არ იქნება (ყოველ შემთხვევაში, მინიმუმამდე მაინც შემცირდება) და მით უმეტეს, არ დამკვიდრდება არასწორი სასამართლო პრაქტიკა, რომელთანაც ბრძოლა გაცილებით უფრო ძნელი იქნება, ვიდრე იმისათვის გარჯა, რომ თავიდანვე სწორი სამართლებრივი შეფასებები და პრაქტიკა დამკვიდრდეს.


შენიშვნები:

- ¹ Брэбан Г., Французское административное право, 1988.
- ² საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2005, გვ. 173.

SUSPENSION EFFECT IN THE ADMINISTRATIVE PROCEDURES LAW

TSIALA CHKAREULI
DAUG, Law School, Full Professor

Suspension effect, i.e. legal suspension of the appealed individual administrative act represents a pressing issue in the administrative procedures law; it is caused by its specificity. Part 1 of the article 29 of the Administrative Procedures Law imperatively defines that admission of the claim automatically suspends power of the administrative act in force. Despite imperative nature of the article, there are quite frequent cases when courts provide a different interpretation of the provision. It shall be noted that suspension effect reflects in the legal suspension of the appealed administrative act. To be more precise, admission of the claim (appeal) automatically suspends the appealed individual administrative act without motions filed by the party; neither the court hears the case (does not adopt a mandatory substantiated decision). By admitting the claim, during individual and automatic suspension of administrative acts as well as all ensuing legal outcomes are postponed till court decision comes into power. During that period of time the claimant's precious legal and factual conditions, existing before issuance of the administrative act, are returned to him/her. Part of judges, does not indicate in the ruling the fact of suspension of the administrative act at all. It is so obvious and does not depend on the judge's will, that it makes no sense to make a separate or additional record about suspension of the act. Another part of the judges do make such records in rulings, although the law does not impose such an obligation. In our opinion,



neither is a mistake. Both approaches are legally justified. Some cases are unclear, though; for instance, when the court issues the ruling on admission of the administrative act, but does not suspend the administrative act in force without substantiation of such a decision, and, most importantly, there are no cases envisaged by the article 29.2. In practice we see cases, when the court identifies the suspension effect with security of the administrative act with all the accompanying outcomes, which is not right either. Since in the first case administrative acts are legally suspended, independently of the party and courts, application of the enforcement provision entirely depends on the will and substantiated motions of parties, and, most importantly, all the above shall be assessed by the court. The article offers specific examples with regard to that problem, as well as court decisions. Due to existence of different opinions in practice, we think that theoretical opinions on suspension effect would be of interest not only for scientist lawyers, but for all persons studying this issue.

უსაფუძვლო გამდიდრებისას დავალებისა და მოთხოვნის უფლების დათმობის საფუძველზე შესრულების შედეგები

თამარ ჩიტოშვილი
სამართლის დოქტორი

ყოველი შესრულება ვალდებულების არსებობას გულისხმობს, ხოლო შესრულების მიღება ქონების მართლზომიერ გაზრდას. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, საპირისპირო შედეგთან გვაქვს საქმე, ანუ ყოველი შესრულება არ არის ვალდებულება და შესაბამისად, შესრულებულის მიღებაც არის უსაფუძვლო. როგორც წესი, უსაფუძვლოდ მიღებული დაბრუნებას ექვემდებარება და იგი კანონისმიერ ვალდებულებას წარმოადგენს, ხოლო მისგან გამომდინარე ურთიერთობანი კი, კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობანია. მაგალითად, შესრულებულის უსაფუძვლოდ მიღებას ადგილი აქვს მაშინ, როცა გარიგება ცნობილ იქნება ბათილად, შეწყდება ან სხვა გარემოების გამო აღარ არსებობს. აღნიშნულ შემთხვევაში, აუცილებელია, რომ სახეზე იყოს უსაფუძვლოდ შესრულებულის მიღება და მიმღებისათვის სარგებლის მიღება მისი ქონების გაზრდით ან დაზოგვით, რომელიც აუცილებლად ექვემდებარება დაბრუნებას, ანუ უნდა მოხდეს რესტიტუცია, რომელიც შეიძლება იყოს ორმხრივიც.

უსაფუძვლო გამდიდრების შედეგები აგრეთვე, შეიძლება დადგეს, როდესაც მოქმედება სრულდება ცალმხრივი გარიგების საფუძველზე, ამჯერად არ იგულისხმება ისეთი გარიგება, რომელიც დადებისა და შესრულების შემდეგ ბათილად იქნა ცნობილი. ეს არის დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება, როდესაც პირი თავისივე ნებით

ასრულებს სხვისი (მეპატრონის) ინტერესების შესაბამის საქმეებს და შემდეგ მეპატრონე არამართლზომიერად უარს აცხადებს შემსრულებლის მიერ განუხლები ხარჯების ანაზღაურებაზე.

„დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება – კვაზიხელშეკრულება, რომელსაც ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც პირი, რომელსაც არა აქვს შესაბამისი დავალება, კისრულობს ვალდებულებას შეასრულოს სხვა პირისათვის სარგებლის მომტანი მოქმედება. მაგალითად, პირი თავის თავზე იღებს ვალდებულებას – მართოს თავისი მეგობრის ქონება, რომელიც დეპრესიაშია, ან იმყოფება შორს, საზღვარგარეთ...“

უფლებები და მოვალეობები დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების შესახებ კვაზიხელშეკრულებიდან წარმოიშვა ორი სხვადასხვა წყაროდან:

პირველი – ესაა ცალმხრივი ნების გამოვლენა, რომლის საშუალებითაც პირი თავად კისრულობს სხვისი საქმეების მართვას.

მეორე – ხელშეკრულების გარეშე გადაცემული ქონების ანაზღაურება.⁴¹

გასათვალისწინებელია ისეთი შემთხვევაც, როდესაც გარიგება დაიდო თუმცა, მისი შესრულება უკავშირდება პირობის დადგომას, ასეთი პირობიანი გარიგება შეიძლება იყოს სხვის ქონებაზე შეცდომით ხარჯების განწესა და ამ ქონების მესაკუთრის უსაფუძვლო გამდიდრების საფუძველი.

მაგალითად:

„ა“-სა და „ბ“-ს შორის მოხდა შეთანხმება, რომ მათ შორის დაიდებოდა ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება. ამის უზრუნველსაყოფად „ა“-მ გადასცა „ბ“-ს 1000 ლარი ბეს სახით. მათივე შეთანხმებით გადაწყდა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდებოდა ბეს გადაცემიდან ერთი თვის შემდეგ, როდესაც „ბ“ (ბინის მესაკუთრე) დაბრუნდებოდა გერმანიიდან, სადაც მას სასწრაფოდ მოუხდა წასვლა. გამგზავრებამდე „ბ“-მ „ა“-ს დაუტოვა ბინის გასაღები და მისცა ბინაში ცხოვრების უფლება. აღნიშნული გარემოებების საფუძველზე „ა“-მ ჩათვალა, რომ ბინა აუცილებლად გახდებოდა მისი საკუთრება და სამზარეულოში ჩაატარა კაპიტალური რემონტი.

გერმანიიდან დაბრუნების შემდეგ „ბ“-მ უარი განაცხადა ნასყიდობის ხელშეკრულების დადებაზე და ამით დაარღვია ბეს მიღებით ნაკისრი ვალდებულება. ანუ პირობა, რომლის დადგომასაც უკავშირდებოდა ბინის ნასყიდობის ხელშეკრულების დადება – დადგა, თუმცა, ვალდებულება არ შესრულდა და ხელშეკრულება არ დაიდო. „ა“-მ მოითხოვა „ბ“-სგან ბეს მიღებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება და ასევე, მოითხოვა იმ ხარჯების ანაზღაურება, რომლითაც გაიზარდა „ბ“-ს საცხოვრებელი ბინის ღირებულება, ეს კი, ნიშნავს „ბ“-ს უსაფუძვლო გამდიდრებას.

უსაფუძვლო გამდიდრება სახეზეა მაშინაც, როდესაც გარიგება არსებობდა და შეწყდა, თუმცა ამ გარიგებით წარმოშობილი ვალდებულების შესრულება გრძელდებოდა მისი შეწყვეტის შემდეგაც.

მაგალითად:

სამისდღემო რჩენის ხელშეკრულების საფუძველზე, 2004 წლიდან „ა“ (მარჩენალი) ყოველთვიურად უგზავნიდა „ბ“-ს (სარჩენს) 300 ლარს. 2009 წლის 10 აგვისტოს, „ბ“ გარდაიცვალა, თუმცა, „ა“-მ სარჩენის გარდაცვალების შესახებ შეიტყო 2010 წლის თებერვალში. აღნიშნულის შეტყობინების შემდეგ „ა“-მ მოითხოვა 2009 წლის 10 აგვისტოდან 2010 წლის თებერვლამდე სარჩოს სახით გადახდილი თანხა, როგორც უსაფუძვლოდ გადახდილი. დადგინდა, რომ აღნიშნულ თანხას იღებდა „ბ“-ს ახლობელი, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ მის კუთვნილ ბინაში ცხოვრობდა.

უსაფუძვლოდ გამდიდრებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მაშინაც, როდესაც პირმა სარგებელი ნახა უშუალოდ დაზარალებულის, ანუ შემსრულებლის მოქმედებით. მაგალითად, როდესაც პირი შეცდომით ფიქრობდა, რომ შესრულება მისი ვალდებულება იყო, ხარჯები გაიღო ქონებაზე, რომელზეც ვარაუდობდა, რომ მისი საკუთრება გახდებოდა და ა. შ.

ამდენად, ქონების უსაფუძვლოდ შექენა ან დაზოგვა (უსაფუძვლო გამდიდრება) შეიძლება გამოწვეულ იქნეს მოქმედებით, ან ხდომილებით.

მოქმედება, რომელმაც გამოიწვია უსაფუძვლო გამდიდრება, შეიძლება ეკუთვნოდეს:

- ა) უშუალოდ იმ პირს, რომლის ქონებაც გაიზარდა ან დაიზოგა სხვის ხარჯზე;
- ბ) პირს, რომლის ქონებაც შემცირდა, ან რომლის უშუალო მოქმედებამაც გამოიწვია ვითომ კრედიტორის უსაფუძვლოდ გამდიდრება;
- გ) მესამე პირს, რომელიც უშუალოდ თვითონ არ არის ვითომ კრედიტორი, ან ვითომ მოვალე, თუმცა, მისმა მოქმედებამ გამოიწვია შემძენის (ვითომ კრედიტორის) ქონების გაზრდა, ან დაზოგვა.

უსაფუძვლო გამდიდრება, ასევე, შეიძლება გამოიწვიოს უმოქმედობამაც, რაც უკავშირდება შემძენის, დაზარალებულის, ან მესამე პირის ქცევას. ამდენად, უსაფუძვლო გამდიდრება, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს პირთა მოქმედებამ ან უმოქმედობამ, გათვალისწინებულია სს კოდექსის 976-990-ე მუხლებით.

უსაფუძვლო გამდიდრება, ანუ ერთი პირის ქონების გაზრდა მეორე პირის ქონების ხარჯზე შეიძლება მოხდეს ისე, რომ ადგილი არ ჰქონდეს არც დაზარალებულის, არც უსაფუძვლოდ გამდიდრებულის და არც მესამე პირის ქცევას. მაგალითად, ხდომილებით, როდესაც შედეგი დგება დაუძლეველი ძალით.

შესაძლებელია, სწორედ ასეთი შემთხვევები იგულისხმება სს კოდექსის 991-ე მუხლში მითითებული უსაფუძვლოდ გამდიდრების სხვა შემთხვევებში. კერძოდ, „პირი, რომელიც სხვა პირის ხარჯზე უსაფუძვლოდ გამდიდრდა სხვა საშუალებითაც, გარდა იმისა, რაც გათვალისწინებულია ამ თავში, მოვალეა დაუბრუნოს მას მიღებული“. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მითითებული მუხლის შინაარსი და შესაბამისად, კიდევ რა შეიძლება იგულისხმებოდეს „სხვა საფუძვლებში“ ცალკე შესწავლის საგანია, რაც არ წარმოადგენს მოცემული სტატიის მიზანს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ადგენს უსაფუძვლოდ გადაცემული ქონების დაბრუნების სხვადასხვა წესს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ გადაცემულის დაბრუნება ყოველთვის არ ხდება იმ პირისაგან ვისაც უშუალოდ გადაეცემა ქონება. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული თავისებურებებით ხასიათდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 988-ე მუხლით დარეგულირებული სამართლებრივი ურთიერთობანი. აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს უსაფუძვლო გამდიდრების ისეთ შემთხვევას, როდესაც ურთიერთობებში მონაწილეობს მესამე პირიც და მას გარკვეული უფლებები და მოვალეობებიც უწინდება. ეს კი, დაკავშირებულია მისთვის შესრულებულის გადაცემასთან, რისი დაბრუნებაც სხვადასხვა წესით ხდება. კერძოდ, მითითებული მუხლის პირველი პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე, „პირს, რომელიც 976-ე მუხლის თანახმად, რაიმეს გადასცემს მესამე პირს ვითომ კრედიტორის მითითებით, შეუძლია შესრულებულის გამოთხოვა ვითომ კრედიტორისაგან ისე, თითქოს მისთვის გადაეცეს რაიმე, თუ ვითომ კრედიტორის მითითება საეჭვოა, მაშინ უკან დაბრუნების მოთხოვნა შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ მესამე პირის მიმართ.“

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვითომ კრედიტორის მითითებით შესრულებული გადაცემა მესამე პირს. შესრულებულის, როგორც უსაფუძვლოდ გადაცემულის უკან გამოთხოვა ერთ შემთხვევაში, შეიძლება მოხდეს მესამე პირისაგან, ხოლო მეორე შემთხვევაში კი, ვითომ კრედიტორისაგან. ორივე შემთხვევაში, სახეზეა უსაფუძვლო გამდიდრება, თუმცა, ადგილი აქვს უსაფუძვლო გამდიდრების სხვადასხვა შემთხვევებს.

პირველ შემთხვევაში, ვითომ მოვალისაგან შესრულებულის გადაცემას კრედიტორისათვის ითხოვს მესამე პირი კრედიტორისავე მოთხოვნით. საგულისხმოა, რომ მესამე პირს ვითომ მოვალისაგან შესრულების მოთხოვნის უფლება მინიჭებული აქვს ვითომ კრედიტორთან დადებული დავალების ხელშეკრულების საფუძველზე, ანუ მესამე პირი ვითომ კრედიტორის მოთხოვნას ასრულებს დავალების ხელშეკრულების საფუძველზე. ვითომ მოვალე მესამე პირს გადასცემს შესრულებას და ამით ის ასრულებს თავის მოვალეობას ვითომ კრედიტორის წინაშე. აღნიშნული ვალდებულება კი, ვითომ კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ, არსებობს ვითომ მოვალესა და ვითომ კრედიტორს შორის დადებული ძირითადი გარიგების საფუძველზე, რომელიც შემდეგ ბათილად იქნა ცნობილი.

აღნიშნულ შემთხვევაში, ვითომ მოვალისაგან მესამე პირისათვის შესრულების გადაცემა უთანაბრდება ვითომ კრედიტორისათვის შესრულებულის გადაცემას და ძირითადი გარიგების ბათილობის შემთხვევაში, ვითომ მოვალე მესამე პირზე გადაცემულის დაბრუნებას ითხოვს არა მესამე პირისაგან, არამედ ვითომ კრედიტორისაგან ისე, თითქოს მისთვის გადაეცეს რაიმე.

მაგალითად:

„ა“-მ „ბ“-ს დავალებით მოითხოვა „ც“-საგან თანხა, რომელიც „ბ“-ს სახელზე იყო გამოწერილი და რომელიც შეადგენდა შრომის ხელშეკრულების საფუძველზე „ბ“-ს მიერ „ც“-ს სასარგებლოდ შესრულებული სამუშაოს ღირებულებას. საზღაურის გადაცემის შემდეგ, დადგინდა, რომ „ბ“-ს სახელზე გამოწერილი 500 ლარი (შრომის საზღაური), ნაცვლად 300-ისა, ეკუთვნოდა „დ“-ს და იგი „ა“-ს საშუალებით არასწორად გადაეცა „ბ“-ს.

სს კოდექსის 988-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე:

„ბ“ – არის ვითომ კრედიტორი;

„ა“ – არის მესამე პირი, რომელიც ასრულებს ვითომ კრედიტორის მითითებას;

„ც“ – არის ვითომ მოვალე;

ვინაიდან „ბ“-ს გადაეცა სხვისი კუთვნილი თანხა და ითვლება ვითომ კრედიტორად, იგი ვალდებულია უსაფუძვლოდ მიღებული თანხა დაუბრუნოს „ც“-ს. შესაბამისად, „ც“-ს მითითებული თანხის მოთხოვნის უფლება აქვს უშუალოდ „ბ“-საგან, ისე, თითქოს მას პირადად გადაეცეს „ბ“-სათვის თანხა.

ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, თანხის დაბრუნების ვალდებულება ეკისრება პირს, რომლის ქონებაც უსაფუძვლოდ იზრდება, ანუ „ბ“ არის პირი, რომელიც უსაფუძვლოდ გამდიდრდა და შესაბამისად, მას ეკისრება თანხის დაბრუნების ვალდებულება.

უსაფუძვლო გამდიდრების სამართლებრივი შედეგი უკავშირდება უსაფუძვლოდ მიღებულის გამოთხოვასა და დაბრუნებას. ამიტომ, მნიშვნელოვანია იმის დადგენა კონკრეტულად ვინ ითვლება გამდიდრებულად და ვინ არის ვალდებული დააბრუნოს ვითომ მოვალისაგან მიღებული ქონება. მითითებული მუხლის პირველი პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე, განხილულია, აგრეთვე ისეთი შემთხვევა, როდესაც მესამე პირი უსაფუძვლოდ იყენებს სხვის უფლებას, ანუ ეჭვის ქვეშ დგება ვითომ კრედიტორის მოთხოვნა და ამით მესამე პირი იღებს სარგებელს. ასეთ შემთხვევაში, მესამე პირი ვითომ მოვალისაგან შესრულებას ითხოვს ვითომ კრედიტორის ნების გარეშე. ანუ, მესამე პირი ვითომ კრედიტორისაგან შესრულებას იღებს ვითომ დავალებით, თუმცა, ვითომ კრედიტორისაგან მას არანაირი დავალება მოვალისაგან გამოთხოვის შესახებ არ მიუღია და შესაბამისად, მესამე პირის მოთხოვნაც ვითომ მოვალისაგან არის სამართლებრივ საფუძველს მოკლებული. ამასთან, თუ ვითომ მოვალესა და ვითომ კრედიტორს შორის ძირითადი ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო, არ არსებობს, მაშინ ვითომ მოვალეს, რომელმაც უკვე შეასრულა ვალდებულება, შესრულებულის უკან გამოთხოვა შეუძლია მესამე პირისგან და არა ვითომ კრედიტორისაგან, რადგან ასეთ შემთხვევაში, გამდიდრდა არა ვითომ კრედიტორი, არამედ უსაფუძვლოდ გამდიდრდა მესამე პირი, რომელმაც კრედიტორის მითითების გარეშე მოითხოვა მოვალისაგან ვალდებულების შესრულება.

ამდენად, მესამე პირი ვალდებულია მიღებული სარგებელი დაუბრუნოს ვითომ მოვალეს, ანუ პირს ვისგანაც უშუალოდ მიიღო სარგებელი. ეს არის შემთხვევა, როდესაც უფლების მქონე პირსა (ვითომ კრედიტორს) და შემსრულებელს (ვითომ მოვალეს) შორის არსებული შეთანხმება აღმოჩნდება ბათილი, ხოლო მესამე პირის მოთხოვნა ვითომ კრედიტორის მითითებით საეჭვოა.

ამ შემთხვევას თუ ზემოთ მოტანილი მაგალითის საფუძველზე განვიხილავთ, მაშინ გასარკვევია: ვისგან მოხდება „ც“-ს (ვითომ მოვალის) მიერ გადაცემული თანხის დაბრუნება, თუკი „ა“-ს (მესამე პირის) მოთხოვნა „ბ“-ს (ვითომ კრედიტორის) მითითების საფუძველზე ეჭვის ქვეშ დადგება. თუ „ა“ „ც“-საგან ითხოვს თითქოს „ბ“-ს მითითებით თანხას, რომელიც წარმოადგენს „ბ“-ს მიერ განეული შრომის საზღაურს და დადგინდება, რომ „ა“-მ გააყალბა „ც“-საგან თანხის მოთხოვნის საფუძველი, ანუ „ბ“-ს არანაირი დავალება „ც“-საგან თანხის გამოთხოვაზე არ მიუცია „ა“-სათვის, მაშინ „ც“ უსაფუძვლოდ გადაცემულ თანხას მოითხოვს და დაიბრუნებს არა „ბ“-საგან, არამედ „ა“-საგან, რომელმაც ფაქტობრივად მიიღო თანხა და უსაფუძვლოდ გამდიდრდა.

აღნიშნული წესი გამართლებულია იმ პრინციპიდან გამომდინარე, რომელიც ახასიათებს უსაფუძვლო გამდიდრებას, ანუ უსაფუძვლოდ მიღებულის გამოთხოვა უნდა მოხდეს იმ პირისაგან, ვინც გამდიდრდა,

ვისი ქონებაც გაიზარდა, ან დაიზოგა მიღებული ქონების ხარჯზე. უკან გამოთხოვა დაუშვებელია იმ პირისაგან, ვინც მართალია უსაფუძვლოდ მიიღო ქონება, თუმცა, არ გამდიდრებულა და არანაირი სარგებელი არ მიუღია აღნიშნული ქონების ხარჯზე.

კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებში ხშირად შეიძლება მოხდეს თავდაპირველი კრედიტორის შეცვლა ახალი კრედიტორით, რაც შეიძლება განაპირობოს მოთხოვნის უფლების დათმობამ, წილის დათმობამ, ინდოსირებამ და ა. შ.

აღნიშნული ურთიერთობის დროს უსაფუძვლოდ გადაცემული (მიღებული) ქონების დაბრუნების მნიშვნელოვანი წესია დადგენილი სს კოდექსის 988-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, კერძოდ: „პირს, რომელიც 976-ე მუხლის მიხედვით, ახალ ვითომ კრედიტორს რაიმეს გადასცემს მოთხოვნის წაყენების შემდეგ, შეუძლია თავდაპირველი ვითომ კრედიტორისაგან მოითხოვოს დაბრუნება, ისე, თითქოს მისთვის გადაეცეს რაიმე, თუ თავდაპირველი ვითომ კრედიტორის მითითება საექვოა, მაშინ უკუმოთხოვნა შეიძლება მხოლოდ ახალი ვითომ კრედიტორის მიმართ.“

ახალი კრედიტორის წინაშე მოვალე ვალდებულებას ასრულებს ისეთივე პირობების დაცვით, როგორც ის შეასრულებდა თავდაპირველი კრედიტორის წინაშე. თავდაპირველი, ან ახალი კრედიტორის წინაშე შესრულება, თუკი, ვალდებულება უსაფუძვლობის გამო აღარ არსებობს, იქნება უსაფუძვლო გამდიდრება თავდაპირველი კრედიტორის ან ვითომ ახალი კრედიტორის მიმართ. გამომდინარე იქიდან, თუ ახალი ვითომ კრედიტორის წინაშე შესრულების როგორი საფუძველი არსებობს, მაშინ უსაფუძვლოდ შესრულებულის დაბრუნებაც განსხვავებულია, რაც შემდეგში მდგომარეობს:

პირველი – ეს არის შემთხვევა, როდესაც კრედიტორი თავის მოთხოვნის უფლებას უთმობს სხვას და ვალდებული პირი აღნიშნულის საფუძველზე, ვალდებულების შესრულების მიზნით, ახალ კრედიტორს გადასცემს რაიმეს. თუ შემდეგ დადგინდება, რომ ვალდებულება ვითომ მოვალეს და ვითომ კრედიტორს შორის სს კოდექსის 976-ე მუხლის თანახმად, არ არსებობდა, ან აღარ არსებობს, მაშინ უსაფუძვლოდ გადაცემულის დაბრუნების მოთხოვნა ვითომ მოვალემ უნდა წარუდგინოს თავდაპირველ ვითომ კრედიტორს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს დაბრუნება, რადგანაც თავდაპირველი კრედიტორის მიერ მოთხოვნის უფლების დათმობა მოხდა მისივე ნებით. შესაბამისად, მოტივს და მიზანს, მით უმეტეს მოვალისათვის, მნიშვნელობა არა აქვს. მოვალის მიერ ახალი ვითომ კრედიტორისათვის შესრულებულის გადაცემა გულისხმობს, რომ სამართლებრივი შედეგი დადგა და შესაბამისად, სარგებელიც მიიღო თავდაპირველმა კრედიტორმა, ამიტომაც ახალი ვითომ კრედიტორისათვის რაიმეს გადაცემა უთანაბრდება თავდაპირველი ვითომ კრედიტორისათვის გადაცემას.

მაგალითი:

„ა“-მ „ბ“-საგან უსასყიდლოდ მიიღო 2 ტონა ცემენტი. მხარეები შეთანხმდნენ, რომ „ა“ ცემენტის ტრანსპორტირებას მოახდენდა მეორე დღეს.

„ა“-მ ცემენტზე საკუთრებისა და შესაბამისად, „ბ“-საგან მოთხოვნის უფლება გადასცა „ც“-ს. „ც“-მ მოთხოვნის უფლების დათმობის საფუძველზე „ბ“-საგან მიიღო ცემენტი და მოახდინა მისი ტრანსპორტირება.

დადგინდა, რომ „ბ“-ს არ ჰქონდა ცემენტის გასხვისების უფლება, რის გამოც „ა“-სა და „ბ“-ს შორის დადებული შეთანხმება ჩაითვალა ბათილად.

სს კოდექსის 988-ე მუხლის მეორე პუნქტის პირველი წინადადების შინაარსიდან გამომდინარე, „ა“ ითვლება თავდაპირველ კრედიტორად, „ც“ კი, რომელსაც „ა“-მ გადასცა ცემენტზე საკუთრებისა და მოთხოვნის უფლება არის ახალი ვითომ კრედიტორი. შესაბამისად, უსასყიდლოდ გადაცემული ნივთის დაბრუნების მოთხოვნა „ბ“-მ უნდა წაუყენოს „ა“-ს როგორც თავდაპირველ კრედიტორს და არა „ც“-ს – ახალ ვითომ კრედიტორს.

სს კოდექსის 988-ე მუხლის მეორე პუნქტის მეორე წინადადების შინაარსით, რეგულირდება ისეთი ურთიერთობა, რომლის დროსაც ახალი ვითომ კრედიტორის მოთხოვნა საექვოა და სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია.

კერძოდ: „...თუ თავდაპირველი ვითომ კრედიტორის მითითება საეჭვოა, მაშინ უკუმოთხოვნა შეიძლება მხოლოდ ახალი ვითომ კრედიტორის მიმართ“. რას ნიშნავს გამოთქმა „თუ თავდაპირველი ვითომ კრედიტორის მითითება საეჭვოა.“ ანუ, რა უნდა დადგეს ეჭვის ქვეშ: თავდაპირველი ვითომ კრედიტორის მითითების კანონიერება, თუ ახალი ვითომ კრედიტორის ქმედება. ვინაიდან, მითითებული მუხლი გადაცემულის დაბრუნებას აკისრებს ახალ ვითომ კრედიტორს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ახალი ვითომ კრედიტორი, რომელიც თავდაპირველი ვითომ კრედიტორის მიერ თითქოსდა, მისთვის მოთხოვნის უფლების დათმობის საფუძველზე ითხოვს ვითომ მოვალისაგან შესრულებულის (რაიმეს) გადაცემას, უშუალოდ თვითონ ახდენს მოთხოვნის საფუძვლის გაყალბებას და მისივე ქცევით დგება თავდაპირველი, ვითომ კრედიტორის მითითების კანონიერება ეჭვის ქვეშ. აქედან გამომდინარე, სწორედ, ახალი ვითომ კრედიტორია ვალდებული დაუბრუნოს ვითომ მოვალეს უსაფუძვლოდ მიღებული ქონება, როგორც უსაფუძვლოდ გამდიდრებულმა მხარემ.

ამდენად, მითითების ეჭვექვეშ დაყენების საკითხს თუ ზემოთ მოტანილი მაგალითის საფუძველზე განვიხილავთ, სადაც „ა“ თავდაპირველი ვითომ კრედიტორია, „ბ“ – მოვალე და „ც“ – ახალი ვითომ-კრედიტორი, მაშინ, საეჭვოება შეიძლება ვლინდებოდეს ახალი ვითომ კრედიტორის მიერ მოთხოვნის უფლების დათმობის გაყალბებაში, რაც ადასტურებს, რომ მოთხოვნის უფლების დათმობა თავდაპირველი კრედიტორის მიერ არ მომხდარა. აქედან გამომდინარე, ხელშეკრულების ბათილობის გამო ნავარაუდები ვალდებულების შესრულების საფუძველზე, „ც“-სათვის ნივთის გადაცემა ითვლება უსაფუძვლო გამდიდრებად და მისი გამოთხოვა შემსრულებლის, ანუ „ბ“-ს (ვითომ მოვალის) მიერ უნდა მოხდეს ახალი ვითომ კრედიტორისაგან და არა თავდაპირველი ვითომ კრედიტორისაგან.

სამართლებრივი თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანია ორმხრივი ხელშეკრულების ბათილობის შედეგები და მისი ანალიზი უსაფუძვლო გამდიდრებასთან მიმართებით. ანუ უნდა დადგინდეს როგორი სამართლებრივი შეფასება მიეცეს ბათილობის შედეგებს: როგორც უსაფუძვლო გამდიდრება, თუ უსაფუძვლოდ მიღებულის დაბრუნება და მხარეთა თავდაპირველ მდგომარეობაში აღდგენა, ანუ ორმხრივი რესტიტუცია.

აღსანიშნავია, რომ „გარიგება ყოველთვის კონკრეტული სამართლებრივი შედეგის მიღწევას ისახავს მიზნად, მაგრამ გარიგების მონაწილეების მიერ არჩეული საშუალებები, ან მათ მიერ განხორციელებული მოქმედებები ხშირად არ არის სამართლით შემოთავაზებული შესაძლებლობების ადეკვატური და ექვივალენტური. პრაქტიკულად, ეს ნიშნავს, რომ ზოგი ნების გამოვლენა (გარიგება) იწვევს დასახული სამართლებრივი შედეგის დადგომას, ზოგი კი – არა. ამ განსხვავებათა აღსანიშნავად სამოქალაქო სამართალი განამტკიცებს ნამდვილი გარიგებისა და ბათილი გარიგების ცნებებს. ნამდვილად ითვლება ისეთი გარიგება, რომელიც იწვევს გარიგების მონაწილეების მიერ დასახული სამართლებრივი შედეგის დადგომას. გარიგება მიიჩნევა ბათილად, თუკი მას შედეგად არ მოჰყვება დასახული მიზანი იმის გამო, რომ მოქმედი სამართალი განხორციელებულ ქმედებას სამართლებრივად უვარგისად მიიჩნევს.“² ამდენად, ბათილი გარიგების დროსაც დგება შედეგი, მაგრამ ეს არ არის მხარეთა ან მხარის მიერ დასახული მიზნის მიღწევა, არამედ ეს შედეგი შესაძლოა იყოს დამდგარი ზიანის, უსაფუძვლოდ მიღებულის, ან დაზოგის ანაზღაურება და ა. შ. ასე, რომ ბათილი გარიგების შედეგების განხილვა და ანალიზი გარკვეულ ყურადღებას იმსახურებს უსაფუძვლო გამდიდრებასთან მიმართებით.

აქ საკითხის განხილვა სხვადასხვა კუთხითაა საინტერესო, რათა დადგინდეს როგორი შეფასება უნდა მიეცეს ორმხრივი ხელშეკრულების ბათილობის შედეგებს, როგორც უსაფუძვლო გამდიდრება თუ როგორც უსაფუძვლოდ მიღებულის დაბრუნება, ანდა შეიძლება დაისვას კითხვა ორმხრივი ხელშეკრულების ბათილობის შემთხვევაში, იქნება თუ არა მისი შედეგები ყოველთვის უსაფუძვლო გამდიდრება. აღნიშნულის შეფასების საფუძველს იძლევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის პირველი პუნქტი, კერძოდ, „პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ვითომ კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში.“

ორმხრივი ხელშეკრულების ბათილობის შემთხვევაში, მხარეები უბრუნებენ ერთმანეთს იმას, რაც მიიღეს ბათილი გარიგების საფუძველზე და უნდა მოხდეს მათი თავდაპირველ მდგომარეობაში აღდგენა, ანუ თუ ამ გარიგებით მიღებულის საფუძველზე ორივე მხარე აღმოჩნდა (ქონების გაზრდისა და დაზოგვის თვალსაზრისით) თანაბარ მდგომარეობაში და ბათილად მიჩნევის შემთხვევაში, მათთვის იგივე შედეგი დგება, მაშინ ეს იქნება მხარეთა მიერ უსაფუძვლოდ მიღებულის დაბრუნება, მათი თავდაპირველ მდგომარეობაში აღდგენა, ორმხრივი რესტიტუცია. ე. ი. როდესაც არცერთი მხარე არ აღმოჩნდება ქონებრივად უპირატეს მდგომარეობაში.

მაგალითად:

„ა“-სა და „ბ“-ს შორის დაიდო ბინის ნასყიდობის ხელშეკრულება. თუმცა, „ა“-ს ხელშეკრულების სანოტარი წესით გაფორმებასა და საჯარო რეესტრში რეგისტრაციაზე უარი განუცხადეს, რადგან დადგინდა, რომ კონკრეტული ბინის გაყიდვის უფლება გამყიდველს არ ჰქონდა და შესაბამისად, ეს შეთანხმებაც ბინის ნასყიდობაზე არის ბათილი. მოხდა მხარეთა თავდაპირველ მდგომარეობაში დაბრუნება, გამყიდველმა მიღებული თანხა დაუბრუნა მყიდველს. ამავე დროს დადგინდა, რომ მიღებიდან მყიდველისადმი დაბრუნებამდე გამყიდველს აღებული თანხიდან არანაირი სარგებელი არ მიუღია და შესაბამისად, არც მის გამდიდრებას (მეორე მხარესთან შედარებით) ადგილი არ ჰქონია.

აქედან გამომდინარე, სახეზეა თანხის უსაფუძვლოდ მიღება და ასევე, მისი დაბრუნება ისე, რომ ამ შემთხვევას არცერთი მხარის უსაფუძვლოდ გამდიდრება არ მოჰყოლია.

სრულიად განსხვავებული სამართლებრივი შეფასება შეიძლება მიეცეს ისეთ შემთხვევას, როდესაც ორმხრივი ხელშეკრულება მიიჩნევა ბათილად, შედეგად მოჰყვება ორმხრივი რესტიტუცია. თუმცა, დადგინდება რომ ბათილობამ გამოიწვია ასევე, ერთ-ერთი მხარის ქონებრივად უპირატესი მდგომარეობა ე. ი. სახეზეა ერთ-ერთი მხარის უსაფუძვლო გამდიდრება.

აღნიშნული სამართლებრივი მდგომარეობა განვიხილოთ ზემოთ მოტანილი ბინის ნასყიდობის ხელშეკრულების მაგალითზე.

მყიდველისაგან მიღებული თანხა გამყიდველმა იმავე დღეს შეიტანა საბანკო ანგარიშზე, როგორც ანაბარი. ამასთან, ბინა მყიდველისათვის არც ფაქტობრივ მფლობელობაში იყო გადაცემული. გარიგების ბათილად ცნობის შემდეგ მოხდა გამყიდველის მიერ მყიდველისათვის, როგორც კრედიტორისათვის თანხის დაბრუნება. გამყიდველის მიერ თავის საბანკო ანგარიშზე შეტანილ თანხას მოგების სახით დაერიცხა პროცენტი.

აღნიშნულ შემთხვევაში, ორმხრივი ხელშეკრულების ბათილად ცნობას შედეგად მოჰყვა როგორც ცალმხრივი რესტიტუცია (ვინაიდან ბინა მყიდველისათვის არც ფაქტობრივ მფლობელობაში იყო გადაცემული), ისე ერთ-ერთი მხარის უსაფუძვლო გამდიდრება. რადგან გამყიდველმა, მყიდველის მიერ მისთვის გადაცემული თანხის საშუალებით, მიიღო სარგებელი და უსაფუძვლოდ გამდიდრდა. აქედან გამომდინარე, იგი ვალდებულია უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების შესაბამისად, მოახდინოს ვითომ მყიდველისათვის როგორც ძირითადი თანხის, ისე ამ თანხის საფუძველზე, პროცენტის სახით, მიღებული სარგებლის დაბრუნება.

უსაფუძვლო გამდიდრება სახეზეა მხოლოდ მაშინ, თუ პირის ქონების გაზრდა, ან დაზოგვა მოხდა გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ქონების საფუძველზე.

უსაფუძვლოდ გადაცემული ქონების გამოთხოვის სხვა საფუძველი არსებობს იმ შემთხვევაში, თუკი უსაფუძვლოდ გადაცემულია ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ქონება. ამ შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, უნდა დადგინდეს რომელი ურთიერთობა გვაქვს სახეზე ვალდებულებითი-სამართლებრივი თუ სანივთო-სამართლებრივი.

სანივთო-სამართლებრივი ურთიერთობის შემთხვევაში, მოხდება არა კონდიქციური, არამედ სავინდიკაციო სარჩელის წარდგენა. აღნიშნულ სარჩელებს შორის განსხვავება სწორედ ის არის, რომ კონდიქციური სარჩელის დროს საქმე ეხება გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ქონების დაბრუნებას ან კომპენსაციას რაზედაც მოპასუხეს წარმოემვა საკუთრების უფლება, მოხდა ამ ქონებით მისი ქონების გაზრდა, გადამუშავების

და სხვა სახით გამოყენების შედეგად მიიღო სარგებელი (შემოსავალი). იგულისხმება, რომ მოპასუხეს უსაფუძვლოდ მიღებულ გვაროვნული ნიშნით განსაზღვრულ ქონებაზე წარმოეშვა საკუთრების უფლება.

რაც შეეხება სავინდიკაციო სარჩელს, იგი გამოიყენება უსაფუძვლოდ მიღებული ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ქონების ამოღებისას. როდესაც მოპასუხის მფლობელობაში უსაფუძვლოდ აღმოჩნდა ნივთი, რომელიც ინდივიდუალური ნიშნით არის განსაზღვრული და მოპასუხეს ასეთ ნივთზე არ წარმოშობია საკუთრების უფლება და შესაბამისად, არც ამ უფლების დაკარგვა ხდება მოპასუხისაგან ნივთის ამოღებისას.

მაგალითად:

„ა“-ს ჩუქების დაპირების საფუძველზე „ბ“-სათვის უნდა გადაეცა ძვირადღირებული საათი. დაპირებული საჩუქრის გადაცემის ვალდებულების შესრულება „ა“-საგან მოითხოვა „ც“-მ „ბ“-ს დავალებით. „ა“-მ შეასრულა მოთხოვნა და „ც“-ს გადასცა დაპირებული საჩუქარი. თუმცა, გაირკვა, რომ „ა“-სა და „ბ“-ს შორის დადებული დაპირება აღმოჩნდა ბათილი, რადგან „ა“-ს, როგორც შეზღუდულქმედუნარიანს, არ ჰქონდა მითითებული საათის გაჩუქების უფლება. მოხდა თუ არა საათის გადაცემასთან ერთად საკუთრების უფლების გადასვლა „ბ“-ზე. ვინაიდან საათი არის ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ქონება – საათზე საკუთრების უფლება კვლავ აქვს „ა“-ს და შესაბამისად, „ბ“-საგან საათის გამოთხოვა უნდა მოხდეს არა უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების შესაბამისად, არამედ სავინდიკაციო სარჩელის საფუძველზე, როგორც სხვისი უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა. ე. ი. ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ქონების მიმართ დაზარალებულს უნარჩუნდება საკუთრების უფლება, ხოლო დაზარალებულსა და ვალდებულ პირს შორის წარმოიშობა სანივთო-სამართლებრივი ურთიერთობა, რაც გულისხმობს, რომ ნივთის მფლობელ პირს დაზარალებული მესაკუთრისაგან წაეყენება სავინდიკაციო სარჩელი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „ა“-ს უსაფუძვლოდ გადაცემული საათის გამოთხოვის უფლება აქვს „ბ“-საგან და არა „ც“-საგან, რომელიც ასრულებდა „ბ“-ს მითითებას.

განსხვავებით კონდიქციური სარჩელისაგან, სავინდიკაციო სარჩელის დროს გასათვალისწინებელია ნივთის შემძენის კეთილსინდისიერებისა და არაკეთილსინდისიერების მომენტი. ასევე, ნივთის მესაკუთრის (ანუ გამოთხოვის უფლების მქონე პირის) ნების მომენტი მისი მფლობელობიდან ნივთის გამოსვლის მომენტთან დაკავშირებით.

გასათვალისწინებელია ისეთი შემთხვევა, როდესაც სავინდიკაციო სარჩელის დაკმაყოფილება, ანუ ნივთის მესაკუთრისათვის დაბრუნება შეიძლება გახდეს კონდიქციური სარჩელის წარდგენის საფუძველიც. ამას განაპირობებს ის შემთხვევა, როდესაც ნივთის ფლობის პერიოდში მოხდება ამ ნივთის ღირებულების გაზრდა, რაზედაც ნივთის მფლობელმა გასწია გარკვეული ხარჯები და შესაბამისად, მას აქვს მისი ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, რაც უნდა მოწესრიგდეს უსაფუძვლო გამდიდრებისა და დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების წესების შესაბამისად.

პასუხისმგებლობა ვითომ კრედიტორის მითითების შესრულებით უსაფუძვლო გამდიდრებისას

უსაფუძვლო გამდიდრების შემთხვევაში, რესტიტუცია ხდება უსაფუძვლო გამდიდრების სპეციალური ნორმების საფუძველზე. აქედან გამომდინარე, კონდიქციური სარჩელის ნაცვლად არ შეიძლება გამოვიყენოთ დელიქტური სარჩელი ან პირიქით. თუმცა, გამორიცხული არ არის, რომ უსაფუძვლო გამდიდრების შემთხვევაში, ადგილი ჰქონდეს, ასევე, ზიანის დადგომას. ამ დროს, უსაფუძვლო გამდიდრების სპეციალურ ნორმებთან ერთად მოხდება იმ ზოგადი ნორმების გამოყენება, რომელიც უკავშირდება დამდგარი ზიანის ანაზღაურებას.

ამდენად, უსაფუძვლო გამდიდრების შემთხვევაში, რესტიტუცია შესაძლებელია როგორც კონდიქციური, ისე დელიქტური სარჩელების ერთობლივი გამოყენებით.

კონდიქციური სარჩელის წარდგენა და შესაბამისად, მისი დაკმაყოფილება მოხდება მხოლოდ და მხოლოდ იმ პრინციპებზე დაყრდნობით, რომელიც ზოგადად, უსაფუძვლო გამდიდრებას ახასიათებს, კერძოდ:

- ა) ადგილი უნდა ჰქონდეს მოპასუხის გამდიდრებას მისთვის ქონების გადაცემით, ან მისივე ქონების დაზოგვით.
- ბ) ქონების მიღება ან დაზოგვა უნდა მოხდეს ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე (ბათილი გარიგებით, მესამე პირის მოქმედებით, სტიქიური მოვლენებით და ა. შ.), ანუ გადახდა პირის მიერ ან მიღება მოხდა სამართლებრივი საფუძვლის გარეშე. როდესაც პირი თვლის, რომ ევალება სხვისთვის რაიმე მოქმედების შესრულება მატერიალური ღირებულების ქონების შექმნის ან ქონების გადაცემის მიზნით, თუმცა, ქონების უსაფუძვლოდ მიღება (გამდიდრება) შეიძლება მოხდეს სხვადასხვა საშუალებით, მოქმედებით ან ხდომილებით.
- გ) ამასთან, არ უნდა იკვეთებოდეს მიმღები პირის განზრახვი მოქმედება, რომელიც ხელს უწყობს მის სასარგებლოდ ქონების შექმნას ან დაზოგვას. აქედან გამომდინარე, მეცნიერებაში არსებობს გაბატონებული მოსაზრება, რომ დელიქტურ და კონდიქციურ სარჩელს შორის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი არის ბრალის პრინციპი.

საყურადღებოა, რომ მოსარჩელის მიერ სარჩელის წარდგენა არ უნდა ხდებოდეს სახელშეკრულებო ან დელიქტური მოთხოვნის საფუძველზე, ანუ სარჩელის წარდგენის საფუძველი არ უნდა იყოს სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობა, ანუ სარგებლის მიღება ან ქონების დაზოგვა არ უნდა იყოს გამოწვეული სახელშეკრულებო ვალდებულებათა არაჯეროვანი შესრულების შედეგი. ასევე, სარჩელის მიზანი არ უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო ქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ამდენად, უსაფუძვლო გამდიდრების შემთხვევაში, მოსარჩელეს სარჩელის წარდგენა უნდა შეეძლოს, როდესაც მოპასუხის ქონება გაიზარდა ან დაიზოგა მოსარჩელის მიერ მოპასუხის სასარგებლოდ შესრულებული მოქმედების შედეგად (თუ ეს მოქმედება შესრულდა ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მაგალითად: შეცდომით), ბათილი გარიგებით ან ხდომილებით ე. ი. როდესაც სტიქიური მოვლენების შედეგად მოსარჩელის ქონების მიერთება მოხდება მოპასუხის ქონებასთან და ა. შ. უსაფუძვლო გამდიდრების შემთხვევაში, უსაფუძვლოდ მიღებულის დაბრუნების საფუძვლებისა და ფარგლების განსაზღვრა ხდება როგორც სპეციალური ნორმებით, ისე იმ ზოგადი წესებით, რომლებიც არეგულრებენ ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულების შესრულების წესსა და პირობებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვითომ კრედიტორის მითითებით შესრულების შედეგების დაბრუნება უფლებამოსილი პირისათვის ხდება როგორც ზოგადი (მუხ. 979–980), ისე სპეციალური (მუხ. 989) წესების შესაბამისად.

სს კოდექსის 988-ე მუხლით გათვალისწინებულ (უსაფუძვლო გამდიდრების) შემთხვევებში, მიმღები ვალდებულია გამოთხოვის უფლების მქონე პირს სრულად დაუბრუნოს როგორც შექმნილი ქონება, ისე ის სარგებელი, რომელიც ამ ქონების საფუძველზე მიიღო.

როგორც ცნობილია, უსაფუძვლო გამდიდრების შემთხვევაში, მიმღებს გადაეცემა გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ქონება. ამიტომ, თუ ეს ქონება დაბრუნების მომენტში ისევ არსებობს იმ სახით, რა სახითაც იგი არსებობდა მიმღებისათვის გადაცემის მომენტში, მაშინ გამოთხოვის უფლების მქონე პირისათვის მოხდება იგივე ქონების დაბრუნება, მაგრამ თუ იგივე სახით უკვე აღარ არსებობს, მაშინ მისი დაბრუნება მოხდება იგივე (გვაროვნული ნიშნის მქონე) სახის ქონებით ან შეთანხმების საფუძველზე მოხდება იგივე ღირებულების სხვა სახის ქონებით ან ანაზღაურდება მისი საერთო ღირებულება (ფულადი კომპენსაცია).

უსაფუძვლოდ შექმნილი ქონება თუ მიმღების ბრალის გარეშე დაზიანდა, განადგურდა ან სხვა მიზეზით აღარ არსებობს (მაგალითად, მიმღები პირის თანხმობის გარეშე მოხდა მისი გადაამუშავება, შერწყმა სხვა ნივთთან ან სხვა ქონებასთან ერთად სრულიად სხვა სახით გარდაიქმნა), მაშინ მოთხოვნის უფლების მქონე პირს იგი დაუბრუნდება იმ სახით, რა სახითაც ბრალეულმა პირმა სანაცვლო ანაზღაურებით გადასცა მიმღებს.

მიმღები მიღებულს თუ იმავე ან შეცვლილი სახით ვერ უბრუნებს უფლებამოსილ პირს და უნდა მოხდეს მისი საერთო ღირებულების ანაზღაურება, მაშინ ღირებულების ოდენობა განისაზღვრება ანაზღაურების მოთხოვნის უფლების წამოშობის დროს არსებული ღირებულების მიხედვით.

მაგალითად:

მიმღებმა უსაფუძვლოდ მიღებული ქონება განკარგა თავისი შეხედულების მიხედვით და ამ ქონების დაბრუნება იმავე სახით შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში, უფლებამოსილ პირს მიმღებმა უნდა აუნაზღაუროს დასაბრუნებელი ქონების ღირებულება, ანუ უნდა მოხდეს მისი კომპენსაცია, რომლის მოცულობა უნდა შეესაბამებოდეს მოთხოვნის უფლების წარმოშობის მომენტში არსებულ ე. ი. საბაზრო ღირებულების ოდენობას.

მიმღები არ არის ვალდებული დააბრუნოს (სრულად ან ნაწილობრივ) ქონება თუ:

- ა) მიღებულის დაბრუნება შეუძლებელია (სრულად ან ნაწილობრივ) იმის გამო, რომ ქონება დაიღუპა ან დაზიანდა მიმღების ბრალის გარეშე;
- ბ) მოთხოვნის წაყენების მომენტში ქონება აღარ არსებობს და შესაბამისად, მიმღებიც აღარ ითვლება გამდიდრებულად;
- გ) მიმღებს არანაირი სარგებელი ამ ქონების უსაფუძვლოდ მიღების პერიოდში არ მიუღია.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მიმღები (სრულად ან ნაწილობრივ) მხოლოდ მაშინ თავისუფლდება დაბრუნების მოვალეობისაგან, თუ ზემოხსენებული ყველა პირობა სახეზეა.

მიმღები, როგორც აღინიშნა, ვალდებულია უფლებამოსილ პირს დაუბრუნოს სარგებელიც, რომელიც მან მიიღო ძირითადი ქონების გამოყენების შედეგად.

მიმღები არ თავისუფლდება სარგებლის მიღების მოვალეობისაგან მაშინაც, თუ არ მიუღია მას არანაირი სარგებელი, თუმცა, შეეძლო მიეღო, მაგრამ ვერ მიიღო მისივე ბრალეული მოქმედების გამო.

დასაბრუნებელი სარგებლის ფარგლები ე. ი. სარგებლის მოცულობა განისაზღვრება იმ მომენტიდან, როდესაც მიმღებმა შეიტყო ან უნდა შეეცყო მიღებულის უსაფუძვლობის შესახებ.

მიმღები არ თავისუფლდება მიღებულის დაბრუნების მოვალეობისაგან იმ შემთხვევაშიც, თუ მიღებულის (სრული ან ნაწილობრივი) განადგურება ან დაზიანება მოხდა მესამე პირის ბრალეული მოქმედებით. რაც შემდეგში მდგომარეობს: ვითომ კრედიტორი (მიმღები) ვითომ მოვალისაგან შესრულებას იღებს მესამე პირის საშუალებით. ამასთან, მიმღებისათვის გადაცემამდე მესამე პირის ბრალეული ქმედებით ხდება მოვალისაგან მიღებული ქონების დაღუპვა. თუ დადგინდება, რომ არ არსებობდა ქონების გადაცემის სამართლებრივი საფუძველი, მაშინ აღნიშნულ შემთხვევაში, გადაცემული ქონების გამოთხოვა მოვალის მიერ მოხდება არა მესამე პირისაგან, არამედ ვითომ კრედიტორისაგან. შესაბამისად, ვითომ კრედიტორი ვალდებულია დააკმაყოფილოს ვითომ მოვალის მოთხოვნა. თუმცა, ვითომ კრედიტორსა და მესამე პირს შორის ურთიერთობის რეგულირება მოხდება დავალების ხელშეკრულების საფუძველზე, რაც გამომდინარეობს 988-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებიდან, რაც განპირობებულია იმით, რომ გადაცემის ნამდვილი საფუძვლის შემთხვევაში, შედეგი და შესაბამისად, სარგებელი უნდა მიეღო ვითომ კრედიტორს.

ვითომ კრედიტორის მითითების საეჭვოობისას კი, დაბრუნების მოვალეობა (უსაფუძვლო გამდიდრების შემთხვევაში) მიღებული ქონებისა და სარგებლისაც ეკისრება მესამე პირს, ვინაიდან მოთხოვნაც და შედეგიც ამ შემთხვევაში ეკუთვნის მესამე პირს და არა ვითომ კრედიტორს. ამიტომ, უსაფუძვლო გამდიდრების ზოგადი პრინციპის თანახმად, გამოთხოვა და დაბრუნება უნდა მოხდეს იმ პირისაგან, ვინც უშუალოდ გამდიდრდა და სარგებელი ნახა.

პირი, რომელიც სს კოდექსის 988-ე მუხლის მიხედვით, ითვლება მიმღებად (ვითომ კრედიტორი, მესამე პირი, თავდაპირველი ვითომ კრედიტორი ან ახალი ვითომ კრედიტორი) ყოველთვის თავისუფლდება მიღებული ქონების დაბრუნების მოვალეობისაგან, თუ მიღებული ქონება დაზიანდა ან გაფუჭდა. დაბრუნების მოვალეობისაგან მიმღები გათავისუფლდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების ნამდვილობის დროს ქონების დაზიანების ან გაფუჭების გამო პასუხისმგებლობა დაეკისრებოდა უშუალოდ ქონების გამამცემს (შემსრულებელს), რაც იმაში გამოიხატება, რომ ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული ქონება იყო ნაკლიანი, უხარისხო და მისი დაღუპვა ან გაფუჭება სწორედ გამამცემის ბრალეულობით მოხდა, რისთვისაც რისკი სწორედ ამ უკანასკნელზე გადადის.

უსაფუძვლო გამდიდრების შემთხვევაში, რესტიტუცია შეიძლება მოიცავდეს მიმღების (ვითომ კრედიტორის, მესამე პირის, თავდაპირველი ვითომ კრედიტორის ან ახალი ვითომ კრედიტორის) უფლებას მოითხოვოს ვითომ მოვალისაგან იმ ხარჯების ანაზღაურება, რომელიც მან გაიღო (შემდგომში ბათილად ცნობილი) ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული ქონების გაუმჯობესებაზე. ეს ეხება იმ შემთხვევას, როდესაც მიმღებს მიღებული საგანი სამუდამოდ შეძენილად მიაჩნდა და სწორედ ეს გახდა მისგან ქონების გაუმჯობესებისა და ხარჯების გაღების საფუძველი. ამ შემთხვევაში, ადგილი ექნება ორმხრივ რესტიტუციას. ანაზღაურების მოვალეობანი, ანუ რესტიტუცია უნდა მოხდეს ერთდროულად.

უკან დაბრუნების ხარჯები და რისკი ეკუთვნის შემსრულებელს, ანუ პირს, რომლის მოქმედებითაც, მოხდა ქონების უსაფუძვლოდ გადაცემა ან პირს, რომელსაც აქვს გამოთხოვის უფლება. ეს შედეგი დგება მაშინაც, თუ პირის ქონების გაზრდა მოხდა ხდომილების შედეგად.

რა სამართლებრივი შედეგები შეიძლება დადგეს იმ შემთხვევაში, თუ პირმა უსაფუძვლოდ მიღებული ქონების მიმართ გასწია ხარჯები, თუმცა არსებობდა ისეთი გარემოებები, რომლის საფუძველზედაც პირს შეეძლო ევარაუდა, რომ ქონება მას არ ეკუთვნოდა. ასეთი ქონება უბრუნდება უფლებამოსილ (გამოთხოვის უფლების მქონე) პირს, რომელიც იღებს ქონებას უფრო გაზრდილი ღირებულებით. ამ შემთხვევაში, ხარჯების გამწევ პირს განეული ხარჯები ან წარმოშობილი ქონებრივი დანაკლისი აუნაზღაურდება არა უსაფუძვლო გამდიდრების, არამედ დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების წესების მიხედვით. მოხდება მხოლოდ აუცილებლობით გამონეული ხარჯების ან ქონებრივი დანაკლისის ანაზღაურება.

მესამე პირის ვალდებულება უსაფუძვლოდ მიღებულის დაბრუნებისას

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 989-ე მუხლი ითვალისწინებს სპეციალურ წესებს, რომელიც ეხება უსაფუძვლოდ მიღებულის დაბრუნებას. აღნიშნულ შემთხვევაში, საყურადღებოა ერთი მომენტი, ანუ თავდაპირველი ვითომ კრედიტორის მიერ მესამე პირისათვის ქონების გადაცემა ხდება სასყიდლით, თუ უსასყიდლოდ.

სს კოდექსის 989-ე მუხლით გათვალისწინებული წესი ეხება იმ შემთხვევას, როდესაც მიმღები (ან მიღებაზე უფლებამოსილი) პირი უსასყიდლოდ გადასცემს ქონებას ან ქონების მიღებაზე უფლებას. კერძოდ, სს კოდექსის 989-ე მუხლის თანახმად: „1. 976-ე და 988-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ მიმღები, რომელიც მოვალეა დააბრუნოს მიღებული, უსასყიდლოდ გადასცემს მას მესამე პირს, მაშინ მესამე პირი ასევე, მოვალეა დააბრუნოს მიღებული ისე, თითქმის მას კრედიტორისაგან კანონიერი საფუძვლის გარეშე მიეღოს რაიმე, თუ მიმღებისაგან დაკმაყოფილება შეუძლებელია. 2. ზიანის ანაზღაურების მიმართ შესაბამისად, გამოიყენება 979–981-ე მუხლების მოთხოვნები.“

აქედან გამომდინარე, თუ მიმღები, ანუ პირი, რომელიც ვალდებულია დააბრუნოს მიღებული (ვითომ კრედიტორი, მესამე პირი, თავდაპირველი ვითომ კრედიტორი ან ახალი ვითომ კრედიტორი), უსასყიდლოდ გადასცემს მიღებულ ქონებას მესამე პირს, მაშინ მესამე პირი არის ვალდებული დაუბრუნოს უფლებამოსილ პირს. მესამე პირს, რომელსაც უსასყიდლოდ გადაეცა მიღებული, დაბრუნების ვალდებულება ეკისრება მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში, კერძოდ:

- ა) თუ მესამე პირის ქონება მიღებული ქონების ხარჯზე გაიზარდა ან დაიზოგა, ანუ მან ამ გადაცემით ნახა სარგებელი;
- ბ) თუ მიმღებისაგან მესამე პირისათვის გადაცემა არ უკავშირდება მიმღების მიერ (მესამე პირის წინაშე) ნაკისრი ვალდებულების შესრულებას და ეს შესრულება ეხება გვაროვნული ნიშნით განსაზღვრულ ქონებას.
- გ) თუ მიმღები პირისაგან (ვინც უსასყიდლოდ გადასცა მესამე პირს ქონება) მიღება შეუძლებელია. ეს კი, შეიძლება გამონეული იყოს მისი გარდაცვალებით, გადახდისუუნარობით და ა. შ. ამასთან, მნიშვნელოვან მომენტად ითვლება ის, რომ მიმღებს ქონების მიღებითა და გადაცემით არანაირი სარგებელი

არ უნდა ჰქონდეს მიღებული. აღნიშნულ შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურება მოხდება, ასევე, 979–981-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად, რაზედაც უკვე იყო საუბარი.

უსაფუძვლოდ მიღებულ ქონებას თუ მიმღები სასყიდლით ან სანაცვლო ანაზღაურების მიღებით გადასცემს მესამე პირს, მაშინ მიმღებია ვალდებული აუნაზღაუროს უფლებამოსილ პირს სანაცვლო ღირებულებით, რაც შეიძლება გამოიხატოს ფულადი კომპენსაციით, იგივე ნიშნით განსაზღვრული ქონების ან იგივე ღირებულების მქონე ნივთის გადაცემით.

შენიშვნები:

¹ Р. Саватье, Теория обязательств, Перевод с французского и вступительная статья доктора юридических наук Р.О. Халфиной, 1972, стр. 367.

² ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 1997, გვ: 381-382.

TRANSFER RESULTS IN CASES OF UNJUSTIFIED ENRICHMENT BASED ON GIVING UP DEMAND AND INSTRUCTIONS


TAMAR CHITOSHVILI
Doctor of Law

Relations deriving from unjustified enrichment belong to relationships of obligations based on the law and it possesses certain features. Main feature is – illegal origin of the property.

Unjustified enrichment implies careful spending of property or its expansion on others' account; it can happen by means of obtaining, mixture of somebody's property (monetary or in-kind) as well as by actions of others or direct actions of the victim, etc.

Among unjustified enrichment cases, the relationship where the third person participates with originated certain rights and responsibilities, represents one of the important components.

In the mentioned case, the so-called debtor execution is transferred to the third person upon instruction of the so-called creditor; however in case of termination of the deal or its annulment, due to inexistence of obligations, the so-called debtor demands the so-called creditor – and not the third person – to return the transferred items. If instructions of



the so-called creditor on giving up the right to demand execution are being questioned, then the so-called debtor has a right to demand return of transferred items from the third person and not from the so-called creditor.

Filing conditional claims and meeting demands will take place in cases when happens groundless transfer of patrimonial property.

Beneficiary of groundlessly received property shall return to the authorized person together with the gain received by him/her from such property, or could receive and did not due to his/her faulty actions.

Beneficiary (including the third person) shall be released from the obligation of returning received property, if the beneficiary has not enriched by increase of the property, or careful spending, or if receipt of such property did not give any gain without fault of the beneficiary.

სამოქალაქო პასუხისმგებლობის სუბიექტები

თეა სუსიტაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი

დავა სამართლის სუბიექტის რაობაზე. გასული საუკუნის 60-70-იან წლებში სამოქალაქო პასუხისმგებლობის სუბიექტთან და ობიექტთან დაკავშირებით სპეციალისტებს შორის მწვავე დისკუსია გაიმართა. როგორც ცნობილია, სამოქალაქო პასუხისმგებლობის ერთადერთ და სავალდებულო საფუძვლად ათეული წლების განმავლობაში მიჩნეული იყო სამართალდარღვევის შემადგენლობა. დღესაც, ამ მიმართულებას საკმაო მიმდევრები ჰყავს. გ. მატვეევი, ხელმძღვანელობდა სისხლის სამართლის მეცნიერებაში დამკვიდრებული სამართალდარღვევის შემადგენლობის პრინციპით და სამოქალაქო სამართალდარღვევის შემადგენლობას ობიექტურ და სუბიექტურ ელემენტებად შემდეგი თანმიმდევრობით ჰყოფდა: არამართლზომიერი მოქმედება (უმოქმედობა), ამ მოქმედებით წარმოშობილი მავნე შედეგი და მიზეზობრივი კავშირი მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, როგორც სამართალდარღვევის შემადგენლობის ობიექტური ელემენტები და სამართალდამრღვევის ბრალი, როგორც სამართალდარღვევის შემადგენლობის სუბიექტური ელემენტი. სამოქალაქო სამართალდარღვევა, ამბობს გ. მატვეევი, სწორედ ამ სახით წარმოადგენს ობიექტურ და სუბიექტურ ელემენტების ერთობლიობას. პროფესორი გ. მატვეევი შემდგომშიც ამ პოზიციის ერთგული დარჩა.¹

ს. ალექსეევი კატეგორიულად არ იზიარებდა სამართალდარღვევის შემადგენლობის გ. მატვეევისეულ სტრუქტურას ობიექტურ და სუბიექტურ ელემენტებად დაყოფის თაობაზე და წერდა: სამოქალაქო სამართალდარღვევის შემადგენლობის ობიექტურ და სუბიექტურ ელემენტებად დაყოფით გ. მატვეევი გაუმართლებლად აახლოებს მას დანაშაულის

შემადგენლობის ელემენტებთან; ამასთან, გამორიცხავს რა, სამართალდარღვევის შემადგენლობიდან სუბიექტის ნიშან-თვისებებს და არ გამოჰყოფს რა, ცალკე სამართალდარღვევის ობიექტს, იგი ვერ ამჩნევს ამ მონათესავე კატეგორიებს შორის მსგავსებას.²

ს. ალექსეევი ცდილობდა დანაშაულის შემადგენლობის ელემენტები გაემიჯნა სამოქალაქო სამართალდარღვევის ელემენტებისაგან. იგი სამოქალაქო სამართალდარღვევის შემადგენლობას შემდგენაირად განმარტავდა: თუ სამოქალაქო სამართალდარღვევის შემადგენლობის სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობისათვის დამახასიათებელი ზოგადი ნიშნების მატარებელი ელემენტების კლასიფიკაციას მოვახდენთ, ისინი სამი მიმართულებით უნდა განვალაგოთ: 1. ობიექტი, 2. სუბიექტი, 3. ობიექტური მხარე (არამართლზომიერი მოქმედება, უარყოფითი შედეგი, მიზეზობრივი კავშირი).³ როგორც ვხედავთ, ს. ალექსეევი მართალია, კვლავ სამართალდარღვევის შემადგენლობის პოზიციაზე იდგა, მაგრამ თავისთავად დანაშაულის შემადგენლობის ელემენტების სამოქალაქო სამართალდარღვევის შემადგენლობის ელემენტებიდან გამიჯვნა პრობლემის კვლევის დადებით მცდელობად უნდა იყოს შეფასებული.

სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტი, როგორც ზოგადად, სამართალურთიერთობის სუბიექტი, შეიძლება იყოს ფიზიკური და იურიდიული პირი. სპეციალისტებს შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს სამართლებრივი ურთიერთობისა და სამართლის სუბიექტების ცნებათა გაგება. საკითხის სწორი გაგებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია საზოგადოებრივი ურთიერთობის, სამართლებრივი ურთიერთობის, სამართლისა და სამართლის ნორმის ურთიერთდამოკიდებულების გარკვევა. კერძოდ – შეიძლება თუ არა სამართლებრივი ურთიერთობის ცნების შეტანა სამართლის განსაზღვრებაში და სამართლებრივი ნორმები არეგულირებენ სამართლებრივ ურთიერთობებს თუ საზოგადოებრივ ურთიერთობებს. ავტორთა ერთი ნაწილი, მაგალითად, ა. პიონტკოვსკი მიიჩნევდა, რომ სამართლის ცნება სამართლის ნორმების ერთობლიობის ცნების იგივეობას არ წარმოადგენს. პირიქით, სამართალი გულისხმობს სამართლის ნორმებისა და სამართლებრივი ურთიერთობის ერთობლიობას.⁴ პრინციპში, ამავე დებულებას იზიარებდა პროფესორი ს. ბრატუსი, რომელიც სამართლის ნორმებსა და სამართლებრივ ურთიერთობებს შორის დამოკიდებულებას იმგვარად წარმოადგენდა, თითქოს სამართალი მხოლოდ მაშინ გვაქვს, როცა სამართლებრივი ნორმები ხორციელდება კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობებში, ხოლო მანამდე სამართალი არ არსებობს.⁵

ზემოაღნიშნულ მოსაზრებათა ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენდა ო. იოფეს, მ. კარევეს, ა. სტალგევიჩისა და სხვათა დასკვნები, რომ სამართლებრივი ნორმები ანესრიგებენ არა კონკრეტულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, არამედ სამართლებრივ ურთიერთობებს. ა. სტალგევიჩის მტკიცებით, სამართლის ნორმებს არ შეუძლიათ უშუალოდ საზოგადოებრივი ურთიერთობების მონესრიგება; სამართლის ნორმები ითვალისწინებენ მხოლოდ იურიდიულ ურთიერთობებს, რომლებიც სამართლის ნორმის ფარგლებში არეგულირებენ საზოგადოებრივ ურთიერთობებს.⁶

ა. პიონტკოვსკის, ა. სტალგევიჩის, ს. ბრატუსისა და სხვათა შეხედულებები შემდგომში სამართლიანად იქნა გაკრიტიკებული. ბ. ვ. შეინდლინი სტატიაში „სამართლის ნორმა და სამართლებრივი ურთიერთობები“ სრულიად ლოგიკურად მიუთითებდა, რომ სამართლის ცნება და სამართლის ნორმის ცნება ერთმანეთისადმი ისეთივე დამოკიდებულებაშია, როგორც ზოგადისა და კონკრეტულის (მთელისა და ნაწილის) ფილოსოფიური კატეგორიები,⁷ რასაც სრულიად ვეთანხმებით. ასევე, არასწორია სამართლის ნორმებსა და სამართლებრივ ურთიერთობებს შორის დამოკიდებულების იმგვარად წარმოადგენა, თითქოს სამართალი მხოლოდ მაშინ გვაქვს, როცა სამართლებრივი ნორმები ხორციელდება კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობებში და თითქოს სამართალი მანამდე არ არსებობს. სამართლის ნორმასა და სამართლებრივ ურთიერთობას შორის, რა თქმა უნდა, მჭიდრო კავშირია. სამართლებრივი ურთიერთობა ყოველთვის გულისხმობს საზოგადოებრივ ურთიერთობასა და სამართლის ნორმებს შორის აუცილებელ კავშირს, მაგრამ ამგვარი კავშირი არ იძლევა საფუძველს, რომ სამართლის ზოგადი ცნება განისაზღვროს, როგორც სამართლის ორი კონკრეტული ფორმის – სამართლის ნორმისა და სამართლებრივი ურთიერთობის ერთობლიობა.

საზოგადოებრივი ურთიერთობების, სამართლებრივი ურთიერთობებისა და სამართლის ნორმებს შორის დამოკიდებულებაში გარკვეული სიცხადე შეაქვს სამართლებრივი ურთიერთობის ფორმისა და შინაარსის

დადგენას. როგორც პროფესორი ი. ტოლსტოი აღნიშნავს, რეალურ სინამდვილეში სამართლებრივი ურთიერთობები ყოველთვის გვევლინება როგორც ნებითი ეკონომიკური და სხვადასხვა ზედნაშენი ურთიერთობების ფორმა, რომელიც განუყოფლად დაკავშირებული ამ ურთიერთობათა შინაარსთან და განპირობებულია მისი თავისებურებებით.⁸ შესაბამისად, სამართლებრივი ურთიერთობა სოციალური შინაარსისა და სამართლებრივი ფორმის ერთიანობას წარმოადგენს, ანუ ერთი მხრივ, განსაზღვრული ინტერესების მისაღწევად მიმართულ მოქმედებასა და მეორე მხრივ, უფლებებსა და მოვალეობებს შორის ერთიანობას. სამართლის ნორმები არეგულირებენ რა, განსაზღვრულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, სამართლებრივი რეგულირების პროცესში სამართლის ნორმები საზოგადოებრივ ურთიერთობებს აძლევს სამართლებრივი ურთიერთობების ფორმას. კერძოდ, ისინი ადგენენ ამ საზოგადოებრივი ურთიერთობის მონაწილეთა სავალდებულო მოქმედების (ქცევის) წესს და ამდენად, საზოგადოებრივ ურთიერთობებს ენიჭებათ სამართლებრივი ურთიერთობების ფორმა. ამასთან, როგორც უკვე ითქვა, სამართლებრივ ურთიერთობებს აქვთ განსაზღვრული შინაარსიც.

იურიდიულ ლიტერატურაში ტერმინი „სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი“ ორი გაგებით იხმარება – სამართლებრივი ურთიერთობის სოციალური შინაარსი და სამართლებრივი ურთიერთობის იურიდიული შინაარსი. სოციალური შინაარსის მიხედვით, სამართლებრივი ურთიერთობები არაფრით განსხვავდება საზოგადოებრივი ურთიერთობებისაგან. სამართლით (სამართლის ნორმით) მოწესრიგებული საზოგადოებრივი ურთიერთობის მონაწილეებს პირადი მიზნები და ინტერესები აქვთ. მაგალითად, შეიძინონ საკვები, სანავაჯი და სხვა, რომლის მისაღწევადაც გვემავენ თავიანთ მოქმედებას, რაც საზოგადოებრივი ურთიერთობის შინაარსს წარმოადგენს და რომლებიც სამართლებრივი რეგულირების შედეგად ლეზულობს სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათს. ამიტომ ლევ იავიჩი სამართლიანად აღნიშნავს, რომ სამართლებრივი ურთიერთობები რეალური, ცხოვრებისეული ურთიერთობებია და მათი შინაარსი ადამიანთა და ორგანიზაციათა მოქმედებას (ქცევას) გულისხმობს.⁹ რაც შეეხება სამართლებრივი ურთიერთობის იურიდიულ შინაარსს, დიდი ხანია დამკვიდრებულია აზრი და დავას არ იწვევს, რომ სამართლებრივი ურთიერთობის იურიდიული შინაარსი გამოიხატება ამ ურთიერთობის სუბიექტთა უფლებებსა და მოვალეობებში, რომლებიც მიუთითებენ ურთიერთობის მონაწილეებს, როგორი შეიძლება და უნდა იყოს მათი მოქმედება.¹⁰ როგორც ვხედავთ, სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი ორმაგი ბუნებისაა – სოციალური და იურიდიული, ამიტომ სამართლებრივი ურთიერთობის ცნების სამართლის (სამართლის ნორმის) განმარტებაში შეტანა არ იქნება სწორი, რადგან ამ უკანასკნელისათვის მხოლოდ იურიდიული შინაარსია დამახასიათებელი.

სახელმწიფო ამა თუ იმ საზოგადოებრივ ურთიერთობას აწესრიგებს სახელმწიფოებრივი ნების მიხედვით, რაც ვლინდება სამართლებრივ ნორმებში. სამართლებრივი ურთიერთობების ხასიათს არსებითად სახელმწიფოს ნება განსაზღვრავს, მაგრამ სამართლებრივი ურთიერთობები, როგორც ნებითი ურთიერთობები, მარტოოდენ სახელმწიფოს ნებით არ ამოიწურება. სამართლებრივი ურთიერთობის ნებითი ხასიათი აუცილებლად გულისხმობს ამ ურთიერთობის მონაწილეთა ნების არსებობასაც. ნასყიდობის თუ სხვა სახელმეკრულეულო ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმებით დადგენილი მხარეთა უფლება-მოვალეობები სახელმწიფოს ნების გამოხატულებაა და ისინი ასეთად (სამართლის ნორმად) დარჩებიან, ვიდრე საზოგადოებრივი ურთიერთობის მონაწილენი არ გამოხატავენ ნებას – დადონ ნასყიდობის ხელშეკრულება, რაც სამართლის ნორმით დადგენილ ქცევის ზოგად წესს სავალდებულო ძალას შესძენს და რაც სამართალურთიერთობის წარმოშობის საფუძველი გახდება. ამდენად, სამართალი (სამართლის ნორმა) მხოლოდ სახელმწიფოს ნებას გამოხატავს, სამართლებრივი ურთიერთობა კი, გამოხატავს როგორც სახელმწიფოს, ისე ურთიერთობის მონაწილე სუბიექტის ნებას.

ამრიგად, ფორმა-შინაარსისა და ნებელობის კრიტერიუმის გათვალისწინებით, სამართლებრივი ურთიერთობისა და სამართლის ცნებები არ არის ერთი და იგივე. სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი კონკრეტული უფლებებითა და მოვალეობებით აღჭურვილი პირია, ხოლო სამართლის სუბიექტისათვის დამახასიათებელია სამართალსუბიექტურობის ზოგადი ნიშნები – სამართალუნარიანობა და ქმედუნარიანობა სტატიკურ მდგომარეობაში. სხვა კონკრეტული უფლებები და მოვალეობები სამართლის სუბიექტს არ გააჩნია. შესაბამისად, სამოქალაქო სამართალურთიერთობის პასუხისმგებლობის სუბიექტებისათვის დამახასიათებელია კონკრეტული უფლებებისა და მოვალეობების დინამიკა, ხოლო სამოქალაქო სამართალსუბიექტურობა ამ უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობის აუცილებელი წინამძღვარია.

სამოქალაქო პასუხისმგებლობის სუბიექტის სამართალსუბიექტურობა და დელიქტუნარიანობა.

სამართალსუბიექტურობასთან დაკავშირებით, მოკლედ გვინდა შევეხოთ ქართულ სამოქალაქო კანონმდებლობაში და სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულ არასწორ ტერმინს – „უფლებაუნარიანობას“. თუ ტერმინის „უფლებაუნარიანობის“ შინაარსის გარკვევას გრამატიკული (სიტყვასიტყვითი) განმარტების საშუალებით შევეცდებით, ერთ დასკვნამდე მივალთ, რომ ეს არის პირის უნარი ჰქონდეს გარკვეული სამოქალაქო უფლებები. მკაცრი განსჯის შედეგად უფლებაუნარიანობის ტერმინში ვერაფრით მოვიაზრებთ პირის უნარს, ჰქონდეს გარკვეული მოვალეობები, თუმცა, დღეს სადავო არ არის, რომ უფლებაუნარიანობაში კანონმდებელიც და სამეცნიერო წრეებიც მოიაზრებენ პირის უფლებებსაც და მოვალეობებსაც. უფლებაუნარიანობის ტერმინის არასწორი დადგენა ვფიქრობთ, უნდა მომდინარეობდეს საქართველოს 1923 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსიდან. კოდექსის ზოგადი ნაწილის მეორე თავი, სადაც საუბარია სუბიექტებზე, დასათაურებულია **უფლების სუბიექტად**. ამავე კოდექსის მეოთხე მუხლში ვკითხულობთ, რომ საქართველოს სსრ ანიჭებს ყველა მოქალაქეს, ვისაც კი, სასამართლოს მიერ არ ექნება უფლება შეზღუდული, სამოქალაქო უფლება-უნარიანობას. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ კანონმდებელი იძლევა უფლებაუნარიანობის გაფართოებულ ლეგალურ განმარტებას, რომ იგი არის პირის უნარი იქონიოს **სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები**. როგორც ვხედავთ, უფლებაუნარიანობის ტერმინი სრულყოფილად ვერ ასახავს მის ნამდვილ მნიშვნელობას, რადგან მასში არ ჩანს პირის უნარი სამოქალაქო მოვალეობის შესახებ. მოგვიანებით, ეს ხარვეზი გაიმეორა საქართველოს 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსმა და 1997 წლის სამოქალაქო კოდექსმაც. ამ ტერმინის სრულყოფისათვის არც მეცნიერული დისკუსია გამართულა თუ მხედველობაში არ მივიღებთ პროფესორ ვახტანგ აბაშვიდის მიერ გამოთქმულ სამართლიან შენიშვნას – ტერმინი უფლებაუნარიანობა შეიცვალოს სამართალუნარიანობის ტერმინით.¹¹

ფიზიკური თუ იურიდიული პირის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სუბიექტად აღიარებისათვის საჭიროა, რომ იგი აკმაყოფილებდეს სამართალსუბიექტურობისათვის კანონით დადგენილ ყველა მოთხოვნას, ანუ იყოს სამართალუნარიანი და ქმედუნარიანი. სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლით, ფიზიკური პირის სამართალუნარიანობა არის პირის უნარი, ჰქონდეს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, რაც წარმოიშობა დაბადების მომენტიდან და შეწყდება მისი გარდაცვალებით. სამოქალაქო პასუხისმგებლობის სუბიექტად ცნობისათვის უპირველესად, მაინც ქმედუნარიანობაა მიჩნეული. სამოქალაქო კოდექსი პირის ქმედუნარიანობის ლეგალურ განმარტებასაც იძლევა. კოდექსის მე-12 მუხლი ქმედუნარიანობას განმარტავს, როგორც პირის უნარს, თავისი ნებითა და მოქმედებით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები. სამართალუნარიანობისაგან განსხვავებით ქმედუნარიანობის წარმოშობას ორ ძირითად გარემოებას უკავშირებენ – ასაკს და ჯანმრთელობას.¹²

როცა საუბარია სამოქალაქო პასუხისმგებლობის სუბიექტებზე, აქ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრების პროცესში სუბიექტთა განლაგების რა კომპოზიციასთან გვაქვს საქმე. როგორც სახელმეკრულებო, ისე არასახელმეკრულებო ურთიერთობებში სავალდებულო წესით ორი მხარე მონაწილეობს – კრედიტორი და მოვალე (სამართალდამრღვევი და დაზარალებული). კრედიტორი შეიძლება იყოს ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი, ხოლო მოვალე შეიძლება იყოს მხოლოდ დელიქტუნარიანი პირი. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დელიქტუნარიანობა განმარტებულია, როგორც „პირი, რომელიც პასუხს აგებს თავისი მოქმედებისათვის.“¹³ ვფიქრობთ, დელიქტუნარიანობის ასეთი დეფინიცია სრულად ვერ გამოხატავს მის ნამდვილ მნიშვნელობას. მაგალითად, სანარმო მუშაკი, რომელსაც სრული ქმედუნარიანობა აქვს, ზოგადად, დელიქტუნარიან პირად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ სამოქალაქო კოდექსის 997-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მუშაკი თავის ქმედებაზე პასუხს არ აგებს. აქ პასუხისმგებლობის სუბიექტად სანარმო გვევლინება, ამიტომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, სანარმო არის დელიქტუნარიანი. შესაბამისად, დელიქტუნარიანობა უნდა განიმარტოს როგორც პირის უნარი, პასუხი აგოს თავისი ან მესამე პირის ქმედებისათვის (აქ ტერმინს „მესამე პირს“ ფართო გაგებით ვხმარობთ და მხედველობაში გვაქვს, თავისთავად პასუხისმგებლობა მესამე პირის ქმედებისათვის, სუბსიდიარული პასუხისმგებლობა, სანარმოს პასუხისმგებლობა მუშაკის მიერ მიყენებული ზიანისათვის და სხვა).

არაიურიდიული პირის დელიქტუნარიანობა სამოქალაქო კანონმდებლობით დაშვებული გამონაკლისი შემთხვევაა. ეს ნიშნავს, რომ ყველა ცალკეულ შემთხვევაში, მოქალაქეთა გაერთიანებებს, რომლებიც არ არიან იურიდიული პირები, დელიქტუნარიანობა კანონით უნდა ჰქონდეთ დაკისრებული. სამოქალაქო კანონმდებლობა იცნობს საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებულ ისეთ არაიურიდიულ პირ მოქალაქეთა გაერთიანებებს, რომლებიც უფლებამოსილნი არიან იყვნენ სამოქალაქო სამართალურთიერთობის მონაწილე სუბიექტები, მაგრამ ეს სულაც არ გულისხმობს მათ აუცილებელ დელიქტუნარიანობას. მაგალითად, სამოქალაქო კანონმდებლობა შვილად აყვანისა და მისი ბათილად ცნობის საქმეში მონაწილეობის აქტიურ როლს ანიჭებს მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივ ორგანოებს, მაგრამ ამავე დროს კანონი მათ რაიმე პასუხისმგებლობას არ განუხაზღვრავს. აღნიშნულის საპირისპიროდ, ხშირად, არაიურიდიული პირები დელიქტუნარიან პირებად არიან აღიარებულნი. სამოქალაქო კოდექსის 39-ე მუხლის მიხედვით, არარეგისტრირებული კავშირი არ არის იურიდიული პირი, მაგრამ კრედიტორების წინაშე იგი პასუხს აგებს საერთო ქონებიდან. დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის მქონეა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის, როგორც არაიურიდიული პირის პასუხისმგებლობის სუბიექტად სწორად განსაზღვრა. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ კანონის მე-14 მუხლით ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრედიტორების მოთხოვნები **შეიძლება** დაკმაყოფილდეს ამხანაგობის წევრთა ქონებიდან. ამასთანავე, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე ამხანაგობის წევრები პასუხს აგებენ ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებაში თავიანთი წილის შესაბამისად, პერსონალურად და როგორც სოლიდარული მივალეები. დასახელებული ნორმა ბევრ კითხვაზე მოითხოვს პასუხს, კერძოდ: 1. ამხანაგობის კრედიტორების მოთხოვნები როდის არ შეიძლება დაკმაყოფილდეს და როდის შეიძლება დაკმაყოფილდეს ამხანაგობის წევრთა ქონებიდან? 2. როგორ გავიგოთ ამხანაგობის წევრთა ერთდროულად წილობრივი და სოლიდარული პასუხისმგებლობა და სხვა.

როგორც ვხედავთ, დასახელებულ ნორმაში პირდაპირ არ არის მოცემული ამხანაგობა მისი კრედიტორების წინაშე უშუალოდ თვითონ აგებს პასუხს თუ მისი წევრები. მაგრამ კანონის მოთხოვნა, რომ „ამხანაგობის კრედიტორების მოთხოვნები **შეიძლება** დაკმაყოფილდეს ამხანაგობის წევრთა ქონებიდან,“ სუბსიდიარულ პასუხისმგებლობაზე მიგვანიშნებს, რაც ნიშნავს, რომ ამხანაგობის კრედიტორების მოთხოვნები უპირველესად, ამხანაგობის განცალკევებული ქონებიდან უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თუ ასეთი არ აღმოჩნდა ან ზიანის ანაზღაურების სრულად დასაფარად არასაკმარისია, კრედიტორების მოთხოვნები ამხანაგობის წევრებმა უნდა დააკმაყოფილონ სოლიდარულად.

როგორც უკვე ითქვა იმისათვის, რომ ამხანაგობამ მისი კრედიტორების წინაშე თვითონ აგოს პასუხი, საჭიროა, რომ მას ამხანაგობის წევრებისაგან განცალკევებული ქონება ჰქონდეს. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონის მე-4 და მე-5 მუხლებით, მიწა, შენობა-ნაგებობა და მისი ცალკეული კონსტრუქციული ელემენტები ამხანაგობის წევრთა ინდივიდუალური ან საერთო წილადი საკუთრების ობიექტებია. ამიტომ იგივე ქონება ამხანაგობის განცალკევებულ ქონებად ვერ ჩაითვლება და ამხანაგობის პასუხისმგებლობის რეალიზაცია ამ ქონებით არ უნდა განხორციელდეს. ამხანაგობას მისი წევრებისაგან განცალკევებული ქონება შეიძლება ჰქონდეს არასამენარმეო ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების სახით, როგორცაა ქირავნობა, იჯარა და მისთ., ამხანაგობის საერთო სახსრებით შექმნილი უძრავი და მოძრავი ქონება და სხვა.

მსგავსი საქმეების განხილვისას სასამართლოს მართებს, გაარკვიოს ვინ არის სათანადო მოპასუხე – არაიურიდიული პირი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა თუ მისი წევრები. ამასთან, სუბსიდიარული პასუხისმგებლობის შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში მოქმედ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებს ფაქტობრივად განცალკევებული ქონება არ გააჩნიათ, ამხანაგობის კრედიტორების სარჩელების საქმეში მოპასუხედ ამხანაგობის წევრებიც უნდა ჩაერთნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლოს მიერ ამხანაგობის საწინააღმდეგოდ გამოტანილი გადაწყვეტილება აღუსრულებელი დარჩება, რასაც სასამართლოები ხშირად, ვერ აცნობიერებენ. სამშენებლო კომპანია შპს „მერცხალმა“ მოპასუხე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „გაგარინის II შესახვევი №12-14“-ის მიმართ სარჩელი აღძრა და მოითხოვა ჩატარებული სამშენებლო სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება. ამხანაგობის წევრებმა მოითხოვეს საქმეში მოპასუხედ ჩართვა. მოსარჩელის

წინააღმდეგობის გამო სასამართლომ ამხანაგობის წევრების მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. თუმცა, ყველასთვის ცნობილი იყო, რომ ამხანაგობას მისი წევრებისაგან განცალკევებული ქონება არ ჰქონია. მხოლოდ სამი წლის შემდეგ, რაც სხვადასხვა ინსტანციებში საქმე რამდენჯერმე იყო განხილული, თბილისის სააპელაციო სასამართლომ ამ საკითხთან დაკავშირებით მიიღო სწორი გადაწყვეტილება.

სამოქალაქო პასუხისმგებლობის სუბიექტთა განლაგების მოდელები. ქართული სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, პასუხისმგებლობის სუბიექტთა განლაგება პირობითად, შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ:

1. პასუხისმგებლობის სუბიექტთა პირველი და ძირითადი მოდელი. პასუხისმგებლობის სუბიექტთა პირველ ჯგუფს განეკუთვნება პასუხისმგებლობის სუბიექტთა ისეთი მოდელი, როცა სახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილი ზიანისათვის პასუხს აგებს უშუალოდ ხელშეკრულების მონაწილე პირი, რომლის მოქმედებით თუ უმოქმედობით ხელშეკრულება არ შესრულდა ან შესრულდა არაჯეროვნად, რამაც გამოიწვია ზიანი. პასუხისმგებლობის ამ მოდელში ხელშეკრულების მეორე მხარე, ვინც განიცადა ზიანი, არის კრედიტორი, რომელიც უფლებამოსილია მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ასევე, დელიქტით წარმოშობილი ზიანისათვის პასუხისმგებლობა დაეკისრება უშუალოდ ზიანის მიმყენებელს, ხოლო მეორე მხარე არის დაზარალებული, რომელმაც უშუალოდ განიცადა დელიქტით გამოწვეული ზიანი და უფლებამოსილია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. სამოქალაქო სამართალი უპირატესად პასუხისმგებლობის სუბიექტთა ასეთ მოდელს ითვალისწინებს, რაც ერთნაირად ვრცელდება როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირების მიმართ.

საერთო წესის მიხედვით, სახელშეკრულებო ურთიერთობებში, კრედიტორი უფლებამოსილია, მოვალეს, რომელმაც დაარღვია ვალდებულება, მოსთხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლი); ასევე, დელიქტურ ურთიერთობებში პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი (სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი).

პასუხისმგებლობის სუბიექტთა დელიქტუარიალობასთან დაკავშირებით ფიზიკური პირებისაგან განსხვავებით იურიდიულ პირებთან მიმართებაში უფრო მეტ სადავო საკითხებს ვაწყდებით. ამ მხრივ, განსაკუთრებული თავისებურებით გამოირჩევიან კომერციული იურიდიული პირები, რომელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის ხასიათი და მოცულობა მათსავე დეფინიციაში ვლინდება. ინდივიდუალური მენარმე, რამდენადაც ის არ წარმოადგენს იურიდიულ პირს, საქმიან ურთიერთობებში თავის უფლებებს ახორციელებს და მოვალეობებს ასრულებს, როგორც ფიზიკური პირი. ამიტომ ინდივიდუალური მენარმე თავისი სამენარმეო საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს პირადად, როგორც ფიზიკური პირი მთელი თავისი ქონებით. რაც შეეხება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, სააქციო საზოგადოებასა და კოოპერატივს, ეს საზოგადოებები მათი კრედიტორების წინაშე უშუალოდ თვითონ აგებენ პასუხს მთელი თავისი ქონებით. შპს-ის, სს-ისა და კოოპერატივის პარტნიორები საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს არ აგებენ.

ერთი შეხედვით, ეს საკითხი დავას არ უნდა ინვევდეს, მაგრამ პარტნიორის ზოგიერთი პასუხისმგებლობა გაუგებრობას იწვევდა ჯერ კიდევ, „მენარმეთა შესახებ“ კანონის პირველსავე რედაქციაში. მასში გარკვეული ცვლილებების შეტანის მიუხედავად მიგვაჩნია, რომ შპს-ის პარტნიორის პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე ცალსახად და სათანადო დონეზე არ არის მონესრიგებული. „მენარმეთა შესახებ“ კანონის პირველი რედაქციის 44-ე მუხლში ნათქვამი იყო, რომ შპს-ის პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლებოდა მთელი თავისი ქონებით, ხოლო პარტნიორის პასუხისმგებლობა – სანესდებო კაპიტალში მისი წილის ოდენობით; მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავდა, რომ პარტნიორები საზოგადოების კრედიტორების წინაშე აგებდნენ პასუხს და იყვნენ პასუხისმგებლობის სუბიექტები. პარტნიორის მიერ საზოგადოების სანესდებო კაპიტალში შესრულებული შენატანი საზოგადოების საკუთრებად გადაიქცევა, რაც საჭიროების შემთხვევაში, საზოგადოების ვალის დასაფარად გამოიყენება. კანონს სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში, მაგრამ მისი ტექსტიდან სულ სხვა შინაარსი იკითხებოდა. შემდგომ კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ეს ხარვეზი კი გამოსწორდა, მაგრამ არა ბოლომდე.

„მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-6 პუნქტების თანახმად, კომანდიტური საზოგადოების შეზღუდული პარტნიორები (კომანდიტები), შპს-ის, სს-ისა და კოოპერატივის პარტნიორები საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ მათ მიერ შეუტანელი შენატანითაც, თუ პასუხისმგებლობა დადგა პარტნიორთა მიერ შეთანხმებული შენატანის სრულად შეტანამდე. ასევე, საზოგადოების კრედიტორების წინაშე პარტნიორები პასუხს აგებენ პირადად, თუ ისინი ბოროტად გამოიყენებენ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმებს.¹⁴ ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ ზემოაღნიშნულ ქმედებათა გამო პარტნიორებს პასუხისმგებლობა არ დაეკისროთ. უბრალოდ, გაუმართლებლად მიგვაჩნია კანონის მიერ შემოთავაზებული პასუხისმგებლობის სუბიექტთა ის მოდელი, როცა დასახელებულმა პარტნიორებმა პასუხი უნდა აგონ საზოგადოების კრედიტორების წინაშე. პარტნიორის შენატანის შეუტანლობა, პასუხისმგებლობის შეზღუდვის ბოროტად გამოყენება საზოგადოების წესდების, ანუ პარტნიორთა შეთანხმების (ხელშეკრულების) დარღვევაა. შესაბამისად, პარტნიორების მიერ საზოგადოების წინაშე ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის და მიყენებული ზიანის ანაზღაურებისათვის კრედიტორად უნდა გამოვიდეს საზოგადოება და არა საზოგადოების კრედიტორი. იმ შემთხვევაშიც, თუ პარტნიორის ზემოაღნიშნული ქმედებები საზოგადოების კრედიტორებისათვის ზიანის მომტანი იქნება, კრედიტორის წინაშე პასუხი უნდა აგოს საზოგადოებამ, რომელიც უფლებამოსილი იქნება რეგრესის წესით ზიანის ანაზღაურება პარტნიორებს მოსთხოვოს.

სასამართლოში ამა თუ იმ საქმის განხილვისას ჭეშმარიტების დადგენის და კანონიერი გადაწყვეტილების გამოტანის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობა პასუხისმგებლობის სუბიექტების (სათანადო მოსარჩელისა და მოპასუხის) სწორი განსაზღვრაა. ამ საკითხს სასამართლო ხშირად, ზერელედ ეკიდება, რაც უკანონო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების გამოტანით მთავრდება. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ 2009 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილებით, მოსარჩელე შ. ც-ძის სარჩელი მოპასუხე შპს „ალია-ჰოლდინგსა“ და თბილისის საპატრულო პოლიციის უფროსის გ. გ-ის მიმართ პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფისა და მორალური ზიანის – 10 000 დოლარის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. სასამართლოს გადაწყვეტილება მოსარჩელე შ. ც-ძემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩელე შ. ც-ძემ თვითმკვლელობა გადაწყვიტა გერმანიის საელჩოსთან, რის შესახებაც თავად დაუკავშირდა საინფორმაციო სამსახურებს. მან ჟურნალისტთან განაცხადა, რომ მისი ასეთი სურვილი გამონვეული იყო იმ მიზეზით, რომ იგი საპრეზიდენტო არჩევნებში თანაბარ პირობებში არ ჩააყენეს. ამასთან დაკავშირებით გაზეთში „ვერსია“ 2007 წლის 10-11 დეკემბრის 46-ე ნომერში, გამოქვეყნდა სტატია „სკანდალი – პრეზიდენტობის კანდიდატი გერმანიის საელჩოს წინ თავს იკლავდა“, ხოლო გაზეთში „ქრონიკა“ 2007 წლის 10-16 დეკემბრის 48-ე ნომერში, დაიბეჭდა სტატია – „პრეზიდენტობის კანდიდატმა გერმანიის საელჩოს ლობეზე ბანრით თავის ჩამოხრჩობა სცადა.“ იმავე სტატიაში ვკითხულობთ, რომ რესპონდენტი შ. ც-ძე ჟურნალისტის შეკითხვაზე: „პატრულმა რომ გადაგიყვანათ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, იქ რა გითხრეს?“ პასუხობს: „არაფერი, ხელი მომანერინეს რალაცეზე და გამომიშვეს.“

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2009 წლის 27 მაისის განჩინებით უცვლელად დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რაც მოსარჩელე შ. ც-ის მიერ გასაჩივრებული იქნა საკასაციო წესით. სააპელაციო სასამართლომ, ისევე როგორც პირველი ინსტანციის სასამართლომ, განჩინებას საფუძვლად დაუდო ის გარემოება, რომ თავად ფაქტი – თვითმკვლელობის მცდელობის შესახებ შეესაბამებოდა სინამდვილეს და არ იყო ცილისმწამებლური, მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მოსარჩელე სადავოდ ხდის არა თვითმკვლელობის მცდელობას, არამედ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მისი გადაყვანის ფაქტის საგაზეთო სტატიაში გამოქვეყნებას, რაც ფსიქიატრიული საავადმყოფოს მიერ გაცემული ცნობით მართლაც არ შეესაბამებოდა სინამდვილეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ 2009 წლის 22 ოქტომბრის განჩინებით გააუქმა მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნა იმავე სასამართლოს. უზენაესმა სასამართლომ თავის განჩინებას ძირითად საფუძვლად დაუდო ის გარემოება, რომ ქვემდგომმა სასამართლომ ვერ განსაზღვრა საქმეში მონაწილე სუბიექტების სტატუსი. კერძოდ, უზენაესი სასამართლოს განჩინებაში ნათქვამია, რომ „საქალაქო

სასამართლოს გადაწყვეტილების შესავალ ნაწილში გ.გ. მითითებულია ფიზიკურ პირად, სარეზოლუციო ნაწილში კი, მოხსენიებულია როგორც საპატრულო პოლიციის უფროსი. სააპელაციო სასამართლოს განჩინების შესავალ ნაწილშიც გ.გ-ი მითითებულია ფიზიკურ პირად.“ აღნიშნულიდან გამომდინარე, უზენაესი სასამართლო სრულიად კანონიერად ასკვნის, რომ: ‘თუ მოსარჩელე ედავება გ.გ-ს, როგორც თანამდებობის პირს, მხარედ მონაწილეობა უნდა მიიღოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რადგან საპატრულო პოლიციის სამმართველო წარმოადგენს ამ უწყების სტრუქტურულ ქვედანაყოფს. იმ შემთხვევაში, თუ მხარედ საქმეში ჩაება ზემოთ მითითებული სამინისტრო, საქმე განხილული უნდა იყოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მიერ... ამდენად, პალატამ უპირველესად, უნდა დაადგინოს მოპასუხის ვინაობა და ისე გადაწყვიტოს დავა“,¹⁵ ასკვნის საკასაციო სასამართლო.

2. სამოქალაქო პასუხისმგებლობის სუბიექტთა მეორე მოდელს ტრანსქემდუნარიანობა წარმოადგენს.

მისი თავისებურებაა, რომ ერთი პირის მიერ სამართალდარღვევით (როგორც სახელშეკრულებით, ისე დელიქტით) გამოწვეული ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობა დაეკისრება მესამე პირს (აქ ტერმინი „მესამე პირს“ ფართო გაგებით ვხმარობთ და მხედველობაში გვაქვს, თავისთავად პასუხისმგებლობა მესამე პირის ქმედებისათვის, სუბსიდიარული პასუხისმგებლობა, სანარმოს პასუხისმგებლობა მუშაკის მიერ მიყენებული ზიანისათვის და სხვა). მაგალითად, რწმუნებულის მიერ დადებული ხელშეკრულებით გამოწვეული ზიანისათვის, საერთო წესის მიხედვით, პასუხისმგებლობა ეკისრება მარწმუნებელს, რადგან სამოქალაქო კოდექსის 709-ე მუხლის თანახმად, რწმუნებული მესამე პირთან გარიგებას დებს მარწმუნებლის **სახელითა და ხარჯით**. მესამე პირის პასუხისმგებლობა უფრო მკვეთრად ვლინდება ტრასტის ხელშეკრულების დროს. თუ დავალების ხელშეკრულებით რწმუნებული მესამე პირთან გარიგებას მარწმუნებლის სახელით დებს და არსებობს გამართლება მარწმუნებლისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის, ტრასტის ხელშეკრულების არსებობისას, მიუხედავად იმისა, რომ მას მინდობილი მესაკუთრე თავისი სახელით დებს, ამ ხელშეკრულებით გამოწვეული ზიანისათვის პასუხისმგებლობა მაინც საკუთრების მიმნდობს დაეკისრება. ეს პრინციპი დამკვიდრებულია სამოქალაქო კოდექსის 725-ე მუხლით, რომლის თანახმად, თუ მინდობილი მესაკუთრე მინდობილი საკუთრებისადმი ისეთსავე გულისხმიერებას იჩენს, როგორც მისი საკუთარი საქმეების მიმართ, მესამე პირთან დადებული ხელშეკრულებით გამოწვეული ზიანისათვის პასუხისმგებლობა მიმნდობ პირს ეკისრება. ერთი შეხედვით, გარკვეულ გაუგებრობას იწვევს ამავე კოდექსის 728-ე მუხლი, სადაც ნათქვამია, რომ მესამე პირებთან ურთიერთობაში პასუხს აგებს მინდობილი მესაკუთრე, მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ის პასუხისმგებელია თავისი ქონებით, არამედ ის პასუხისმგებელია „საკუთრების მიმნდობის რისკითა და ხარჯით.“ მინდობილი მესაკუთრე საკუთარი ქონებით პასუხს მაშინ აგებს, თუ საკუთრების მიმნდობის ინტერესების დასაცავად არ იჩენს ისეთ გულისხმიერებას, როგორც მას საკუთარი საქმეების მიმართ უნდა გამოეჩინა.

არანაკლებ საინტერესოა კანონიერი წარმომადგენლების (მშობლების, მეურვის, მზრუნველის) მონაწილეობით დადებულ გარიგებებში მათი პასუხისმგებლობის როლი. სამოქალაქო კოდექსის მე-12, მე-15, 1293-ე მუხლებით დადგენილია, რომ შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირები გარიგებებს დებენ მათი კანონიერი წარმომადგენლის – მშობლების ან მზრუნველის თანხმობით, ხოლო სამეურვეო პირის სახელით და მისი ინტერესებიდან გამომდინარე, ყველა აუცილებელ გარიგებას დებს მისი კანონიერი წარმომადგენელი – მშობელი ან მეურვე. თითქოს დავას არ უნდა იწვევდეს, რომ ამგვარი გარიგებებიდან წარმომადგენელი პასუხისმგებლობა პირველ შემთხვევაში, შეზღუდულქმედუნარიან პირს უნდა დაეკისროს, რადგან გარიგების მონაწილე მხარეს ის წარმოადგენს; ასევე, მეორე შემთხვევაში, მართალია, გარიგებას სამეურვეო პირის წარმომადგენელი დებს, მაგრამ გარიგება იდება სამეურვეო პირის სახელით, ანუ ხელშეკრულების მხარე არა კანონიერი წარმომადგენელი, არამედ სამეურვეო პირია. შესაბამისად, პასუხისმგებლობის სუბიექტებად სამეურვეო ან სამზრუნველო პირები გამოდიან.

მაგრამ ყოველთვის ასე მარტივად არ წყდება საქმე. 2005 წელს, მცირეწლოვანის მეურვე ა.კ-ძე სამეურვეო პირთან ი.კ-ძესთან ერთად დროებით საცხოვრებლად გადავიდა სამუშაო ადგილის მიხედვით, სხვა დასახლებულ პუნქტში, ხოლო სამეურვეო პირის ი.კ-ძის საკუთარი სახლი გააქირავა. რამდენიმე თვის შემდეგ დამქირავებელმა ა.კ-ძეს მოსთხოვა გაქირავებულ ბინაში კაპიტალური რემონტის ჩატარება. ა.კ-ძემ სამსახურში მოუცლელობის

გამო, სახლი დროულად ვერ შეაკეთა, ამიტომ დამქირავებელმა ეს სამუშაოები თავისი ხარჯებით ჩაატარა და შემდეგ სახლის მესაკუთრისაგან მოითხოვა ხარჯების, ბინის ქირაში გაქვითვა. ი.კ-ის მეურვემ ა.კ-ემ ჩათვალა, რომ დამქირავებლის მიერ სარემონტო ხარჯები იყო გაზრდილი, ამიტომ მხარეებმა დავის გადასაწყვეტად მიმართეს მუდმივმოქმედ კერძო არბიტრაჟს. არბიტრაჟში საქმის განხილვის პროცესში გაირკვა, რომ სარემონტო სამუშაოების ღირებულება მართლაც გაზრდილი იყო იმის გამო, რომ ა.კ-ემ დამქირავებლის მოთხოვნისთანავე დროულად არ ჩაატარა სარემონტო სამუშაოები, რამაც გამოიწვია დამატებითი სახსრების გახარჯვა. 2008 წლის 9 ივლისის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით დამქირავებლის მოთხოვნა დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში გადასახდელი თანხის მცირე მნიშვნელობის გამო ი.კ-ის საკუთარ სახლზე აღსრულების მიქცევა გაუმართლებლად და მიზანშეუწონლად ჩაითვალა. მხარეებმა სააღსრულებო წარმოება მორიგებით დაამთავრეს და შეწყდა სააღსრულებო წარმოება.

მიგვაჩნია, რომ მოცემულ საქმეზე და სხვა ანალოგიური საქმის განხილვისას უფრო პრინციპული მნიშვნელობის საკითხი უნდა გარკვეულიყო. კერძოდ, ვინ უნდა იყოს ანალოგიურ საქმეში სათანადო მოპასუხე – სამეურვეო პირი თუ მეურვე. სამოქალაქო კოდექსის 1293-ე მუხლი ამ საკითხთან დაკავშირებით, პირდაპირ პასუხს არ იძლევა, მაგრამ ამავე ნორმაში მითითება იმის შესახებ, რომ მეურვე სამეურვეო პირის სახელით გარიგებას დებს ამ უკანასკნელის ინტერესების გათვალისწინებით, მრავლის მთქმელია. სამეურვეო პირის სახელით დადებულ გარიგებაში დაცული უნდა იყოს სამეურვეო პირის ინტერესი ნიშნავს, რომ მეურვემ გარიგება უნდა შეასრულოს სამეურვეო პირის ხარჯზე და კონტრაქტისაგან მიიღოს შესაბამისი დაკმაყოფილება. ამიტომ თუ მეურვის მხრივ ხელშეკრულების ჯეროვანი შესრულებისათვის სათანადო მოქმედებები არ იქნება განხორციელებული, ხელშეკრულებით გამონეული ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობაც მეურვეს უნდა დაეკისროს. ზემოთ მოტანილ მაგალითთან მიმართებაში, რამდენადაც მეურვემ ა.კ-ემ ვერ უზრუნველყო ქირავნობის ხელშეკრულების ჯეროვანი შესრულება, რამაც გამოიწვია დამატებითი ხარჯების გადახდა, მისი ანაზღაურების პასუხისმგებლობა ამ უკანასკნელს უნდა დაეკისროს.

ხშირია მესამე პირის პასუხისმგებლობა დელიქტურ ურთიერთობებშიც. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საერთო წესის მიხედვით, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია თვითონ ანაზღაუროს იგი. სამოქალაქო კოდექსი პასუხისმგებლობის საერთო წესიდან აკეთებს ისეთ გამონაკლისს, როცა უშუალოდ ზიანის მიყენებელი და პასუხისმგებლობის სუბიექტი ერთი და იგივე პირი არ არის. მაგალითად, პასუხისმგებლობა ათი წლის ასაკს მიუღწეველი პირის მიერ მიყენებული ზიანისათვის (994-ე მუხლი), სულით ავადმყოფის მიერ და დროებითი სულიერი მოშლილობის მდგომარეობაში მიყენებული ზიანის ანაზღაურება (995-996-ე მუხლები), სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება (998-ე მუხლი), სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანისათვის (1005-ე მუხლი) და სხვა; მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ათი წლის ასაკს მიუღწეველი პირის მიერ მიყენებული ზიანისათვის, ისევე როგორც სულით ავადმყოფის მიერ მიყენებული ზიანისათვის პასუხს არავინ აგებს. ასეთი პირის მიერ მიყენებული ზიანისათვის, დასახელებული ნორმების მიხედვით, პასუხისმგებლობა დაეკისრებათ მშობლებს ან მათ მეთვალყურეობაზე ვალდებულ პირებს. ასეთივე წესი ვრცელდება იმ პირის მიმართ, რომლის მუშაკმაც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, მაგრამ ბრალის გარეშე, ზიანი მიაყენა მესამე პირს. სხვანაირად რომ ვთქვათ, აუცილებელია, რომ მუშაკის ქმედებაში, რომელმაც მესამე პირს ზიანი მიაყენა მოცემული წარმოება-დანესებულების, ორგანიზაციის ის ფუნქცია ვლინდებოდეს, რომლის შესრულებაც მუშაკის სამსახურებრივ მოვალეობას წარმოადგენს; ხოლო მუშაკის მიერ მესამე პირისათვის მიყენებული ზიანისათვის, თუნდაც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, მაგრამ იმგვარი ქმედებით, რაც მის სამსახურებრივ მოვალეობაში არ შედის, წარმოება-დანესებულება, ორგანიზაცია პასუხს არ აგებს. ამ დებულების საილუსტრაციოდ პროფესორებს ვ. სმირნოვსა და ა. სობჩაკს სასამართლო პრაქტიკიდან შემდეგი მაგალითი მოჰყავთ: სანარმომ მისი თანამშრომლები სამსახურებრივი მივლინებით მეზობელ ქალაქში გაგზავნა. გზად მიმავალმა მუშაკებმა ერთ-ერთ გაჩერებაზე სპირიტუალის სასმელი დალიეს, იჩხუბეს და ერთმა მათგანმა ხულიგნური ქვენაგრძნობით, ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა მეორე. გარდაცვლილის მეუღლემ სარჩელი აღძრა სანარმომს მიმართ

მარჩენალის დაკარგვის გამო ზიანის ანაზღაურების შესახებ იმ საფუძვლით, რომ მოპასუხის თანამშრომელმა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მიაყენა ზიანი. რუსეთის უმაღლესმა სასამართლომ თავის განჩინებაში მიუთითა, რომ მართალია, ზიანი მიყენებულია საწარმოს მუშაკის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, მაგრამ არა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით. ამიტომ საწარმო პასუხს არ აგებს.¹⁶

3. სამოქალაქო პასუხისმგებლობის სუბიექტთა მესამე მოდელს განეკუთვნება საჯარიმო (საკონფისკაციო) მოდელი, რასაც სახელმწიფო განსაკუთრებულ შემთხვევებში, სუბიექტთა შეზღუდული წრის მიმართ გამოიყენებს. პასუხისმგებლობის ეს მოდელი იმით ხასიათდება, რომ სამართალდამრღვევი პასუხს აგებს არა მისი კონტრაჰენტის ან დაზარალებულის წინაშე ან მესამე პირის ქმედებისათვის, არამედ პასუხს აგებს საკუთარი ქმედებისათვის სახელმწიფოს წინაშე. პასუხისმგებლობის ასეთი მოდელის გამოყენება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასჯითი მეთოდის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი მაგალითია, რაც ასევე, მიმართულია სუბიექტთა არამართლზომიერი მოქმედების აღსაკვეთად. და მაინც, სამოქალაქო სამართლის პასუხისმგებლობისათვის უცხო და მიუღებელია, ამიტომ კანონმდებელი მას იშვიათი გამოჩვენების სახით გამოიყენებს. მოქმედი სამოქალაქო კოდექსის სულისჩამდგმელი და შემოქმედი პროფესორი სერგო ჯორბენაძე სიამაყით აღნიშნავდა, რომ „ახალი კოდექსით ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკის დომინირებული მდგომარეობის ნაცვლად, ცივილიზებული საბაზრო ეკონომიკის პრინციპების მიხედვით წესრიგდება სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობანი.“¹⁷ ბატონი სერგო ჯორბენაძის მხრივ აღნიშნულ ფაქტზე ყურადღების გამახვილება იმით იყო გამოწვეული, რომ საქართველოს 1923 წლის და 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსები ადმინისტრაციულსამართლებრივი ნორმებით იყო გაჯერებული, რაც საჯარო სამართლისათვის არის დამახასიათებელი, როცა ე.წ. მხარეებს შორის ურთიერთდაქვემდებარების (სუბორდინაციის) პრინციპი მოქმედებს, მაშინ, როდესაც სამოქალაქო სამართალმა თანასწორუფლებიან მხარეებს შორის ურთიერთობები უნდა მოაწესრიგოს. საქართველოს 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 105-ე მუხლი ითვალისწინებდა შემთხვევას, რომ თუ მოქალაქეს ერთზე მეტი საცხოვრებელი სახლი ან სახლის ნაწილი აღმოაჩნდებოდა პირად საკუთრებაში, სახალხო დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით უსასყიდლოდ გადაეცემოდა სახელმწიფოს (კონფისკაცია). ამავე კოდექსის 137-ე მუხლით კონფისკაციას ექვემდებარებოდა ასევე მოქალაქის მოუვლელი პირადი საკუთრების სახლი და სხვა.

საქართველოს 1997 წლის სამოქალაქო კოდექსი გათავისუფლდა „ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკის დომინირებული მდგომარეობიდან“, მაგრამ სამოქალაქო პასუხისმგებლობის სუბიექტთა საკონფისკაციო მოდელმა თავი იჩინა 2007 წელს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად. მოცემული შემთხვევის მაგალითს წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356¹, 356², 356³, 356⁴, 356⁵, 356⁶ და 356⁷ მუხლებით დადგენილი სამოქალაქო პასუხისმგებლობები. დასახელებული ნორმების მიხედვით, პროკურორს ევალება სარჩელი აღძრას სასამართლოში რეკვირის, თანამდებობის პირის, ქურდული სამყაროს წევრის, ადამიანი მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის, მათი ოჯახის წევრების, ახლო ნათესავებისა და მათთან დაკავშირებული პირების მიმართ სახელმწიფოს სასარგებლოდ ქონების ჩამორთმევის მიზნით.

ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ რეკვირის, ქურდული სამყაროს წევრის, ადამიანი მოვაჭრეებისა და სხვათა ქონებას, რაც დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული, არ გაუკეთდეს კონფისკაცია. ვფიქრობთ, მართებული არ არის, როცა ქონების კონფისკაცია სამოქალაქო სარჩელით ხორციელდება. სამოქალაქო პასუხისმგებლობის ამგვარი მოდელი უარყოფითად აისახება სამოქალაქო სამართლის შეფასებისას. იძულებით ან მუქარით დაუფლებული ქონების უკან დაბრუნებისას სამოქალაქო სამართალი უნდა დასჯერდეს სამოქალაქო კოდექსის 978-ე და 979-ე მუხლებით დადგენილ პასუხისმგებლობის სახესა და ფარგლებს. რაც შეეხება კონფისკაციას, ის საჯარო სამართლის პრეროგატივაა და მან უნდა მოაწესრიგოს საკონფისკაციო ურთიერთობები.

შენიშვნები:

- ¹ Г.К. Матвеев, Вина в советском гражданском праве, Киев, 1955 г., стр. 23; ასევე, იხ.: Г. К. Матвеев, Основания гражданскоправовой ответственности, Москва, 1970 г., стр. 9.
- ² С.С. Алексеев, О составе гражданского правонарушения, «Правоведение», 1958 г., №1, стр. 49.
- ³ С.С. Алексеев, Гражданская ответственность за невыполнение плана железнодорожной перевозки грузов, Госюриздат, 1959г., стр. 49.
- ⁴ А.А. Пионтковский, Некоторые вопросы общей теории государства и права, журнал «Советское государство и право», 1956г., №1, стр.19.
- ⁵ С.Н. Братусь, Вопросы теории права в трудах В.И. Ленина, ученые записки А.О.Н при ЦК КПСС, вып.20, Москва, 1955г., стр. 44; ვახტანგ აბაშმაძე, საბჭოთა სოციალისტური სამართლის თეორიის საკითხები, I, თბილისი, 1979წ., გვ. 127.
- ⁶ А.К. Сталгевич, Некоторые вопросы теории социалистических правоотношений, журнал «Советское государство и право», 1957г., №2, стр. 24-25.
- ⁷ Б.В. Шейндлин, Норма права и правоотношение, Вопросы общей теории советского права, Москва, 1960г., стр.121-127.
- ⁸ იხ.: ვახტანგ აბაშმაძე, საბჭოთა სოციალისტური სამართლის თეორიის საკითხები, თბილისი, 1979წ., გვ. 135.
- ⁹ Л.С. Явич, Проблемы правового регулирования советских общественных организаций, Москва, 1961 г., стр. 127-131.
- ¹⁰ О.С. Иоффе, М.Д. Шаргородский, Вопросы теории права, Москва, 1961г., стр. 216-219; Гражданское право, издание третье, часть I, под редакций А.П. Сергеева и Ю.К. Толстого, Москва, 1998г., стр. 82-84.
- ¹¹ ამ საკითხთან დაკავშირებით უფრო სრულყოფილად იხ.: ვახტანგ აბაშმაძე, საბჭოთა სოციალისტური სამართლის თეორიის საკითხები, I, თბილისი, 1979წ., გვ. 156-157.
- ¹² პირის ქმედუნარიანობის წარმოშობის, ქმედუნაროდ აღიარების, ქმედუნარიანობის შეზღუდვასა და ემანსიპაციის თაობაზე საკითხი ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ფართოდ არის გაშუქებული. იხ.: მაგ., ლადო ჭანტური, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 1997 წ., ამიტომ მასზე ყურადღებას აღარ შევამჩნევთ.
- ¹³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2001წ., გვ. 380.
- ¹⁴ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თავდაპირველი რედაქციის მე-3 მუხლის მეოთხე პუნქტით, პასუხისმგებლობის შეზღუდვის ბოროტად გამოყენებად ითვლება საზოგადოების ქონების შერევა სხვა ქონებასთან ან საწარმოს ფუნქციონირებისათვის აუცილებელი კაპიტალის არასრული ფორმირება.
- ¹⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამენარმეო და გაკორტების საქმეებზე, 2009წ., №3, გვ. 11-16.
- ¹⁶ В.Т.Смирнов, А.А.Собчак, Общее учение о деликтных обязательствах, Ленинград, 1983 г., стр. 17.
- ¹⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბილისი, 1999წ., გვ. 7.

SUBJECTS TO CIVIL RESPONSIBILITY

THEA SUKHITASHVILI

Javakhishvili Tbilisi State University

Doctorate Student of the Law School

Subjects to civil responsibility are not well studied by the legal science. I cannot say the same about subjects to civil relationship. Features of the subjects to civil responsibility are not reflected in reviews of subjects to civil legal relationships. The paper below aims at research of such features; however, we could not avoid general description of subjects to civil relationship.

First part of the paper we tried to review history and show the place of the subject in the composition of the legal violation and disputes of law scientists on the subject to law. In order to achieve logical and correct legal conclusions, it was deemed necessary to clarify public relations, legal relations, correlation of the law and the legal provision. Form and content of the legal relationship helps to clarify the aforementioned issues and defines place of willful criteria – on one hand of the state and subjects of the relationship on the other hand. As a result, it becomes absolutely clear that generally subjects to civil law possess legal ability as well as general ability in a static condition, and subjects to civil relationship responsibility possesses dynamics of specific rights and responsibilities.

In the next part of the paper are brought examples of legal entities of the private law and non-registered societies, based on which specificity of judicial personality and tortuous ability are reviewed. Finally, the paper reviews models of ordering responsibilities of subjects. Cases, when legal violators are individually held responsible before the victim (creditor), belong to the first model; trans-capability represents the second model; penalty, i.e. confiscation model represents the third group.

მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობის სამართლებრივი საფუძვლები

თეა კალანდაძე
იურისტი

ოჯახზე, როგორც საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილსა და სახელმწიფოს ძირითად უჯრედზე ზრუნვა ქვეყნის უმაღლესი კანონმდებლობით, კონსტიტუციით არის განმტკიცებული, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო ვალდებულია იზრუნოს ოჯახის კეთილდღეობაზე.

საოჯახო ურთიერთობები წესრიგდება როგორც ზნეობის ნორმებით, ჩვეულებებითა და ტრადიციებით, ისე საოჯახო სამართლის ნორმებითაც.

სამოქალაქო კოდექსი აწესრიგებს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს. საოჯახო სამართალი არის სამოქალაქო სამართლის ქვედარგი, რომელიც მთელი რიგი საოჯახო სამართლებრივი ინსტიტუტებისაგან შედგება და აწესრიგებს ისეთი სახის ურთიერთობებს, რომელიც წარმოიშობა ქორწინებისა და ოჯახის საფუძველზე. მისი რეგულირების სფეროს არა ოჯახი როგორც ასეთი, არამედ მის წევრებს შორის არსებული საოჯახო ურთიერთობები წარმოადგენს. ე.ი. მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა დაქორწინების წესი და პირობები, განქორწინება, მეუღლეთა თანასაკუთრება, მათი უფლება-მოვალეობები ერთმანეთის და შვილების მიმართ და ა.შ. საოჯახო ურთიერთობები იურიდიული ბუნებით შეიძლება პირადი და ქონებრივი ხასიათის იყოს.

პირადი (არაქონებრივი) ხასიათის ურთიერთობები წარმოიშობა დაქორწინების, ქორწინების შეწყვეტის, მეუღლეთა მიერ გვარის არჩევის, მამობის დადგენის, შვილების აღზრდის, განათლების, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა საკითხების გადაწყვეტისას. ქონებრივი ურთიერ-

თობები ოჯახში მოიცავს მეუღლეთა შორის უფლებებსა და მოვალეობებს, საერთო და განცალკევებულ ქონებაზე უფლებას, მეუღლეთა (ყოფილ მეუღლეთა) ურთიერთრჩენის მოვალეობას, მშობლებისა და შვილების, აგრეთვე ოჯახის სხვა წევრების საალიმენტო ვალდებულებებს.

საოჯახო სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სუბიექტია მეუღლეები, რომელთა შორის სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობის საფუძველი არის ქორწინება. ქორწინების რეგისტრაცია უნდა მოხდეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო რეესტრის ტერიტორიულ სამსახურში. მხოლოდ აღნიშნულის განხორციელება (ანუ რეგისტრაცია ქორწინების) წარმოშობს მეუღლეთა მიმართ იურიდიულ შედეგებს. მოცემული განპირობებულია როგორც სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების უზრუნველსაყოფად, ისე თვით მეუღლეთა და მათი შვილების პირადი და ქონებრივი უფლებების დაცვის მიზნით.

ოჯახში მეუღლეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და მოვალეობებით. აღნიშნულს საფუძვლად დაედო ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი და საქართველოს კონსტიტუცია, სახელდობრ, მე-14 მუხლი, რომელიც ეხება დისკრიმინაციის აკრძალვას და აწესებს კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპს. აღნიშნულის თანახმად, ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე განურჩევლად სქესისა და ამავე დროს მას საფუძვლად უდევს კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველი პუნქტის შინაარსი – „ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობას.“ ზემოაღნიშნულმა დეტალური გამოხატულება ჰპოვა კოდექსის 1152-ე მუხლში, რომლის მიხედვითაც, საოჯახო ურთიერთობებში მეუღლეები სარგებლობენ თანაბარი პირადი და ქონებრივი უფლებებით და ეკისრებათ თანაბარი მოვალეობები. ქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან მეუღლეთა პირადი და ქონებრივი უფლება-მოვალეობების თანაბრობა საოჯახო ურთიერთობათა არსებობის ყველა ეტაპისათვის კანონით გარანტირებული აუცილებლობაა.

მეუღლეთა ქონებრივი უფლება-მოვალეობები, ურთიერთობები პირობითად შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად:

- მეუღლეთა თანასაკუთრებასთან დაკავშირებული ურთიერთობები;
- მეუღლეთა ურთიერთრჩენასთან დაკავშირებული ურთიერთობები (სალიმენტო მოვალეობანი).

ჩვენი განხილვის თემას მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობები წარმოადგენს, ანუ ქორწინების განმავლობაში, თანაცხოვრების პერიოდში შექმნილი უძრავი ქონების სამართლებრივი ბედი და მისი გაყოფის წესი განქორწინებისას, როცა სადავო ქონების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში განხორციელებულია ერთ-ერთი მეუღლის სახელზე.

ოჯახში მეუღლეთა ქონებას შეიძლება ინდივიდუალური საკუთრება წარმოადგენდეს, როგორცაა ქონება, რომელიც თითოეულ მათგანს ეკუთვნოდა დაქორწინებამდე და ქონება, რომელიც ქორწინების განმავლობაში მიღებულია მემკვიდრეობით ან ჩუქებით, ასევე, ქორწინების განმავლობაში მეუღლეთა საერთო თანხებით შექმნილი ქონება, თუ იგი განკუთვნილია ერთ-ერთი მეუღლის ინდივიდუალური მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად და თანასაკუთრება, რომელშიც შედის ქორწინების განმავლობაში შექმნილი ქონება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1163-ე მუხლის თანახმად, თითოეული მეუღლის ქონება შეიძლება ჩაითვალოს მეუღლეთა თანასაკუთრებად, თუ დადგინდება, რომ ქორწინების განმავლობაში განეული ხარჯების შედეგად ამ ქონების ღირებულება მნიშვნელოვნად გადიდა (გადაგემარება, მშენებლობის დასრულება, გადაკეთება და სხვა). მოცემული წესი არ გამოიყენება, თუ საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ იქნება გათვალისწინებული. ამასთან დაკავშირებით, აქვე აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთ საქმეზე უზენაესმა სასამართლომ განმარტა შემდეგი: იმ ქონების მიმდინარე რემონტი, რომელიც ერთ-ერთ მეუღლეს ეკუთვნის ან ისეთი უმნიშვნელო თანხის დაბანდება, რომელიც არ გამოიწვევს ამ ქონების ღირებულების მნიშვნელოვნად გადიდებას, არ შეიძლება გახდეს საფუძველი ქონების საერთო საკუთრებად აღიარებისათვის. ქონების რემონტი ან თანხების დაბანდება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გახდეს საფუძველი თანასაკუთრებად აღიარებისათვის, თუ ამ ქონების ღირებულება მნიშვნელოვნად გაიზარდება (იხ.: საქმე ას-33-489-06. 08.09.2006 წ.).

რაც შეეხება საჩუქრით მიღებული ნივთის იურიდიულ ბედს, დავის შემთხვევაში, სასამართლოები ხელმძღვანელობენ პრეზუმფციით, რომ ოჯახის საერთო სარგებლობისათვის და არა მარტო ერთ-ერთი მეუღლის პირადი მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის განკუთვნილი ნივთები, თუ საწინააღმდეგო არ არის დამტკიცებული, ორივე მეუღლისათვის ნაჩუქარ ქონებად უნდა ჩაითვალოს და მათზე გავრცელდეს მეუღლეთა თანასაკუთრების რეჟიმი.

კანონმდებლობით აღიარებულია შესაძლებლობა მეუღლეთა მიერ ქონებრივი ურთიერთობების საქონლინო ხელშეკრულებით მონესრიგებისა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობაში ნოვაციას წარმოადგენს. ხელშეკრულება არის მხარეთა მიერ ნების გამოვლენის შედეგი, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს, როგორც ქორწინების რეგისტრაციამდე ისე რეგისტრაციის შემდეგ, მაგრამ სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს მხარეებისათვის მხოლოდ ქორწინების მარეგისტრირებელ ორგანოში დარეგისტრირების შემდეგ. კანონმდებლის იმპერატიული მოთხოვნაა, რომ ხელშეკრულება დაიდოს წერილობითი ფორმით და დამონმდეს სანოტარი წესით.

მეუღლეებს შეუძლიათ ხელშეკრულების გზით დაარეგულირონ ისეთი საკითხები, როგორიცაა ქორწინებამდე არსებული ქონების თანასაკუთრებად გადაქცევა ან ქორწინების განმავლობაში შექმნილ ქონებაზე ერთ-ერთი მეუღლის საკუთრების რეჟიმის გავრცელება და ა.შ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქონლინო ხელშეკრულებით მხარეები ხდებიან გარკვეული უფლება-მოვალეობების მატარებელნი, მაგრამ არის მოვალეობები, რომელთა შეცვლაც საქონლინო ხელშეკრულებით დაუშვებელია (სსკ-ის 1179-ე მუხლი). ესენია: მეუღლეთა ურთიერთრჩენის მოვალეობა, მშობლის უფლება-მოვალეობები შვილების მიმართ, საალიმენტო მოვალეობანი და დავის შემთხვევაში – სასამართლოში მიმართვის უფლება. ასევე, ხელშეკრულებით არ შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ისეთი პირობები, რომლებიც მძიმე მდგომარეობაში აყენებს ერთ-ერთ მეუღლეს.

მეუღლეთა ქონების სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა მთლიანად დამოკიდებულია მათ ნებასურვილზე. ამ სფეროში კანონის მხრიდან რაიმე სახის შეზღუდვა არ არის. რაც შეეხება მეუღლეთა ქონებრივ უფლება-მოვალეობათა სხვა სახეებს, მათ მიმართ კანონი განსაზღვრულ სიფრთხილეს იჩენს, რაც მეუღლეთა და ოჯახის სხვა წევრთა ინტერესების დარღვევის თავიდან აცილების მიზნითაა განპირობებული.

რა ითვლება მეუღლეთა თანასაკუთრებად? ამაზე გვპასუხობს სსკ-ის 1158-ე მუხლი, სადაც მითითებულია რომ ქონება, შექმნილი ქორწინების შემდგომ ითვლება მეუღლეთა თანასაკუთრებად თუ საქონლინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

ქონების ცნების განმარტებას იძლევა სსკ-ის 147-ე მუხლი. ქონება არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობაც, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შექმნაც შეიძლება შეუზღუდავად, თუ ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს. აღნიშნული ქონება, რომელიც შეიძლება იყოს როგორც მოძრავი, ისე უძრავი არსებობს ფიზიკური და იურიდიული პირების საკუთრებაში.

საკუთრების უფლება ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა რიცხვს განეკუთვნება, რომლის გარეშეც შეუძლებელია დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობა. საკუთრების უფლება ადამიანის არა მარტო არსებობის ელემენტარული საფუძველია, არამედ უზრუნველყოფს მის თავისუფლებას, მისი უნარისა და თავისუფლების ადეკვატურ რეალიზაციას, ცხოვრების საკუთარი პასუხისმგებლობით წარმართვას. იმავდროულად, კერძო საკუთრება, როგორც ინსტიტუტი, საბაზრო ეკონომიკის ბირთვს წარმოადგენს. იგი არის დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობა. საკუთრება ადამიანის ბუნებითი უფლებაა. იგი ადამიანს დაბადებიდანვე აქვს. საკუთრების უფლება კონსტიტუციით გარანტირებული, აღიარებული და უზრუნველყოფილი უფლებაა. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოში „საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებულია“.

რებული და უზრუნველყოფილია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შექმნის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება.“

სხადასხვა სამართლებრივი რეგულირება ახასიათებს ნივთებს იმის გათვალისწინებით, ისინი მოძრავია თუ უძრავი. უძრავ ნივთზე საკუთრების წარმოშობისათვის ამავე კოდექსის 183-ე მუხლით, სავალდებულოა საჯარო რეესტრში რეგისტრაცია, რადგან სწორედ აქედან იწყება მესაკუთრის უფლებების განხორციელება, რომელიც ნივთის მისი სურვილისამებრ განკარგვას უკავშირდება. ქონებაზე შეიძლება ვრცელდებოდეს საერთო საკუთრების რეჟიმი, ანუ როდესაც უფლება რამდენიმე პირს ერთობლივად ეკუთვნის.

ჩვენს მიერ ქონების თუ საკუთრების არსის ზოგადი მიმოხილვა უკავშირდებოდა იმ პრობლემის უკეთ გამოკვეთას, რომელიც წარმოიშობა და არსებობს მაშინ, როცა მეუღლეთა ქორწინების განმავლობაში შექმნილი უძრავი ქონება საკუთრების უფლებით აღრიცხულია საჯარო რეესტრში მხოლოდ ერთ მათგანზე. მეუღლეებზე როგორც უძრავი ქონების თანამესაკუთრებზე საუბარი შეგვიძლია მაშინ, როცა ისინი ამგვარად არიან დარეგისტრირებულნი შესაბამის ორგანოში (საჯარო რეესტრში). როგორც აღინიშნა, უძრავი ნივთის რეგისტრაცია იმპერატიული მოთხოვნაა და ამ დანაწესიდან მხარეებს გადახვევა არ შეუძლიათ. აღნიშნულის იმპერატიულობა განპირობებულია იმ ფაქტითაც, რომ საჯარო რეესტრი საჯარო-სამართლებრივ ინსტიტუტს წარმოადგენს, სადაც ხდება ცალკეული კერძოსამართლებრივ უფლებათა რეგისტრაცია, სახელდობრ, როგორცაა უძრავ ნივთებზე საკუთრება და სხვა სანივთო უფლებები. საჯარო რეესტრის ძირითადი დანიშნულებაა, რომ იგი ასრულებს მონესრიგებული სამოქალაქო ბრუნვის გარანტიის ფუნქციას, რომლის მიმართაც მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ვიდრე საწინააღმდეგო არ დამტკიცდება. ჩანაწერების მიმართ მესამე პირს უჩნდება დასაბუთებული ვარაუდი და ნდობა რომ საჯარო რეესტრში აღრიცხული პირი არის ნივთის მესაკუთრე.

მსჯელობა მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობაზე მხოლოდ საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ, ერთი შეხედვით, შეიძლება ჩავთვალოთ წინააღმდეგობად საოჯახო სამართლის ისეთ ფუძემდებლურ საკითხთან, როგორცაა მეუღლეთა თანასაკუთრების პრინციპი. თეორიასა თუ პრაქტიკაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შექმნილი ქონება მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას) წარმოადგენს, მიუხედავად იმისა, ორივე მათგანზეა თუ ერთ-ერთზე რეგისტრირებული. თანასაკუთრების უფლება წარმოიშობა მაშინაც, თუ ერთ-ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატიო მიზეზის გამო, არ ჰქონდა დამოუკიდებელი შემოსავალი. ერთი შეხედვით, აღნიშნული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლიდან გამომდინარეობს.

თუმცა თანასაკუთრებასთან ამგვარ მიდგომას ვერ გავიზიარებთ და აღვნიშნავთ, რომ ზემოთ მითითებული მუხლი არის საკუთრების წარმოშობის ერთ-ერთი საფუძველი, კანონმდებლის მიერ მინიჭებული უფლება და არა ავტომატური დანაწესი თანამესაკუთრედ ცნობისა. კანონმდებელი გულისხმობს, რომ ქორწინების განმავლობაში შექმნილ ქონებაზე თანასაკუთრების უფლება წარმოეშობა ორივე მეუღლეს და ეს უფლება სათანადო წესით საჭიროებს რეალიზებას, კონკრეტულ შემთხვევაში კი, საჯარო რეესტრში რეგისტრაციას ორივე მათგანზე (მეუღლეებზე). ეს ასე რომ არ იყოს, მაშინ სსკ-ის 1158-ე მუხლში აუცილებლად იარსებებდა ამგვარი ჩანაწერი, რომ მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შექმნილი ქონება მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას) წარმოადგენს, მიუხედავად ამ ქონების სათანადო წესით რეგისტრაციისა. ასეთი ჩანაწერი კი, ჩვენი მოსაზრებით, იმიტომ არ გაკეთდა, რომ ცალსახად ადგილი ექნებოდა იმ მესამე პირების, რომლებიც კეთილსინდისიერად მოქმედებენ, ინტერესთა დარღვევას, რადგან თუ კანონი საკუთრების წარმოშობის ზოგადი წესიდან (უფლების რეგისტრაცია) განსხვავებულ წესს გვთავაზობს, მით უფრო მაშინ, როცა საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მეუღლეთა ქორწინების განმავლობაში შექმნილი ქონების განკარგვის (გასხვისება, იპოთეკით დატვირთვა და ა.შ.) შემთხვევაში, მეორე მეუღლის წერილობითი თანხმობის წარდგენას შესაბამის ორგანოში. ასეთ დროს მესამე პირისათვის სირთულეს წარმოადგენს იმის გაგება, თუ ვის ეკუთვნის ეს ქონება, ინდივიდუალურ საკუთრებას წარმოადგენს თუ არა. საჯარო რეესტრში რეგისტრაციას არასავალდებულო ხასიათი რომ

ჰქონდეს, მაშინ ერთ-ერთი მეუღლის თანხმობის გარეშე, დადებული ხელშეკრულების დროს გათვალისწინებული იქნებოდა არა მესამე პირის (სსკ-ის 1160-ე მუხლი), არამედ დაზარალებული მეუღლის ინტერესი, რაც სერიოზულ საფრთხეს შეუქმნიდა საბაზრო ურთიერთობების განვითარებას, დაწევდა ნდობის ხარისხს და ქონების შექმნა დაკავშირებული იქნებოდა საკმაო და დასაბუთებულ რისკთან. ვფიქრობთ, ესეც არგუმენტი იმისა, რომ მინიჭებული უფლების განხორციელებაზე უარის თქმით (უმოქმედობით) მხარე კარგავს ნივთზე ბატონობის ისეთ უფლებებს, რაც მხოლოდ რეგისტრირებულ მესაკუთრეს უნდა ჰქონდეს.

სამოქალაქო კოდექსის 1159-ე მუხლის მიხედვით, თანასაკუთრებაში არსებულ ქონებაზე მეუღლეებს აქვთ თანაბარი უფლებები. ამ ქონების ფლობა სარგებლობა და განკარგვა ხორციელდება მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით. მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ერთის მიერ დადებული გარიგება ვერ იქნება ბათილად ცნობილი მეორის მოთხოვნით იმ საფუძვლითაც კი, თუ მეორე მეუღლემ არ იცოდა გარიგების შესახებ ან არ ეთანხმებოდა აღნიშნულ გარიგებას. ასეთ დროს მეუღლეს უფლება აქვს მოითხოვოს ქონების განკარგვით მიღებული სარგებელი.

თეორიულად დაცულია იმ მეუღლის ინტერესი, რომელსაც მეორეს მოქმედებით მიადგა ზიანი, მაგრამ ამ უფლების პრაქტიკაში რეალიზება ისეთ სირთულეებთან არის დაკავშირებული, როგორც მოთხოვნის რეალურად დაკმაყოფილება, რადგან ასეთ დროს სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებულ სარჩელს უჭირს აღსრულება, თუ მოპასუხეს არ გააჩნია ქონება (მოდრავი ან უძრავი), რაზედაც შემდგომში შესაძლებელია მოხდეს აღსასრულებლად მიქცევა და ამიტომ უმრავლეს შემთხვევებში, მეორე მეუღლის საერთო ქონების განკარგვით მიღებული ზიანის ანაზღაურება პრაქტიკულად გადაუჭრელი და დაუკმაყოფილებელი რჩება. კანონმდებელი ამგვარი დანაწესით კიდევ ერთხელ, ხაზს უსვამს თანაცხოვრების პერიოდში შექმნილი ქონების რეგისტრაციის სავალდებულობას, რასაც უპირველეს ყოვლისა, საფუძვლად თვითონ მეუღლეთა ინტერესი – საოჯახო სამართლის უმნიშვნელოვანესი პრინციპის განხორციელების უზრუნველყოფა უდევს. საჯარო რეესტრის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფციიდან გამომდინარე, მესამე პირებს, რომლებსაც აქვთ კანონიერი ნდობა მოცემული მონაცემისადმი, როგორც უკვე აღინიშნა და მოქმედებენ კეთილსინდისიერად, არ შეიძლება მიადგეთ ზიანი. დაზარალებულმა მეუღლემ, მისივე ნებით ხელიდან გაუშვა თანამესაკუთრედ ყოფნის შესაძლებლობა თავისივე ინტერესის საზიანოდ. ასევე, რადგან დავა ეხება ქონებას (კერძოდ, უძრავს) სპეციალური ნორმები უნდა ვეძიოთ სანივთო სამართლის თავში, სადაც წერია, რომ მესაკუთრედ ითვლება პირი, რომელიც ასეთად არის რეგისტრირებული შესაბამის ორგანოში, ანუ საჯარო რეესტრში.

პრაქტიკაში მრავლად არის შემთხვევები, როდესაც მხარეები განქორწინებასთან ერთად სასამართლოს მიმართავენ თხოვნით თანაცხოვრების პერიოდში შექმნილი ქონების გაყოფასთან (თანასაკუთრებიდან წილის გამოყოფა) დაკავშირებით. აღნიშნული მოთხოვნა სასამართლოს მიერ არ უნდა იქნეს დაკმაყოფილებული, რადგან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამავე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით კი, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად, უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. ასეთ დროს თანასაკუთრების სამტკიცებლად მხოლოდ ქორწინების მოწმობა (ე.ი. მტკიცებულება იმისა, რომ სადავო ქონება ნამდვილად ქორწინების განმავლობაში არის შექმნილი) არ გამოდგება, საჭიროა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რადგან სწორედ ეს არის იმგვარი მტკიცებულება რაც ადასტურებს ზემოაღნიშნულს (თანასაკუთრებას), ასეთის არსებობის შემთხვევაში კი, შესაძლებელია მოთხოვნილ იქნეს თანასაკუთრებიდან წილის გამოყოფა.

ზემოთ საუბარი გვქონდა კანონმდებლის მიერ მინიჭებულ უფლებაზე ქორწინების განმავლობაში შექმნილი ქონების – თანასაკუთრების საჯარო რეესტრში დარეგისტრირებასთან დაკავშირებით. როგორც ვიცით, მხარეები მათი დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით, ხშირად მიმართავენ სასამართლოს. სასამართლოსადმი მიმართვის უფლება ყოველი ადამიანის გარანტირებული უფლებაა. სასამართლომ არ

შეიძლება უარი თქვას მართლმსაჯულების განხორციელებაზე. როცა საკუთრების უფლების რეგისტრაცია თანაცხოვრების განმავლობაში შეძენილ ქონებაზე არის ერთ-ერთ მეუღლეზე განხორციელებული და მეორე მეუღლეს სურს მასთან ერთად დარეგისტრირდეს როგორც თანამესაკუთრე და გამოიყენოს 1158-ე მუხლით მისთვის მინიჭებული უფლება და ასეთ დროს აწყდება წინააღმდეგობას მეორე მეუღლისაგან როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე განქორწინებისას (თუმცა, ამგვარი დავები უფრო ხშირია განქორწინების დროს) მას შეუძლია სასამართლოს მიმართოს თანამესაკუთრედ ცნობის მოთხოვნით, როცა წარმოდგენილია სათანადო მტკიცებულებები (ასეთ დროს, უკვე ქორწინების მოწმობა, იმის სამტკიცებლად რომ ქორწინების განმავლობაში მოხდა შექენა და ა.შ.) მოთხოვნა საფუძვლიანი და დასაბუთებულია. საჯარო რეესტრისათვის ერთ-ერთი მეუღლის მიმართვა იმ მიზნით, რომ დაარეგისტრირონ თანამესაკუთრედ უძრავ ქონებაზე, რადგან შექენილია ქორწინების განმავლობაში და მტკიცებულებად ქორწინების მოწმობის წარდგენა უშედეგო იქნება, ვინაიდან ქორწინება არ არის საჯარო რეესტრისათვის მესაკუთრედ დარეგისტრირების ისეთი საფუძველი, როგორცაა ნასყიდობის, ჩუქების, გაცვლის და ა.შ. ხელშეკრულებები. ასეთ დროს, სასამართლოს მიერ თანამესაკუთრედ ცნობის და რეესტრის მონაცემებში ცვლილებების შეტანის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან მხარემ სადავო საკითხის იძულებით მოსაწესრიგებლად, მიმართა მართლმსაჯულების განმხორციელებელ ორგანოს.

თუ კარგად გადავხედავთ მოცემულ საკითხთან მიმართებით სასამართლოების შემუშავებულ პრაქტიკას, მივალთ დასკვნამდე, რომ ქორწინების განმავლობაში შექენილ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრება წარმოიშობა მიუხედავად რეგისტრაციისა და სასამართლო პრაქტიკა ამბობს, რომ მეუღლეთა თანასაკუთრებისადმი ამა თუ იმ ქონების მიკუთვნებისათვის მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ ქონება შექენილი იყოს მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში ერთობლივი შრომითა და საერთო სახსრებით, რასაც არ ვეთანხმებით.

ზემოთ აღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ თანასაკუთრებას მაშინ აქვს ადგილი, როცა უძრავ ქონებაზე მეუღლეები თანამესაკუთრეებად არიან დარეგისტრირებულნი საჯარო რეესტრში და არა ავტომატურად, მხოლოდ იმ პირობის დაკმაყოფილებით, რომ სადავო ქონება ქორწინების განმავლობაში იყოს შექენილი. აქედან გამომდინარე, განხილულ საკითხებთან მიმართებაში, სამოქალაქო ბრუნვის განვითარებასთან ერთად უფრო მეტი წინდახედულების გამოჩენა გვმართებს, რათა შემდგომში ჩვენივე უმოქმედობით არ მოხდეს საკუთარი ინტერესების შელახვა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
3. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი;
4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2000, წიგნი მეხუთე;
5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (წიგნი მეორე);
6. რომან შენგელია, საოჯახო სამართალი, კანონთა კომენტარები, თბილისი, 1999;
7. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საკუთრების უფლება საქართველოში, თბილისი, 2007;
8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის გადაწყვეტილებათა კრებული;

FOUNDATIONS FOR ORIGINATION OF CO-OWNERSHIP RIGHTS OF SPOUSES

THEA KALANDADZE
Lawyer

Family law has its own, very peculiar features. Family law regulates relationships participants to which we automatically become right after birth; this is when the obligations of parents towards children and vice versa start. Spouses', as well as family members' authorities are defined.

The paper below reviews the subject of property relationships of spouses; namely, legal future of the property acquired during marriage (when the given issues is not regulated by the marriage contract). Then, co-ownership represents the problem according to the Family and Property Law; as well as collision between provisions regulating origination of the right to property, which is provided in the two areas of civil law.

Besides, the article reviews problems related to formulation of the demands of the claim during hearing of the dispute by the court, as well as the attitude of the court to the arisen problem of marital co-ownership, etc.

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა იტალიაში

დავით მისხიშვილი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი

ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა იტალიაში განსაკუთრებული თავისებურებებით ხასიათდება. მიუხედავად იმისა, რომ მაფიას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს, დიდი ხნის მანძილზე ქვეყნის ხელისუფლება არათუ არ ებრძოდა, არამედ საერთოდ მის არსებობასაც არ აღიარებდა. სპეციალისტების აზრით, გადაჭარბებული არ არის მოსაზრება, რომ მაფია მშვიდობიანად თანაარსებობს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან ერთად.¹ რეალური ძვრები ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში 1982 წლიდან დაიწყო, რამდენიმე თანამდებობის პირის საზარელი მკვლელობის შემდეგ. 1982-1992 წლებში მიღებულია 114 ნორმატიული აქტი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ მიმართულია ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ. მათ შორის, ყველაზე მნიშვნელოვანია 1982 წლის 13 სექტემბრის №646 კანონი, რომელსაც მაფიის მიერ მოკლული ავტორების პატივსაცემად რონიონი და ლა ტორეს სახელწოდებით მოიხსენებენ. გარდა ამისა, ძირითადი საკანონმდებლო აქტი ორგანიზებული დანაშაულის სფეროში არის 1965 წლის 31 მაისის „კანონი მაფიის წინააღმდეგ“ (ანტი-მაფია), სადაც სიტყვა „მაფია“ პირველად იქნა გამოყენებული საკანონმდებლო დონეზე, აგრეთვე ცალეკული დებულებები მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსსა და სხვა საკანონმდებლო აქტებში.

ძირითად ანტიმაფიურ საკანონმდებლო აქტად მიიჩნევა 1965 წლის 31 მაისის №575 „კანონი მაფიის წინააღმდეგ“ (ანტიმაფია), რომელმაც შემდგომ არსებითი ცვლილებები განიცადა. იგი ეხება პირებს, რომლებიც ეჭვმიტანილნი არიან მაფიური ტიპის დაჯგუფებების, კამორასა

თუ სხვა გაერთიანებათა წევრობაში მათი ადგილობრივი დასახელების მიუხედავად, რომლებიც მაფიური გაერთიანების ინტერესებისათვის იღვნიან და შესაბამისი მეთოდებით მოქმედებენ.²

ამგვარად, ამერიკული რიკოსგან გასხვავებით, აღნიშნული კანონი სჯის კონკრეტული დაჯგუფების წევრობას. ის, თუ რა ჩაითვლება „მაფიოზური დაჯგუფებისათვის დამახასიათებელ მიზნად“, კანონით განსაზღვრული არ არის. ამ შემთხვევაში, ზოგადად, ორგანიზებული დანაშაულის განმარტებას უნდა დავეყრდნოთ და ამგვარ მიზნად უკანონო შემოსავლის მიღება მივიჩნიოთ. რაც შეეხება მეთოდებს, რომლებზეც იმავე მუხლშია მითითებული, ზოგადი ცნებიდან გამომდინარე, ასეთად უნდა ჩაითვალოს ძალადობა ან ძალადობის მუქარა, ნებისმიერ საქმიანობაში მონოპოლიური მდგომარეობის მოპოვება, წევრთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად პირთა მოსყიდვა და ა.შ.

კანონის დანარჩენი ნორმები ეთმობა ქონების კონფისკაციისა და მისი სახელმწიფოსათვის გადაცემის პროცედურას. კანონი ქონების ცნებაში აერთიანებს უძრავ და მოძრავ ქონებას, მათ შორის, ფასიან ქალაქებს. პროკურორის ან კვესტორის (პოლიციის უფროსი) მოთხოვნის საფუძველზე ტრიბუნალი იღებს გადაწყვეტილებას ქონების დაყადაღების შესახებ. იგი დაექვემდებარება კონფისკაციას, თუ არ დადასტურდა მისი კანონიერი წარმომავლობა, რაც უნდა დაამტკიცოს ბრალდებულმა. ყადაღის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე მისი წარმოშობის უკანონობას ამტკიცებს პროკურორი ან კვესტორი. ამგვარად, საქმე გვაქვს მტკიცების ტვირთის შერეულ სახესთან.³ ჩამორთმეული ქონების მართვისათვის დანიშნული ადმინისტრატორის მოვალეობაა დაყადაღებული საკუთრების დაცვა, შენახვა და ადმინისტრირება, ასევე, შესაძლებლობის შემთხვევაში, ქონების გაზრდა. ყოველივე ეს ხორციელდება მოსამართლის უშუალო ზედამხედველობით. მკაცრადაა განსაზღვრული ადმინისტრატორის საქმიანობის რეგლამენტი, რათა თავიდან იქნას აცილებული ჩამორთმეული ქონების განკარგვა მისი უწინდელი მფლობელის მიერ. ადმინისტრატორს ეკრძალება მთელი რიგი ქმედებების განხორციელება, კერძოდ: მოსამართლის წინასწარი ნებართვის გარეშე სესხის აღება, გარიგების დადება, საარბიტრაჟო შეთანხმება, თავდებობა, ქონების იპოთეკით დატვირთვა, სასამართლო პროცესზე მხარედ გამოსვლა. ჩამორთმეული ქონების მოვლისა და შენახვისათვის საჭირო ან აუცილებელ ხარჯებს ანაზღაურებს ადმინისტრატორი საამისოდ გამოყოფილი თანხებიდან. თუ არ მოიპოვება დაყადაღებული ქონების სამართავად საკმარისი თანხა, მაშინ ამ ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო, ხოლო ყადაღის გაუქმების შემთხვევაში – ქონების მართვისა და დაცვისათვის გაღებული ხარჯები სახელმწიფოს არ აუნაზღაურდება. ქონების კონფისკაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ადმინისტრატორის მიერ განეული საქმიანობის, მისი მომსახურების, აგრეთვე, მის მიერ დამხმარე პირებზე გაცემული ხარჯები ანაზღაურდება ჩამორთმეული ქონების ადმინისტრირების ანგარიშიდან. თუ არსებული თანხები ვერ ფარავს ზემოხსენებულ ხარჯებს, მათ ნაწილობრივ ან მთლიანად ანაზღაურებს სახელმწიფო უკუანაზღაურების უფლების გარეშე. ყადაღის გაუქმების შემთხვევაში, ზემოხსენებულ ხარჯებს მთლიანად გაიღებს სახელმწიფო.

1996 წლის 7 მარტს, კანონში შეტანილ იქნა ცვლილება, რომელიც ჩამორთმეული ქონების შემდგომ განკარგვას შეეხება. „ამან კონფისკაციას სავსებით რეალური და იმავდროულად, კეთილშობილური დანიშნულება შესძინა. კერძოდ, ცვლილება აყალიბებს რაციონალურ მექანიზმს კონფისკაციას დაქვემდებარებული ქონების შემდგომი განკარგვისათვის. ამგვარი ქონების მართვისას შემოსული ფულადი სახსრები აკუმულირდება პრეფექტურასთან არსებულ ფონდში, რათა შემდგომ შესაძლებლობის ფარგლებში, ჩამორთმეული უძრავი ქონება გაიცეს ინსტიტუციური, სოციალური და საჯარო ინტერესების განსახორციელებლად, ადმინისტრირების პროექტების, თუნდაც, ნაწილობრივ დასაფინანსებლად. ასევე, ისეთი სპეციფიკური საქმიანობისათვის, როგორცაა: დაზიანებული საცხოვრებელი რაიონების აღდგენა, სიღარიბისა და სეგრეგაციის აღმოფხვრა, სკოლებში მართლწესრიგის შემსწავლელი კურსების დანერგვა, ახალგაზრდა უმუშევართა შორის სამენარმეო კულტურისა და მენარმეობის განვითარების ხელშეწყობა. აგრეთვე, ეს თანხები და უძრავი ქონება ემსახურება ნარკომანიასთან ბრძოლას, ნარკომანთა მკურნალობასა და მათ რეაბილიტაციას, რისთვისაც ისინი გადაეცემა სხვადასხვა სოციალური ფუნქციის მქონე

იურიდიულ პირებს, თუ ისინი აკმაყოფილებენ გარკვეულ პირობებს. ამდენად, კანონი საზოგადოებისათვის უსამართლოდ წართმეულ ამა თუ იმ სიკეთეს საზოგადოებასვე უბრუნებს.⁴

1982 წლის 13 სექტემბერს მიღებულ იქნა „დებულებანი ქონებრივი ხასიათის აღმკვეთი ღონისძიებების შესახებ“, რომელსაც რონიონი-ლა ტორეს სახელწოდებით იხსენიებენ პროექტის ავტორების, ქრისტიან-დემოკრატის, შინაგან საქმეთა მინისტრის ვირჯინიო რონიონისა და კომუნისტების ლიდერის, პიო ლა ტორეს პატივსაცემად.

მითითებულმა კანონმა შემოიტანა ორი სიახლე — მოდიფიცირებულ იქნა სისხლის სამართლის 416-ე მუხლი, რის შედეგადაც მოხდა „მაფიური ტიპის გაერთიანების“ კრიმინალიზაცია და გაფართოვდა შესაბამისი ორგანოების უფლებამოსილება ექვმიტანილ პირებზე თვალთვალის განხორციელებასა და მათთვის გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვაში.

ზემოთ მითითებული ცვლილებების შესაბამისად შექმნილი სისხლის სამართლის კოდექსის 416 მუხლის შესაბამისად, დაჯგუფება ითვლება მაფიოზური ტიპის დაჯგუფებად, თუ იგი შედგება სამი წევრისაგან მაინც, რომლებიც იყენებენ დაშინებას, ადგენენ მორჩილებისა და დუმის პირობებს, რაც ემსახურება დანაშაულის ჩადენას, ეკონომიკური საქმიანობის მენეჯმენტის, კონცესიების, ლიცენზიების, სახელმწიფო კონტრაქტებისა და საჯარო სამსახურის პირდაპირ ან არაპირდაპირ დაქვემდებარებას ან მასზე კონტროლის უშუალო ან ირიბ განხორციელებას, თავისთვის ან სხვა პირებისათვის უკანონო შემოსავლების ან უპირატესობის მისაღებად.⁵

დამამძიმებელ გარემოებებად ითვლება ცეცხლსასროლი იარაღის ფლობა ან გამოყენება, ასევე, უკანონოდ მოპოვებული შემოსავლების მეშვეობით მასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ საქმიანობაზე კონტროლის მოპოვება.⁶

აღნიშნული ნორმატიული აქტის საფუძველზე, მსჯავრდებული პირები კარგავენ საპოლიციო, ვაჭრობის, ბითუმად ვაჭრობის, სააუქციონო ბროკერობის, საზოგადოებრივი ნყლების კონცესიის ლიცენზირების უფლებას, ასევე, საჯარო ადმინისტრაციის კუთვნილ სამშენებლო სამუშაოების განმახორციელებელ კონტრაქტორთა სიაში რეგისტრაციის უფლებას. ამ მუხლის დებულებანი ეხება კამორასა და სხვა გაერთიანებებს, რომლებიც იყენებენ დაშინებას და აქვთ მაფიოზური ტიპის დაჯგუფებათა მსგავსი მიზნები.

რონიონი-ლა ტორეს კანონის მე-3 თავი ფინანსურ დებულებებს შეეხება, კონკრეტულად კი, ქონების ჩამორთმევის პროცედურას. ფინანსური გვარდიის საგადასახადო პოლიციის სამსახური სავალუტო და კორპორაციულ დანაშაულთა გახსნის მიზნით ქვემდებარეობის მიხედვით ახორციელებს იმ პირების ფინანსური მდგომარეობის გამოძიებას, რომელთა მიმართაც გამოტანილია თუნდაც, არასაბოლოო განაჩენი ზემოთ მითითებული ქმედებების ჩადენისათვის ან რომელთა მიმართაც მიღებულია თუნდაც, არასაბოლოო გადაწყვეტილება აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების შესახებ, ანტიმაფიის საფუძველზე. განაჩენის ან აღმკვეთი ღონისძიების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების ასლი საამისოდ უფლებამოსილი კანცელარიის მიერ გადაეცემა ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებულ ფინანსური გვარდიის საგადასახადო პოლიციის სამსახურს. გადაწყვეტილების გაუქმება, რომლის საფუძველზეც პირს შეეფარდა აღმკვეთი ღონისძიება, არ წარმოადგენს დაბრკოლებას გამოძიებისას გამოაშკარავებული მონაცემების საფინანსო გამოძიების მიზნით გამოყენებისათვის. მაფიის წევრობაში მსჯავრდებული პირები, ვალდებულნი არიან საგადასახადო პოლიციას აცნობონ მათი ქონების ღირებულების ნებისმიერი ცვალეზადობა, რომელიც აღემატება 20 000 000 ლირას (დაახლოებით, 13 000 აშშ დოლარი). თუ საფინანსო პოლიციის მიერ განხორციელებული შემოწმებისას გამოვლინდება ფინანსური ხასიათის დანაშაული, პროკურორი ანარმოებს სისხლისსამართლებრივ დევნას. პირის დაკავება ყოველთვის სავალდებულოა ფინანსური, სავალუტო ან კორპორაციული ხასიათის დანაშაულთა ჩადენის შემთხვევაში, რომლებიც სასჯელის ზომის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას და ჩადენილია იმ პირთა მიერ, რომელთა მიმართაც გამოტანილია საბოლოო განაჩენი მაფიოზური ტიპის დაჯგუფების წევრობისათვის ან საბოლოო გადაწყვე-

ტილებით, მათ მიმართ უკვე მოქმედებს აღმკვეთი ღონისძიება, ანტიმაფიის საფუძველზე. წინასწარი დაკავების ვადა განისაზღვრება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლით, რაც არც ერთ შემთხვევაში, არ შეიძლება აღემატებოდეს დანაშაულისათვის გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელის ორ მესამედს. თუ პირის მიერ ფინანსურ, სავალუტო ან კორპორაციულ დანაშაულთან ერთად ჩადენილია სხვა დანაშაული, პროცესის გაერთიანება დაუშვებელია. ფინანსური, სავალუტო ან კორპორაციული დანაშაულის საქმეს, ნებისმიერ შემთხვევაში, განიხილავს იგივე სასამართლო, რომელმაც ამ პირს შეუფარდა აღმკვეთი ღონისძიება ან დაადგინა მისი კუთვნილება მაფიოზური დაჯგუფებისადმი.

საინტერესოა, რომ რონიონი-ლა ტორეს კანონის 30-ე მუხლის მიხედვით, პირები, რომელთაც საბოლოო განაჩენით სასჯელი დაეკისრათ სისხლის სამართლის კოდექსის 416-ში მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის ან საბოლოო გადაწყვეტილებით დაეკისრათ 1965 წლის 31 მაისის №575 კანონით გათვალისწინებული აღმკვეთი ღონისძიება, რამდენადაც ეჭვმიტანილად იქნენ მიჩნეული ამ კანონის პირველი მუხლით განსაზღვრული დაჯგუფების წევრობაში, ვალდებულნი არიან, ამ ფაქტიდან 30 დღის ვადაში და 10 წლის განმავლობაში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით არსებულ საგადასახადო პოლიციის სამსახურს აცნობონ მათ ქონებრივ მდგომარეობაში მომხდარი ცვლილებების შესახებ, თუ მათი ქონება აღემატება 20 მილიონ ლირას. 10 წლის ვადის ათვლა იწყება გადაწყვეტილების მიღების ან საბოლოო განაჩენის გამოტანის დღიდან. ის, ვინც კანონით დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ცნობას 30-ე მუხლით გათვალისწინებული ქონებრივი ცვლილებების შესახებ, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ექვს წლამდე და ჯარიმით 20-დან 40 მილიონ ლირამდე.⁷

რონიონი-ლა ტორეს კანონის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია მე-4 თავი, რომელიც ითვალისწინებს მაფიასთან საბრძოლველად საპარლამენტო კომისიის შექმნას, რომლის მიზანია:

- მაფიისა და მისი კავშირების ფენომენთან დაკავშირებით მიღებული ამ კანონისა და სხვა სახელმწიფო კანონების აღსრულებაზე კონტროლის დანერგვა;
- მოქმედი ნორმებისა და საჯარო ხელისუფლების ორგანოთა მიერ სათანადო რეაგირების არსებობის დადგენა, ასევე, მაფიოზური ფენომენის სახეცვლილებებთან დაკავშირებით, საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ხასიათის წინადადებების ფორმულირება, რათა გაძლიერდეს სახელმწიფოს ინიციატივა;
- ყოველწლიურად და განსაკუთრებულ შემთხვევებში, პარლამენტისათვის ანგარიშის წარდგენა.

რაც შეეხება კომისიის სტრუქტურას, იგი შედგება ოცი სენატორისა და ოცი დეპუტატისაგან, რომლებსაც შესაბამისად, ირჩევენ რესპუბლიკის სენატის პრეზიდენტის და პალატის პრეზიდენტის მიერ საპარლამენტო ჯგუფების წევრთა რაოდენობის პროპორციულად, რათა დაცული იქნას პარლამენტის ორივე პალატის ყოველი ჯგუფის წარმომადგენლობა. კომისიის თავმჯდომარეს ირჩევენ ორი ასამბლეის პრეზიდენტთა საერთო თანხმობის საფუძველზე – პარლამენტის ორივე პალატის წევრთაგან. კომისია ირჩევს ორ ვიცე-პრეზიდენტს და ორ მდივანს.

კომისიის საქმიანობა ემყარება თავად კომისიის მიერვე მიღებულ შიდა რეგლამენტს. რეგლამენტში ცვლილებების შეტანა დასაშვებია ნებისმიერი წევრის ინიციატივით.

გარდა ზემოთ განხილული ორი უმნიშვნელოვანესი სპეციალური კანონისა, ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებული ცალკეული დებულებები რამდენიმე საკანონმდებლო აქტშია გაბნეული. მათ შორის, უპირველესად, უნდა აღინიშნოს, იტალიის სისხლის სამართლის კოდექსი, რომლის 416-ე მუხლი ორგანიზებულ დანაშაულს მარტივად, სამი ელემენტის საფუძველზე განსაზღვრავს – ჯგუფურობა, ორგანიზებულობა და დანაშაულებრივი პროგრამა. რაც შეეხება მაფიოზური ტიპის დაჯგუფებას, აღნიშნული ცალკეა განსაზღვრული რონიონი-ლა ტორეს კანონის საფუძველზე.⁸

ამგვარად, ნათელია, რომ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ ცნებას აკლია ორგანიზებული დანაშაულისათვის დამახასიათებელი ისეთი არსებითი ნიშნები, როგორცაა იძულების გამოყენება, დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება.

ასევე მნიშვნელოვანია, სისხლის სამართლის კოდექსის 318-323-ე მუხლები, რომლებიც შეეხება, ქრთამის აღებას და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, რადგანაც თანამდებობის

პირებისა და სამართალდაცავი ორგანოს თანამშრომლების მოსყიდვა მაფიის საქმიანობის ჩვეულებრივი ფორმაა. კოდექსი ცალკე გამოყოფს ქრთამის აღებას უკანონო სასამართლო მოქმედებებისათვის.

ფულის გათეთრება იტალიური კანონმდებლობით 1978 წლიდან ისჯება. სისხლის სამართლის კოდექსის 648-ბი მუხლის მიხედვით, პირის მიერ დანაშაულის ჩადენის გზით მიღებული ფულის, ქონების ან სხვა სარგებლის გადაცემა ან გადარიცხვა ან ამ ქმედებათა ჩადენა სხვა ოპერაციების განხორციელებით, რომლებიც ხელს უშლის მათი დანაშაულებრივი წარმომავლობის დადგენას, ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ვადით ოთხიდან თორმეტ წლამდე და ჯარიმით, ორიდან ოცდაათ მილიონ ლირამდე. 20 000 000 ლირაზე მეტი თანხის ნებისმიერი ტრანსფერი საჭიროებს დეკლარირებას.

1993 წლის 28 აგვისტოს №328 კანონი დიდ წილად იმეორებს „ფულის გათეთრების შესახებ“ ევროპული კონვენციის დებულებებს. აღნიშნული აქტის საფუძველზე, ფულის გათეთრებას წარმოადგენს ნებისმიერი დანაშაულის შედეგად მიღებული შემოსავლების რეინვესტირება და არა მხოლოდ ოთხი დანაშაულის (ნარკოტიკებით ვაჭრობა, ადამიანების გატაცება, ყაჩაღობა და დამძიმებელ გარემოებში, გამოძალვა), როგორც ეს მანამდე მოქმედი კანონმდებლობით იყო დადგენილი, მაგრამ კვლავ მოუგვარებელი რჩება სმარფინგის პრობლემა. „არ არსებობს ფინანსური ტრანზაქციებისათვის თვალყურის სადევნებლად ერთიანი სისტემა. შესაძლებელია მოხდეს თანხის დაყოფა 20 000 000-ზე ნაკლებ ოდენობებად და ამგვარად განხორციელდეს ტრანსფერი.“⁹

ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის პროცესში განსაკუთრებულად დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების როლს. მაფია საზოგადოებრივი ფენომენია და უპირველესად, სწორედ საზოგადოება უნდა აღუდგეს მას, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართალდამცავი ორგანოების ძალისხმევა არსებით შედეგს ვერ გამოიღებს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ორგანიზებული დანაშაული არსად ყოფილა იმაზე უფრო „მძიმე სენი“, ვიდრე იტალიაში. სწორედ ამიტომ, მიზანშეწონილია იმ ღონისძიებების მიმოხილვა, რომლებიც თავად საზოგადოების „მკურნალობისაკენაა“ მიმართული.

საერთოდ, იტალიაში და კონკრეტულად, პალერმოში, მაფიის წინააღმდეგ საზოგადოების გააქტიურება ჯოვანი ფალკონესა და პაოლო ბორსელინოს სახელს უკავშირდება. 1992 წელს, პირველად, სწორედ მათმა მკვლევლობამ აამხედრა მოსახლეობა და დასაბამი დაუდო ე.წ. „კულტურულ რევოლუციას“. იმისათვის, რომ ნათელი გახდეს, რას ნიშნავს კულტურული რევოლუცია და რა კავშირი აქვს მას მაფიის წინააღმდეგ ბრძოლასთან, სასურველია ამ რევოლუციამდე მიმდინარე და მისი გამომწვევი პროცესების განხილვა.

ფალკონე და ბორსელინო პალერმოელი მოსამართლეები იყვნენ. ისინი 80-იან წლებში დიდი წარმატებით ახორციელებდნენ სასამართლო გამოძიებებს. მათ, რამდენიმე კოლეგასთან და პოლიციის ოფიცრებთან ერთად, აღმოაჩინეს და გაანადგურეს მაფიის ის სტრუქტურა, რომელიც ადრე მისტერიისა და ლეგენდების ბურუსით იყო მოცული და ფაქტობრივად, ხელშეუხებლად ითვლებოდა. მათი ნყალობით განხორციელდა ცნობილი სასამართლო ე. წ. „მაქსი პროცესი“ (Maxi trial) მაფიის წინააღმდეგ, რომლის შედეგადაც მაფიოზური დაჯგუფების ასობით წევრი იქნა მხილებული, დადანიშნული და მსჯავრდებული.

გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისისათვის, რეალურად, მაფიამ ძალაუფლების მწვერვალს მიაღწია, მოიხვეჭა უსაზღვრო სიმდიდრე და თავის სტატუსში დარწმუნებული, დაუსჯელად მოქმედებდა. „გარეგნულად ფრიად უიმედო სიტუაციიდან ამოტივტივდა ერთი შემთხვევა, რომელიც მაფიის თვითგანადგურების მარცვალს შეიცავდა. ალბათ, ეს იყო საკუთარი ძალაუფლების გადაჭარბებული რწმენა, რამაც უზიძგა ერთ-ერთი მაფიოზური კლანის – ე.წ. „კორლეონელების“ დაჯგუფების ხელმძღვანელ სალვატორე „ტოტო“ რიინას, რომ შიდა ომი გაეჩაღებინა ორგანიზაციაზე მთლიანი ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად, რამაც გამოიწვია ათასამდე ადამიანის მკვლელობა.¹⁰ 80-იანი წლების პირველი ნახევარი აღინიშნება „კორლეონელების“ მიერ უმოწყალოდ დახოცილი მაფიოზებისა და მათი ახლობლების, მათ შორის, ქალებისა და ბავშვების დაუსრულებელი სიით; აგრეთვე, „ბრწყინვალე გვამების“ არანაკლებ სისხლიანი ნუსხით – მოსამართლეები, პოლიციელები, კარაბინერები (სამხედრო პოლიცია), პოლიტიკური მოღვაწეები და ჟურნალისტები, რომლებიც იმის გამო დახოცეს, რომ საფრთხეს უქმნიდნენ მათ ორ-

განიზაციას ან მათ ბიზნესს ელოებოდნენ. „კორლეონელებმა“ ვერ გააცნობიერეს, რომ სწორედ მათმა ბოროტმა ქედმაღლობამ გაუჩინა ბზარი ერთ დროს შეუღწევად სისტემას, რომელსაც მაფია წლების განმავლობაში ქმნიდა თავისი მოღვაწეობით.“¹¹ 1987 წელს ოჯახის ათი წევრის მკვლელობის შემდეგ, „კორლეონელების“ მონინააღმდეგე ერთ-ერთი მაფიოზური კლანის „კაპომ“ (იგივე Capodecina – ათმეთაური, რომელიც მაფიოზური ოჯახის შიგნით აკონტროლებს „ჯარისკაცთა“ განსაზღვრულ ოდენობას)¹² – ტომაზო ბუშეტამ თანხმობა განაცხადა პოლიციასთან თანამშრომლობაზე¹³. რეალურად, ეს „ომერტას“ (დუმილის კანონი) დარღვევას ნიშნავდა.

ამავე პერიოდში განგაში ატყდა სამოქალაქო საზოგადოებასა და პოლიტიკურ სამყაროში. ამდენი მამაცი და პატიოსანი ადამიანის მკვლელობით გამოწვეულმა საყოველთაო აღშფოთებამ ბიძგი მისცა მთელი რიგი ანტიმაფიოზური ასოციაციების ჩამოყალიბებას, რომელთაც სათავეში ჩაუდგნენ პედაგოგები, რელიგიური მოღვაწეები და სხვა მოხალისეები. ბოლოს და ბოლოს კათოლიკურმა ეკლესიამაც დაარღვია დუმილი და ღიად დაგმო მაფიის საქმიანობა.¹⁴

ზემოაღნიშნულის შედეგად, 1992 წლის 31 იანვარს, საკასაციო სასამართლოს განაჩენით, მაფიის ყველა ბოსს, ციხეში მყოფსა თუ მიმალულს, სამუდამო პატიმრობა მიესაჯა.

ამის შემდეგ, მოვლენები სწრაფად განვითარდა. ჯერ იყო და 1992 წლის თებერვალში, სახელმწიფო სექტორში არსებული კორუფციის საქმეები გაიხსნა, რაც საღვო ლიმას, ევროპარლამენტის წევრისა და ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის სიცილიის რეგიონის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენლის მკვლელობით დასრულდა. არსებული ინფორმაციით აღნიშნული ფაქტი გამოიწვია „კორლეონელების“ ლიდერის – ტოტო რიინას განრისხებამ, რომ საღვო ლიმამ, რომელიც წლების განმავლობაში მაფიის მხარდაჭერით სარგებლობდა, ვერ დაიცვა ისინი, როდესაც საკასაციო სასამართლო „მაქსი-პროცესის“ გადწყვეტილებას ამტკიცებდა.¹⁵ ამავე წელს, მაფიის მიერ ორგანიზებულ აფეთქებას ემსხვერპლა ჯოვანი ფალკონესა და მისი მეუღლის სიცოცხლე, სამ პირად მცველთან ერთად.¹⁶

ხალხის რეაქცია, რომელიც ფალკონეს მკვლელობას მოჰყვა, წარმოუდგენელი იყო. ფალკონესა და პალერმოელებს შორის არსებობდა განსაკუთრებული დამოკიდებულება. სწორედ ამით შეიძლება აიხსნას ის დიდი შოკი, რომელიც ქალაქმა მისი მკვლელობით განიცადა. ამავე ასპექტით აიხსნება ხალხის მძაფრი რეაქცია, რაც გამოიხატა მაფიის წინააღმდეგ მოწყობილ დემონსტრაციებში, სადაც ორმოციათასამდე ადამიანი იღებდა მონაწილეობას¹⁷. პროტესტის სწორედ ამ ტალღას უწოდებს ენცო ლოდატო „კულტურულ რევოლუციას“, რადგანაც ეს მართლაც იყო ხალხის აზროვნების მიმართულების შეცვლა. თუმცა, მაფიამ მოვლენები სათანადოდ ვერ შეაფასა. იმავე წელს, ხუთ პირად მცველთან ერთად მოკლულ იქნა პალერმოს მთავარი პროკურორის პოსტზე ფალკონეს შემცვლელი – პაოლო ბორსელინო.¹⁸ შეიძლება ითქვას, რომ ეს მკვლელობა ბოლო წვეთი გამოდგა. ჯოვანი ფალკონესა და პაოლო ბორსელინოს მკვლელობები ათასობით იტალიელის მიერ აღქმულ იქნა, როგორც ღრმა, პირადი ტკივილი, თითქოსდა საკუთარი მეგობრები დაკარგეს მათ. ხალხი ხელისუფლებისაგან სათანადო რეაგირებას მოითხოვდა. საზოგადოების ზენოლის შედეგად, ეროვნულმა მთავრობამ დაინყო მასშტაბური ანტიმაფიური კამპანია, რომლის ფარგლებშიც პალერმოს ქუჩებში შეყვანილ იქნა 7 000 სამხედრო.¹⁹ შედეგად დაპატიმრებულ იქნენ მაფიის მთავარი ფიგურები. აღნიშნულის მიუხედავად, ყოველთვის არსებობდა ყურადღების მოდუნებისა და მაფიის შემობრუნების საფრთხე.

სწორედ ამ რისკის თავიდან ასაცილებლად გაჩნდა „პალერმოს აღორძინების“ იდეა, რომელიც სხვადასხვა მიმართულების პროექტებს მოიცავდა. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელი იყო ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისათვის ნდობის დაბრუნება, რასაც პალერმოს ახალმა საქალაქო საბჭომ წარმატებით გაართვა თავი. მთავარი, რაც კრიმინალების ამდენხნიანი ბატონობის შემდეგ საზოგადოებას სჭირდებოდა, არის სამოქალაქო აზროვნების ჩამოყალიბება და კანონისადმი პატივისცემის ამალგება. სწორედ ამ მიზნით, ახალმა საბჭომ საქმიანობა სამი მიმართულებით წარმართა. მოქმედების სფეროებად შეირჩა სკოლა, ქალაქის დაგეგმარება და კულტურა.

ცხადია, სკოლა უმნიშვნელოვანესი საფეხურია პირის მოქალაქედ აღზრდის პროცესში. „სასკოლო კანონმდებლობით მინიჭებული შესაძლებლობების გამოყენებით და პალერმოს სკოლების სამმართველოს

მხრიდან კანონიერების საკითხებში განათლების მხარდაჭერით, ქალაქის განათლების განყოფილებამ ალესანდრა სირაგუზას ხელმძღვანელობით მთელი რიგი ფართომასშტაბიანი ღონისძიებები განახორციელა, რამაც სასიკეთო შედეგები გამოიღო.²⁰

ანტიმაფიის საპარლამენტო კომისიის ზენოლის შედეგად, 1993 წლიდან სკოლების სასწავლო პროგრამაში შეტანილ იქნა მასალა „კარგ მოქალაქედ აღზრდისა“ და „ანტიმაფიის“ შესახებ. უკვე 1998 წლისათვის დაახლოებით, 620-მა სკოლამ წამოიწყო აღნიშნული პროგრამებისა და მასთან დაკავშირებული ათასამდე პროექტის განხორციელება, რომელიც მოიცავდა 8 000 მასწავლებელსა და 800 000 მდე მოსწავლეს.²¹

აღნიშნული მიმართულებით, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იყო 1992 წლის დეკემბერში, „ევროპის თანამეგობრობის“ პატრონაჟით სამხრეთ იტალიაში დაწყებული პროექტი „სკოლა შვილად იყვანს ძეგლს“, რომელიც უკვე 1994 წლისათვის ეროვნულ დონეზე გავრცელდა და მოიცავდა 65 ქალაქის საბჭოს, 100 სკოლასა და 600 000-მდე მოსწავლეს.²² პროგრამა სთავაზობს სკოლას, რომ მოუაროს რომელიმე ისტორიულ ძეგლს. ამასთან, მოსწავლეები ახორციელებენ ინფორმაციული და საილუსტრაციო მასალების მოძიებას, ქმნიან რუკებსა და პლაკატებს, ხდება გამოფენების ორგანიზება „შვილობილი“ ძეგლის ისტორიის თემაზე, ასევე, მეგზურობას უწვენ ძეგლების დათვალიერების მსურველებს.

1998 წლისათვის პალერმო იყო ერთადერთი იტალიური ქალაქი, რომელიც აგრძელებდა მითითებული პროექტის განხორციელებას. 1997-98 აკადემიური წლის განმავლობაში, ქალაქის 124-მა სკოლამ „იშვილა“ 121 მონუმენტი.

ამავე პერიოდს უკავშირდება ეკლესიის გააქტიურება ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ. სხვადასხვა კონკრეტული მღვდლების ქმედებებთან ერთად უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი იყო 1992 წლის ოქტომბერში, ეკლესიის დოქტრინალური დადგენილებით ჩამოყალიბებული 21-პუნქტიანი დოკუმენტი – „მაფია და ქრისტიანობის გავრცელება (evangelization)“, რომლის შესაბამისადაც, მაფიოზებმა ცნობილ პირებს ეკრძალებოდათ ქრისტიანულ საიდუმლოებებთან ზიარება თუ არ მოინანიებდნენ და არ დაამტკიცებდნენ თავიანთ გულწრფელობას. მათ, ასევე, ჩამოერთვათ ნათლიობის უფლება. აგრეთვე, მაფიის წევრები, რომლებიც დაილუპებოდნენ შეიარაღებული დაპირისპირების დროს ან ციხეში მონანიების რაიმე ნიშნის გარეშე, რჩებოდნენ რელიგიური წესის აუღებლად.

ცხადია, ყველა ამ პროცესს პირდაპირი კავშირი არა აქვს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლასთან, მაგრამ ამგვარი ღონისძიებები აუცილებელია საზოგადოების თვითშეგნების ამაღლებისა და სოციალური კულტურის ჩამოყალიბების თვალსაზრისით. ეს კი, თავისთავად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფეხურია მაფიის დამარცხების გზაზე. ყველა ამ პროექტს ერთი საერთო მიზანი აქვს: „1992 წლის რევოლუციური მომენტის გამოყენება და ამ ენერჯის გარდაქმნა დადებით და ნაყოფიერ შედეგად თუ კონკრეტულ ქმედებად. დეგრადაციიდან აღდგენისაკენ, იზოლაციიდან ერთიანობისაკენ, კორუფციიდან გამჭირვალობისაკენ, მაფიოზური კულტურიდან სამართლის კულტურისაკენ, სკეპტიციზმიდან რწმენისაკენ, სიბნელიდან სინათლისაკენ – სწორედ ეს არის აღორძინების ის გზები, რომლითაც განაგრძობს სვლას ქალაქი არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ სამოქალაქო საზოგადოების ყველა ფენის (სამღვდელოება, ასოციაციები, სკოლები, პრესა, პროფკავშირები და სხვა სამთავრობო სააგენტოები) დახმარებით, რომლებიც მუნიციპალიტეტის ყოველგვარი ჩარევის გარეშე, დამოუკიდებლად ვიდოდნენ იმავე გზებით.“²³

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნათელი ხდება შემდეგი: ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად აუცილებელია სამი მომენტის ერთიანობა, ესენია: 1. სახელმწიფოს პოლიტიკური ნება – შეინარჩუნოს სიფხიზლე და მუდმივად ებრძოლოს ორგანიზებულ დანაშაულს; 2. მოქალაქეთა მტკიცე სურვილი, გათავისუფლდეს კრიმინალების ზენოლისაგან, მათ შორის, ფსიქოლოგიური ზენოლისაგან და იკისრონ სამოქალაქო პასუხისმგებლობა; 3. მთავრობის ნება და უნარი, ხელი შეუწყოს სამოქალაქო მოძრაობას. სამივე მათგანი აუცილებელია შედეგის მისაღწევად.

რასაკვირველია, შეუძლებელია თქმა, რომ მაფია და კორუფცია ბოლომდე მოისპო იტალიაში. ეს ბუნებრივია, ორგანიზებულ დანაშაულს ფესვები ერთ დღეში არ გაუდგამს და ვერც ასე სწრაფად მოხდება მისი ამოძირკვა, მაგრამ მხოლოდ პალერმოს მაგალითიც კი, ცხადყოფს მიღწეულ შედეგებს.

ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის პროცესში საზოგადოების როლის მეტ-ნაკლებად განხილვის შემდეგ, აუცილებელია შეფასდეს რამდენად ეფექტიანია სახელმწიფოს ქმედება ამ მიმართულებით. სახელმწიფოს ქმედება ამ შემთხვევაში, მოიცავს, როგორც საკანონმდებლო პროცესებს, ისე სხვა ტიპის ღონისძიებებსა და სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობას. ის ფაქტი, რომ ათწლეულების მანძილზე მაფიის არსებობა აღიარებული არ იყო და მხოლოდ მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო მათ წინააღმდეგ რაიმე სახის ღონისძიებების გატარება, სახელმწიფოს სასარგებლოდ არ მეტყველებს. წლების მანძილზე ხსენებული დანაშაულებრივი სინდიკატი და ხელისუფლება მშვიდობიანად თანაარსებობდნენ, ცალკეული პირების ძალისხმევა კი, მაფიის დასამარცხებლად, მათი მკვლელობით სრულდებოდა.

მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან მაფიამ ლეგალურ ბიზნესში შეღწევა დაიწყო, მაგრამ რეალური ქმედებები აღნიშნული პროცესის სანინაალმდეგოდ მხოლოდ 1982 წელს დაიწყო. იტალიის ანტიმაფიურ ღონისძიებებს ერთი საერთო ნიშანი აქვს, მათი გატარება ხდება ნაჩქარევად, მითითებული კრიმინალური ორგანიზაციის მიერ რაიმე საზარელი დანაშაულის ჩადენის შემდეგ. „თამამად შეიძლება ითქვას, რომ იტალიური კანონმდებლობა მაფიას არაადეკვატურად ებრძვის და ფაქტობრივად, კონკრეტული გეგმა ამ დანაშაულებრივი ორგანიზაციის რთული სქემის ყველა ასპექტის ამოსაძიკვად არ არსებობს. ყველა საკანონმდებლო აქტი, შეიძლება ჩაითვალოს სიმბოლურ კანონებად, რადგანაც მიღებულია უშუალოდ ჩადენილი მძიმე დანაშაულის საპასუხოდ, სასწრაფოდ, მრავალი პრაქტიკული ასპექტის გაუთვალისწინებლად.“²⁴

უმბერტო სანტინო თავის სტატიაში საკმაოდ სკეპტიკურად უყურებს მაფიის წინააღმდეგ გატარებულ ღონისძიებებს და თავად მაფიის დამარცხების ფაქტს. „იტალიურ ხელისუფლებას მიაჩნია, რომ მაფია არსებობს მხოლოდ მაშინ, როცა საზარელი მკვლელობები ხდება, სინამდვილეში კი, მკვლელობების არარსებობა მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ ორგანიზებული დანაშაულის საქმიანობა უპრობლემოდ მიედინება.“²⁵ ამგვარი დამოკიდებულება, შესაძლოა, ცოტა გადაჭარბებულიც იყოს, მაგრამ ის, რომ მაფიის საბოლოოდ დამარცხებაზე საუბარი ნაადრევია, ფაქტია.


როგორც ზემოთ აღინიშნა, ფალკონესა და ბორსელინოს მკვლელობის შემდეგ, სიცილიაში არმია გაიგზავნა მაფიის წინააღმდეგ ღონისძიებების გასატარებლად. თვით ეს მოქმედებაც სიმბოლური იყო, მაფიის ტერიტორიული კონტროლის გათვალისწინებით. აღსანიშნავია, რომ თვით პალერმოს „მაქსი-პროცესები“ არ იყო ადეკვატური პასუხი. ყველა რეპრესიული ღონისძიება იმ პერიოდისათვის ჩადენილი საზარელი მკვლელობების პასუხი იყო. „მაქსი-პროცესების“ პირველი ეტაპი არცთუ წარმატებულად დასრულდა, რადგანაც საკასაციო სასამართლომ ქვემდგომი ინსტანციების მიერ დადგენილი სასჯელები შეამცირა. სასამართლომ მიიჩნია, რომ მაფიოზური დაჯგუფებები დამოუკიდებელი, ავტონომიური ჯგუფები იყვნენ, რის შედეგადაც მათ კოლექტიურ პასუხისმგებლობაზე საუბარიც ზედმეტი იყო. აღნიშნული შეხედულება მხოლოდ 1992 წლიდან შეიცვალა.

თვით „მაფიის წინააღმდეგ“ კანონისა და რონიონო-ლა ტორეს კანონის გამოყენებას პრაქტიკაში ბევრი ხარვეზი აქვს. მათგან მთავარი არის ქონების დაყადაღებისა და ჩამორთმევის პროცესების არასწორად წარმართვა. პრობლემა ამ შემთხვევაში ისაა, რომ ქონების დაყადაღება მეტისმეტად ნაჩქარევად ხდება, როგორც წესი, მაფიის მიერ ჩადენილ მძიმე დანაშაულზე საპასუხოდ, თუმცა, სასამართლოს განაჩენით ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი მათ უკან უბრუნდება.

ამგვარად, როგორც გამოიკვეთა, იტალიის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მეთოდები ეფუძნება „თავდასხმას თუ მაფია გიტევს,“ დანარჩენ დროს კი, მშვიდობიან თანაარსებობას. ყველა ის მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელიც წინამდებარე სტატიაში იქნა განხილული, მხოლოდ საზოგადოების ზენოლით იყო გამოწვეული. რასაკვირველია, ეს მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო, მაგრამ მაფია და შესაბამისად, კორუფცია, ჯერ კიდევ შორსაა დამარცხებისაგან.

- ¹ Franco Roberti, Effective measures to combat organized crime in criminal processes, <http://www.centroimpastato.it>
- ² Alison Jameson, "The Antimafia", Anthony Rowe Ltd, Chippenham, Wiltshire, გვ. 17, 1999.
- ³ ანი მორგოშია, იტალიის ანტიკორუფციული და ანტიმაფიური კანონმდებლობა – ქონების კონფისკაციის საკითხები, თბილისი, 2004, გვ. 5.
- ⁴ ანი მორგოშია, იტალიის ანტიკორუფციული და ანტიმაფიური კანონმდებლობა – ქონების კონფისკაციის საკითხები, თბილისი, 2004, გვ. 5.
- ⁵ Alison Jameson, "The Antimafia", Anthony Rowe Ltd, Chippenham, Wiltshire, გვ. 28, 1999.
- ⁶ Alison Jameson, "The Antimafia", Anthony Rowe Ltd, Chippenham, Wiltshire, გვ. 28, 1999.
- ⁷ იხ.: კანონი №646, 1982 წლის 13 სექტემბერი, დებულებანი ქონებრივი ხასიათის აღმკვეთი ღონისძიებების შესახებ; 1956 წლის 27 დეკემბრის №1924, 1962 წლის 10 თებერვლის №57 და 1965 წლის 31 მაისის №575 კანონის დამატებანი; ანი მორგოშია, იტალიის ანტიკორუფციული და ანტიმაფიური კანონმდებლობა – ქონების კონფისკაციის საკითხები", თბილისი, 2004.
- ⁸ Umbero Santino "Law Enforcement in Italy and Europe against mafia and organized crime", <http://www.centroimpastato.it/otherlang/mcdonald.php3>
- ⁹ Umbero Santino "Law Enforcement in Italy and Europe against mafia and organized crime", <http://www.centroimpastato.it/otherlang/mcdonald.php3>
- ¹⁰ Abadinsky Howard "Organized Crime" 7th edition (Thomson Wadsworth), 2003 წ. გვ. 153.
- ¹¹ ენცო ლოდატო, „პალერმოს კულტურული რევოლუცია და ქალაქის მართვის განახლების პროექტი“; ანი მორგოშია, „იტალიის ანტიკორუფციული და ანტიმაფიური კანონმდებლობა – ქონების კონფისკაციის საკითხები“, თბილისი, 2004, 50.
- ¹² Lyman Michael D., Poter Gary, W., "Organized Crime", 2nd edition, 2000 (Prentice-Hall) გვ. 339.
- ¹³ Abadinsky Howard "Organized Crime" 7th edition (Thomson Wadsworth), 2003 წ. გვ. 155.
- ¹⁴ ენცო ლოდატო, „პალერმოს კულტურული რევოლუცია და ქალაქის მართვის განახლების პროექტი“; ანი მორგოშია, „იტალიის ანტიკორუფციული და ანტიმაფიური კანონმდებლობა – ქონების კონფისკაციის საკითხები“, თბილისი, 2004, 50.
- ¹⁵ della Porta Donatella and Alberto Vanucci, "Corrupt Exchanges: Actors, Resources and Mechanizm of Political Corruption", New York: Walter de Gruiter, 1999წ, გვ. 34.
- ¹⁶ Abadinsky Howard "Organized Crime" 7th edition (Thomson Wadsworth), 2003 წ. გვ. 156.
- ¹⁷ Cowell Alan "Inquiry into Sicilian Slaying Looks for Mafia Link to Colombia Drug Cartel", New York Times (june 21), 1992 წ. გვ. 3.
- ¹⁸ Cowell Alan "Mafia Throws the Gauntlet in Italy's Face", New York Times (july 21), 1992 წ. გვ. 5.
- ¹⁹ Hundley Tom "Anty-Mafia Sweep Helps Sicilian Capital Clean Up Its Act", Chicago Tribune (November 8), 1998 წ, გვ. 4.
- ²⁰ ენცო ლოდატო, „პალერმოს კულტურული რევოლუცია და ქალაქის მართვის განახლების პროექტი“; ანი მორგოშია, „იტალიის ანტიკორუფციული და ანტიმაფიური კანონმდებლობა – ქონების კონფისკაციის საკითხები“, თბილისი, 2004, 56.

- ²¹ Census carried out by “Libera”, 1994-1998, in Alison Jameson, “The Antimafia”, Anthony Rowe Ltd, Chippenham, Wiltshire, გვ. 149, 1999.
- ²² F. Ramella, C. Triglia, “Associazionismo e mobilitazione contro la criminalita organizzata nel Mezzogiorno”, 288, 1997.
- ²³ ენცო ლოდატო, „პალერმოს კულტურული რევოლუცია და ქალაქის მართვის განახლების პროექტი“; ანი მორგოშია, „იტალიის ანტიკორუფციული და ანტიმაფიური კანონმდებლობა – ქონების კონფისკაციის საკითხები“, თბილისი, 2004, 67.
- ²⁴ Umbero Santino “Law Enforcement in Italy and Europe against mafia and organized crime”, <http://www.centroimpastato.it/otherlang/mcdonald.php3>, 4
- ²⁵ Umbero Santino “Law Enforcement in Italy and Europe against mafia and organized crime”, <http://www.centroimpastato.it/otherlang/mcdonald.php3> 3



FFIGHT AGAINST ORGANIZED CRIME IN ITALY

DAVID MESKHISHVILI

PHD Student of Grigol Robakidze University, Law Faculty

Italy has quite a long history of organized crime. However, it is worth mentioning that despite this, the history of fighting this crime in Italy is not very long, as until second half of 20th Century, the Government would not acknowledge existence of maphia groups.

Presented Article shortly reviews Italian experience in fighting organized crime that as mentioned above, started sixties of 20th century. Article also offers an overview of the peculiarities of this fight and those general circumstances that made it possible to significantly decrease maphia influence on state as well as private sector – in the country where Cosa Nostra had been strong roots in each and every sphere.

საზოგადოებრივ სასარგებლო შრომა – არასაპატიმრო სახის სასჯელთა შორის არასრულწლოვან დამნაშავეთა რესოცია- ლიზაციის ერთ-ერთი საუკეთესო აგენტი

(საქართველოსა და აშშ-ის სისხლისსამართლებრივი
მიდგომის შედარებითი ანალიზი)

ირინე ხერხეულიძე

სამართლის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის
სისხლის სამართლის მიმართულების ასისტენტ-პროფესორი,
ამავე უნივერსიტეტის კრიმინალისტიკისა და კრიმინოლოგიის
ინსტიტუტის წევრი

შესავალი

კონტინენტური თუ საერთო სამართლის ბევრმა ქვეყანამ სისხლის
სამართლის კანონმდებლობის განვითარების სხვადასხვა სტადიები გა-
იარა. თითოეულ სტადიას ახასიათებდა საკუთარი პრივილეგირებული
სასჯელები.¹ პენიტენციურ სისტემაში სასჯელთა ცალკეული სახეების
წარმოშობას და ჩამოყალიბებას საკუთარი ისტორია აქვს.

სასჯელთა პირობითი დაყოფა ორ ჯგუფად ფორმისა და შინაარსის
მიხედვით, ასეთია: **სასჯელები, რომლებიც იწვევენ მსჯავრდებულის
თავისუფლების შეზღუდვას ან აღკვეთას** (თავისუფლების შეზღუდვა,
თავისუფლების ვადიანი და უვადო აღკვეთა) და **სასჯელები, რომლე-
ბიც არ არის დაკავშირებული მსჯავრდებულის თავისუფლების შეზ-
ღუდვასთან ან აღკვეთასთან** (ჯარიმა, საზოგადოებისათვის სასარ-
გებლო შრომა).

მიჩნეულია, რომ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის გამოყენების უპირატესი ხასიათი თავისუფლების აღმკვეთი სასჯელებთან მიმართებით სხვა მრავალი პოზიტიური ასპექტის გარდა, როგორც არის მაგალითად, რესოციალიზაციის უკეთესი პერსპექტივა, შეიძლება აისახოს ასევე, სასჯელის ეკონომიის პრინციპის თვალთახედვიდანაც.

ციხეების გადატვირთულობის გამო, „პიროვნებაზე დანესებულმა მეთვალყურეობამ მას უნდა შეუქმნას თავისუფლების აღმკვეთი სასჯელის ილუზია.² ასე იქმნება „ახალი პენოლოგია ზედამხედველობასა და დასჯას შორის.“³ მისი ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი კი, სწორედ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომაა.⁴ ბრალდებულს უქმნიან გარემოს, რომ არ მოხდეს ახალი დანაშაულის ჩადენა (*incapacitation*), მაგრამ ისე, რომ არ შეილახოს მისი პიროვნული ღირსება ცუდი მოპყრობით.⁵ ამასთანავე, ყველა კანონმდებლობაში, ახალი სასჯელების გვერდით, რომლებიც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიულია, არსებობს ტრადიციული სასჯელებიც.⁶ თუმცა, ტრადიციული სასჯელებიდან ყველაზე უფრო ხშირად გამოყენებადი სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის შეფარდებისას აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ სასჯელი უნდა იყოს – *Ultima Ratio*, როდესაც ფაქტების სიმძიმიდან გამომდინარე, მოსამართლეს სხვა გამოსავალი აღარ აქვს. ამრიგად, თავისუფლების აღკვეთას უნდა განსაზღვრავდეს დანაშაულის ისეთი სიმძიმე, როდესაც შეუძლებელია სხვა ალტერნატიული სასჯელის გამოყენება.⁷

აქედან გამომდინარე, საქართველოს მართლმსაჯულების სფეროში მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს და არა მარტო საკანონმდებლო დონეზე, არამედ პრაქტიკულადაც, საქართველოს სსკ-ის სასჯელთა სისტემაში გათვალისწინებულ არასაპატიმრო სასჯელის ისეთი სახეს, როგორცაა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, როგორც სრულწლოვნებთან, ისე არასრულწლოვნებთან მიმართებით. ეს საკითხი მით უფრო ღრმა შესწავლას, ანალიზს და ფრთხილ მიდგომას არასრულწლოვან დამნაშავეთა დასჯადობასთან დაკავშირებით მოითხოვს, რამდენადაც საქართველოს ხელისუფლების მიერ ინიცირებული სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტი სწორედ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კუთხით, სისხლის სამართლის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების ახლებური და პროგრესული მონყობაა. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგია, რომელიც მიღებულია საქართველოს პრეზიდენტის №591 ბრძანებულების საფუძველზე, მის პრიორიტეტებად სწორედ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და სასჯელალსრულების სისტემის რეფორმის კუთხით, სისხლის სამართლის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შექმნას ისახავს მიზნად.

ამჟამად, საქართველოში მიმდინარე პროგრამის მიზანია დაიხვეწოს და გაფართოვდეს სტრატეგია, რათა მან მოიცვას ისეთი სფერო, რომელიც ადრე არ იყო წარმოდგენილი ან განსაკუთრებით აქცენტირებული საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სტრატეგიაში (კერძოდ, არასრულწლოვანთა სამართლის, პრობაციისა და პატიმრობის ალტერნატიული ზომების ცალკე თავად ჩამოყალიბება, სისხლის სამართლის სექტორის რეფორმა, რომელიც გამიზნულია ციხეების გადატვირთულობის შემცირებისა და ადამიანის უფლებების დაცვისაკენ). ასევე, პროგრამა ესწრაფვის, რომ შემოღებული იქნეს შეცვლილი მიდგომა დანაშაულისა და დამნაშავეთა მიმართ საზოგადოებაში, რათა მოხდეს გადასვლა პატიმართა დასჯასა და გარიყვაზე ორიენტირებული სისტემიდან იმ სისტემაზე, რომელიც ეძიებს დანაშაულის მიზეზებს და ისწრაფვის დამნაშავეების რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციისაკენ, როგორც საზოგადოებისათვის სასარგებლო ნევრებისა. განსაკუთრებით აქცენტირებულია არასრულწლოვანთა დანაშაული. ამ მიმართულებით უნდა განხორციელდეს ღონისძიებები, რომლებიც გამიზნულია (შესაძლებლობების არსებობისას) უფრო რეაბილიტაციისა და საზოგადოების შიგნით დასჯისაკენ, ვიდრე დაპატიმრებისაკენ.⁸

აღნიშნული სტრატეგია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების, უფრო კონკრეტულად კი, ინტერვენციის საკითხის განხილვისას, მიუთითებს, რომ „თავისუფლების შეზღუდვა და თავისუფლების აღკვეთა,

გამოყენებულ უნდა იქნას, როგორც უკიდურესი ღონისძიება შეძლებისდაგვარად, ხანმოკლე დროით. სისტემას უნდა ჰქონდეს შესაბამისი შესაძლებლობა, რათა გამოიყენოს კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების მიმართ სოციალური ან საგანმანათლებლო ხასიათის ღონისძიებები. ინტერვენციის პროგრამებმა ხელი უნდა შეუწყოს ზოგად მიზანს – განახლებული დანაშაულებრიობის შემცირებას. სტრატეგია ასევე, უთითებს ალტერნატიული სანქციების გამოყენების აუცილებლობაზე. ალტერნატიული სანქციების განვითარებისა და გამოყენებისას გასათვალისწინებელია ბავშვის ემოციური, მენტალური და ინტელექტუალური მონიფულობა, ასევე, კონკრეტული საქმის თავისებურებანი.⁹

აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ შექმნილი სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმის სამუშაო ჯგუფის სტრატეგიის ერთ-ერთ კომპონენტად მოიაზრება **ციხეებში გადატვირთულობასთან** ბრძოლის სტრატეგია.¹⁰ სწორედ ამ უკანაკენლის უზრუნველყოფას შეუწყობს ხელს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის, როგორც საპატიმრო სახის სასჯელის ალტერნატივის ხშირი გამოყენება, რადგან მისი დადებითი მხარე, სხვა უპირატესობებთან ერთად, იმაშიც გამოიხატება, რომ იგი ამავდროულად, სასჯელაღსრულების დანესებულებებში მსჯავრდებულთა რიცხვის შემცირებას გამოიწვევს.

საქართველოს მთავრობამ გამოხატა მზადყოფნა, საერთაშორისო სტანდარტებთან და ნორმებთან შესაბამისობაში მოიყვანოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა, რომელიც პრევენციაზე, რეაბილიტაციაზე და ინტეგრაციაზე იქნება ფოკუსირებული. ამ მიმართებით საყურადღებოა არასრულწლოვანთა სასჯელის სისტემის ფარგლებში არასაპატიმრო სასჯელის სახის, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის არსისა და დანიშნულების განხილვა როგორც საქართველოს, ისე აშშ-ის კანონმდებლობაში, სადაც ასე ფართოდ და წარმატებით ფუნქციონირებს იუვენალური იუსტიციის სისტემა.

1. არასრულწლოვანი დამნაშავის მიმართ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენების ასაქმებავი საპარტიველოსა და აშშ-ის კანონმდებლობის მიხედვით

არასრულწლოვანის მიმართ გამოსაყენებელი სასჯელის განსაზღვრა დანაშაულის ხასიათსა და არასრულწლოვანი დამნაშავის ინდივიდუალურ თავისებურებებზე დაფუძნებით, სავალდებულოა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მინიმალური სტანდარტული წესებით, არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ აქტით („პეკინური წესები“).

ამ აქტის მე-17 წესი ადგენს სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისა და ზემოქმედების ზომების შერჩევასას გასათვალისწინებელ სახელმძღვანელო პრინციპებს. წესის თანახმად, ზემოქმედების ზომა ყოველთვის უნდა იყოს დანაშაულის სიმძიმის, არასრულწლოვანისა და საზოგადოების მოთხოვნილებების თანაზომიერი; თავისუფლების აღკვეთა სასჯელის სახედ უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ ძალადობით ან არაერთგზის ჩადენილი დანაშაულებისათვის; არასრულწლოვანის მიმართ დაუშვებელია როგორც სიკვდილით, ისე ფიზიკური დასჯის გამოყენება. ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოს უნდა მიენიჭოს არასრულწლოვანის საქმის სასამართლო განხილვის ნებისმიერ მომენტში შეწყვეტის დისკრეტული უფლებამოსილება.¹¹

„პეკინური წესებში“ მოცემული დებულებები გათვალისწინებული და ასახულია საქართველოსა და აშშ-ის სისხლისსამართლებრივ პროცესუალურ თუ მატერიალურ კანონმდებლობებში. მისთვის დამახასიათებელი თავისებურებიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, შევხებით აშშ-ის სისხლისსამართლებრივ სფეროში არსებულ და მოქმედ იუვენალური იუსტიციის სისტემას.

1.1 საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენების პრაქტიკა აშშ-ში

აშშ-ში დამოუკიდებელი იუვენალური იუსტიციის სისტემის კონცეფციის განხორციელება ჯერ კიდევ, მე-20 საუკუნის დასაწყისში დაიწყო. ამ დრომდე მოზარდების გასამართლება ჩვეულებრივ სასამართლოებში ხდებოდა, ხოლო მათთვის შეფარდებული სასჯელის აღსრულება კი, იმავე სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში, სადაც სრულწლოვანი მსჯავრდებულები იყვნენ მოთავსებულნი.¹²

დამოუკიდებელი იუვენალური იუსტიციის სისტემის არაერთი თეორიის მიხედვით, უკანონო ქმედების ჩამდენი ბავშვები რეაბილიტაციის თვალსაზრისით, უკეთეს პოზიციაში არიან სრულწლოვან მსჯავრდებულებთან შედარებით. ამასთანავე, დამოუკიდებელი იუსტიციის სისტემა არსებობს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ძირითადი ფოკუსირება რეაბილიტაციაზე გაკეთდეს.¹³

ამერიკული სისხლის სამართლის სისტემის თავისებურებაა, რომ მას არასრულწლოვანთა საქმეებისათვის სპეციალური ლექსიკონი აქვს.¹⁴ „იუვენალური იუსტიციის“ სფეროში განსხვავებულია სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკიც, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობის ასაკთან შედარებით გაცილებით დაბალია და იგი 7-8 წლის ასაკიდანაც კი, იწყება¹⁵, მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ასევე საქართველოსაგან განსხვავებით, ამ ქვეყანაში არსებობს „იუვენალური იუსტიციის“ კარგად განვითარებული სისტემა. მიუხედავად პასუხისმგებლობის დაბალი ასაკისა, უმეტეს შემთხვევაში, ე.წ. „ბავშვთა საქმეების მოსმენის“ პროგრესული სისტემა 17-წლამდე ბავშვებს საშუალებას აძლევს, თავი აარიდონ მართლმსაჯულების ფორმალურ სისტემასთან კონტაქტს. „ბავშვთა საქმეების მოსმენის“ სისტემის მიზანია, არასრულწლოვანთა მიმართ უპირატესად ისეთი ზომების გამოყენება, რაც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან. სხვა სრულწლოვანებთან შედარებით, სპეციალური პრევენციული წესებია დადგენილი 21-წლამდე დანაშაულის ჩამდენი მოზარდების მიმართ.¹⁶

იუვენალური იუსტიციის სისტემის მეშვეობით შესაძლებელია არასრულწლოვანთა მიმართ როგორც აღდგენითი მართლმსაჯულების განხორციელება,¹⁷ ასევე პრობაციის აქტიურად გამოყენება,¹⁸ რომელიც ხშირ შემთხვევაში, მოიცავს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას. თუმცა, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა, როგორც საპატიმრო სახის სასჯელის ალტერნატივა, შესაძლოა, დამოუკიდებელი ფორმითაც იქნას გამოყენებული.

ზოგადად, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა ყველაზე ნოვატორული სასჯელია, რომელიც შექმნა კანონმდებელმა XX საუკუნის ბოლო ათწლეულებში. პრინციპი შემდეგია: ბრალდებული ვალდებულია გარკვეული საათების განმავლობაში უსასყიდლოდ იმუშაოს საზოგადოების სასარგებლოდ. ამ სასჯელს ზუსტად განსაზღვრული მნიშვნელობა აქვს: დამნაშავის ამგვარი საქმიანობა საზოგადოებას აუნაზღაურებს მიყენებულ ზიანს, იმავდროულად უზრუნველყოფს დამნაშავის რეინტეგრაციას საზოგადოებაში. პრობაციისა და პირობითი სასჯელის დროს ორი მოქმედი პირია – დამნაშავე და პრობაციის სამსახურის აგენტი. საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა უმატებს მესამეს, – კომუნას, საზოგადოებას, დაჯგუფებას, ასოციაციას ან სამსახურს, რომელიც სთავაზობს სამუშაოს.

საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის სათავეა 1920 წლის საბჭოთა ხელისუფლების პირმშო კოლექტიური სამუშაოები თავისუფლების აღკვეთის გარეშე.¹⁹ ასევე, 1972 წელს პირველი ჭეშმარიტი საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა თავს იჩინა ინგლისში (Criminals Justice Act 1972 ქმნის community service orders). ბრიტანული კანონი სისხლის სამართლის სისტემის საკონსულტაციო საბჭოს ე.წ. ვუთონის მოხსენების საფუძველია. ინგლისური თვალსაზრისი ძალზე კეთილგანწყობილია კომუნის წიაღში დამნაშავეების მიერ „სასარგებლო სამუშაოს“ შესრულებისა და მალე სასჯელის ამ ახალმა სახეობამ რეალურ

წარმატებას მიაღწია.²⁰ კანადაში ეს სასჯელი გაერთიანდა პრობაციასთან. აღნიშნულის შედეგად, მაგალითად, მოსამართლე ავალებს დამნაშავეს კონკრეტული დახმარება გაუწიოს ლტოლვილების დამცველ ასოციაციას. სასამართლოები საზოგადოებისათვის სასარგებლო სამუშაოებს რეაბილიტაციის საუკეთესო საშუალებად თვლიან. იგივე მიდგომაა აშშ-შიც.²¹ მაგალითად, არიზონას შტატში, პრობაციის გაძლიერებული მეთვალყურეობის პირობებში (IPS) არასრულწლოვნებმა პრობაციის ისეთი პირობების მორჩილად დაცვასთან ერთად, როგორცაა სავალდებულო საშუალო განათლების მიღება და მკურნალობის სავალდებულო კურსის გავლა, უნდა აღასრულონ ასევე, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა (community work service), მასზე მეთვალყურეობის განხორციელებით სულ მცირე, 32 საათი ყოველკვირეულად.²² რამდენადმე განსხვავებული წესებია მოცემული ლუიზიანას შტატში. ამ შტატში პრობაციის დანიშვნის პირობების დადგენისას, სასამართლომ შეიძლება ასევე, განსაზღვროს რაიმე დამატებითი პირობაც, თუ მიიჩნევს მას ბავშვისათვის სასარგებლო ინტერესების შესაფერისად. ასეთი შეიძლება იყოს სასამართლოს მიერ დადგენილი განაჩენი, რომელიც მსჯავრდებულისაგან მოითხოვს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას (court-approved community service).²³

კანონმდებელი, როგორც აღინიშნა, ნებას რთავს მოსამართლეს გამოიყენოს სხვადასხვა ღონისძიებები: მათ შორის, საზოგადოებისათვის სასარგებლო სამუშაოს მსგავსიც. ამ თვალსაზრისით, Criminal Justice Act ახალ ფორმას აძლევს პრობაციას. ეს არის კომბინირებული დანიშვნა (combination Order), რომლის წყალობით, მოსამართლე არა მხოლოდ გარკვეულ ვალდებულებებს, არამედ საზოგადოებრივად სასარგებლო სამუშაოს შესრულებასაც აკისრებს პირს, 50-100 საათის ფარგლებში. აშშ-ში მდგომარეობა იცვლება შტატების მიხედვით. ზოგი შტატის კანონი ჩამოთვლის პირობებს ან მოსამართლე თავისუფალია ამ თვალსაზრისით, ხოლო სხვა შტატებში მოსამართლე საქმეს გადასცემს პრობაციის კომიტეტებს. ამერიკის იურისტთა ასოციაცია მხარს უჭერს ზუსტი პირობების არსებობას, იმგვარი მოვალეობების დაკისრების ჩათვლით, როგორც არის სამედიცინო დახმარების გავლა, დანაშაულის შედეგების გამოსწორება, მიყენებული ზიანის ანაზღაურება, ან განსაზღვრული ადგილიდან გაუსვლელობის მოვალეობა.²⁴

ამერიკელი მკვლევარების მიერ რეციდივთან ბრძოლის საკითხში დადებითი დასკვნა კეთდება ალტერნატიული სასჯელის ისეთი სახეების გამოყენებასთან დაკავშირებით, როგორც არის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის განმახორციელებელი პროგრამები. ამ მიმართებით, საინტერესოა, აშშ-ში არსებული ალტერნატიული სასჯელის ისეთი სახეები, როგორც არის: **საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის, სამუშაოს შესასრულებლად გათავისუფლების და შაბათ-კვირის სასჯელის პროგრამები.** თუმცა, სავარაუდოდ, ამ პროგრამათაგან მხოლოდ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა გამოიყენება როგორც სრულწლოვანი, ისე არასრულწლოვანი დამნაშავეების მიმართ, რამდენადაც სამუშაოს შესასრულებლად გათავისუფლების და შაბათ-კვირის სასჯელის პროგრამებში არ არის მითითებული მათში არასრულწლოვან დელინკვენტთა შესაძლო მონაწილეობის შესახებ.

ჯინჯერ მარტინმა სტატიაში "The Effectiveness of Community-Based Sanctions in Reducing Recidivism"²⁵ გამოიკვლია მონაცემები ორეგონის შტატიდან, რომელიც ეხებოდა რეციდივის კოეფიციენტს სასჯელის დანიშვნის ალტერნატიულ ფორმებზე. 1999 წლის იანვრიდან 2001 წლის დეკემბრამდე ციხიდან გამოსული 13 219 პატიმარი ჩართული იყო ამ კვლევაში. ჯ. მარტინმა აღმოაჩინა, რომ ისეთი საშუალებები, როგორც არის: საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა და სამუშაოს შესასრულებლად გათავისუფლება უფრო იაფი იყო, ვიდრე პატიმრობა და აჩვენებდნენ რეციდივის უფრო დაბალ დონეს 12 თვის შემდეგ.²⁶

სამუშაოს შესასრულებლად გათავისუფლების პროგრამა შერჩეულ პატიმრებს სასჯელის ვადის ამოწურვასთან მიხედვით, უფლებას აძლევს იმუშაონ საზოგადოებაში, ხოლო არასამუშაო საათების განმავლობაში კი, დაუბრუნდნენ ციხის დანესებულებებს ან საზოგადოებაში არსებულ საცხოვრებელ დანესე-

ბულებებს. ასეთი პროგრამები შექმნილია სათანადოდ კონტროლირებად გარემოში პატიმრების მოსამზადებლად – საზოგადოებაში დაბრუნებისათვის, რომლის განმავლობაშიც ისინი სწავლობენ პროდუქტიულად მუშაობას. სამუშაოს შესასრულებლად გათავისუფლება ასევე, ნებას რთავს პატიმრებს გამოიმუშაონ გარკვეული შემოსავალი, აუნაზღაურონ სახელმწიფოს თავისი პატიმრობის ხარჯები, გააკეთონ დანაზოგი სასჯელისაგან გათავისუფლების პერიოდისათვის და შეიძინონ ცხოვრებისათვის მეტი დადებითი ჩვევები.

სასჯელის ალტერნატივის სახით, საზოგადოების სასარგებლოდ დამნაშავეთა შრომის გამოყენების ერთ-ერთი სახეა **შაბათ-კვირის სასჯელის პროგრამები**. ისინი, ვინც ჩაერთვებიან ასეთ პროგრამებში, გარკვეულ დღეებს (როგორც წესი, შაბათ კვირას) ატარებენ ციხეში, მაგრამ თავისუფალი არიან მთელი დანარჩენი დროის განმავლობაში. ორივე აღნიშნული სახის სასჯელი ცნობილია, როგორც **წყვეტილი პატიმრობა** (“intermittent incarceration”). ძალადობრივი დანაშაულის ჩამდენი და ნარკოტიკულ დანაშაულში ბრალდებულნი ამოირიცხებიან ამ პროგრამიდან სასამართლოს მიერ. ოჰაიოში და ჩრდილო კაროლინაში, საპატიმროში მყოფებს შეუძლიათ იმუშაონ საშეგირდო ხასიათის სამუშაო პროგრამაში, რომელიც ეწყობა კერძო ინდუსტრიაში, რათა ამ შეგირდებმა მიიღონ სერტიფიკატები ისეთი ხელობის დაუფლებაში, როგორიც არის: სტამბური ბეჭდვა და მშენებლობა.

როგორც ჩანს, სამუშაოს შესასრულებლად გათავისუფლების პროგრამები ეხმარებიან პატიმრებს, რათა დაბრუნდნენ საზოგადოებაში. კვლევაში “**Baltimore Prisoners’ Experiences Returning Home**”²⁷ დადგინდა, რომ „ყოფილი პატიმრები, რომლებიც შოულობენ სამსახურს გათავისუფლების შემდეგ, მეტწილად, სასჯელის მოხდის პერიოდში მონაწილეობდნენ სამუშაოს შესასრულებლად გათავისუფლების პროგრამით შემოთავაზებულ სამსახურში, ვიდრე ისინი, ვინც ვერ იშოვა სამსახური.“ სამუშაოს შესასრულებლად გათავისუფლების პროგრამაში მონაწილეობის დადებით მხარეზე მიუთითებს პუბლიკაცია – “**Chicago Prisoners’ Experiences Returning Home**.”²⁸

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა (Community Service Programs), როგორც სატრანსპორტო დანაშაულის ჩამდენთათვის დადგენილი სასჯელი დაიწყო 1966 წელს, აშშ-ის ალამედას ოლქში, კალიფორნიაში და გავრცელდა მთელ ამერიკის შეერთებულ შტატებში. ეს სასჯელი ხშირად, დამატებითი სასჯელია. ძირითადად, სასჯელად მისი გამოყენება ხდება „თეთრსაყელიანი“ (“white-collar”) კრიმინალების, არასრულწლოვანი დელინკვენტების და მათ მიმართ, ვისაც არ ჩაუდენია სერიოზული დანაშაული. დამნაშავეებს, როგორც წესი, მოეთხოვებათ იმუშაონ ისეთ სამთავრობო ან კერძო არაკომერციულ სააგენტოებში, რომელთა საქმიანობაც მიმართულია შემდეგი სახის სამუშაოს შესრულებისაკენ: პარკების დასუფთავება, გზისპირა ნაგვის შეგროვება, საზოგადოებრივი მოვლენებისათვის სკამების მოწყობა და საექთნო საქმეში შესაბამისი დანესებულების დახმარება. ასეთი სამოქალაქო პროგრამების მაგალითებს შეიცავს კალიფორნიის მეტყვევებისა და ცეცხლისაგან დაცვის დეპარტამენტი, რომელიც იყენებს ციხის 1500 ბინადარს, როგორც ველური მიწის მეხანძრეებს და ვაშინგტონის შტატის გამოსასწორებელი ცენტრის პროგრამა ქალებისათვის, სადაც მის მობინადრეებს ასწავლიან როგორ განვრთნან და გამოკვებონ ძაღლები, რომელთაც შეუძლიათ დახმარება გაუწიონ უნარშეზღუდულებს.²⁹

აღსანიშნავია, რომ მითითებულ ღონისძიებთა ზოგიერთი სახის გამოყენება ხდება როგორც სრულწლოვანი, ისე არასრულწლოვანი დამნაშავეების მიმართ. ამ უკანასკნელ შემთხვევაში კი, არასრულწლოვნებთან მიმართებით ამგვარ ღონისძიებათა გამოყენებისას, აუცილებლად უნდა გაკეთდეს აქცენტი აღნიშნული ღონისძიებების შეფარდების სამართლებრივი მიზანშეწონილობის შემოწმების კუთხით, რათა დადგინდეს, რომ ამა თუ იმ სახის შრომის შესრულება არ არის მოზარდისათვის შეუსაბამო და არ წარმოადგენს მისი უფლებების დარღვევას.

2000 წლის ივნისში, მართლმსაჯულების სტატისტიკის ბიურომ (BJS) State Court Organization 1998, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა მიიჩნია „გამონაკლისად არაკონსტიტუციური კატორღული სამუშაოებიდან,“ რომელიც ირიბად ეხებოდა აშშ-ის კონსტიტუციის მე-13 შესწორებას.³⁰

1.2. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის პრაქტიკული გამოყენებლობის პრობლემა და მისი გადაჭრის გზები საქართველოში

საქართველოს კანონმდებლობაში, აშშ-გან განსხვავებით არ დამდგარა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის კონსტიტუციასთან შეუსაბამობა. აქ საკითხი უფრო მწვავედ დგას. მიუხედავად სასჯელის ამ სახის კანონმდებლობაში არსებობისა, არასრულწლოვანთა მიმართ მისი გამოყენება ძალიან შეზღუდულად და იშვიათად ხდება. ამის მიზეზად კი, ქვეყანაში არსებული დასაქმების დონის ისედაც დაბალი მაჩვენებელი და სამუშაო ადგილების ნაკლებობა სახელდება.

საქართველოს სსკ-ის 85-ე მუხლის მიხედვით, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ინიშნება 40-დან 320 საათამდე ვადით. 15-წლამდე არასრულწლოვანისათვის იგი არ უნდა აღემატებოდეს 4 საათს, ხოლო 15-18-წლამდე ასაკში – 6 საათს. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შინაარსს, აგრეთვე სასჯელის მოხდის წესსა და პირობებს განსაზღვრავს საქართველოს სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ადგილობრივი საბჭო.³¹ ასეთი შრომა შეიძლება გამოიხატოს ქუჩებისა და სკვერების გასუფთავებაში, პარკების გამწვანებაში და ა.შ.

საქართველოში არასაპატიმრო სასჯელის აღსრულების ღონისძიებებს არეგულირებს საქართველოს 2007 წლის კანონი „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ.“ შესაბამისად, კანონის მე-3 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულებას უზრუნველყოფენ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო და ამ სააგენტოს ტერიტორიული ორგანოები – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროები.³²

დღეისათვის მოქმედი კანონმდებლობით სასჯელის სახით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულების წესი გარკვეულ ეტაპებს მოიცავს. კერძოდ, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნის შესახებ სასამართლო განაჩენის ასლის აღსასრულებლად მიღების შემდეგ, პრობაციის ბიურო ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის ორგანოს უგზავნის მოთხოვნას საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სახისა და მსჯავრდებულის სამუშაო ადგილის განსაზღვრის თაობაზე. მოთხოვნაში მითითებული უნდა იყოს სასამართლოს მიერ განსაზღვრული საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის მთლიანი ვადა და საქართველოს სსკ-ით დადგენილი ასეთი სახის შრომის ყოველდღიური ხანგრძლივობა. თავის მხრივ, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ვალდებულია მოთხოვნის მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში წერილობით აცნობოს პრობაციის ოფიცერს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სახის, ხანგრძლივობისა და მსჯავრდებულის სამუშაო ადგილის შესახებ. ამავე კანონის 30-ე მუხლით, დადგენილია სასჯელის სახით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის მოხდის პირობები. კერძოდ, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა შეიძლება განხორციელდეს დღის ნებისმიერ მონაკვეთში მსჯავრდებულის თავისუფალი დროის გათვალისწინებით.³³ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნა შესაძლებელია, თუმცა, შედარებით გართულებულია მაშინ, როცა არასრულწლოვანი შრომას უთავსებს სწავლას. ამასთანავე, ეს სასჯელი გულისხმობს ისეთი სამუშაოს შესრულებას, რომელიც შეუძლია არასრულწლოვანს.³⁴ პრობაციის ოფიცერი პერიოდულად, მაგრამ არანაკლებ 3 თვეში

ერთხელ, სასჯელის მოხდის ადგილზე მისვლით აკონტროლებს მსჯავრდებულის მიერ მისთვის დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებას.³⁵ თუ არასრულწლოვანი უარს განაცხადებს სასჯელის ამ სახეზე, იგი მას შეეცვლება თავისუფლების შეზღუდვით ან თავისუფლების აღკვეთით.

სამწუხაროდ, საქართველოს სასჯელალსრულების სისტემაში თითქმის არ გვხვდება არასრულწლოვანთა მიმართ არასაპატიმრო სასჯელის აღსრულების ეს ფორმა, რადგან ასეთი სასჯელის შეფარდება ქართულ სასამართლო პრაქტიკაში მოსამართლეები ნაკლებად ახდენენ. სასჯელის ამ სახის გამოუყენებლობის არგუმენტად კი, ასახელებენ, რომ მნიშვნელოვანია სასჯელის თავად აღსრულება, მისი მიზნების მიღწევა და არა მისი მხოლოდ ფორმალური შეფარდება. ასე რომ, ბოლო პერიოდის საკანონმდებლო ინიციატივამდე, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა, გამომდინარე შესაბამისი ორგანოების უუნარობიდან – უზრუნველყოფით მისი აღსრულება სამუშაო ადგილების სიმცირის გამო, არაპრაქტიკულ, სასჯელის მხოლოდ ფორმალურ სახედ მოიაზრებოდა. აღნიშნული ინიციატივა სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციის შემადგენელი ნაწილია და პროექტის სახით ითვალისწინებს – „საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ეფექტიან განხორციელებას.“ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის (განსაკუთრებით კი, არასრულწლოვანთა მიმართ) პრაქტიკული გამოუყენებლობის პრობლემა, მისი დაძლევა, უკანასკნელ ხანს, საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთ პრიორიტეტად იქცა.

შემუშავებული იქნა ახალი პროექტი, „საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა“, რომლის განხილვაშიც აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა და იუსტიციის სამინისტროები. ახალი პროექტით ცვლილებების თანახმად, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის აღსრულების პროცესში იზრდება პრობაციის სისტემის როლი. კერძოდ, პრობაციის ბიურო მსჯავრდებულს განუსაზღვრავს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის სახეს, ყოველდღიურ ხანგრძლივობას და მასზე მონიტორინგის განხორციელებას. მნიშვნელოვანია ის დატვირთვა, რასაც ეს ახალი პროექტი ატარებს. კერძოდ, მისი მიზანია არა დანაშაულის ჩამდენის საპყრობილეში მოხვედრა, არამედ მისთვის საპატიმრო სახის სასჯელის ალტერნატივის გამონახვა და შესაძლებლობის ფარგლებში საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში ჩართვა. პროექტის შინაარსი მით უფრო რელევანტურია არასრულწლოვანთა დანაშაულის დასჯადობასთან მიმართებით, ვინაიდან იგი ორიენტირებულია ისეთ კანონდამრღვევებზე, რომელთაც არ ჩაუდენიათ მძიმე დანაშაული და ამავდროულად, საზოგადოებისათვის პოტენციურ საფრთხეს არ წარმოადგენენ. აღნიშნული ალტერნატიული სასჯელის დადებითი მხარე იმაშიც გამოიხატება, რომ იგი ამავდროულად სასჯელალსრულების დანესებულებებში მსჯავრდებულთა შემცირებას გამოიწვევს.³⁶ აღნიშნული პროექტის განხორციელებაში ჩართულია თბილისის მერიაც. პროექტის ეფექტიანი განხორციელების მიზნით, შეიქმნება ადგილობრივი საკოორდინაციო საბჭო, რომელიც აწარმოებს იმ სამუშაო ადგილების რეესტრს, სადაც აღსრულება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა. იგი თვეში ერთხელ შეიკრიბება და განაახლებს შრომის ადგილთა ალტერნატივების სიას, რომელსაც მიაწოდებს პრობაციის ეროვნულ სააგენტოში არსებულ სპეციალურ მონაცემთა ბაზას, სადაც თავს მოიყრის დეტალური ინფორმაცია შრომითი ადგილებისა და მათი სამუშაო აღწერილობის შესახებ. ადგილობრივი თვითმმართველობა მოიძიებს და სისტემატურად მიაწოდებს საკოორდინაციო საბჭოს ინფორმაციას ახალი სამუშაო ადგილების შესახებ. საქართველოს სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსა და იუსტიციის სამინისტროს ერთობლივი პროექტი – „საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა“ პარლამენტში შესაბამისი კანონპროექტის დამტკიცების შემდეგ ამოქმედდება. „საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტი მთავრობას უკვე წარედგინა და განსახილველად პარლამენტს გადაეცა.³⁷

დასკვნა

ამგვარად, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის, როგორც არასაპატიმრო სახის სასჯელის რელევანტური გამოყენებით შესაძლებელი ხდება სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგიის ფარგლებში მიმდინარე პროგრამით ისეთი მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევა, როგორცაა: „არასრულწლოვანთა სამართლის ყოვლისმომცველი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და იუნისეფის რეკომენდაციებს და რომელიც გამიზნულია არასრულწლოვანთა დანაშაულზე რეაგირება მოხდეს უპირატესად სოციალური პროგრამების მეშვეობით, არასაპატიმრო და გამოსასწორებელი სადამსჯელო რეჟიმებით და რეაბილიტაციისა და სოციალური ინტეგრაციის აქცენტირებით. ასევე, პატიმართა რაოდენობის შემცირება (ან ციხის ბინადართა რაოდენობის ზრდის შემცირება მაინც) ევროპის საბჭოს რეკომენდაციების შესაბამისად.³⁸

აღსანიშნავია, რომ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ეფექტიანად გამოყენებას ეხება საქართველოს სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგია – მის ერთ-ერთ პრიორიტეტად დასახელებულ პრობაციის სამსახურის რეფორმირების საკითხის გადანყვევტისას. აღნიშნული სტრატეგიის მიხედვით, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა არის სასჯელის განხორციელებადი ზომა და იგი ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული. შესაძლებლობა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის განხორციელებისათვის საღამოს საათებში და უქმე დღეებშია შექმნილი.³⁹

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული პროგრესული საკანონმდებლო ინიციატივა მოგვაგონებს ზემოგანხილული ამერიკული გამოცდილებიდან ზოგიერთ საკითხს, რომელიც, შესაძლოა, შესაბამისად ჩაითვალოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თანამედროვე პრინციპებთან და ბავშვის უფლებებთან. ამასთან, გვევლინება, როგორც რეციდივის საწინააღმდეგო და რესოციალიზაციის ხელშემწყობი არასაპატიმრო სასჯელი, რომელიც თავისი არსიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სასჯელის ეკონომიის თვალსაზრისითაც.

შენიშვნები:

- ¹ ჟ. პრადელი, შედარებითი სისხლის სამართალი, თბილისი, 1999, გვ. 419.
- ² intermediate punishments: intensive supervision, home confinement and electronic surveillance, koleqtiuri naSrmi, Monsey, New-your, Criminal Justice Press, 1987; J.P Brodeur, „პოსტ-მოდერნისტული აზროვნება და კრიმინოლოგია“, Criminologie, მონრეალი, ტომი XXIV, გვ. 101, 1992. N. Morris, M. Tonry, “Between prison and Probation”, 1990; A. von Hirsch, “Censure and Sanctions”, Clarendon Press, Oxford 1993, გვ. 57 და მომდევნო შეფასება ეხება შუალედურ სასჯელებს; S. Brochu, G. Lemire, „საბოლოო მოხსენება ინტენსიური მეთვალყურეობის პროგრამების შეფასების შესახებ“, მონრეალი, 1993 წლის აპრილი. მოხსენება მიუთითებს ახალი სასჯელების სარგებლიანობაზე: მონრეალის პროგრამამ საზოგადოებას წარმატებით შეუნარჩუნა თავისი კლიენტების ნახევარზე მეტი (52, 6%) 18 თვის მანძილზე, მათ შორის – პროგრამის დასრულების შემდეგაც.
- ³ J.P Brodeur, დასახ. ნაშრ. გვ. 101.
- ⁴ G. Kellens, „პენოლოგიისა და სისხლის სამართლის სასჯელების სამართლის მოკლე კურსი“, ლიეჟი, 1992, გვ. 208.
- ⁵ ჟ. პრადელი, დასახ. ნაშრ., თბილისი, 1999, გვ. 420.
- ⁶ ჟ. პრადელი, დასახ. ნაშრ., თბილისი, 1999 გვ. 420.
- ⁷ ჟ. პრადელი, დასახ. ნაშრ., თბილისი, 1999, გვ.443.
- ⁸ http://www.justice.gov.ge/files/Documents/Policy_Reform_Matrix_GEO.pdf
- ⁹ საქართველოს 2009 წლის სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგია, მიღებული საქართველოს პრეზიდენტის №591 ბრძანებულების საფუძველზე, გვ. 17. <http://www.justice.gov.ge/files/strategy.pdf>
- ¹⁰ http://www.justice.gov.ge/files/Documents/Working_Groups_GEO.pdf
- ¹¹ ი. ბოხაშვილი, მ. ბენიძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხები, ჟურნალი „სამართალი“, №2, 2009, გვ. გვ. 54.
- ¹² http://www.ehow.com/about_5135532_juvenile-justice-system.html
- ¹³ http://www.ehow.com/about_5135532_juvenile-justice-system.html
- ¹⁴ ფლორიდის იუვენალური იუსტიციის სისტემა, სტატუტიდან გამომდინარე, შესაბამისია ბავშვთა საკითხებთან და იყენებს უნიკალურ ტერმინოლოგიას, რომელიც არ არის დაკავშირებული ზრდასრულთა სისხლისსამართლებრივი იუსტიციის სისტემასთან, <http://www.djj.state.fl.us/Parents/glossary.html>
- ¹⁵ შდრ. არასრულწლოვანთა დანაშაულის ადმინისტრაცია (საქართველოს კანონმდებლობა და საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმები), გამოცემულია გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მიერ, 2004, გვ. 7-28 და 196.
- ¹⁶ მ. ტურავა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეშვიდე გამოცემა, თბილისი, 2010.
- ¹⁷ <http://www.rjcolorado.org/>
- ¹⁸ http://www.ehow.com/about_5135532_juvenile-justice-system.html
- ¹⁹ ჟ. პრადელი, დასახ. ნაშრ., თბილისი, 1999, გვ. 436.
- ²⁰ J. Verin, „ინგლისური “community service“ წარმატება“, სისხლის სამართლის სამეცნიერო ჟურნალი, 1979, გვ. 636.
- ²¹ ჟ. პრადელი, დასახ. ნაშრ., თბილისი, 1999, გვ. 437.
- ²² http://www.ehow.com/list_6505860_rules-juvenile-probation.html
- ²³ http://www.ehow.com/list_6383506_louisiana_s-juvenile-probation-rules.html
- ²⁴ S. Stojkovic, R. Lovell, “Corrections. An Introduction”, Anderson pub. Cincinnati, Ohio, 1992, გვ. 475.
- ²⁵ Corrections Today Magazine, February, 2003.

- ²⁶ <http://www.libraryindex.com/pages/2553/Sentencing-ALTERNATIVE-SENTENCING.html>
- ²⁷ Washington, DC: Urban Institute, March, 2004.
- ²⁸ Washington, DC: Urban Institute, December, 2004.
- ²⁹ <http://www.libraryindex.com/pages/2553/Sentencing-ALTERNATIVE-SENTENCING.html>
- ³⁰ <http://www.libraryindex.com/pages/2553/Sentencing-ALTERNATIVE-SENTENCING.html>
- ³¹ საქართველოს 2007 წლის კანონი არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ.
- ³² იქვე, მუხლი 3.
- ³³ საქართველოს 2007 წლის კანონი არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ, მუხლი 30.
- ³⁴ ავტორთა კოლექტივი, დასახ. ნაშრ., გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2007, გვ. 434.
- ³⁵ საქართველოს 2007 წლის კანონი არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ, მუხლი 33¹.
- ³⁶ http://www.justice.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=143&info_id=3054
- ³⁷ http://www.justice.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=143&info_id=3069
- ³⁸ http://www.justice.gov.ge/files/Documents/Policy_Reform_Matrix_GEO.pdf
- ³⁹ საქართველოს 2009 წლის სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სტრატეგია, მიღებული საქართველოს პრეზიდენტის №591 ბრძანებულების საფუძველზე, გვ. 25; <http://www.justice.gov.ge/files/strategy.pdf>

PUBLIC WORKS – ONE OF THE BEST AGENTS AMONG NON-CUSTODIAL MEASURES FOR RESOCIALIZATION OF JUVENILES

IRINE KHERKHEULIDZE

*Doctor of Law Assistant Professor Criminal law direction
of the Law School Javakhishvili Tbilisi State University,
Member of the Criminalistics and Criminology Institute of
the Javakhishvili Tbilisi State University*

The article below speaks about juvenile sentencing related issues like use of public works as an alternative non-custodial punishment measure both, in Georgia and USA. The article lists advantages of using the aforementioned punishment, which is especially advisable in case of juveniles. It is perceived that in addition to other advantages of public works (as compared to custodial type of punishment), like, for instance better perspective for resocialization, economy of sentence can also be considered one of advantages.

Grounds, procedures and legal regulation instruments for imposition of this type of a punishment are reviewed by Georgian and American legal systems. Namely, application of public works in case of juveniles and in some instances in case of adults (US experience) is also reviewed in accordance with Georgian and American laws and based on their comparison.

The topic requires in-depth research, analysis and careful approach to juveniles' punishability, since one of the priorities of the initiated by the

government criminal justice reform is about juvenile justice, which envisages new vision and progressive approaches. Thus, the article concerns the juvenile justice system as well. This system allows for implementation of the rehabilitation justice as well as for active use of probation, which, very often, envisages public works as well. However, public works, as alternative to imprisonment may be used as an independent work.

Mentioned problem deserves attention, since researches clearly show that the US criminal law gives preference to alternative non-custodial punishments, which are used not only in case of juveniles, but adults as well. In this regard, the article describes alternative punishments of the US: public works, release for performance of works and week-end sentence programmes.

Considering all said above, the question is why alternative measures of punishment, like public works, are not used in Georgian system of justice at least in some cases instead of custodial measures. The article raises the issue of disuse of public works and offers possible solutions. It also reviews provisions of the law of Georgia “On enforcement of non-custodial punishments and probation” and the new project “Public Works” developed by joint effort of the Ministry of Corrections, Probation and Legal Aid and the Ministry of Justice of Georgia. Goals of the new project are listed as well; the project envisages seeking alternatives to custodial measures of punishment and engaging offenders in public works. The project is extremely relevant with regard to juveniles’ punishability, since it is oriented at offenders, who did not commit grave crimes and who do not represent public threat.

Similar to implementation of such progressive legislative initiatives American experience, is also described in the article.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვერდიქტი

ირინა აქუზარდია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

ცნობილია, რომ სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის ერთ-ერთი უმთავრესი ნოვაციაა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო დიდი ხანია დამკვიდრებულია როგორც საერთო სამართლის, ასევე, კონტინენტური სამართლის სისტემის რიგ ქვეყნებში. ქართული საზოგადოებისათვის კი, ეს ინსტიტუტი ფაქტობრივად უცხოა. 2004 წელს საქართველოს კონსტიტუციაში შესული ცვლილებით განისაზღვრა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება საქართველოში, ხოლო ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის ფორმირება, უფლებამოსილება, განსჯადობა¹ და საქმის განხილვის საპროცესო წესი მოწესრიგებულია საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, რომელიც 2010 წლის 1 ოქტომბრიდან შევიდა ძალაში.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება საქართველოში მიმდინარე სასამართლო რეფორმის ახალი ტალღის შემადგენელი ნაწილია.² აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „მართლმსაჯულების ძველ და თანამედროვე მექანიზმთა შორის, ფაქტობრივად შეუძლებელია მოიძებნოს თავისი იმანენტური ბუნებით უფრო წინააღმდეგობრივი, იურისტებსა თუ საზოგადოებაში დიამეტრულად სანიანააღმდეგო შეფასებების ადრესატი მეორე ისეთი ინსტიტუტი, როგორცაა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.“³

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ამოქმედებისას მოქალაქეები პირდაპირ ჩაებმებიან მართლმსაჯულების განხორციელებაში. თუ საზოგადოებას ისტორიულად არ ჰქონდა სასამართლოს ნდობა და ფიქრობ-

და, რომ მოსამართლეები არასწორ გადაწყვეტილებებს იღებდნენ, ახლა ხალხი თავად იქნება ამ პროცესის მონაწილე და გადაწყვეტილებას თავად მიიღებს... მოქალაქეები გადამწყვეტ როლს შეასრულებენ პირის ბრალულობისა თუ უდანაშაულობის საკითხის გადაწყვეტაში. მოსამართლე კანონის ექსპერტი იქნება, მაგრამ იმოქმედებს როგორც დამოუკიდებელი დამკვირვებელი, რომელიც უზრუნველყოფს სამართლიანი სასამართლოს ჩატარებას როგორც ბრალდებულის, ასევე, ბრალდების მხარეთათვის.⁴

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მისი არსებობის ათასწლიანი ისტორიის მანძილზე მეცნიერთა ყურადღებას ყოველთვის იპყრობდა. საქართველოშიც ბევრი დაინერა მასზე. ჩვენი მიზანი არ არის ამ მრავალმხრივ საინტერესო ინსტიტუტის ყველა რაკურსით შესწავლა. ყურადღებას გავმახვილებთ მხოლოდ ერთ კონკრეტულ საკითხზე – ვერდიქტის გამოტანის და მისი სამართლებრივი შედეგების თავისებურებებზე.

უპირველესად, შევხვით ნაფიც მსაჯულთა უფლება-მოვალეობებს, რაც რეგულირებულია ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 235-236-ე მუხლებით. აღნიშნული მუხლების ანალიზისას, ყურადღებას იპყრობს გარკვეული შეუსაბამობა. კერძოდ, ახალი სსსკ-ის 235-ე მუხლის I ნაწილის „ბ“ პუნქტის თანახმად, მსაჯულებს უფლება აქვთ სასამართლოდან მიიღონ წინასწარი ინფორმაცია საქმის გარემოებებისა და გამოსარკვევი მტკიცებულებების შესახებ. ამასთან, აღნიშნული დებულება წინააღმდეგობაში მოდის ამავე კოდექსის 236-ე მუხლის I ნაწილის „დ“ პუნქტთან, რომლის მიხედვითაც, ნაფიც მსაჯულებს ეკრძალებათ განსახილველ საქმესთან დაკავშირებით ინფორმაციის მოძიება სხდომის ფარგლებს გარეთ. ვფიქრობთ, აღნიშნული წინააღმდეგობის დასაძლევად უმჯობესი იქნებოდა სსსკ-ის 235-ე მუხლის I ნაწილის „ბ“ პუნქტი ამოგვეღო, რადგან ნაფიც მსაჯულთა მიერ სასამართლო სხდომის გარეშე, წინასწარი ინფორმაციის მიღება საქმის გარემოებებისა და გამოსარკვევი მტკიცებულებების შესახებ, მთელს მსოფლიოში მიჩნეულია ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ნიველირების საფუძვლად.

აღსანიშნავია, რომ ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში გარემოებები, რომლებიც უნდა დამტკიცდეს სისხლის სამართლის საქმეზე (მტკიცების საგანი) ორ ჯგუფად იყოფა: 1. დანაშაულებრივ ქმედებასთან დაკავშირებული გარემოებები ე.წ. ფაქტობრივი გარემოებები; 2. განსასჯელის პიროვნების დახასიათებასთან დაკავშირებული გარემოებები. ამასთან, პირველი ჯგუფის გარემოებები უნდა დადგინდეს ვერდიქტის გამოტანამდე, ხოლო მეორე ჯგუფის გარემოებები კი, ვერდიქტის გამოტანის შემდეგ.

სასამართლო განხილვის ორსაფეხურიანი სისტემა ახალი არ არის. იგი დიდი ხანია დამკვიდრებულია ინგლისის (ნაფიც მსაჯულთა, გვირგვინის, მაგისტრატთა) სასამართლოებში. ამასთან, ამ საერთო წესიდან არსებობს გამონაკლისი. კერძოდ, ბრალმდებელს უფლება აქვს ნაფიც მსაჯულებს აცნობოს, რომ განსასჯელს, რომელსაც ბრალი ედება სექსუალურ ხელყოფაში, წინათ უკვე ჩადენილი აქვს ანალოგიური დანაშაული.⁵

საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიც ითვალისწინებს გარკვეულ გამოწვევებს აღნიშნული წესიდან. კერძოდ, სსსკ 238-ე მუხლის თანახმად, ვერდიქტის გამოცხადებამდე ნაფიც მსაჯულებს არ უნდა ეცნობოთ ბრალდებულის ადრინდელი სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ პასუხისგებაში ყოფნის ან ნასამართლობის შესახებ (თუ ეს არ არის წარდგენილი ბრალდების ერთ-ერთი მკვალიფიცირებელი ნიშანი, ან გამიზნული არ არის ბრალდებულის ჩვენების სანდოობის შესამოწმებლად).

ინგლისური მტკიცებითი სამართლის კლასიკური დოგმის ასახვა საქართველოს ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მართებულად მიგვაჩნია, რადგან ბრალდებულის დამნაშაულობის საკითხის გადაწყვეტამდე პიროვნების მახასიათებელი გარემოებების გამოკვლევამ, რომელიც არ უკავშირდება ბრალდებას, შესაძლოა ნაფიცი მსაჯულები უარყოფითად განაწყოს ამ პირის მიმართ, რასაც საბოლოოდ, შეიძლება უსამართლო განაჩენის დადგენა მოჰყვეს.

ამასთან, ვფიქრობთ, რომ სსსკ 238-ე მუხლში აღნიშნული საგამონაკლისო შემთხვევები უნდა დაიხვეწოს და დაზუსტდეს. ჩვენი აზრით, გამონაკლისები უნდა ეხებოდეს დანაშაულის კონკრეტულ შემადგენ-

ლობებს მათი სიმძიმისა და ჩადენის სპეციფიკის გათვალისწინებით და არა ბრალდებულის ჩვენების სანდოობის შემოწმებას, რადგან ასეთი შემოწმებისას შესაძლებელია გარკვეული თვითნებობა და ბრალდებულთა უფლებების შეზღუდვა.

სასამართლო სხდომის გახსნისას და სათათბირო ოთახში გასვლამდე სხდომის თავმჯდომარე ნაფიც მსაჯულებს აძლევს განმარტებას გამოსაყენებელი კანონის თაობაზე. კერძოდ, ნაფიც მსაჯულებს განმარტებათ ბრალდების შინაარსი და მისი სამართლებრივი საფუძველი, მტკიცებულებათა შეფასების ძირითადი წესები, უდანაშაულობის პრეზუმფციის ცნება, რომ გამამტყუნებელი ვერდიქტი უნდა ემყარებოდეს სხდომის თავმჯდომარის მიერ განმარტებულ კანონს და სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეულ ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობას. აგრეთვე, ვერდიქტი უნდა დაეყრდნოს მხოლოდ სასამართლო პროცესის დროს განხილულ მტკიცებულებებს, რომ არანაირი მტკიცებულება არ უნდა იყოს მიღებული მხედველობაში სხვისი მითითებებით, რომ ვერდიქტი არ უნდა იყოს მიღებული ვარაუდის საფუძველზე და დაუშვებელ მტკიცებულებათა გამოყენებით.

სხდომის თავმჯდომარის განმარტების მიღების შემდეგ, ნაფიცი მსაჯულები გადაინსახებიან სათათბირო ოთახში ვერდიქტის გამოსატანად. არავის აქვს უფლება იმყოფებოდეს სათათბირო ოთახში ნაფიც და სათადარიგო მსაჯულთა გარდა და რაიმე სახით გავლენა მოახდინოს ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტზე.

ვფიქრობთ, კანონის აღნიშნული ნორმა დახვეწას საჭიროებს, რადგან სათათბირო ოთახში არ უნდა იმყოფებოდეს სათადარიგო მსაჯული. მას ხომ ხმის მიცემის უფლება არა აქვს. იგი სხდომის დარბაზში იმყოფება, რომ შეცვალოს რომელიმე ნაფიცი მსაჯული, თუ დადგება ასეთი შეცვლის აუცილებლობა სხდომის დასრულებამდე და არა სათათბირო ოთახში. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ ახალი სსსკ-ის 256-ე მუხლის I ნაწილიდან ამოსაღებია სიტყვები – „და სათადარიგო“.

ვერდიქტი არის ნაფიც მსაჯულთა ჟიურის გადაწყვეტილება ბრალდებულის დამნაშავეობა-უდანაშაულობის შესახებ. ვერდიქტი როგორც წესი, ნაფიც მსაჯულებს გამოაქვთ ვერბალური ინფორმაციის საფუძველზე, რადგანაც კანონის თანახმად, ისინი არ ეცნობიან სისხლის სამართლის საქმეში არსებულ წერილობით მასალებს. მისი ძირითადი სპეციფიკური დამახასიათებელი ნიშანია, რომ ვერდიქტი გამოაქვთ მოტივირების გარეშე.

სათათბირო ოთახში უფროსი მსაჯული თანამიმდევრულად აყენებს ღია კენჭისყრაზე თითოეულ სააკითხს, სხდომის თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული რიგითობით და ფორმულირებით. ჯერ კენჭი ეყრება ყველა წარდგენილ ბრალდებაზე გამამართლებელ ვერდიქტს, ხოლო თუ ვერდიქტი ვერ მიიღება, კენჭი ეყრება გამამტყუნებელ ვერდიქტს. ნაფიც მსაჯულს უფლება არა აქვს, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან. ნაფიცი მსაჯულები ხმას აძლევენ მსაჯულთა სიაში მათი რიგითობის მიხედვით. უფროსი მსაჯული ხმას აძლევს ბოლოს და აჯამებს კენჭისყრის საერთო შედეგებს.

საგულისხმოა, რომ ვერდიქტის გამოტანის პროცედურა დროში განელილია. სსსკ-ის 261-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო 3 საათის განმავლობაში ვერ მოახერხებს ერთსულოვანი გადაწყვეტილების მიღებას, გადაწყვეტილება მომდევნო 6 საათის განმავლობაში მიიღება ხმათა შემდეგი უმრავლესობით: თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგება არანაკლებ 11 ნაფიცი მსაჯულისაგან, ვერდიქტი მიიღება 8 ხმით; თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგება 10 ნაფიცი მსაჯულისაგან, ვერდიქტი მიიღება 7 ხმით; თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგება 9 ნაფიცი მსაჯულისაგან, ვერდიქტი მიიღება 6 ხმით; თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგება 8 ნაფიცი მსაჯულისაგან, ვერდიქტი მიიღება 5 ხმით; თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შედგება 7 ან 6 ნაფიცი მსაჯულისაგან, ვერდიქტი მიიღება 4 ხმით. ანუ საჭიროა ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის მიხედვით სამით ნაკლები ხმის მიცემა. იმ შემთხვევაში, თუ განსახილველ საქმეში ბრალდებულს შეიძლება დაენიშნოს უვადო თავისუფლების აღკვეთა, ვერდიქტი ერთხმად უნდა იქნეს მიღებული.

თუ ნაფიც მსაჯულს არ შესწევთ უნარი, მიაღწიონ საერთო შეთანხმებას, სხდომის თავმჯდომარე კიდევ ერთხელ განუმარტავს ნაფიც მსაჯულს ვერდიქტის მნიშვნელობას და თხოვს მათ დაბრუნდნენ სათათბირო ოთახში და გამოიტანონ ის კანონის შესაბამისად. თუ სათათბირო ოთახში დაბრუნების შემდეგ,

ნაფიცი მსაჯულები მომდევნო 3 საათის განმავლობაში მაინც ვერ მიიღებენ ვერდიქტს, მაშინ მოსამართლე მისცემს მათ გონივრულ ვადას ან დაითხოვს მათ სრულ შემადგენლობას და დანიშნავს ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობის შერჩევის სხდომის თარიღს. იმ შემთხვევაში, თუ არც ამ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესწევს უნარი, მიიღოს გადაწყვეტილება, ბრალდებული გამართლებულად ჩაითვლება.

მიგვაჩნია, რომ ვერდიქტის გამოტანის ასეთი ხანგრძლივი პროცესი ამცირებს მისი სარწმუნოების ხარისხს, ამიტომ ჩვენი აზრით, უნდა შემცირდეს დრო და უფრო გამარტივდეს ვერდიქტის გამოტანის პროცედურა.

სამართლებრივი შედეგები განსხვავებულია ვერდიქტის ფორმების მიხედვით. თუ ნაფიცმა მსაჯულებმა გამოიტანეს გამამართლებელი ვერდიქტი სასამართლო სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოიტანოს გამამართლებელი განაჩენი, რომელიც საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. გამამტყუნებელი ვერდიქტის გამოტანის შემთხვევაში კი, მისი გამოცხადებისთანავე სხდომის თავმჯდომარე ნიშნავს სასჯელის დანიშვნის სხდომას, რაც უნდა გაიმართოს ვერდიქტის გამოცხადებიდან არა უგვიანეს 3 დღისა.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში უფლებამოსილება, როგორც წესი, გამიჯნულია. ნაფიცი მსაჯულები წყვეტენ ფაქტის საკითხებს, მოსამართლე კი, სამართლის საკითხებს. აქედან გამომდინარე, ვერდიქტის გამოცხადების შემდეგ, სხდომის თავმჯდომარე მართლმსაჯულების განხორციელებაში მონაწილეობისათვის მაღლობს უხდის ნაფიც მსაჯულებს და დაითხოვს მათ, მაგრამ ამ წესიდან არსებობს გამონაკლისი. კერძოდ, თუ არც ერთი მხარე არ განაცხადებს უარს – სასჯელის დანიშვნის სხდომა იმართება ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით. ამასთან, ნაფიც მსაჯულთა რეკომენდაციები სასჯელის დანიშვნასთან დაკავშირებით სავალდებულოა მოსამართლისათვის. ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლის თანახმად, თუ სასჯელის დანიშვნის სხდომაზე ნაფიცი მსაჯულები ხმათა უმრავლესობით მიიღებენ სასჯელის შემსუბუქების რეკომენდაციას, სხდომის თავმჯდომარე არ არის უფლებამოსილი ბრალდებულს დაუნიშნოს ამ დანაშაულისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული სასჯელის მაქსიმალური ზღვარის ორ მესამედზე მეტი. ხოლო თუ ნაფიცი მსაჯულები ხმათა უმრავლესობით მიიღებენ სასჯელის დამძიმების რეკომენდაციას, სხდომის თავმჯდომარე არ არის უფლებამოსილი ბრალდებულს დაუნიშნოს ამ დანაშაულისათვის სსკ-ით განსაზღვრული სასჯელის მაქსიმალური ზღვარის ორ მესამედზე ნაკლები. თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს არ შესწევს უნარი მიიღოს სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაცია, უშუალოდ მხოლოდ მაშინ ნიშნავს სასჯელს სხდომის თავმჯდომარე.

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ნორმა ეწინააღმდეგება მოსამართლეთა დამოუკიდებლობის პრინციპს, რადგან მოსამართლეს თავისი შინაგანი რწმენით, კანონის საფუძველზე, საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და ბრალდებულის პიროვნების გათვალისწინებით, არ შეუძლია დანიშნოს სასჯელი. გამოდის, რომ ნაფიცი მსაჯულები ფაქტის საკითხთან ერთად სამართლის საკითხებსაც წყვეტენ, რაც ვფიქრობთ, მოსამართლის როლს აკნინებს და იმავდროულად გაუმართლებლად აფართოებს ნაფიც მსაჯულთა უფლებამოსილებას. სჯობდა კანონმდებელს რეალურად გაემიჯნა ფაქტისა და სამართლის საკითხები (თუმიცა, სადავოა, ბრალეულობა-არაბრალეულობის დადგენა და გადაწყვეტა რამდენად შეიძლება მივაკუთვნოთ მხოლოდ ფაქტის საკითხს) და ფუნქციების აღრევა არ დაეშვა. სამართლიანად აღნიშნავს პროფ. თ. ლილუაშვილი, რომ „თუ მსაჯულებსა და მოსამართლეს შორის ფუნქციები არ არის გამიჯნული და საქმის განხილვის პროცესში ნამოჭრილ ყველა საკითხს ერთობლივად წყვეტენ მსაჯულები და მოსამართლე – ასეთ სასამართლოს არ შეიძლება ვუნოდოთ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.“⁶ ასეთი სასამართლო უფრო შერეული ტიპის სასამართლოს ჰგავს, სადაც პროფესიონალი და არაპროფესიონალი მოსამართლეები ერთობლივად იხილავენ საქმეებს. თანამედროვე პერიოდში ხომ ბევრმა ქვეყანამ (მაგალითად, გერმანიამ, საფრანგეთმა) უარი თქვა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე და უპირატესობა სწორედ შერეული ტიპის სასამართლოებს მიანიჭა.

საინტერესოა, მოსამართლეს აქვს თუ არა უფლება შეცვალოს ნაფიც მსაჯულთა გადაწყვეტილება, თუ მიიჩნევს, რომ ვერდიქტი აშკარად უსამართლოა? ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის

261-ე მუხლის მე-7 პუნქტი შეიცავს ერთგვარ მექანიზმს, რომელიც მოსამართლეს აძლევს შესაძლებლობას გავლენა მოახდინოს საქმის საბოლოო გადაწყვეტაზე. კერძოდ, სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია გააუქმოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამამტყუნებელი ვერდიქტი და დანიშნოს ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობის შერჩევის სხდომის თარიღი, თუ ვერდიქტი აშკარად ეწინააღმდეგება მტკიცებულებათა ერთობლიობას, უსაფუძვლოა და გამამტყუნებელი ვერდიქტის გაუქმება სამართლიანი მართლმსაჯულების აღსრულების ერთადერთი შესაძლებლობაა. სხდომის თავმჯდომარე არ არის უფლებამოსილი გამოიყენოს აღნიშნული უფლებამოსილება იმ საფუძველით, რომ იგი არ ეთანხმება ნაფიც მსაჯულთა მიერ მოწმის სანდოობის შეფასებას ან რომელიმე მტკიცებულების მნიშვნელობას. ამასთან, კანონი არ შეიცავს განმარტებას, რომ სასამართლოს აღნიშნული უფლებამოსილებით ერთჯერადად შეუძლია ისარგებლოს თუ შეუზღუდავად. ისიც გასათვალისწინებელია, რომ კანონში საუბარია მხოლოდ გამამტყუნებელი ვერდიქტის გაუქმების უფლებამოსილებაზე, რადგან ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენი საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. თუმცა, ხომ არ არის გამორიცხული, გამამართლებელი ვერდიქტის გაუქმებაც სამართლიანი მართლმსაჯულების აღსრულების ერთადერთი შესაძლებლობა იყოს?

ნაფიც მსაჯულთა უფლება კანონის უგულებელყოფით გაამართლონ ბრალდებული „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ნულიფიკაციის“ სახელითაა ცნობილი.

„ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ნულიფიკაცია“ ინგლისურენოვანი ტერმინია და მისი შინაარსი განმარტებულია როგორც „ნაფიც მსაჯულთა უფლებამოსილება – კანონის უგულებელყოფით გაამართლონ განსასჯელი თუნდაც მაშინ, როდესაც წარმოდგენილი მტკიცებულებებით მისი ბრალი საფუძველიანი ეჭვის გარეშე დგინდება.“⁴⁷

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ნულიფიკაცია ის შემთხვევაა, როცა საქმეში უხვადაა გამამტყუნებელი მტკიცებულებები და ნაფიც მსაჯულებს მატერიალური და საპროცესო მოთხოვნების მიუხედავად, გამამართლებელი ვერდიქტი გამოაქვთ.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ნულიფიკაციის თავიდან ასაცილებლად ეფექტიანი მექანიზმია მოსამართლეთა მიერ მსაჯულებისათვის საქმესთან დაკავშირებით მიცემული განმარტებები, რაც ერთი მხრივ, ათვითცნობიერებს ნაფიც მსაჯულებს სამართლებრივ საკითხებში, ხოლო მეორე მხრივ, ხელს უშლის მათ კანონის გვერდის ავლით მიიღონ გადაწყვეტილება. მოსამართლეთა ინსტრუქციები განსაკუთრებით დამახასიათებელია შერეული სისტემის სასამართლოებისათვის. ეს სისტემები უარყოფით შეფასებას სწორედ ნაფიც მსაჯულებზე მოსამართლეთა მეტისმეტი ზეგავლენის გამო „იმსახურებენ“. პრაქტიკამ აჩვენა, რომ მოსამართლის მითითებები გავლენას ახდენენ საბოლოო გადაწყვეტილებაზე, რაც ნულიფიკაციის შესაძლებლობას მაქსიმალურად ამცირებს. სწორედ ამის გამო, საერთო სამართლის ქვეყნებისაგან განსხვავებით, შერეული სისტემებისათვის ნულიფიკაცია ნაკლებად არის დამახასიათებელი. სასამართლო მითითებები იმით არის მნიშვნელოვანი, რომ მას შეუძლია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს საქმიანობა სამართლიანობისა და მიუკერძოებლობისაკენ წარმართოს. შესაძლოა მოსამართლის მითითებები იურიდიული განათლების არმქონე ნაფიც მსაჯულებს გარკვეულწილად ამა თუ იმ მხარის მიმართ პოზიტიურად განაწყობდეს, მაგრამ მისი გამოყენება მაინც აუცილებელია ნულიფიკაციის თავიდან ასაცილებლად.

კანონის თანახმად, სხდომის თავმჯდომარეს სასჯელის დანიშვნის სხდომაზე გამოაქვს განაჩენი, რომელიც ერთმნიშვნელოვნად უნდა ეყრდნობოდეს ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილ ვერდიქტს (სსსკ-ის 265-ე მუხლი). ამასთან, რადგან ნაფიც მსაჯულებს არ ევალებათ ვერდიქტის დასაბუთება, შესაბამისად, მოსამართლეს (სხდომის თავმჯდომარე) არ ასაბუთებს განაჩენში მას. განაჩენი მხოლოდ სასჯელის ნაწილში უნდა იყოს მოტივირებული.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გამამტყუნებელი ვერდიქტი შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ საკასაციო წესით, სააპელაციო სასამართლოში. გასაჩივრების საფუძველები განსაზღვრულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლით. თუ განაჩენი გასაჩივრდა იმ მოტივით, რომ სხდომის თავმჯდომარემ მტკიცებულებათა დასაშვებობის შესახებ, ან მხარის მიერ დაყენებული შუამდგომლობის

განხილვისას უკანონო გადაწყვეტილება მიიღო, ასევე, თუ სხდომის თავმჯდომარემ ნაფიც მსაჯულთა სათათბირო ოთახში გასვლის წინ განმარტებების მიცემისას არსებითი შეცდომა დაუშვა ან იგი არ დაეყრდნო განაჩენის გამოტანისას ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტს, ანდა პირიქით, დაეყრდნო კანონის მოთხოვნათა დარღვევით გამოტანილ ვერდიქტს და ეს საჩივარი დაკმაყოფილდა – საქმე ხელახალი განხილვისათვის გადაეცემა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ახალ შემადგენლობას.

მართალია, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ახალ შემადგენლობაში მოსამართლეც შედის, მაგრამ კანონის ეს უკანასკნელი დებულება მართებულად არ მიგვაჩნია შემდეგ გარემოებათა გამო: ჯერ ერთი, საქმის განხილვისას თუ სხდომის თავმჯდომარემ დაუშვა შეცდომები, დაარღვია კანონი, რატომ უნდა მოხდეს ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობის ხელახალი ფორმირება; მეორე, დასახელებული საკითხების გადაწყვეტა ისედაც არ შედის ნაფიც მსაჯულთა კომპეტენციაში, ვინაიდან კანონში ცალსახად არის მითითებული, რომ ნაფიცი მსაჯულები არ მონაწილეობენ მტკიცებულებათა დასაშვებობისა და მხარეთა მიერ დაყენებული შუამდგომლობების განხილვასა და გადაწყვეტაში; მესამე, ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგენლობის ფორმირება დაკავშირებულია დამატებით ხარჯებთან, დროის, ენერჯის დაკარგვასთან და საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურებასთან. ვფიქრობთ, უფრო მართებული იქნებოდა საქმე ხელახალი განხილვისათვის გადასცემოდა სხვა მოსამართლეს და არა ნაფიც მსაჯულთა ახალ შემადგენლობას.

სსსკ-ის 266-ე მუხლის მე-4 პუნქტით თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განაჩენი გასაჩივრდა სასჯელის უკანონობის ან დაუსაბუთებლობის მოტივით, ან სხდომის თავმჯდომარემ არ გაითვალისწინა ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებული სასჯელის შემსუბუქების ან დამძიმების რეკომენდაცია – საქმე სასჯელის ხელახალი დანიშვნისათვის უბრუნდება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სხდომის თავმჯდომარეს, რაც ასევე, მართებულად არ მიგვაჩნია, რადგან სხდომის თავმჯდომარემ დაუშვა შეცდომები სასჯელის დანიშვნისას (შეგნებულად თუ არაცნობიერად).

„გაუგებარია, თუ რატომ უბრუნდება საქმე სასჯელის ხელახალი დანიშვნისათვის“ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სხდომის თავმჯდომარეს, ანუ დარღვევის დამწვევ პირს... რა გარანტია არსებობს, რომ აქ რომელიმე მიმართულებით კვლავ არ დაირღვევა კანონი? ცხადია, ასეთ შემთხვევაში, სასჯელის დანიშვნის მოვალეობა უნდა დაეკისროს სხვა მოსამართლეს, რომელიც გამოასწორებს დაშვებულ შეცდომებს.“

წინამდებარე ნაშრომში, ჩვენ შევეხეთ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უფლებამოსილების მხოლოდ ზოგიერთ საკითხს. ნაშრომში გამოთქმული წინადადებების გათვალისწინება, ვფიქრობთ, ხელს შეუწყობს კანონმდებლობის სრულყოფას, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სათანადო ნორმების დახვეწას, რათა რეალურად ამ ინსტიტუტმა განაპირობოს მოსამართლეთა დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდა, მართლმსაჯულების განხორციელებისას მოქალაქეთა სოციალური კონტროლის უზრუნველყოფა, სასამართლოს მიმართ და მთლიანად არსებული სამართლებრივი სისტემის მიმართ ხალხის ნდობის ამაღლება. საბოლოოდ, ამ მიზანს ემსახურება ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება.

შენიშვნები:

- ¹ 2010 წლის 1 ოქტომბრიდან 2012 წლამდე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადი იქნება საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, 2012 წლიდან 2014 წლის 1 ოქტომბრამდე კი, სსკ-ის 111, 137-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებიც.
- ² რობერტ უოთკინსი, „საქართველოს შეუძლია სიამაყით თქვას, რომ დიდ გამოცდას გაუძლო“, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, 2009, №1, 6.
- ³ ი. გაბისონია, ნაფიც მსაჯულთა, მაგისტრატა და მომრიგებელი სასამართლოები, თბ., 2008, 92.
- ⁴ ჯარედ კინზოლი, „ქართული სასამართლო სისტემა უკეთესობისკენ იცვლება“, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, 2009, №4, 10.
- ⁵ კ. ფ. გუცენკო, ლ. ვ. გოლოვკო, ბ. ა. ფილიმონოვი, დასავლეთის სახელმწიფოთა სისტემის სამართლის პროცესი, თბ., 2007, გვ.120.
- ⁶ თ. ლილუაშვილი, „გაამართლებს თუ არა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო?!“, ჟურნ. „სამართალი“, 1992, №5, 4.
- ⁷ ნ. ვიდმარი, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (საერო სამართლის ქვეყნები), თბ., 2005, გვ. 76.
- ⁸ ი. გაბისონია, ნაფიც მსაჯულთა, მაგისტრატა და მომრიგებელი სასამართლოები, თბ., 2008, გვ. 472.

VERDICT OF THE JURY TRIAL

IRINA AKUBARDIA

Tbilisi Technical University Associate Professor

The paper speaks about one of the major innovations of the criminal procedure – jury trial. During thousand of years of history, the jury trial was always in focus of scientists. A lot was written about the institution in Georgia as well. Goal of the paper is not to study all aspects of the jury trial institution. Major focus is made on one specific issue – features and legal outcome of the jury trial verdict.

The paper analyses rights and responsibilities of the jury trial and the opinion is expressed that in order to overcome contradictions between articles 235 and 236 of the CPC, it is necessary to remove paragraph “b” of the article 235, since receiving preliminary information on circumstances of the case and evidence by the jury before the trial is considered a basis for leveling the institution of the jury trial. The paper underlines that procedural law defines timeframes for arriving at the verdict by the jury; it diminishes its credibility, therefore an opinion is expressed about reducing the time and simplifying procedure for arriving at the verdict.

The paper also reviews authorities of the jury to decide on issues of the fact and features of participating in the sentencing hearing, providing recommendation on sentencing and aggravating as well as mitigating circumstances. In addition, we discuss potential results of appealing to the guilty verdict.

The paper points out that separate provisions of the new Criminal Procedures Code, regulating procedure of arriving at the verdict, require refinement and proposals on improvement of the legislation are made.

დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის მიხედვით

დავით კარიაული

სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

დაზარალებული სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაწილეა, რომლის უფლებებიც სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირად იყო დაცული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში. დაზარალებულის სტატუსს და მის უფლებრივ მდგომარეობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სისხლის სამართალწარმოების განხორციელებისას. დაზარალებულის ცნება როგორც ძველ ასევე, სისხლის სამართლის ახალ საპროცესო კოდექსში ერთნაირად არის განმარტებული, რასაც ვერ ვიტყვით მის სტატუსზე და უფლებრივ მდგომარეობაზე. 1998 წლის კოდექსის მიხედვით, დაზარალებული წარმოადგენდა ბრალდების მხარეს სისხლის სამართლის პროცესში და გამოდიოდა როგორც სუფსიდიური ბრალმძებელი. აქედან გამომდინარეობდა მისი მთელი რიგი უფლებები, რომლებსაც ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით მოკლებულია. ახალი კოდექსის მიხედვით დაზარალებული აღარ წარმოადგენს მხარეს სისხლის სამართლის პროცესში და შესაბამისად, მისი მდგომარეობაც მნიშვნელოვნად განსხვავდება ადრინდელთან შედარებით.

ახალი კოდექსის მიხედვით, დაზარალებული განიხილება, როგორც ბრალდების მონაწილე და დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, მისი სასამართლო პროცესზე გამოძახება დამოკიდებულია პროკურორის გადაწყვეტილებაზე – როდის და რომელ სხდომაზე იქნას იგი გამოძახებული და დაესწროს თუ არა სასამართლო განხილვას ბოლომდე პროცესის გადადების შემთხვევაში, რაც ჩვენი აზრით, გარკვეულწილად ზღუდავს დაზარალებულის საპროცესო უფლებებს.

დაზარალებულის ცნება სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის მიხედვით თითქმის არ განსხვავდება წინა კოდექსებისაგან. კოდექსის მე-3 მუხლის 22-ე პუნქტის მიხედვით, დაზარალებული არის სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიადგა უშუალოდ დანაშაულის შედეგად. როგორც ამ განმარტებიდან ირკვევა, დანაშაული უშუალოდ მიმართულია დაზარალებულის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების საწინააღმდეგოდ და ზიანს აყენებს მას. აქედან გამომდინარე, მას, როგორც სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეს განსაკუთრებული ადგილი უკავია სხვა მონაწილეთა შორის. ის უშუალოდ არის დაინტერესებული სისხლის სამართლის საქმის ბედით, რათა ერთი მხრივ, სრულყოფილად იქნას დაცული მისი კანონიერი უფლებები და ინტერესები, ხოლო მეორე მხრივ, მხილებულ იქნას და სათანადოდ დაისაჯოს ის პირი, რომელსაც ბრალი მიუძღვის დანაშაულის ჩადენაში, ასევე, სრულად იქნას ანაზღაურებული ის ზიანი, რაც მას დანაშაულის შედეგად მიადგა.

დაზარალებულის უფლებები მოცემულია კოდექსის 57-ე მუხლში, კერძოდ, დაზარალებულს უფლება აქვს:

- ა) იცოდეს ბრალდებულისათვის წარდგენილი ბრალდების არსი;
- ბ) სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას და სასჯელის შეფარდების შესახებ სასამართლო სხდომაზე მისცეს ჩვენება ზიანის შესახებ, რომელიც მას მიადგა;
- გ) უფასოდ მიიღოს სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილების (განჩინების), განაჩენის, სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების ასლი;
- დ) მიიღოს პროცესში მინაწილეობის შედეგად გაწეული ხარჯების ანაზღაურება;
- ე) დაიბრუნოს გამოძიებისა და სასამართლოს განხილვის დროს საქმის საჭიროებისათვის დროებით ჩამორთმეული, მისი კუთვნილი ქონება;
- ვ) პროკურორს მოსთხოვოს დაცვის სპეციალური ღონისძიების გატარება, თუ საფრთხე ემუქრება როგორც მის, ისე მისი ახლო ნათესავის ან ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან/და საკუთრებას;
- ზ) მიიღოს განმარტება თავისი უფლება-მოვალეობის შესახებ;
- თ) ისარგებლოს ამ კოდექსით გათვალისწინებული სხვა უფლებებით;

ასევე კოდექსის 47-ე მუხლის (მონმე) მიხედვით, დაზარალებულს, ისევე, როგორც გამომძიებელს, პროკურორს, ბრალდებულს, ექსპერტსა და თარჯიმანს სასამართლოში ჩვენების მიცემისას ენიჭება მონმის ყველა უფლება და მოვალეობა.

ასეთია დაზარალებულის სტატუსი და უფლებრივი მდგომარეობა მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით. რადგანაც დაზარალებული, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აღარ წარმოადგენს მხარეს მას ველარ ექნება მთელი რიგი უფლებები, რომლის მეშვეობითაც იგი ახორციელებდა სუფსიდიური ბრალდების ფუნქციას და ეს ბუნებრივიცაა, მაგრამ მიგვაჩნია, რომ მისთვის ზოგიერთი უფლების მინიჭება ხელს შეუწყობს მართლმსაჯულების განხორციელებას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაზარალებულს განსაკუთრებული მდგომარეობა უკავია სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა შორის. იგი წარმოადგენს დანაშაულის მსხვერპლს და დანაშაულებრივი ქმედება მიმართულია მისი კანონიერი უფლებების საწინააღმდეგოდ. დაზარალებული უმრავლეს შემთხვევაში, დანაშაულის თვითმხილველია, ამიტომ ის ხშირ შემთხვევაში, ყველაზე უკეთ ფლობს საჭირო ინფორმაციას და შეუძლია წარმოადგინოს მტკიცებულებები დანაშაულებრივი ქმედების ყველა გარემოების შესახებ. მას ასევე, ხელი მიუწვდება საქმისათვის მნიშვნელოვან მტკიცებულებებზე, რომელიც გამოძიებისა და დამნაშაულის მხილებისათვის მეტად მნიშვნელოვანია. აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებული მხარეს არ წარმოადგენს, მისთვის მტკიცებულებათა წარდგენის უფლების მინიჭება ვფიქრობთ, მიზანშეწონილია. ამით მას მიეცემა შესაძლებლობა უკეთ განახორციელოს თავისი შელახული უფლებების დაცვა, ხოლო პროცესის მწარმოებელი ორგანოს ყურადღება გაამახვილოს საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებებზე, რაც საბოლოოდ, ხელს შეუწყობს საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას.

თუმცა, ამ შემთხვევაში, ჩვენ არ შეიძლება გადაჭარბებულად შევაფასოთ დაზარალებულის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების უტყუარობა. რა თქმა უნდა, მტკიცებულებათა შეფასების დროს, გათვალისწინებული უნდა იქნას დაზარალებულის ინტერესი დანაშაულის სწრაფი გამოძიების, დამნაშავეის მხილებისა და მისი უმკაცრესად დასჯისა. ამიტომ მტკიცებულებათა შეფასება უნდა მოხდეს კრიტიკულად, დიდი სიფრთხილით, რათა არ იქნას გადამეტებულად აღქმული დაზარალებულის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება.


დაზარალებულის, როგორც სისხლის სამართლის პროცესის განსაკუთრებული სუბიექტის მდგომარეობაზე მეტყველებს ისიც, რომ პროკურორს ისევე, როგორც ბრალდებულად ცნობის შემთხვევაში, გამოაქვს ცალკე დადგენილება დაზარალებულად ცნობის შესახებ. აღნიშნული საკითხი არასოდეს არ ინვევდა დავას და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის განვითარების ყველა ეტაპზე, ერთგვაროვნად იყო მოწესრიგებული. ამასთან, სისხლის სამართლის საქმეში იკვეთება ორი ურთიერთდაპირისპირებული სუბიექტი, რომელთა ინტერესებიც ერთმანეთს ეწინააღმდეგება. ორივე სუბიექტი ცდილობს წარმოადგინოს არგუმენტები თავისი პოზიციების დასაცავად და გასამყარებლად. ბრალდებულს მოქმედი საპროცესო კოდექსის მიხედვით, აქვს მთელი რიგი უფლებები, რომელთა საშუალებითაც შეუძლია ჯეროვნად განახორციელოს თავისი ინტერესების დაცვა და დაიცვას თავი წაყენებული ბრალდებისაგან. მეორე მხრივ, ის ფაქტი, რომ დანაშაულებრივი ქმედება მიმართულია დაზარალებულის უფლებების საწინააღმდეგოდ მეტყველებს, რომ დაზარალებულს აქვს დამოუკიდებელი საპროცესო ინტერესი სისხლის სამართლის საქმის მიმართ. ასევე, აღსანიშნავია, რომ კოდექსის მიხედვით, სწორედ დაზარალებულის არსებობასთან არის დაკავშირებული დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანი. პროკურორის მიერ დაზარალებულად ცნობის დადგენილების გამოტანასთან უშუალო კავშირშია დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის განსაზღვრაც. აქედან გამომდინარე, მართებული იქნებოდა, რომ დაზარალებულსაც ბრალდებულის მსგავსად, ჰქონდეს ზოგიერთი უფლებამოსილება ისეთი, როგორიც არის მაგალითად, გასაჩივრება, რომლის მეშვეობითაც, ის შესძლებს დაიცვას თავისი პოზიციები.

ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს დაზარალებულისათვის ისეთ მნიშვნელოვან უფლებას, როგორცაა გასაჩივრება. აღნიშნული მიდგომა გამომდინარეობს იქიდან, რომ კოდექსი დაზარალებულს აღარ განიხილავს მხარედ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თითქმის ყველა ეტაპზე, იმის მიუხედავად, წარმოადგენდა თუ არა დაზარალებული მხარეს – მას ყოველთვის ჰქონდა უფლება გაესაჩივრებინა გამომძიებლის და პროკურორის უკანონო მოქმედება ზემდგომ პროკურორთან და პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი ზემდგომ სასამართლოში.

კოდექსის 166-ე მუხლის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და განხორციელების დისკრეციული უფლებამოსილება აქვს მხოლოდ პროკურორს. კოდექსის 105-ე მუხლის (გამოძიების შეწყვეტის ან სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან შეწყვეტის საფუძვლები) მე-3-ე პუნქტის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი დევნა შესაძლოა არ დაიწყოს ან შეწყდეს, თუ ის ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის პოლიტიკას. ამ პუნქტის საფუძველზე, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბრის №181 ბრძანებით, დამტკიცდა „სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილი“, სადაც ჩამოყალიბებულია სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მიზანშეწონილობის საფუძვლები და რეკომენდაციები პროკურორისათვის, ამ საკითხებთან დაკავშირებით. კერძოდ, ამ დოკუმენტის II თავში ნათქვამია რომ „სახელმწიფოს რესურსი არ არის საკმარისი ყველა დანაშაულის ფაქტზე სისხლისსამართლებრივი დევნის განსახორციელებლად... შესაბამისად, საჯარო ინტერესის განსაზღვრისას, პროკურორმა უნდა გაითვალისწინოს, სახელმწიფოსათვის რამდენად პრიორიტეტულია კონკრეტული დანაშაულის სისხლისსამართლებრივი დევნა.“ ამავე დოკუმენტის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისათვის აუცილებელია სახეზე იყოს სრული ტესტი. ის კი, თავის მხრივ, შედგება ორი ტესტისაგან: 1. მტკიცებულებითი ტესტი; 2. საჯარო ინტერესის ტესტი. აღნიშნული ტესტების შეფასების შემდეგ, პროკურორმა უნდა გააანალიზოს დანაშაულის სიმძიმე და ხასიათი და

თავისი შეხედულების მიხედვით უნდა გადაწყვიტოს, რამდენად შეესაბამება კონკრეტულ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება საჯარო ინტერესს და მიიღოს გადაწყვეტილება დევნის დაწყება-არდაწყების შესახებ. ამ შემთხვევაში, დაზარალებული, რომლის ინტერესების დაცვაც დამოკიდებულია იმაზე, დაიწყება და\ან გაგრძელდება თუ არა სისხლისსამართლებრივი დევნა სისხლის სამართლის დანაშაულთან დაკავშირებით, მოკლებულია შესაძლებლობას გაასაჩივროს პროკურორის გადაწყვეტილება ზემდგომ პროკურორთან (თუ მხედველობაში არ მივიღებთ 168-ე მუხლს, სადაც არ არის კონკრეტიზაცია) და ამით მიეცეს საშუალება დაიცვას თავისი კანონიერი უფლებები სისხლის სამართლის დევნის დაწყების ეტაპზე.

დაზარალებულს ასევე, არ გააჩნია უფლება გაასაჩივროს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი ზემდგომ სასამართლოში და ის დამოკიდებულია პროკურორის ინიციატივაზე – გაასაჩივრებს თუ არა იგი სასამართლოს განაჩენს. მიგვაჩნია, რომ დაზარალებული, როგორც დამოუკიდებელი საპროცესო ინტერესის მქონე სუბიექტი სისხლის სამართლის საქმეში ალჭურვილი უნდა იყოს ამ უფლებით. ეს ხელს შეუწყობს ერთი მხრივ, მისი უფლებების ჯეროვნად დაცვას და მეორე მხრივ, აამაღლებს საქმეზე სამართლიანი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას.



RIGHTS OF VICTIMS UNDER THE NEW CRIMINAL PROCEDURES CODE

DAVID KARIAULI

Sul Khan-Saba University Associate Professor

On October 1, 2010 the new Criminal Procedures Code came into force. It employs new approaches to number of various issues; namely, rights of parties as well as their status have changed. The article speaks about rights of the victim – one of the most important subjects of criminal procedures. Current rights are listed and the issue of granting rights like presentation of evidence and appeal are reviewed.

საბადასახადო სამართლის კონსტიტუციურ- სამართლებრივი საფუძველი საბადასახადო კანონმდებლობის მიღება: პრობლემები და თავისებურებანი (საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე საქონლის გადაადგილების კუთხით)

ია ხარაზი

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტისა და საქართველოს
დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ასოცირებული
პროფესორი

უკანასკნელ დროს შესამჩნევად იზრდება სახელმწიფოსა და სამარ-
თლის როლი საქონლის, სამუშაოების, მომსახურებისა და სხვადასხვა
ინფორმაციის საერთაშორისო გაცვლის რეგულირებაში. სახელმწიფო
ემყარება კონკრეტულ იურიდიულ აქტებს, დაადგენს საქართველოს
ეკონომიკურ ტერიტორიაზე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალე-
ბების გადაადგილების შესაბამის სასაქონლო ოპერაციებს, კრეფს გა-
დასახადს, ამტკიცებს პორტალში (საქართველოს ეკონომიკურ საზღ-
ვართან მდებარე კონტროლის ზონაში) მგზავრების, საქონლისა და
სატრანსპორტო საშუალებების მიმართ საგადასახადო კოდექსით დად-
გენილ პროცედურებს და საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის მონაწი-
ლეებზე სამართლებრივი და მმართველობითი ზემოქმედების სხვა
ფორმებს. სამართლის შესაბამისი ნორმების მეშვეობით სამართალ-
დამცავი ორგანოები საქართველოს ეკონომიკური საზღვრის უკანონოდ
გადაკვეთი პირების მიმართ, რომელთა საქონელი და სატრანსპორტო
საშუალებები არღვევენ პორტალის გადაკვეთის წესს და პირობებს,
იყენებს სხვადასხვა ზომებს, ახორციელებს სამძებრო-ოპერატიულ და
პროფილაქტიკურ ღონისძიებებს.

„განსაკუთრებული ფუძემდებლური მნიშვნელობა საგადასახადო სამართლის ფუნქციონირებასა და განვითარებაში 1995 წლის საქართველოს კონსტიტუციას ენიჭება. მასში ჩადებულია საქართველოს დემოკრატიული და ცივილიზებული პრინციპები, საქართველოს დემოკრატიისა და სამართლებრივი სისტემების და მისი ცალკეული დამატების, მათ შორის, საგადასახადო სამართლის განვითარების საფუძვლები.

საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულა, მე-3, მე-6, 21-ე, 90-ე, 93-ე, მუხლის მე-7 პუნქტი, 94-ე მუხლის მე-4 და მე-5 მუხლები¹ და რიგი სხვა მუხლები ქმნიან სამართლის ახალი დარგების წარმოშობისა და განვითარების ხელსაყრელ ნიადაგს (მხედველობაში გვაქვს დღეს უკვე საბაჟო სამართალთან გაერთიანებული საგადასახადო სამართალი², საინვესტიციო სამართალი, ფასიანი ქაღალდების სამართალი, ეკონომიკური სამართალი და სხვა). განსაკუთრებით აქცენტი გვინდა გავაკეთოთ **კონსტიტუციის მე-3 მუხლზე**, რომლის „ვ“ პუნქტის თანახმად, მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება „საგარეო ვაჭრობა, საბაჟო და სატარიფო რეჟიმები.“ აღნიშნულმა მუხლმა გამოკვეთა საგადასახადო-საბაჟო პოლიტიკა (ეკონომიკური პოლიტიკა), რომელიც არის „სახელმწიფოს მიერ დადგენილი ერთგვარი „თამაშის წესები“ საგადასახადო-საბაჟო სფეროში, რომლის მიზანი გაცვლით განპირობებული განაწილებითი მართვაა.“³

საქართველოს საგადასახადო პოლიტიკა ვითარდება საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებსა და პრაქტიკასთან ჰარმონიზაციისა და უნიფიკაციის მიმართულებით. ამ შემთხვევაში, უპირველესი პრიმატი განეკუთვნება ევროკავშირის (EEG) საბაჟო კოდექსსა და საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის საერთაშორისო კონვენციას (1973 წ. კიოტო).

„საქართველოს კონსტიტუციის მუხლები ქმნიან საგადასახადო სამართლის განსაზღვრულ და არსებით საკონსტიტუციო სამართლებრივ საფუძვლებს, წანამძღვრებს. ამასთან, საქართველოს კონსტიტუციაში არის უფრო ვრცელი და საფუძვლიანი რეგულირებისა და იმ კონსტიტუციური დებულებებისა და ნორმების დამაგრების შესამჩნევი რეზერვები, რომლებიც საგადასახადო-საბაჟო საქმესა და საგადასახადო-საბაჟო სამართალს ეხება.“⁴

საგადასახადო კოდექსი საგადასახადო სამართლის საკითხების კოდიფიცირებული აქტია.

2011 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებულმა საგადასახადო კოდექსმა ძალადაკარგულად გამოაცხადა 2004 წლის საქართველოს საგადასახადო კოდექსი და 2007 წლის საბაჟო კოდექსი (საგადასახადო კოდექსი, მუხლი 310, გარდამავალი დებულებები).

საგადასახადო კოდექსი შედგება XV კარისაგან, 62 თავისაგან, გარდამავალი დებულებებისაგან, რომელიც მთლიანობაში მოიცავს 310 მუხლს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი არაერთი ნოვაციით გამოირჩევა, რომელიც სამომავლოდ ხელს შეუწყობს სახელმწიფო ორგანოებსა და ბიზნესს შორის საქმიანი, პარტნიორული, ცივილიზებული ურთიერთობის ჩამოყალიბებას, რომელზეც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერება და თითოეული მოქალაქის კეთილდღეობაც.

ცხადია, ქვეყნის შემდგომი განვითარებისათვის, ეკონომიკური ბერკეტების სრულყოფისათვის, ბიზნესის სექტორის განვითარებისათვის, უდავოდ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საგადასახადო კოდექსის მუხლებს, რომელიც წინა საგადასახადო და საბაჟო კოდექსებთან შედარებით უფრო მიახლოებულია ევროპულ საგადასახადო-საბაჟო კანონმდებლობასთან.

ჭეშმარიტებაა, რომ სამყაროში სრულყოფილი და იდეალური არაფერია და ბუნებრივია, საგადასახადო კოდექსიც ვერ იქნება სრულყოფილი, მაგრამ ახლო წარსულში მოქმედმა საგადასახადო და საბაჟო კოდექსებმა უდავოდ, ძირითადად, შეასრულეს საქართველოს ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპზე თავისი ამოცანები.

საბაზრო ეკონომიკის ფორმირების საწყისი პერიოდი ხასიათდებოდა არასტაბილურობით. ყოველდღიური პრაქტიკიდან ამკარად ჩანს, რომ ვაჭრობაში არსებული მრავალი ნორმატიული სამართლებრივი აქტის არსებობამ ვერ შეძლო თავიდან აეცილებინა ქვეყნისათვის აუცილებელი სახსრების გადინება, ეკონომიკურად არახელსაყრელი კონტრაქტების დადება, საგადასახადო-საბაჟო წესების დარღვევები და სხვა.

საგადასახადო პროცესის ტექნოლოგიაში ხშირი ცვლილებები ვერ უზრუნველყოფს საგარეო ვაჭრობის განვითარების სტაბილურ პირობებს, რასაც ქვეყნის ეკონომიკისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში ახალი საგადასახადო კოდექსის განხილვისას გამოითქვა მრავალი მოსაზრება და შენიშვნა არა მარტო უცხოელი ექსპერტებისა, ასევე, ქართველი მენარმე-სუბიექტების, იმპორტიორების მიერ. ბევრი საქმიანი წინადადება გათვალისწინებულ იქნა, რომელმაც კიდევ უფრო მიაახლოვა ევროპული საგადასახადო-საბაჟო კანონმდებლობის მოდელს ქართული საგადასახადო კანონმდებლობა.

ახალი საგადასახადო კოდექსი მიზნად ისახავს ქვეყანაში ახალი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების შექმნას, რომლებიც უზრუნველყოფენ ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვას, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ქვეყანაში ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებას, ქვეყნის მდგრად განვითარებას, ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის ხელშეწყობას, ქვეყანაში საერთაშორისო საფინანსო ცენტრის ჩამოყალიბებას, ასევე, საქართველოს სავაჭრო-სატრანზიტო ფუნქციის ამაღლებას. ამისათვის საქართველოს სამართლებრივ სივრცეში გაჩნდა ისეთი სუბიექტები, როგორცაა: ა) ფისკალური პოლიტიკა, ბ) გადასახადები ფისკალური რეფორმის მიხედვით, გ) საერთაშორისო ფინანსური კომპანიები, დ) თავისუფალი სანაოსნის სანარმო, ე) საერთაშორისო სანარმო.

2011 წლის საგადასახადო კოდექსში გამოვეყოფდით შემდეგ მომენტებსა და თავისებურებებს, რაც არსებითაა საგადასახადო კოდექსისათვის: ინსტიტუციური მიდგომა სისტემური სახით წარმოდგენილ ძირითად პრობლემებზე ყურადღების გამახვილების საშუალებას იძლევა. ინსტიტუციურ პრობლემებს მიეკუთვნება: საგადასახადო პოლიტიკა, საერთაშორისო საგადასახადო-საბაჟო ინტეგრაცია, საგადასახადო ორგანოები, საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე საქონლის გადაადგილება, სახელმწიფო კონტროლი და სახელმწიფო ზედამხედველობა, სასაქონლო ოპერაციები, საგადასახადო დავალიანების გადახდები უზრუნველყოფა, წმინდა სამართალდამცავი ბლოკი, საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე საქონლის უკანონო გადაადგილებისათვის პასუხისმგებლობა, ინფორმირება და კონსულტაციის განწევა, საგადასახადო ორგანოების თანამდებობის პირები და სხვა.

როგორც ვხედავთ, საგადასახადო კოდექსი წარმოდგენილია საგადასახადო ორგანოებისათვის ნიშნდობლივი და მათი საქმიანობისათვის დამახასიათებელი პრობლემების, მიმართულებებისა და ფუნქციონირების და ასევე, საგადასახადო სფეროში ორგანოების, ორგანიზაციების, იურიდიული და ფიზიკური პირების, „მრავალფეროვანი სპექტრით.“ ამ დებულებებისა და ნორმების საფუძველს ემყარება საგადასახადო სამართალი.

საგადასახადო კოდექსში რეალიზებულია რისკების მართვის კონცეფცია, რომელიც მიღებულია განვითარებული სახელმწიფოების საგადასახადო კანონმდებლობაში. ეს ნიშნავს: შემოსავლების სამსახურმა პორტალში უნდა გააკონტროლოს არა ყველაფერი, რაც მისი გავლით მოძრაობს, არამედ უნდა აირჩიოს მიზნები, რომლებიც ასე თუ ისე დაკავშირებულია ეკონომიკის, უსაფრთხოების, ჯანმრთელობის, ინტელექტუალური საკუთრების რისკებთან. საგადასახადო კოდექსი, მასში ჩამოყალიბებული დებულებებით, აღიარებს საკუთარი პრინციპებისა და საგადასახადო პროცედურების შესახებ კოოტოს კონვენციაში ჩადებული მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის პრინციპებს.

მზად არის ასეთი ცვლილებებისათვის საქართველოს შემოსავლების სამსახური?

2011 წლის საგადასახადო კოდექსი გამორიცხავს საგარეო ვაჭრობის მონაწილეთა პასუხისმგებაში მიცემას სასამართლო პროცედურების გარეშე; ადგილზე საშუალებას იძლევა შემოსავლების სამსახურს დაქვემდებარებულ პორტალებში გადაწყვედეს დავები შემოსავლების სამსახურსა და საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებელ პირებს შორის; საგარეო ვაჭრობის მონაწილეთა საჩივრებზე მათი მიღებისთანავე ყველა ახსნა-განმარტებებზე რეაქციას დაუყოვნებლივ იძლევა შემოსავლების სამსახურის შესაბამისი კომპეტენტური მუშაკი.

საგადასახადო კოდექსი – ეს არის პირდაპირი მოქმედების კანონი. მის სასიკეთოდ უნდა ითქვას, რომ გამარტივდა საქონლის გაფორმებისას გამოყენებული სასაქონლო ოპერაციები და მან მოიცვა 10 სახე,

განსხვავებით წინა საბაჟო კოდექსისაგან, სადაც „საბაჟო დამუშავების“ ტერმინის ქვეშ მოიაზრებოდა, როგორც თვითონ საბაჟო რეჟიმები, ასევე, კონკრეტულად „საბაჟო დამუშავების ოპერაციაში“ შედიოდა საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის რეექსპორტი, საქონლის განადგურება საბაჟო ზედამხედველობის ქვეშ ან საქონლის გადაცემა სახელმწიფო საკუთრებაში, რომელიც ხშირ შემთხვევაში, ერთგვარ გაუგებრობასაც კი იწვევდა.

დღეს მოქმედი საგადასახადო კოდექსით, საქონლის გაფორმებისას გამოიყენება შემდეგი სასაქონლო ოპერაციები: ა) იმპორტი; ბ) ექსპორტი; გ) რეექსპორტი (ადრე ის საბაჟო დამუშავების ოპერაციად მოიაზრებოდა); დ) ტრანზიტი; ე) სანყოფი; ვ) თავისუფალი სანყოფი; ზ) თავისუფალი ზონა; თ) დროებითი შემოტანა; ი) შიდა გადამუშავება; კ) გარე გადამუშავება.

ნოვაციას წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 21 ოქტომბრის № 679 ბრძანებით „ოქროს სიაში“ განწესების პირობების გამარტივება. არაერთი დიალოგი შედგა ფინანსთა მინისტროში ბიზნესსექტორთან. დიალოგის ფარგლებში მიღებულ იქნა კონკრეტული გადანყვეტილებები, რომლებიც იმპორტიორებს საგადასახადო პროცედურებს კიდევ უფრო გაუმარტივებს და ხარჯებს დაუზოგავს.

შემოსავლების სამსახური სავაჭრო პარტნიორობის პროგრამაში („ოქროს სიაში“) მონაწილის სტატუსის პირობებს ამარტივებს ახალი, გამარტივებული პრობების მიხედვით, კერძოდ:

- იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში დეკლარირებული საქონლის სატარიფო ღირებულების წლიური მაღალი მაჩვენებელი – 10 მლნ ლარი შემცირდა 3 მლნ ლარამდე;
- გადახდილი იმპორტის გადასახდელების წლიური ოდენობის მაღალი მაჩვენებელი 1,8 მლნ ლარი შემცირდა 900 000 ლარამდე;
- არააქციზურ საქონელზე საგადასახადო ვალდებულების უზრუნველყოფის გარანტია 50 000 ევრო შემცირდა 10 000 ლარამდე;
- კანდიდატის მიმართ დაწესებული მოთხოვნა, რომ სავაჭრო თანამშრომლობის სტატუსის მინიჭებამდე ერთი წლის განმავლობაში არ ჰქონოდა ჩადენილი საგადასახადო სამართალდარღვევები, შემცირდა 6 თვემდე ვადით;

აღვნიშნავთ, რომ ეს პირობა გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ პორტალის გვერდის ავლით ან მისგან მალულად გატანილი ან გამოტანილი საქონლის სატარიფო ღირებულება არ აღემატება 10 000 ლარს.

„ოქროს სიის“ (ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის) შემოღებით შემოსავლების სამსახური იმედოვნებს, რომ პირობების გამარტივების შემდეგ, „ოქროს სიაში“ განწესების სურვილს კიდევ უფრო მეტი კომპანია გამოთქვამს და პროგრამა უფრო მიმზიდველი გახდება იმპორტიორებისათვის, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს მათი დროისა და ზოგადად, საგადასახადო სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციას, რადგან ანალოგიური პროგრამები მოქმედებს ევროკავშირის თითქმის ყველა ქვეყანაში. აქვე აღვნიშნავთ, რომ ბიზნესმენტა გარკვეული ნაწილი სიფრთხილით ეკიდება ამ პროგრამას და ხშირ შემთხვევაში, ეჭვს გამოთქვამენ ამ ინსტიტუტის ეფექტიანობის შესახებ. მართალია, ყველა ნოვაციას სიფრთხილით და ხშირად შიშითაც კი უდგებიან, მაგრამ „ოქროს სიის“ ამოქმედება და მისი პრაქტიკაში დანერგვა მიგვანიშნებს მის დადებით თუ უარყოფით მხარეებზე.

ადრე მოქმედი საბაჟო კოდექსით გათვალისწინებული იყო „საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავება“ და „საბაჟო ტერიტორიის გარეთ საქონლის გადამუშავება,“ რომელიც გულისხმობდა შესაბამისად უცხოური საქონლის გადამუშავებას საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გაშვებული საქონლის მიმართ გადამუშავების ან კიდევ საქართველოს საბაჟო ტერიტორიის გარეთ დროებით გატანილი საქართველოს საქონლის მიმართ საქონლის გადამუშავების ერთი ან ერთზე მეტი ოპერაციის გამოყენებას და გადამუშავების პროდუქტის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანისას მის თავისუფალ მოქცევაში გაშვებას იმპორტის გადასახდელების (გარდა, სატარიფო მოსაკრებლისა) გადახდისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლებით. საგადასახადო კოდექსში ამ სამ, უკვე სასაქონლო ოპერაციას (განსხვავებით, ადრე არსებული საბაჟო რეჟიმებისა), ეძღვნება მხოლოდ **234-236 მუხლები**, თუმცა,

შინაარსობრივად თითქმის იდენტურია, ანუ სახეზე გვაქვს აქტიური (ქვეყნის შიგნით) და პასიური (ქვეყნის გარეთ) საქონლის გადამუშავება. საგადასახადო კოდექსის 234-ე მუხლის მიხედვით დეფინირებულია შიდა გადამუშავება და გარე გადამუშავება, სადაც ძირითადად, საუბარია გადამუშავების ოპერაციებზე, ხოლო 235-ე მუხლში – „შიდა გადამუშავებაზე“, 236-ე მუხლში კი, „გარე გადამუშავებაზე“. საგადასახადო კოდექსის 234-ე მუხლი ზოგადია შიდა (მუხლი 235) და გარე (მუხლი 236) გადამუშავებისათვის. ამდენად, ალბათ უკეთესი იქნებოდა 234-ე მუხლს დარქმეოდა „ზოგადი დებულებები შიდა და გარე გადამუშავებისათვის“, მხოლოდ მუხლებს შესაბამისად, დამატებოდა ტერმინი (სამივე მუხლის შემთხვევაში) „საქონლის“, რამეთუ გადამუშავების ორივე ტიპი (როგორც შიდა, ასევე, გარე გადამუშავება) საქონელზე გადამუშავების ოპერაციების გამოყენებაა (მაგალითად, საქონლის მონტაჟი, აწყობა, სხვა საქონელზე მორგება, საქონლის წარმოება, საქონლის შეკეთება და სხვა).

თუ ადრე მოქმედი საბაჟო კოდექსით „საქონლის შემოტანას“ 8 მუხლი ეთმობოდა და იგი მოიცავდა 125-132-მდე მუხლებს, ახალი საგადასახადო კოდექსით იგი გამარტივებულია და მას მხოლოდ ერთი მუხლი (მუხლი 237) ეძღვნება.

განსხვავებით წინა კოდექსისაგან, რომელშიც საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმში საქონლის მოქცევის ვადა არ აღემატებოდა 2 წელს, ახალი საგადასახადო კოდექსით დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაციაში საქონლის მოქცევის ვადა „არ უნდა აღემატებოდეს 3 წელს“, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შემოსავლების სამსახური განსხვავებულ ვადას დაადებს. აქაც გამოვთქვამთ ჩვენს მოსაზრებას აღნიშნული მუხლის მიმართ, რომ უპრიანი იქნებოდა 237-ე მუხლს წამძღვარებოდა ტერმინი „საქონლის“ და მერე როგორც ტექსტშია.

თუ ადრე მოქმედი საბაჟო კოდექსით (მუხლი 128) ჩამოთვლილი იყო იმ საქონელთა ნუსხა, რომლებიც საქონლის დროებითი შემოტანის საბაჟო რეჟიმის გამოყენებისას იმპორტის გადასახდელებისაგან სრულად თავისუფლდებოდნენ, საგადასახადო კოდექსის 237-ე მუხლის მე-2 ნაწილი მიგვანიშნებს, რომ დროებითი შემოტანისას, საქონლის სრულად გათავისუფლების ნუსხას იმპორტის გადასახდელებისაგან განსაზღვრავს ფინანსთა მინისტრი.

ვფიქრობთ, ახალ საგადასახადო კოდექსში უკეთესადაა დალაგებული სასაქონლო ოპერაციები, ვიდრე ადრე მოქმედ საბაჟო კოდექსში იყო მოცემული საბაჟო რეჟიმები. საქონლის იმპორტის შემდეგ მოდიოდა ტრანზიტი და ექსპორტის საბაჟო რეჟიმს ერთ-ერთი ბოლო ადგილი ეკავა საბაჟო რეჟიმებს შორის. ახალი საგადასახადო კოდექსის სასიკეთოდ უნდა ითქვას, რომ ექსპორტი თან მოსდევს იმპორტის სასაქონლო ოპერაციას, რაც უფრო ლოგიკურად მიგვაჩნია. შევნიშნავთ, რომ იმპორტი, გარდა 228-ე მუხლისა, ასევე განივთებულია შესაბამისად, საგადასახადო კოდექსის სხვა მუხლებშიც (მაგალითად, მუხლი 162. „იმპორტი, იმპორტის თანხა და დრო“, იმპორტის გადასახადი, კარი VIII). მიგვაჩნია, რომ 228-ე მუხლით გათვალისწინებული უნდა იყოს პუნქტი, სადაც აღინიშნებოდა, რომ „ფინანსთა სამინისტროს მიერ განისაზღვროს (ინსტრუქციის დონეზე) „იმპორტის სასაქონლო ოპერაცია“. იგივეს ვიტყვით ტრანზიტის შესახებ.

ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელმაც გაამარტივა საგადასახადო პროცედურები, უნიფიცირებული გახადა და კიდევ უფრო დაუახლოვა იგი ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგადასახადო კანონმდებლობას. მისი საუკეთესო მაგალითია თუნდაც ის ფაქტი, რომ საგადასახადო კოდექსმა დაარეგულირა სასაქონლო ოპერაციების გამოყენებისას გადასახდელებისა და საგარეო ვაჭრობის მარეგულირებელი ისეთი ღონისძიებები, როგორცაა იმპორტის გადასახდელების გამოყენების პირობები და საგარეო ვაჭრობის მარეგულირებელი სხვა ნორმები, კონკრეტულად, როგორცაა: „საქართველოს ინტეგრირებული ტარიფი“ (მუხლი 210), „საქონლის კლასიფიკაცია“ (მუხლი 211), „საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრა“ (მუხლი 212), „საქონლის სატარიფო ღირებულების განსაზღვრა“ (მუხლი. 213) და სხვა, რომლებსაც ადრე მოქმედი საბაჟო კანონმდებლობის VIII კარი ეძღვნებოდა და ერთგვარ დაქსაქსულობას ინვევდა, დიდ დროს მოითხოვდა ორი კოდექსის არსებობის პირობებში არსებული ინსტიტუტების დამუშავებისას.

საინტერესო ნოვაციაა ახალ საგადასახადო კოდექსში კარი VIII – „**იმპორტის გადასახადი**“, სადაც საუბარია გადასახადის გადამხდელზე, დაბეგვრის ობიექტზე, იმპორტის გადასახადის განაკვეთზე (მოცემულია ცხრილის სახით), გადასახადის **დარიცხვისა და გადახდის წესზე და იმპორტის გადასახადი-საგან** გათავისუფლებაზე. ადრე მოქმედ საგადასახადო კოდექსში კი, ეს კარი წარმოდგენილი იყო საბაჟო გადასახადით (კარი XII¹). მიგვაჩნია, რომ რამდენადაც აღნიშნული გადასახადის გადამხდელი სასაქონლო ოპერაციის გამოყენებისას იმპორტიორია და რადგან იმპორტიორი იხდის ყველა სახის გადასახადს, – დროულია და შეესატყვისება საბაზრო ეკონომიკის პირობებს, რომ დღევანდელ საგადასახადო კოდექსში იგი „იმპორტის გადასახადის“ სახელითა შევიდა.

ბევრ საინტერესო ნოვაციას გვპირდება ახალი საგადასახადო კოდექსი, ბევრი ინსტიტუტი დაემატა მას ახალი დეფინიციით. მაგალითად, „**თავისუფალი სანყოფის სანარმო**“ (მუხლი. 24), რომელიც თავისუფალ სანყოფში საქმიანობის განმახორციელებელი საქართველოს სანარმოა, რომელსაც გადასახადი-საგან გათავისუფლების მიზნით, მინიჭებული აქვს თავისუფალი სანყოფის სტატუსი; „**საერთაშორისო სანარმო**“ (მუხლი. 25), რომელიც თავისუფალი ინდუსტრიული ზონის სანარმოა, რომელსაც გადასახადისაგან გათავისუფლების მიზნით მინიჭებული აქვს საერთაშორისო სანარმოს სტატუსი; „**სპეციალური ვაჭრობის ზონა**“ (მუხლი 26), რომელიც შეიძლება მიენიჭოს პირს, რომელიც საქართველოში ვაჭრობის ორგანიზებას ეწევა საკუთარი ინიციატივით ან საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით; საგადასახადო კოდექსით ხმარებაში შემოდის ახალი ტერმინი და შესაბამისად, ახალი ინსტიტუტი (მუხლი 42) – „**საგადასახადო ომბუდსმენი**“, რომელიც გადასახადის გადამხდელის კანონით დადგენილ უფლებებს დაიცავს და სხვა.

საგადასახადო კანონმდებლობა თავის თავში მოიცავს ადმინისტრაციულ, სამოქალაქო, სისხლის სამართლის ელემენტებსაც. იგი გარკვეულწილად კომპლექსური დარგია, რომელსაც ძალზე ფაქიზი მიდგომა და რეგულირება სჭირდება. ახალი საგადასახადო კანონმდებლობა თავის თავში საბაჟო კანონმდებლობის ბევრ ასპექტსაც მოიცავს. თუმცა, სამწუხაროდ, სიტყვა „**საბაჟო**“ აღარ გამოიყენება, რომელიც ამ კოდექსის ნაკლად მიგვაჩნია, რამეთუ საქართველო, რომელიც უამრავი საერთაშორისო საბაჟო კონვენციების, თუ რეგიონული საბაჟო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების მონაწილეა და აღიარებს ევროკავშირის საბაჟო კოდექსს, ესწრაფვის **კოტოს კონვენციის** რატიფიცირებას, რომელიც საბაჟო (ხაზს ვუსვამთ – საბაჟო) პროცედურების უნიფიკაციისა და გამარტივების დოკუმენტია, – ნაჩქარევი ხომ არ იყო კოდექსიდან სიტყვა „**საბაჟოს**“ ამოღება?

ამასთანავე, კარგი იქნებოდა, თუ **მე-8 მუხლს** „ტერმინთა განმარტებაში“ კიდევ ბევრი ისეთი ტერმინის განმარტება დაემატებოდა, რომელიც სხვადასხვა მუხლებშია განივთებული და შეიძლება ეკონომისტი-სათვის უფრო მისახვედრია, მაგრამ იურისტისათვის ხშირად, თავსატეხი ხდება. უცხო ტერმინთა განმარტებით კი, ბევრი რამ საგადასახადო კოდექსში ადვილი აღსაქმელი გახდებოდა ამ დარგში მომუშავე იურისტებისთვისაც.

საგადასახადო კოდექსმა ახლებური ხედვა მოგვცა თანამედროვე სამართლებრივი თუ ეკონომიკური ინსტიტუტებისა, რომლებიც მსოფლიოში აპრობირებული და დანერგულია. მისი ახალი რედაქციის ამოქმედება ბუნებრივია, თანამედროვე და ქმედითი სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბებას განდის შესაძლებელს, რომელიც სხვა სამართლებრივ ორგანოებთან ურთიერთქმედებაში უზრუნველყოფს საქართველოს ეკონომიკური ინსტიტუტების, მისი უსაფრთხოების რეალურ დაცვას.

საქართველო დამაჯერებელი, ძლიერი ნაბიჯებით, ამაყად მიაბიჯებს ევროკავშირის დიდი ოჯახისკენ, ნატოსკენ, სამოავლო რწმენით, ქვეყანაში გაჩაღებული ძლიერი აღმშენებლობის პროგრამით. აქედან გამომდინარე, სწორი საგადასახადო პოლიტიკის ამოქმედება, მსოფლიო სავაჭრო-სატრანზიტო სისტემაში საქართველოს ჩართვა კიდევ ერთი სასიკეთო სვლა იქნება მძლავრი საფინანსო ინსტიტუტების შექმნისა, რომლებიც ქვეყანაში ხელს შეუწყობენ უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, რაც თავის მხრივ, ქვეყნის ეკონომიკური ამაღლების მყარი გარანტი იქნება. მანამდე კი, წინ არის ახალი საგადასახადო კოდექსის სასიკეთო ნორმები, რომელიც ბევრ კარგს, პერსპექტიულს ჰპირდება საქართველოს მოსახლეობას.

ბუნებრივია, სამყაროში არაფერს და არავის, მით უმეტეს საგადასახადო კოდექსსაც ვერ ექნება სრულყოფილების პრეტენზია. მრავალი ნორმა დროთა განმავლობაში სხვანაირად დალაგდება, ახლებურ, დროზე მორგებულ ელფერს მიიღებს დროსა და სივრცეში, პირთა წრის მიმართ, გამოავლენს მრავალ სასიკეთოს და ამ კუთხით, შემუშავებული სასამართლო პრაქტიკაც სამომავლოდ უდავოდ კარგი ხელშეწყობა იქნება, რათა საგადასახადო კოდექსმა ნორმალურად იფუნქციონიროს და ხელი შეუწყოს ჯანსაღი ბიზნესის განვითარებას, ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვას, ინვესტიციების მოზიდვას და სხვა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია;
2. საქართველოს 2011 წლის საგადასახადო კოდექსი;
3. ევროპის გაერთიანების საბაჟო კოდექსი, საბჭოს რეგლამენტი 2913/92;
4. ია ხარაზი, საბაჟო სამართალი, თბ., 2010.

შენიშვნები:

- ¹ ი. ხარაზი, საბაჟო სამართალი, თბილისი, 2010, გვ. 4.
- ² საქართველოს კონსტიტუციის 93-ე მუხლი პ. 5.7 და 94-ე მუხლის პ. 4-5 – ამოქმედდება 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან. თუმცა შევნიშნეთ, რომ სიტყვა „საბაჟო გადასახადები“ კოდექსში ნახსენები არ არის, მაგრამ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული ბევრი ინსტიტუციები, რომლებიც პორტალის გადაკვეთის წესსა და პირობებს ითვალისწინებს, სწორედ რომ საბაჟო ინსტიტუციებია.
- ³ ი. ხარაზი, საბაჟო სამართალი, თბ. 2010, გვ. 4.
- ⁴ ი. ხარაზი, საბაჟო სამართალი, თბ. 2010, გვ. 5.

CONSTITUTIONAL BASIS OF THE TAX LAW ADOPTION OF THE TAX LEGISLATION – PROBLEMS AND SPECIFICITIES

(Movement of Goods at the Economic Border of Georgia)

IA KHARAZI

Associate Professor Tbilisi Aviation University and DAUG

Tax policy of Georgia develops in the direction of harmonizing with globally acknowledged international legal norms and practice. In this case, the EEG Customs Code represents a priority as well as the International Convention on Simplification and Harmonization of Customs Procedures (Kyoto Convention, 1973).

New Tax Code aims at creation of international financial institutions in the country; such institutions will facilitate the process of attracting investments, which, in its turn, will facilitate growth of economic efficiency, sustainable development of the country, development of the international financial centre and increase of the trade and transit function of the country. For that purpose develop such new subjects like: a) fiscal policy; b) taxes in accordance with the fiscal reform; c) international financial companies; d) free storage/warehouse enterprise; e) international ventures.

We would point out main features and specificities of the 2011 Tax Code: institutional approach allows for focusing on systematic problems. Following belong to institutional problems: tax policy, international tax and customs integration, taxation bodies, movement of goods on economic borders of the country, state control and state supervision, commodity operations, ensuring payment of tax liabilities. SAS ESN, legal block, responsibility for illegal movement of goods on economic borders of the country, informing and consulting, officials of tax authorities, etc.

საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია
JUDGES ASSOCIATION OF GEORGIA
ტელ-ფაქსი/Tel-Fax: (+995 32) 292 34 90

საქართველოს უზენაესი სასამართლო
THE SUPREME COURT OF GEORGIA
ტელ-ფაქსი/Tel-Fax: (+995 32) 299 70 01